პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 40 (501) ◆ 4 – 10 ოქტომბერი, 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

*ინტრიგები „სამეფო კარზე“*

## „ასეთ წინააღმდეგობებს ნამდვილად არ ველოდი“

⇨ გვ.7



ჩემი მეთოდები მაქვს და შეიძლება ისინი ვიღაცას არ მოსწონდეს. უკმაყოფილება მოჰყვა ელჩების დანიშვნის პროცესს, რომელთაც ბუნებრივია, ჰყავდათ თავიანთი მომხრეები... მე პროფესიონალი დიპლომატი ვარ და თუ მომცემენ საშუალებას, დავეხმარები საქართველოს... როდესაც მართლა რაიმე შეცდომა მომივა, მზად ვარ, შენიშვნა პრეზიდენტისგანაც მივიღო და პრემიერისგანაც... სიმართლე გითხრათ, ზოგიერთი რამ მეწყინა...

„მიმდინარეობს არაკეთილსინდისიერი კამპანია საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ.“

*ილიანე ხაინდრავა*

## ვარშალომიძე მანაგაძის ადგილზე! — მანაგაძე?

### ვაკე-საბურთალოს გამგებელი აჭარას უხელმძღვანელებს?!



უცნაურია, ლევან ვარშალომიძეს ასლან აბაშიძის მომხრეებისადმი ლოიალობას რომ აბრალებენ. აჭარას ხომ ფაქტობრივად, ლევან ვარშალომიძე კი არა, მამამისი, „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი გურამ ვარშალომიძე მართავს. თუ ამის გამო ვინმე იყო დასასჯელი, გურამ ვარშალომიძე უნდა დაესაჯათ და არა მისი ვაჟი... ⇨ გვ.7

ითქვა, ლევან ვარშალომიძის ადგილზე ვაკე-საბურთალოს გამგებელი ავთო დავითიძე გადაჰყავთო.

## stern

### ტელეკომპანია „ალ-არაბიას“ დირექტორის სკანდალური აღიარება.

ტელეეკრანებზე დემონსტრირებული ძალმომრეობის ეს სურათები მართლაც სასტიკია და მუსლიმანისთვის სამარცხვინო. ჩვენ კი ისე ვართ გატრუნულნი, თითქოს თვალებზე ლიბრი გვეფაროს და ვერაფერს ვხედავდეთ... გატეხილ, შებღალულ სახელს ვერ აღვიდგენთ, თუკი საჯაროდ, ყველას გასაგონად არ ვაღიარებთ, რომ ტერორისტული აქტები, რომლებიც დღეს მსოფლიოში ხდება, ჩვენი — მუსლიმანების ნამოქმედარია. და თუ ამას დღეს არ გავაკეთებთ, ხვალ უკვე ჩვენი შვილებიც ამ დაწყევლილ გზას უყოყმანოდ დაადგებიან... ⇨ გვ.26

*სამხედრო თემაზე:*

## ექსკლუზიური რეპორტაჟი ბრიუსელიდან

ბრიუსელში, NATO-ს შტაბბინის ერთ-ერთ დერეფანში, ორი სამხედროფორმიანი დამეჯახა და სიტყვისუთქმელად განაგრძო გზა. გამიკვირდა. ასეთ შემთხვევაში ევროპელები ათას ბოდიშს იხდიან ხოლმე. მაგრამ როდესაც მათ ფორმას დავაკვირდი, ყველაფერი გასაგები გახდა — ისინი რუსეთის არმიის ოფიცრები იყვნენ... ⇨ გვ.8,9

NATO OTAN

გეყოთ ღია კარზე კაკუნი, NATO-ში საქართველო მაშინ შევა, როდესაც ამის დრო დადგება. შეხედეთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რომლებმაც აურზაურის გარეშე, მშვიდად მიაღწიეს საწადელს. თქვენი ხმაურით მხოლოდ საქმეს ვნებთ და აღიზიანებთ რუსეთს, — დაახლოებით ასე გვეუბნებოდნენ NATO-ს არცთუ დაბალჩინოსანი მოხელეები...

## რას იყენებდნენ კრემლში „იუკოსის“ საწინააღმდეგოდ

## ფოსფალუგელი „კრემლის ანტაციდი“

⇨ გვ.24

## „ბალტიკა“ გვისმენს?!

### იმ დროს, როდესაც რუსეთმა საქართველოს საზღვრები ჩაკეტა, როკის გვირაბი შეგნებულად დაავიწყდა

„კომპანია „ბალტიკის“ პრეზიდენტი და მფლობელი ოსი ტიმურ ბალოევი გახლავთ... შს სამინისტროს ხელმძღვანელებს გაუგიათ, რომ ბალოევი აფინანსებს ცხინვალში ოს სეპარატისტებს, რომ ბალოევი უგზავნის კოკოითს იარაღს და სწორედ მან შეუძინა ოს სეპარატისტებს ძვირად ღირებული მოსასმენი აპარატურა, რათა კოკოითის უშიშროებას შესძლებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციის მოპოვება... ⇨ გვ.6

თუ არ შეიძლებოდა ლუდი „ბალტიკის“ შემოტანა, წინასწარ ეთქვათ და ახლოსაც არ გავეკარებოდი. ახლა კი კონტრაბანდისტობაც დამწამეს და დაპატიმრებასაც მპირებენ...“

## თბილისის ქუჩებში ტინეიჯერი მოძალადე დააბიჯებს?!

⇨ გვ.5

### ფსიქოლოგიური პორტრეტი —



შესაძლოა, იგი სტუდენტია, შეიძლება წარჩინებულიც. ცხოვრობს თბილისის გარეუბანში, რის გამოც მხოლოდ უცხო რაიონში „ნადირობს“. აქვს სექსუალური უკმარისობის მძაფრი გრძნობა, უფრო ზუსტად, აწუხებს სექსუალური უძლურება. დანა თუ სამართებელი მისთვის ამ გრძნობის დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს...

პოლიცია და პროკურატურა სწორად იქცევა, როცა კატეგორიულად უარყოფენ მის არსებობას. ჯერ უნდა შეისწავლონ მისი ქცევის ნორმები და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედონ...

## „გაზმანოვი ის გოშიაა, რომელიც ლუჟკოვის ყეფაზე წკმუტუნებს“



⇨ გვ.6

27 სექტემბერი ჩვენთან გლოვის დღეა და მათ კი კონცერტები ჩაატარეს, რასაც მოსკოვიც ტაშის კვრით შეხვდა. ეს სცენარი კარგა ხნის დაწერილია და ეტაპობრივად ახორციელებენ... გაზმანოვთან ლაპარაკი უაზრობაა, ის ნაძირალაა და ამით ყველაფერია ნათქვამი. ლუჟკოვმა აქცია გაზმანოვი „ვარსკვლავად“ და ბინებითა და სხვა მატერიალური სიკეთით გაანებივრა. ლუჟკოვს რა ინტერესებიც ამოძრავებდა აჭარაში, იგივე სურს აფხაზეთშიც და გაზმანოვიც მისი ნების შემსრულებელია... მე ოფიციალური პროტესტი განვუცხადე რუსული კულტურის წრეებში მოღვაწე ცნობილ ადამიანებს...

## „ვინც დენს მოიპარავს, პასუხისგებაში მიეცემა“



ჯერჯერობით, ვერ ვაკონტროლებთ ინკასატორისა და მობინადრის გარიგებებს. თუ მობინადრე ინკასატორს „ლევ“ ფულს არ მისცემს, კორუფციის ხარისხი ძალიან შემცირდება.

*ნიკა გილაური*

როგორც წინა წლებში, ახლაც ხდება დენის მიტაცება და ე.წ. სადენებზე „ჩამოკიდება“, სხვათა შორის, დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზეც კი... ⇨ გვ.5,13

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## საკრებულოს წევრებმა ხელფასი გაიზარდეს

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, თქვეს დედაქალაქის საკრებულოში და საქმეს შეუდგნენ. მას შემდეგ, რაც პარლამენტარებმა ხელფასები გვარიანად (1.500 ლარამდე) გაიზარდეს, ხელი დედაქალაქის საკრებულომაც გამოიღო და საკრებულოს სხდომებსა და კომისიებში მუშაობისთვის დეპუტატების ანაზღაურება თითქმის 2-ჯერ, 200-დან 500 ლარამდე გაზარდეს.

## უშედეგო სამი დღე

„როკის გვირაბს ვერ გააკონტროლებთ“, დაახლოებით ასეთი ულტიმატუმით, ანუ უშედეგოდ დაასრულა ოსურმა მხარემ მოსკოვში სამდღიანი სხდომა, რომელსაც სავარაუდოდ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საქმეში პოზიტიური როლი უნდა ეთამაშა. მიღებულია დოკუმენტი მხოლოდ ორი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა ცხინვალის რეგიონში ნაპოვნი დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერების წარმომავლობა უნდა გამოიკვლიოს, მეორემ კი კონფლიქტის ზონის კონკრეტული საზღვრები უნდა დაადგინოს. როკის გვირაბის ქართველებისგან გაკონტროლება კი, როგორც აღმოჩნდა, არა მარტო ოსებს, რუსებსაც არ სურთ. კვლავაც დაუდგენელია ჟვანია-კოკოითის შეხვედრის დროც და ადგილიც, რისი წინმსწრები მოვლენაც, სავარაუდოდ, დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლების სოფიაში შეხვედრა იქნება. ამასობაში, კოკოითი კვლავაც ცდილობს შემოსავლის წყაროდ ქცეული კონფლიქტი გააღვივოს — ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სროლის ხმა ისევ ისმოდა. ოსურმა მხარემ სეპარატისტული მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებული სამხედრო პოზიციებიდან დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მიმართულებით ცეცხლი მსხვილკალიბრიანი იარაღით გახსნა. ქართულ სოფლებში დაზიანდა მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულმა ეუთოს მისიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. საბედნიეროდ, სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

## ვინ გახდება დე ფაქტო პრეზიდენტი?

მერე რა, თუ საერთაშორისო დამკვირვებლები რესპუბლიკად არ გვაღიარებენ და ჩვენი საპრეზიდენტო არჩევნებით არც კი ინტერესდებიანო, განაცხადეს აფხაზმა სეპარატისტებმა და დე ფაქტო არჩევნებზე დნესტრისპირელებსა და ჩრდილოკავკასიელებს უხმეს დამკვირვებლებად.

3 ოქტომბერს პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეერკინენ პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა, რომელიც დღემდე რუსების ფავორიტია, „ჩერნომირენერგოს“ ხელმძღვანელი სერგეი ბაღაფში, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, ექსპრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია და სახალხო პარტიის ლიდერი იაკობ ლაკობა.

ახალი პრეზიდენტის ვინაობა, სავარაუდოდ, 5 ოქტომბერს გახდება ცნობილი. რეალურ კანდიდატებად რაულ ხაჯიმბა და სერგეი ბაღაფში ითვლებიან. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და უშიშროების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელების განცხადებით, სახელისუფლებო ბერკეტების გამოყენების გარეშე შესაძლოა ხაჯიმბა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი ლევან კიკნაძე აცხადებს, ხაჯიმბა თვით სეპარატისტულ ხელისუფლებაშიც არ მოსწონთ. მას შემდეგ, რაც ხაჯიმბას „კაგებეშნიკობის“ დამადასტურებელი კომპრომატები გამოაქვეყნეს, მას ხელიდან გამოეცალა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი — უშიშროების სამსახური, სადაც უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ერთ დროს ხაჯიმბასაგან დაწუნებული არშბა მუშაობს. მან სხვა ბევრი ჩინოსანივით კარგად იცის, რომ ხაჯიმბას გაპრეზიდენტების შემთხვევაში უსამსახუროდ დარჩება. მეტიც, თუ ხაჯიმბა პრეზიდენტი გახდება, აუცილებლად იძიებს შურს კომპრომატების გამოქვეყნებისათვის, რასაც უსათუოდ მოჰყვება სისხლიანი გარჩევები.

სერგეი ბაღაფშს, მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნებს მიღმა დარჩენილ ანქვაბს შეეკრა და პრემიერ-მინისტრის პოსტიც შესთავაზა, ფაქტობრივად, აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უჭერს მხარს. ოჩამჩირეში გაზრდილ ქართველების სიძეს პროქართულ ინტერესებს სდებენ ბრალად. ლევან კიკნაძის თქმით, ძნელი წარმოსადგენია, ხაჯიმბამ ან ბაღაფშმა ერთბაშად პირი საქართველოსკენ იბრუნონ. თუმცა, ხაჯიმბასგან განსხვავებით ბაღაფშს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს, რომ აფხაზების გადარჩენის ერთადერთი გზა საქართველოსკენ მიდის.

## სომხური იერიში წინასაარჩევნოდ?..

1-ელ ოქტომბერს, გვიან ღამით, აფხაზეთის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სოხუმის ქუჩებში საქართველოს პრეზიდენტის გამოსახულებიანი პლაკატების გაკვრაში ეჭვმიტანილი სომეხი ეროვნების 20-მდე მოქალაქე დააკავეს.

ქართული სპეცსამსახურების ცნობით, აფხაზმა სამართალდამცველებმა აფხაზეთის დედაქალაქის ყველა შესასვლელი გადაკეტეს და მთელი ღამე იმ პირების ძებნას მოანდომეს, რომლებმაც სანაპიროზე, ასევე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულ ადმინისტრაციულ შენობებზე, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიასა და სომხური სკოლების შენობებზე პლაკატები გააკრეს.

დაკავებულები სოხუმის უშიშროების სამსახურის იზოლატორში იმყოფებიან. სეპარატისტული სოხუმი შეშფოთებულია საპრეზიდენტო არჩევნების წინ მრავალრიცხოვანი სომხური სათვისტომოს წარმომადგენელთა პროქართული განწყობილებებით და მომხდარში დე ფაქტო ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს ადანაშაულებს, რომელთა ქმედების შედეგად „სომხური მოსახლეობა იძულებულია, თავისი უფლებების რეალური დაცვა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას დაუკავშიროს“.

## ევროსასამართლო დაინტერესდა

რა ბედი ელის აფხაზეთში, დრანდის ციხეში უკანონო პატიმრობაში მყოფ ლევან მამასახლისს — თავისუფლების ამაო ლოდინი თუ ევროსასამართლოს განაჩენით გათავისუფლება? ამ კითხვას, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ევროსასამართლოს საგანგებო პროცესზე გაეცემა პასუხი, როცა ლევან მამასახლისის საქმეს, როგორც აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტს განიხილავენ.

არასამთავრობო ორგანიზაციის, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენლების თქმით, ევროსასამართლოს მიერ ამ საქმის პრიორიტეტულად ცნობა უპრეცედენტო და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია.

ტერორიზმის ბრალდებით უკანონოდ დაკავებული ლევან მამასახლისი სეპარატისტთა მთავრობამ სამხედრო ტრიბუნალს გაასამართლებინა და მას 14-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. მამასახლისის ადვოკატები მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და მორალური ზარალის კომპენსაციას ითხოვენ. დაზარალებულს გამოძიების პროცესში ადვოკატის ყოლის უფლება არ მისცეს. როგორც ადვოკატები აცხადებენ, დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. მას აქვს ბრონქიალური ასთმა და მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას საჭიროებს, რისი საშუალებაც მას დრანდის ციხეში არ აქვს.

## რუსებმა ისევ „გადმოხედეს“ დარიალს

საქართველოს საჰაერო სივრცე რუსული სამხედრო ვერტმფრენებისათვის კვლავაც სანავარდო ზონად რჩება. 2 ოქტომბერს რუსმა მფრინავებმა დარიალის ხეობას კიდევ ერთხელ „გადმოხედეს“ და უკან გაბრუნდნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინსპექტირების მიზნით საქართველოს უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი ეუთოსა და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად პანკისის ხეობაში გაემგზავრა და საზღვრის დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მონაკვეთები დაათვალიერა. იქნებ რუსები ბოლოს და ბოლოს დარწმუნდნენ, რომ საქართველოში „ალ-ქაიდასა“ და ჩეჩენი ბოევიკების, მით უმეტეს, საერთაშორისო ძებნილის, აჩემეზ გოჩიაევის (მას ბრალად 1999 წელს მოსკოვში ტერაქტების მოწყობა ედება) ყოფნა მათ მიერვე შექმნილი უსუსური მითია, რომელიც ბოლო დროს ძალიან დაემსგავსა ბნელ ოთახში შავი კატის ძებნას.

ამავე დროს კიევში დსთ-ის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ქართველმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა რუსეთს პანკისში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების სრული სია გადასცეს.

## ჟურნალისტებიც გაწვრთნეს

საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეციალური დანიშნულების ბრიგადის ბაზაში ჟურნალისტებს 4 დღე წვრთნიდნენ.

წვრთნის მიზანი სამხედრო თემაზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის საბრძოლო სიტუაციებში მოქმედებისა და თავდაცვის უნარ-ჩვევების გამომუშავება იყო. კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის ინსტრუქტორებმა ჟურნალისტებს პირველადი სამედიცინო დახმარების, ნაღმების აღმოჩენის შემთხვევაში ქცევისა და ცეცხლის ზოლში მოხვედრისას უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარეს. ორი დღე დაეთმო აერომობილურ მომზადებას, ჟურნალისტები გაეცნენ ვერტმფრენით უსაფრთხო ფრენისა და ავარიული დაჯდომის შემთხვევაში მოქმედების წესებს.

ოთხდღიანი წვრთნის შედეგი რომ თვალსაჩინო ყოფილიყო, ჟურნალისტთა ჯგუფს კოჯრის ბრიგადის სპეცრაზმელებმა მოულოდნელი თავდასხმა მოუწყვეს, რომლის დროსაც ორი მათგანი მძევლად აიყვანეს, თუმცა როგორც ინსტრუქტორებმა განაცხადეს, თავდასხმის დროს „კურსანტებმა“ შესაბამისად და წესების დაცვით იმოქმედეს. მძევალთა გათავისუფლების „ოპერაცია“ კი მშვიდობიანად დასრულდა.

## დეზინფორმაციული პროვოკაცია

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა ხელისუფლების საწინააღმდეგო კამპანიად აფასებს საქართველოსა და დსთ-ის სივრცეში გავრცელებულ დეზინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს დევნილის სტატუსის ჩამორთმევის სანაცვლოდ 2.000-2.000 ევროს დაურიგებენ.

როგორც ირკვევა, რუსეთიდან და დსთ-ის სხვა ქვეყნებიდან საქართველოში დევნილის სტატუსის მისაღებად 5000-ზე მეტი მოქალაქე ჩამოვიდა. მათ ეს სტატუსი არასდროს ჰქონიათ. მათივე განცხადების საფუძველზე სამინისტრომ ისინი აღრიცხვაზე აიყვანა. ამასთან, დევნილის სტატუსის მიღების მსურველთა რიცხვი ინტენსიურად იზრდება.

„დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილებში დევნილის სტატუსის სანაცვლოდ 2.000 ევროს მისაღებად ხელმოწერებს ჯერჯერობით დაუდგენელი პირები აგროვებენ, რომლებიც თავს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომლებად ასაღებენ. მოვუწოდებ დევნილებს, არ წამოეგონ დეზინფორმატორთა პროპაგანდას, რომლის მიზანი ლტოლვილების ხელისუფლებასთან დაპირისპირების ინსპირირებაა“, — აცხადებს ეთერ ასტემიროვა. მისი აზრით, ამ კამპანიის უკან შესაძლოა ის ხალხი იდგეს, ვინც წინა ხელისუფლებაში დევნილთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის ხარჯზე მდიდრდებოდა და დღეს უკანონო შემოსავლების შემცირებას ვერ ეგუება. მინისტრი სამართალდამცავ ორგანოებს სთხოვს, დაუყოვნებლივ გამოავლინონ დეზინფორმატორები.

## ნავსიანი ბ(ღ)ორჯომი?

მას შემდეგ, რაც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყეპარკის ტერიტორიაზე გაჩენილმა ხანძარმა პიკს მიაღწია, ცეცხლი მოულოდნელად აჭარის მთიანეთში, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის ტერიტორიაზე არსებულ ტყეშიც გაჩნდა. ბორჯომი-ხარაგაულის ტყეპარკში თურქი მეხანძრეების დახმარებით ჩააქრეს ხანძარი. ბორჯომ-ხარაგაულშიც და ღორჯომშიც ხანძარს, პრაქტიკულად, შიშველი ხელებით ებრძოდნენ, რადგან მაღალმთიან ადგილებში მიუვალობის გამო სახანძრო ტექნიკის გამოყენება ვერ ხერხდებოდა. ვერტმფრენებით ხანძრის ჩაქრობის საშუალება კი ქვეყნის სახანძრო სისტემას სამწუხაროდ არ გააჩნია. საბედნიეროდ, უეცრად წამოსულმა კოკისპირულმა წვიმამ ხანძარი როგორც იქნა ჩააქრო.

## გაზეთზე ზეწოლა დაგმეს...

გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ ფინანსური პოლიციის შეჭრა და 1 წლის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლა იმით დასრულდა, რომ გაზეთს დავალიანების სახით 911 ლარის გადახდა დააკისრეს. გაზეთის მთავარი რედაქტორი აცხადებს, ამ თანხის უმეტესი ნაწილი მიმდინარე გადასახადი იყო და მას რედაქციაში პოლიციელთა შეჭრის გარეშეც კანონიერ ვადაში დავფარავდითო. მაშ, რა უნდოდა რედაქციაში ფინანსურ პოლიციას?

ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ პრეზიდენტის, მალხაზ გულაშვილის თქმით, ბიუჯეტისათვის გადასახადების დამალვის ფაქტი რედაქციას არ დაუდასტურდა. პოლიციის შტურმი გაზეთში ჩინოვნიკების შესახებ გამოქვეყნებული მამხილებელი მასალების (მაკომპრომეტირებელი მასალები ქალაქის მაშინდელი პროკურორის, გრიგალაშვილის ქონების წარმომავლობას ეჭვის ქვეშ აყენებდა) გამო განხორციელდა. გაზეთზე ზეწოლის ფაქტი სასტიკად დაგმეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა: „პრესის საერთაშორისო ინსტიტუტმა“, მსოფლიო პრესის თავისუფლების ინსტიტუტმა და ამერიკულმა გამოცემამ „ვაშინგტონ თაიმსმა“.

## კმაყოფილები და უკმაყოფილოები

ქართულ-ბრიტანული ნავთობკომპანია საგარეჯოს რაიონის სოფლების, ნინოწმინდისა და წყაროსთავის მოსახლეობას ნავთობის ამოფრქვევის შედეგად მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებს. ქართულ-ბრიტანული ნავთობკომპანია კომპენსაციის სახით მოსახლეობისაგან ყურძენს საბაზრო ფასად იბარებს. თანხებს მოსახლეობა ერთ კვირაში მიიღებს. გარდა ამისა, ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანია თითოეულ მოსახლეზე ჯანმრთელობის პოლისებს გასცემს და ნავთობის დაღვრის შედეგად მოწამლული ხალხი ერთი წლის განმავლობაში უფასოდ იმკურნალებს. ბორჯომის რაიონის სოფელ დვარში კი მოსახლეობის საპროტესტო აქციები გრძელდება. ხალხი კატეგორიულად ითხოვს მათ ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შეწყვეტას. მათი თქმით, სოფელი მეწყრულ ზონაშია და მოსახლეობას მშენებლობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

## უპრეცედენტო ქართული ბიუჯეტი

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, მთავრობის მიერ კონსტიტუციური ვადების დაცვით პარლამენტში წარდგენილი 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2.106.000. 000 ლარით განისაზღვრა, რაც 2004 წლის ხარჯვით ნაწილს 7%-ით აღემატება.

„ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობა წლის განმავლობაში 2 მილიარდ ლარზე მეტის დახარჯვას გეგმავს. ახალი ბიუჯეტი ახალი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე შემუშავდა. ახალი კოდექსი კი გადასახადებისა და განაკვეთების შემცირებას ითვალისწინებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალ წელს აღარ იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც უჭირთ. ეს ნიშნავს, რომ აღარ იარსებებენ უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, მომავალი წლიდან საქართველოს ხელისუფლება ყველა იმ სახელფასო და საპენსიო დავალიანებას გაისტუმრებს, რომელიც წინა ხელისუფლებამ დააგროვა.

## კრიმინალური ქრონიკა

„დამნაშავე“ სკოლის ეზოში შეგდებული წიწაკის ნაყენით დამზადებული ცრემლსადენი გაზის ბალონი აღმოჩნდა. იგი ერთ-ერთმა მოსწავლემ იპოვა და გართობა გადაწყვიტა.

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსის, პაატა ჟღენტის განცხადებით, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ თბილისის 43-ე სკოლაში ატეხილი დავიდარაბა პანიკის საფუძველს არ იძლევა და ბალონიდან გამოფრქვეული გაზი თუმცა ცრემლსადენი, მაგრამ უვნებელია. მისი ზემოქმედება დაახლოებით 4 წუთამდე გრძელდება, მოქმედებს ორმეტრნახევარ რადიუსზე და ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის.

* * *

სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ დირექტორის, პანტიკო თორდიას ძმისშვილის, ზუგდიდელი ზაზა თორდიას ადგილსამყოფელი კვლავ უცნობია. დაუდგენელი პირების მიერ ზუგდიდის გარეუბნიდან გატაცებული 18 წლის მძევალის შესახებ უკვე მეათე დღეა, არავინ არაფერი იცის. სამართალდამცველებს აქვთ რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთის მიხედვით, გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა. თუმცა, გავრცელებულ ხმას, რომ გამომძალველები გამოსასყიდის სახით 300.000 დოლარს ითხოვენ, გატაცებულის ოჯახი დღემდე უარყოფს.

## სამწუხარო რეალობა

ტრაგიკულად დამთავრდა კიდევ ერთი თბილისელი უსახლკაროს სიცოცხლე. თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლს კიდევ ერთი ბავშვი შეემატა.

2 ოქტომბერს დიღმის ხიდთან სამართალდამცველებმა გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალი იპოვეს. სამი წლის გოგონა ამაოდ ელოდა დედის გაღვიძებას. როგორც მეთევზეები ამბობენ, იგი ხიდის ქვეშ ცხოვრობდა და შიმშილისაგან გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე მისული მედიცინის მუშაკების თქმით, არ არის გამორიცხული, ქალი შიმშილთან ერთად სხვა რომელიმე მომაკვდინებელი სენისგანაც იყოს გარდაცვლილი.

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ცუდ გუნებაზე დამაყენეთ, ბატონო ზვიად!“ — 79 ხმა
2. **ინგა ჯაყელი** — „ნუ იმათხოვრებ, დედი!..“ — 44
3. **იზო რიკაძე** — „რუსეთის ხელისუფლების აზრით, საქართველო შაითანია“ — 34

ასევე, მკითხველთა დიდი მოწონება და საკმაოდ მაღალი ქულები დაიმსახურა **ხათუნა მაღრაძემ** სტატიით — „გთხოვთ, სიკვდილით დამსაჯოთ...“, მაგრამ აღნიშნული სტატია კონკურსში არ მონაწილეობდა, რადგან მისი ავტორი ჟურნალ „რეიტინგის“ ჟურნალისტია.

პირველი პრემია 25 ლარი გადაეცემა **ზვიად ჩაკვეტაძეს,** მეორე — 20 ლარი — **ინგა ჯაყელს**, ხოლო მესამეს — 15 ლარს — მიიღებს **იზო რიკაძე**.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 342-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# „მთავრობაში შინაარასტაბილურობის ნიშნებია"

## „არ უნდა გავებათ დიდ ხაფანგში, რომელიც ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანის დროს დააგო რუსეთმა"

ძალისმიერი სტრუქტურებიდან ხალხი პოლიტიკურ მართვაში გადაჰყავთ. სააკაშვილი ბუნებით ჯიუტი კაცია, შესაძლოა გარკვეული დროით უკან დაიხიოს, მაგრამ ნათქვამს უთუოდ აასრულებს. საკმაოდ მკაფიოდ თქვა, – ტერიტორიული მთლიანობისთვის ვიბრძოლებო. როგორც ჩანს, ამ ბრძოლისთვის იმზადებს პლაცდარმს. საკადრო ცვლილებებში შევნიშნე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის განზრახვა, რაც მაშინებს – შესაძლოა ხაფანგი დაგვიგონ.

აშშ-დან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა იმ პრობლემებისთვის მოიცალა, რომელთაც, რატომღაც, სწორედ მისი არყოფნისას წამოყვეს თავი. სააკაშვილმა კანცელარიაში ჯერ საკუთარი ფრაქცია იხმო და, როგორც ამბობენ, საკმაოდ მკაცრად ელაპარაკა, — რა დროს კინკლაობა და ურთიერთშუღლია, ჩვენი ძალა მხოლოდ ერთობაშია და ყველა ბუნტისთავს სასტიკად დავსჯიო, მერე კი რეგიონებს გადასწვდა — ჯერ იმერეთს მოაცილა დავით მუმლაძე, მერე კი ყველაზე რთულ რეგიონებში ახალი, სულ „ნარჩევ-ნარჩევი" ბიჭები დასვა, რითაც ხაზი გაუსვა — საქმის მცოდნე და უნარიანები თბილისზე მეტად პერიფერიებში მჭირდებაო და ხალხსაც ნუგეში სცა — მახსოვხართ, თქვენზე ვზრუნავ და საუკეთესო კადრებს პატრონად გიგზავნითო.

აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ვოიაჟმა და მისდამი საერთაშორისო საზოგადოებრიობის დამოკიდებულებამ ჩვენი მეზობელი ისე გაალიზიანა, რომ მის „ცერეუშნიკობასა" და „ოსტაპბენდერობაზე" სალაპარაკოდ ძვირფასი ტელეეთერის დრო არ დაინანა. მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსების ღრენის საპასუხოდ საქართველოში ვერავინ მოიცალა, რადგან აქ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის გამართული დებატები უფრო აინტერესებდათ. პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** ბუშისა და კერის დებატებისას გახმიანებულ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიზნებსა და საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ვესაუბრეთ:

— ამ დებატებს პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატის რეიტინგზე არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა. თუმცა ანალიტიკოსები ფიქრობენ — ბუშმა ზოგ საკითხში გაიმარჯვა, ზოგში კი დამარცხდაო. დემოკრატი კერის მინუსი ისაა, რომ მისი პროგრამა, არსით, დემოკრატიული არ არის. წესით, მას უარი უნდა ეთქვა საომარ მოქმედებებზე, მაგრამ რატომღაც ერაყის კამპანიის გაგრძელებას მიემხრო და სწორედ აქ ჩაავლო ყურში ხელი ბუშმა: — კაცმა, რომელმაც თავის დროზე (როგორც კონგრესმენმა) ხმა მისცა ერაყის კამპანიის დაწყებას, მერე კი მწვავედ გააკრიტიკა, დღეს ამ კამპანიის გაგრძელებას ემხრობაო. ბუში მართალი იყო.

ბუში წინასაარჩევნო პერიოდში ხაზს უსვამს — მეც ისეთივე ამერიკელი ბიჭი ვარ, როგორიც სხვები და ჩემს ხალხთან ვდგავარო. მას, უბრალო ხალხთან ერთად, მსხვილი ბიზნესმენებიც უჭერენ მხარს. კერის დასაყრდენი კი საშუალო ფენის ამერიკელები, ჯორჯ სოროსი, ეროვნული და სექსუალური უმცირესობები და ომის მოწინააღმდეგე პოლიტიკური წრეები არიან. ბუშის და მისი კონკურენტის რეიტინგები იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ დამშვიდების უფლება არც ერთს არ აქვს.

**— აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს არც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის პოლიტიკის შეფასებაზე უთქვამთ უარი. რა ტენდენციები დაინახეთ მათ განცხადებებში?**

— შეიძლება რუსეთისთვის კერი გაცილებით უხერხული პარტნიორი აღმოჩნდეს. პუტინის შინაპოლიტიკა, დემოკრატიის შეზღუდვის გამო, მან უფრო მკაცრად შეაფასა. კერისთვის პუტინი „ბატონი პრეზიდენტია" და არა ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც შესაძლოა დახმარება სჭირდებოდეს. ბუშმა კი თქვა, — რუსეთს პრობლემები აქვს, პუტინი დემოკრატიას ღალატობს, მაგრამ უნდა დავეხმაროთო. რუსეთისადმი ბუშის პოზიცია უფრო რბილი და ადამიანური იყო. რუსი ექსპერტები ფიქრობენ, — კერიმ რომ გაიმარჯვოს, ჩეჩნეთის ომს ცხვირში უთუოდ ძმრად გვადენს, ბუშთან მოლაპარაკება კი ყოველთვის შეიძლებაო. მაგრამ არ არის გამორიცხული, ბუშისადმი სიმპათიებიც ძვირად დაუჯდეთ რუსებს. ბუში სიტყვით ეფერება, თორემ საქმით მისი პოლიტიკა უფრო სახიფათოა რუსებისთვის, ვიდრე დემოკრატებისა.

ბუშის ინტერესები ავღანეთ-ერაყისადმი (ლაპარაკია ირანზეც) და ამ ქვეყნებში ძალით შესვლა ცხადყოფს, რომ აშშ მიილტვის ნავთობის (შესაბამისად, მისი ფასების) გაკონტროლებისკენ და თუკი ამ ბერკეტს ხელში ჩაიგდებს, ყოველთვის შეეძლება ნავთობის გაიაფება, რაც რუსეთს გააღატაკებს. თავის დროზე არსებობდა ე.წ. „კეისის გეგმა", რომელიც გულისხმობდა საბჭოთა კავშირის დამარცხებას ნავთობის გაიაფებით და რეიგანმა ამ ხერხით დაანგრია კიდეც საბჭოთა კავშირი. ისტორია მეორდება, დღეს ასეთივე საფრთხის წინაშეა რუსეთი. თუკი მან აგრესიული პოლიტიკა გააგრძელა და სახიფათო გახდა მსოფლიოსათვის, მაშინ აუცილებელი იქნება ამ „უსიამოვნო პარტნიორის" წელში გატეხა და რუსეთის დაშლის გეგმაც ამოქმედდება. ამ გეგმის შესახებ თავად რუსეთმაც იცის და ამიტომ თქვა პუტინმა ბესლანის ტრაგედიის შემდეგ — ვიღაცას (გასაგებია, ვისაც) რუსეთის დაშლა უნდა და ბესლანის ტრაგედია ამ გეგმის ნაწილიაო.

დღეს რუსეთს აწუხებს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, ამიტომ ბესლანის ტრაგედია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე კონტროლის გასაძლიერებლად გამოიყენა. მოსკოვს დაშლის საფრთხე ორი მხრიდან — კავკასიიდან და ციმბირიდან ემუქრება. შედარებით „ჩუმი" და „წყნარი" საფრთხეა ციმბირში, სადაც ჩინელები უხმაუროდ მკვიდრდებიან და ისე გონივრულად იქცევიან, რომ ადგილობრივთა კეთილგანწყობაც კი მოიპოვეს. ამბობენ, ციმბირში უკვე მილიონამდე ჩინელი დასახლდაო. საწინააღმდეგო ხდება კავკასიაში, სადაც იარაღის ბათქაბუთქით მიდის პროცესები. თუ დავუშვებთ, რომ ათიოდე წლის შემდეგ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები გამოეყოფიან რუსეთს, ისინი უთუოდ მჭიდრო ურთიერთობას დაამყარებენ საქართველოსთან, რომლის საშუალებითაც დაუკავშირდებიან მსოფლიოს. ამიტომ რუსეთი ცდილობს, ხელი შეუშალოს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ნორმალურ ურთიერთობას, რათა არ აღორძინდეს ერთიანი კავკასიის იდეა (ზვიად გამსახურდია სწორედ კავკასიური სახლის თემის წამოწევის გამო გაიწირა სასიკვდილოდ). რუსეთს ავნებს ერთიანი კავკასიის იდეა, რომელიც, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სავსებით რეალურია და ყველანაირად ეცდება, წაკიდოს ერთმანეთს ქართველები და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხები; თუ შეძლო, ეს მისი პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამარჯვება იქნება.

**— რუსეთი უკვე აღარ ერიდება საკუთარი აგრესიულობის გამომჟღავნებას. ენ-ტე-ვე-ს ეთერით ნაჩვენები ფილმი მიხეილ სააკაშვილზე და ეკონომიკური ბლოკადა, რომელსაც ჩვენი მეზობელი მიმართავს, ნათლად მეტყველებს მის განწყობაზე.**

— რუსეთი იდიოტი არ არის. იცის, რაც მეტ აგრესიულობას გამოიჩენს საქართველოს მიმართ, მით უფრო გაამწვავებს ჩვენს დაპირ-

„ომის დაწყება ისე, თუ არ იცი, რომ გაიმარჯვებ, არ შეიძლება"



ისპირებას. ენ-ტე-ვე-ს ეთერით ნაჩვენები ფილმი რომ ქართველი მაყურებლისთვის არ არის გამიზნული, მოქმედი პირებიდან ჩანს. არა მგონია, რუსეთმა არ იცოდეს, კაკუბავებს და იგორ გიორგაძეებს ქართველები რომ არ ენდობიან, მაგრამ რუს მაყურებელს ეს ფილმი აფიქრებინებდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უფრო გამწვავდებაო, უცხოელს კი — საქართველოსა და რუსეთს დაპირისპირება ჰქონიათო. როდესაც უცხოელი ამას იფიქრებს, ის ინვესტიციას აღარ შემოიტანს. ეს ფილმი შეიძლება ჩაითვალოს რუსეთთან მოსალოდნელი უსიამოვნებების უვერტიურად. მოსკოვს ჰგონია, თუ საქართველოში უცხოური ინვესტიციები შეჩერდება, ხელი მის ბიზნესმენებს გაეხსნებათ. ჩვენ ისედაც ცოტა რამ გვაქვს გასაყიდი და თუ მასაც რუსები დაეპატრონნენ, სხვები რაღას ჩამოვლენ! კარგი იქნებოდა, პოლიტიკურ წრეებს ყურადღება მიექციათ იმისთვის, რომ ეს ფილმი კონკრეტულად სააკაშვილის საწინააღმდეგო არ არის, ის არც სულელად მოუხსენიებიათ და არც უუნაროდ. არადა, რუსეთი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც იარლიყის მიწებებისა არ ეშინია და თავის დროზე სტალინს უწოდა „სულელი". ფილმში პრეზიდენტზე ითქვა, — ჭკვიანია, სიმპათიური, ხალხის კეთილგანწყობის მოპოვება შეუძლია და არაორდინარული პიროვნებააო. მაგრამ საგულისხმოდ მეჩვენა ფილმის ფინალში გაკეთებული აქცენტი — საქართველომ შეცდომა დაუშვა, რაც ძვირად დაუჯდებაო. რუსებმა გააკრიტიკეს ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეული გეზი და არა პრეზიდენტი და დასძინეს, — თუ სააკაშვილი ამ გეზს შეცვლის, ჩვენთვის მისაღები პიროვნება გახდებაო. ამან შემაშინა — ხომ არ ელოდება რუსეთი შეცდომას ქართველებისგან ან ხომ არ უნდა შეცდომა დაგვაშვებინოს? როგორც ჩანს, ამის შანსს ის თანდათან ამწიფებს. კერძოდ, თუკი ოსეთ-ინგუშეთის ომი დაიწყო, შესაძლოა ქართველებში გაჩნდეს იმპულსი — გაუმარჯოს ინგუშებს, ოსებს დავცხოთო. დაპირისპირებაში საქართველოს ჩართვით რუსეთი მოახერხებს ჩვენს კავკასიურ ომში ჩათრევას და მტრად გადაგვკიდებს კავკასიის ხალხების ნაწილს. ჩვენ გავებმებით დიდ ხაფანგში, რომელიც ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანის დროს დააგო რუსეთმა საქართველოში. მოსკოვი გვიბიძგებს ანტირუსული განწყობისკენ, რომელმაც შესაძლოა, კავკასიურ ომში მძაფრი ანტირუსული პოზიცია დაგვაკავებინოს, ეს კი რუსეთს ხელს აძლევს.

ოდესღაც ზვიად გამსახურდიას ყველა ომახიანი ანტირუსული განცხადება რუსეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და იმავეს მიღწევა უნდა ახლაც. გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი: ნებისმიერი სამხედრო გართულება რუსეთთან დასავლეთს დააფრთხობს, ნებისმიერი კონფლიქტი ჩრდილოკავკასიელებთან ჩვენთვის წამგებიანია და მომგებიანია რუსეთისათვის. ყველა მკაფიო ანტირუსული გამოსვლა, რომელიც, ერთი მხრივ, გულს მოგვფხანს, მეორე მხრივ, დასავლეთს მიანიშნებს — საქართველოში შეიძლება არასტაბილური ვითარება შეიქმნას, რადგან თავისი მეზობელი — რუსეთი გააბრაზაო.

მთავრობაში შინაარასტაბილურობის ნიშნებია. ეს პრობლემა სასწრაფოდაა მოსაგვარებელი. ქვეყნის მართვის სადავეები დღეს იმ ხალხს უპყრია, რომელმაც არც მართვა იცის, არც გამოცდილება აქვს. ამიტომ ისინი დაძაბულნი არიან და ხიფათის საშიშროებაც დიდია.

**— კავკასიაში არსებული დაძაბულობის ფონზე აფხაზეთში არჩევნები ჩატარდა, რომლისადმი რუსეთმა არნახული ინტერესი გამოიჩინა. ჩვენთვის რა შეიცვლება, თუ რუსეთუმე არძინბას ასევე რუსეთუმე, თანაც „კა-გე-ბეშნიკი" ხაჯიმბა შეცვლის?**

საგულისხმოდ მეჩვენა ფილმის ფინალში გაკეთებული აქცენტი – საქართველომ შეცდომა დაუშვა, რაც ძვირად დაუჯდებაო. რუსებმა გააკრიტიკეს ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეული გეზი და არა პრეზიდენტი და დასძინეს, – თუ სააკაშვილი ამ გეზს შეცვლის, ჩვენთვის მისაღები პიროვნება გახდებაო. ამან შემაშინა – ხომ არ ელოდება რუსეთი შეცდომას ქართველებისგან ან ხომ არ უნდა შეცდომა დაგვაშვებინოს? როგორც ჩანს, ამის შანსს ის თანდათან ამწიფებს. კერძოდ, თუკი ოსეთ-ინგუშეთის ომი დაიწყო, შესაძლოა ქართველებში გაჩნდეს იმპულსი – გაუმარჯოს ინგუშებს, ოსებს დავცხოთო. დაპირისპირებაში საქართველოს ჩართვით რუსეთი მოახერხებს ჩვენს კავკასიურ ომში ჩათრევას და მტრად გადაგვკიდებს კავკასიის ხალხების ნაწილს.

— წინასაარჩევნო პერიოდში აფხაზეთში დემოკრატიული პროცესების ელემენტები შევნიშნე — საკმაოდ აქტიურობდა ოპოზიცია. რაც უფრო მიუახლოვდება დემოკრატიას აფხაზეთი, აფხაზური პოლიტიკა ერთი ჯგუფის კი არა, მთელი საზოგადოების განწყობის ამსახველი გახდება. რაც უფრო დემოკრატიული იქნება აფხაზეთის ხელისუფლება, უფრო გაადვილდება მასთან ლაპარაკი და კარგია, რომ იქ დემოკრატიის ელემენტები გაჩნდა.

**— შექმნილ ვითარებაში საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე საკადრო ცვლილება განახორციელა. გუბერნატორებად ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლები დანიშნა, ასევე საინტერესო იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ძალოვანის — ირაკლი ალასანიას დანიშვნა.**

— ეს ცვლილებები ნამდვილად არ ჩანს შემთხვევითი. ძალისმიერი სტრუქტურებიდან ხალხი პოლიტიკურ მართვაში გადაჰყავთ. სააკაშვილი ბუნებით ჯიუტი კაცია, შესაძლოა გარკვეული დროით უკან დაიხიოს, მაგრამ ნათქვამს უთუოდ აასრულებს. საკმაოდ მკაფიოდ თქვა, — ტერიტორიული მთლიანობისთვის ვიბრძოლებო. როგორც ჩანს, ამ ბრძოლისთვის იმზადებს პლაცდარმს. საკადრო ცვლილებებში შევნიშნე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის განზრახვა, რაც მაშინებს — შესაძლოა ხაფანგი დაგვიგონ.

თუკი საქართველომ ამ პრობლემის (თუნდაც ძალისმიერი) გადასაწყვეტად პარტნიორი გაიჩინა და აშშ-მა ჩათვალა, საკუთარი ტერიტორიების დაბრუნებისთვის ბრძოლა საქართველოს შინაური საქმეაო (როგორც ეს რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს თქვა) და ხელი შეგვიწყო, პრობლემის ძალით მოგვარება შესაძლებელია. ჩინური ანდაზაა — ომის დაწყება ისე, თუ არ იცი, რომ გაიმარჯვებ, არ შეიძლებაო. ამიტომ ქართველებმა უნდა ვიცოდეთ, — სერიოზული ზურგის გარეშე, მხოლოდ თავგანწირვის იმედად ბრძოლის დაწყება არ ღირს. საქართველოს ნამდვილად აქვს მორალური უფლება, ძალით და მუხანათურად წართმეული ტერიტორია დაიბრუნოს. არ გამოვრიცხავ, რომ საქმე ომამდე აღარც მივიდეს. თუ დენთის სუნი დატრიალდა, აფხაზეთი აღარ გაჯიუტდება და ვფიქრობ, წამოვა დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე. არ გამოვრიცხავ ამ საქმეში ამერიკის თანადგომასაც, რადგან თავად მისთვის არ არის უცხო პოლიტიკური ინტერესების ძალით დაცვა.

**— ბოლო დროს მოსახლეობაში უკმაყოფილება გაძლიერდა. ხალხს და ხელისუფლებას თითქოს სხვადასხვა საზრუნავი გაუჩნდათ — ხელისუფლება ისე გადაერთო ტერიტორიულ მთლიანობაზე ფიქრში, რომ ყოფითი პრობლემები დაავიწყდა.**

— მოსახლეობის უკმაყოფილება რომ გაიზრდება, ეს ცხადია. მსოფლიო ბანკი კარგა ხანია ითხოვდა — საბიუჯეტო ხარჯები შეამცირეთო, რაც იმას ნიშნავდა, რომ საბიუჯეტო სექტორიდან ხალხი უნდა გაეშვათ. ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ამის გაკეთება. ნახევარი პოლიცია დღეს ქუჩაშია, ჩინოსნური აპარატები შემცირდა... კაცმა არ იცის, რას იზამს ქუჩაში გასული ამდენი პოლიციელი. ციხეში ბევრი ისეთი გამოკეტეს, რომელთაც დიდი კავშირები აქვთ — ამანაც გაზარდა უარყოფითი მუხტი. თავის მხრივ, მოსახლეობა მთლად დარწმუნებული არ არის დაჭერილთა უპატიოსნობასა და დანაშაულში — ჩვენ ხომ არც ერთი სასამართლო პროცესი არ გვინახავს. ჩნდება აზრი, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკურმა მოტივმა იმძლავრა. ისინი, ვისაც შევარდნაძის დროს ებრძოდა სააკაშვილი და ყველაზე კორუმპირებულებს უწოდებდა, დღეს მშვიდად არიან. ამას ხალხი ხედავს და შესაბამის დასკვნასაც აკეთებს. როდესაც კორუმპირებულებს იჭერს, ხელისუფლება ზნეობრივად მართალია — ქურდი უნდა დაიჭირო, მაგრამ ის ზედმეტად ჩქარობს. ახალგაზრდობითაც ბევრ შეცდომას უშვებს. თუკი საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას იწყებდა, ჯერ ისეთი საგადასახადო კოდექსი უნდა შეექმნა, რომელიც კერძო სექტორს გაუიოლებდა მუშაობას, გააფართოებდა მას და ამის შემდეგ საბიუჯეტო სექტორიდან უმტკივნეულოდ მოხდებოდა ხალხის კერძო სექტორში გადასვლა. რაკი ასე არ მოხდა, საზოგადოებაში გარკვეული შიდააწეწილობა იგრძნობა. ეს, ბუნებრივია, მოქმედებს ხელისუფლებაზეც, მასში ნევროტულობას აჩენს, რასაც უთუოდ მოსდევს დიქტატურა და რევოლუციური შეძახილები. მთავრობაში შინაარასტაბილურობის ნიშნებია. ეს პრობლემა სასწრაფოდაა მოსაგვარებელი. ქვეყნის მართვის სადავეები დღეს იმ ხალხს უპყრია, რომელმაც არც მართვა იცის, არც გამოცდილება აქვს. ამიტომ ისინი დაძაბულნი არიან და ხიფათის საშიშროებაც დიდია.

ხელისუფლების ნაჩქარევი გადაწყვეტილების საუკეთესო ნიმუშია თბილისის ცენტრში „ბერმუდის სამკუთხედის" გაჩენა. უამრავ ინსტანციაში განიხილეს ეს პროექტი, ყველამ თავი დაუკრა და მერე აღმოჩნდა, რომ კარგად გათვლილი არ ყოფილა. ამ სამკუთხედმა მთელი ქალაქი საცობად აქცია. პრობლემა ის კი არ არის, რომ ახლა რამდენიმე საათით ვიჭედები საცობში, არამედ ის, რომ ხელისუფლება შეცდა, არ გაითვალა... ასეთ დროს ნებისმიერი მოქალაქის ვალია, მთავრობას მოსთხოვოს გათვლა, არგუმენტაცია. ამით ძალიან დავეხმარებით. საზოგადოება თუ უფრო მომთხოვნი არ იქნა, უარესობისკენ წავალთ. ნურც იმის შეგვეშინდება, რომ ხელისუფლებას ჩვენი შენიშვნები არ ესიამოვნება და შესაძლოა მოღალატეც დაგვიძახონ, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვასწავლოთ მათ, რისი გაკეთება აჯობებს. ხალხს, რომელმაც ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მოიყვანა, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და ვალდებულია, შეცდომის გამოსწორებაში დაეხმაროს. კრიტიკაზე ხელისუფლების მწვავე რეაქცია მისი ნევროტულობისა და გამოუცდელობის ნიშანია. ზევსი რომ ზევსია, ეუბნებიან — თუ ბრაზობ, ე.ი. ცრუობო. ხელისუფლება იმიტომ ბრაზობს, რომ არ არის საკუთარ თავში დარწმუნებული. ყველამ უნდა ვიცოდეთ, მარტო კაცი, ვინც არ უნდა იყოს, ყოვლისშემძლე არ არის. ნუ დავტოვებთ მას მარტო და ნუ გავაკრავთ ჯვარზე იმის გამო, თუ რაღაც შეეშალა.

*იზო რიკაძე*
*დაჩი გრძელიშვილი*

# მივიწყებული ქარვასლა



თბილისის ძველ უბანში, სიონის ტაძრის გვერდით, არცთუ ისე მცირე ზომის შენობაში კარგა ხანია, რაც თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმია განთავსებული, მანამდე იგი ნარიყალას ხევიანში მდებარეობდა.

ქარვასლა, იგივე ქარავან-სარაი, ქართლის მეფე როსტომის ბრძანებით, 1650 წელს სიონის ტაძრის ტერიტორიაზე აუგიათ. თბილისზე უძველესი დროიდან გადიოდა საქარავნო-სავაჭრო გზები და ქარვასლების მშენებლობა აუცილებელი იყო. ქარვასლა შეხვედრების, გარიგებების, დასვენებისა და ვაჭრობის ადგილს წარმოადგენდა. პირველ სართულზე ვაჭრობდნენ, მეორეზე ისვენებდნენ, ხოლო მესამეზე სასტუმრო იყო. როსტომ მეფის პატივსაცემად მას „სამეფო ქარვასლას" უწოდებდნენ, დღეს კი იგი პოეტ იოსებ გრიშაშვილის სახელს ატარებს.

მუზეუმის ფონდებში 60 ათასზე მეტი ნივთია, რომლებიც მნახველებს სრულ წარმოდგენას შეუქმნის დედაქალაქის წარსულზე. სამწუხაროდ, თუ ადრე ქარვასლაში ხალხმრავლობა იყო, დღეს კანტიკუნტად თუ შეივლის თითო-ოროლა დამთვალიერებელი, მათგან უმეტესობა უცხოელია. ქარვასლა დაივიწყეს თბილისელებმა.

ვიმედოვნებთ, რომ „კვირის პალიტრის" სტუმრობა ქარვასლაში დედაქალაქელებს ამ საინტერესო მუზეუმს გაახსენებს.

მუზეუმის დირექტორი **რეზო ჭეიშვილი**: — მუზეუმის არსებობის 95 წლის განმავლობაში ფონდებში საკმაოდ ბევრი ექსპონატი მოგროვდა. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, მიუხედავად მწირი დაფინანსებისა, მუზეუმმა ხუთი ათას სამასზე მეტი ნივთი შეიძინა. ეგაა, თბილისელი დამთვალიერებლების ნაკლებობას განვიცდით. შთაბეჭდილება რჩება, რომ უცხოელი სტუმრები უფრო მეტ პატივს მიაგებენ ჩვენს ისტორიულ წარსულს...

მუზეუმის მთავარი მცველი **ნანა მახათაძე:** — პირველი ნივთი, რომელიც თბილისის, როგორც დასახლებული პუნქტის არსებობაზე მეტყველებს, ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულის დასასრულით თარიღდება. აქ ნახავთ კერამიკის, სპილენძის და მინის საყოფაცხოვრებო ჭურჭელს: ჯამებს, დოქებს, ჭრაქებს და სხვ. თბილისურ ყოფაზე ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით პურისმცხობლისა და ოქრომჭედლის მაკეტები. ექსპოზიცია მთავრდება ბალეტმაისტერ იური ზარეცკის 1985 წელს ქალაქისთვის ნაანდერძევი კოლექციით. ევროპული ავეჯი, ფაიფურისა და ფრაჟის ჭურჭელი, ფერწერული ტილოები და სხვა ძვირფასი ნივთები, ზარეცკიმ ქართველი ერის მიმართ მადლიერების გამოსახატავად მუზეუმს გადასცა. ასე რომ, იქნებ გავიხსენოთ ქარვასლა.

***თეა ცაგურიშვილი***

## წინათქმა




ცვლილებებით აღსავსე ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება. ცვლილებები არანაკლები სიმძაფრით აისახა ქართულ მწერლობაზეც — ქართველ მკითხველს მოენატრა ლიტერატურა, ქართველ მწერალს კი მოაკლდა სითბო, სიყვარული და ყურადღება თავისი მკითხველისაგან.

„კვირის პალიტრის" დამატების, ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის" დაბადებას ეს მონატრება უდევს საფუძვლად.

ჟურნალი ეცდება, შეძლებისდაგვარად წარმოგიჩინოთ დღეს მიმდინარე ლიტერატურული პროცესები. ჩვენი კარი ღია იქნება ყველა თაობის, ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლებისთვის.

„ლიტერატურული პალიტრის" მკითხველი მონაწილე გახდება მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისაც. ჩვენთან დაიბეჭდება სპეციალურად ჟურნალისთვის თარგმნილი, თანამედროვეობის ყველაზე პოპულარულ უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები. ჟურნალის თავისებურება იქნება ისიც, რომ ყველა ავტორი წარდგება მკითხველის წინაშე არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ თავისი ცხოვრებით, პირადი პრობლემებით, ფიქრებითა და მოსაზრებებით. ეს კიდევ უფრო დაგვაახლოებს ერთმანეთთან, კიდევ უფრო უშუალოს გახდის ჩვენს ურთიერთობას.

ჩვენო მკითხველო! თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერის იმედით, კეთილი ზრახვებითა და ამაღლებული განწყობილებით გიძღვნით ამ ახალ ლიტერატურულ ჟურნალს.

***მთავარი რედაქტორი***
***თამარ მამაცაშვილი***

## ფოტო უკომენტაროდ...




# აზერბაიჯანულ თეატრში ქართულ ენაზეც დაიდგმება სპექტაკლები

თბილისში აზერბაიჯანული თეატრი 130 წლის წინ დაარსებულა. როგორც ამბობენ, თვით ილია ჭავჭავაძეც კი დადიოდა ამ თეატრში. მისი დაარსების ორი თვის თავზე კი ბაქოში ქართული თეატრი გაიხსნა. სამწუხარო დამთხვევაა, რომ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანულმა თეატრმა თბილისში არსებობა შეწყვიტა, სულ მალე დაიხურა ბაქოს ქართული თეატრიც...

დღეს ყველაფერი თავიდან იწყება. აზერბაიჯანული თეატრი განახლდება და, როგორც პრეზიდენტ ილჰამ ალიევს უთქვამს თბილისში ვიზიტისას, იგი ყველაფერს იღონებს ბაქოში ქართული თეატრის აღსადგენად.

ჩვენ ვეწვიეთ ახალაღდგენილ თეატრს თავის ძველისძველ, დანგრევის პირას მისულ შენობაში, რომლის ნაწილი, სამწუხაროდ, უკვე გაყიდულია და ვესაუბრეთ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს — **ირაკლი აზიკურსა** და დირექტორს — **ალადინ ჰასანოვს**.

ბატონი ალადინი ენაწყლიანი და ხალისიანი მასპინძელი გამოდგა. ხუმრობით ყველას ასე ეცნობა — ალადინ „ბეზ ლამპ" — გახლავართო. ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე კი, სადაც ის და ბატონი ირაკლი ერთად ყოფილან, სერიოზული სახით განუცხადებია: — ალადინ „ს ლამპოი" ვარო. როცა უკითხავთ, — თქვენი ლამპარი სადღააო, ირაკლია ჩემი ლამპარიო, — უთქვამს.



***ირაკლი აზიკური და ალადინ ჰასანოვი***

მეგობრობა გზად და ხიდადო, — გვიყვარს ქართველებს თქმა. ჩვენგან გაცემულ სითბოს და სინათლეს, მართალია, ყოველთვის არა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ჰყავს დამნახავი და დამფასებელი.

როგორც ბატონმა ირაკლიმ გვითხრა, აზერბაიჯანული თეატრი XX საუკუნიდან მოყოლებული პოპულარული იყო. მას შემდეგ კი, რაც თეატრს სათავეში იბრაჰიმ ისპაჰანდი ჩაუდგა, სერიოზული პროფესიონალური აღმასვლა დაიწყო:

— ძველ აზერბაიჯანულ თეატრს იგივე რეპერტუარი ჰქონდა, როგორიც ქართულს. აქ ჯერ კიდევ მაშინ დაიდგა „ოტელო", როცა აზერბაიჯანში შექსპირი ნათარგმნიც არ ჰქონდათ... იბრაჰიმ ისპაჰანლი თავად თავობდა თარგმანს და გამოსდიოდა კიდეც. ამ თეატრში იდგმებოდა უსეი ჰაჯიბეკოვის „არშინ მალალანი", აკაკი წერეთლის „კინტო", სანდრო შანშიაშვილის „ანზორი", გიორგი მდივნის „სამშობლოს ნამუსი", შილერის „ყაჩაღები"...

ერთხელ, აზერბაიჯანულ თეატრში „ოტელოს" სანახავად მავრის როლის უბადლო განმასახიერებელი აკაკი ხორავა მოუწვევიათ. ბატონი აკაკი პარტერში მჯდარა. მეორე მოქმედების ბოლოს უეცრად სცენაზე გრიმმოხსნილი ოტელო — იბრაჰიმ ისპაჰანლი გამოსულა და უმორჩილესად უთხოვია დიდი მსახიობისთვის — სპექტაკლი თქვენ დაამთავრეთო. გენიალური ქართველი მსახიობიც სცენაზე ასულა...

ვასო გოძიაშვილს კი ერთხელ „არშინ მალალანში" მამის როლი უთამაშია, თანაც, ქართულ ენაზე (სპექტაკლი, ბუნებრივია, აზერბაიჯანულ ენაზე იყო). მიუხედავად ამისა, სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი დიდხანს სთხოვდა თურმე ვასო გოძიაშვილს აზერბაიჯანულად ლექსი წაგვიკითხეო. რატომღაც, ყველას ეგონა, მან იცოდა ეს ენა.

მერე დაიწყო ომი, თეატრს ძალიან გაუჭირდა... ისპაჰანლიმ 1947 წლამდე მაინც ასულდგმულა თეატრი... შემდეგ მან არსებობა შეწყვიტა. ამავე დროს დაიხურა ბაქოს ქართული თეატრიც.

**— როგორ მოხვდით აზერბაიჯანულ თეატრში?**

— მე და ბატონი ალადინი ერთმანეთს ტელევიზიიდან ვიცნობდით. ერთხელ ერთმანეთს შევხვდით. მითხრა, პრეზიდენტის ბრძანება მაქვს, თეატრის აღდგენა შესაძლებელიაო. ჯერ შორს დავიჭირე — არაფერი გამოგივამეთქი, მაგრამ რომ მივდექ-მოვდექით, მივხვდი, არც ისე ცუდად იყო საქმე. თბილისის თეატრალური ინსტიტუტი დაუმთავრებია ათ აზერბაიჯანელ მსახიობს აზერბაიჯანულ ენაზე. ეს ჯგუფი უმუშევარი დარჩა, მაგრამ „ვარდების რევოლუცია" წამოგვეშველა. მიხეილ სააკაშვილმა უკვე გასცა ბრძანება აზერბაიჯანული თეატრისთვის „სახელმწიფო თეატრის" წოდების მინიჭების შესახებ. გეგმაშია ქართული კულტურის ცენტრისა და თეატრის გახსნა ბაქოში... კახის რაიონში ქართულ თეატრსაც სახელმწიფო სტატუსი მიენიჭება. თბილისში ყოფნისას ბატონმა ილჰამმა თქვა: — მე საგანგებო ფონდი შევქმენი თქვენი თეატრის გადასარჩენადო, — გულისხმობდა თბილისის აზერბაიჯანულ თეატრს...

**— აზერბაიჯანული ენა ისწავლეთ, ბატონო ირაკლი?**

— ეტაპობრივად ვსწავლობთ. მე — აზერბაიჯანულს, ისინი — ქართულს. ვფიქრობთ, რომ აზერბაიჯანული თეატრი თვეში ერთხელ ქართულ სპექტაკლსაც წარუდგენს მაყურებელს — თბილისში გაზრდილმა აზერბაიჯანელმა მსახიობებმა დაჟინებით მომთხოვეს, — აუცილებლად ქართულადაც უნდა ვითამაშოთო.

P.S. აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემწეობით გარემონტდება თეატრის შენობა. თეატრის მესვეურნი დაგვპირდნენ, მალე ახალ აზერბაიჯანულ და ქართულ სპექტაკლებს გიჩვენებთო. და შორს არ არის ის დრო, როცა წერილს იმ ქართულ თეატრზეც დავწერთ, რომელიც ბაქოში გაიხსნება.

მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო, — უთქვამს ქართველ კაცს. მეზობელ სახელმწიფოსთან კეთილი ურთიერთობა კი ჩვენც გვჭირდება და აზერბაიჯანსაც.

***ლელა ჯიყაშვილი***

# თბილისის ქუჩებში ტინეიჯერი მოძალადე დააბიჯებს?!

თბილისის ქუჩებში გავლა, როგორც ჩანს, არცთუ უსაფრთხოა. ბოლო დღეებში დედაქალაქის მცხოვრებლები სამართებლით შეიარაღებულ ახალგაზრდა მამაკაცზე ლაპარაკობენ, რომელიც დღისით-მზისით ქალებზე ნადირობს. ამ ხმების მიხედვით, ახალმოვლენილ მანიაკს თურმე ვაკისა და ვერის რაიონები იზიდავს.

ძალოვნები ამტკიცებენ, რომ ხმები გადაჭარბებულია და მანიაკზე ლაპარაკი სასაცილოა. ასეთი მოსაზრების მთავარი არგუმენტი ის არის, რომ სამართალდამცველთა თქმით, საავადმყოფოებისთვის ჯერ არც ერთ დაზარალებულს არ მიუკითხავს. ერთი სიტყვით, პოლიციაში მანიაკის არსებობას ჭორად ნათლავენ. მაგრამ ფაქტია, რომ 7 სექტემბერს ჭავჭავაძის 39-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით საღამოს შვიდის ნახევარზე დღემდე დაუდგენელი პირი თავს დაესხა 30 წლის ირინა ბენდელიშვილს და ყელში სამართებელი გამოუსვა. ეს შემთხვევა შეიძლებოდა რიგით დანაშაულად ჩათვლილიყო, რომ არა ერთი გარემოება — თავდამსხმელს ბენდელიშვილის ნივთებისთვის ხელი არ უხლია. ასე რომ, დანაშაული გაძარცვის მიზნით გამორიცხულია. საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, აგრეთვე გამორიცხულია, რომ დანაშაული შურისძიების ნიადაგზე მომხდარიყო. თავდამსხმელი დღემდე თავისუფლად დააბიჯებს, რამაც გამოიწვია ეჭვი, რომ თავდასხმის მომენტში მას რაიმე მოტივი არ ამოძრავებდა და სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ იგი მანიაკად მოენათლათ. ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით იაშვილი მანიაკის არსებობას კატეგორიულად უარყოფს. ამ აზრს იზიარებს იმავე რაიონის პროკურორი მამუკა გვარამიაც, რომელიც „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ გაურკვეველია, ვის ინტერესებს ემსახურება ეს აჟიოტაჟი. ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში იმასაც ამბობენ, რომ ჭორებისგან დაშინებულმა ხალხმა ნებისმიერი დანაშაული შეიძლება მანიაკს მიაწეროს. ერთი სიტყვით, ქართველი „ჯეკი მფატრავის“ გამოჩენას სამართალდამცავ სტრუქტურებში კატეგორიულად უარყოფენ. თუმცა, არსებობენ თვითმხილველები, რომლებმაც სამართებლით შეიარაღებული ახალგაზრდა მამაკაცი დაინახეს. ვაკეში მცხოვრებთა ინფორმაციით, უკანასკნელად დამნაშავე კეკელიძის ქუჩაზე უნახავთ, სადაც მან სტუდენტ გოგონას სახეზე სამართებელი გადაუსვა. ქუჩაზე განთავსებული გაზეთების ჯიხურის გამყიდველი ქალის თქმით, დილიდან საღამომდე იქ მუშაობს და ასეთი რამ რომ მომხდარიყო, აუცილებლად გაიგებდა. „მანიაკის ამბავი გაზეთებით შევიტყვე, — ამბობს გაზეთების გამყიდველი, — ამ ქუჩაზე კი არაფერი მომხდარა. ხალხს ჭორი და საშინელი ამბების მოსმენა უყვარს. იქნებ ამიტომ გამოიგონეს, რომ ვითომ მანიაკი დადის და ყველას სამართებლით ემუქრება“.

ინფორმაციის მოსაპოვებლად კეკელიძის ქუჩიდან უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში გადავინაცვლეთ. აქ მყოფი სტუდენტები ამბობენ, რომ მანიაკის არსებობის შესახებ მათთვისაც ცნობილია. მეტიც, გასულ ხუთშაბათს სამ სტუდენტს იგი კიდეც უცემია(?).

სალომე მ-ძე საინტერესო ისტორიას გვიამბობს: „საბურთალოზე ვცხოვრობ და ხშირად ვარაზისხევით მიწევს ამოსვლა უნივერსიტეტში. ხუთშაბათს, თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, უნივერსიტეტის ჭიშკრამდე რამდენიმე მეტრილა მაშორებდა, როცა უკნიდან ვიღაცამ ხელი ჩამავლო. არც შემშინებია, ისე შემოვბრუნდი. ვიფიქრე, რომელიმე ჩემი ჯგუფელი მეხუმრება-მეთქი. ხელთ უცხო ბიჭი შემრჩა. უაზრო გამომეტყველება ჰქონდა, ხელში რაღაც ჰქონდა, მაგრამ დანა იყო თუ სხვა რამ, ვეღარ გავარჩიე. ძალიან შემეშინდა, კიდევ კარგი, დაყვირება მოვახერხე...

სალომეს ყვირილზე სტუდენტებმა მიირბინეს, რომლებმაც უცნობს ერთი-ორი უთავაზეს. თუმცა, მალევე გაუშვეს იმ მოტივით, რომ თუკი იქვე მოძრავი საპატრულო პოლიციელები ამ ბიჭს აიყვანდნენ, სტუდენტებს ეს ჩაშვებად ჩაეთვლებოდათ(?!).

სალომეს თქმით, უცნობი თავდამსხმელი დაახლოებით 18-20 წლის იქნება. ტინეიჯერულად აცვია. სხვა დეტალები, სამწუხაროდ, არ ახსოვს.

ირინა ბენდელიშვილზე და სალომე მ-ძეზე თავდამსხმელი უცნობი ერთი და იგივე პირია თუ არა, ამის მტკიცება შეუძლებელია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება ძარცვისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულის მცდელობა ერთ დამნაშავეს მიაწერონ, რისი პრეცედენტიც უკვე არსებობს.

ცოტა რამ ისტორიიდან: პირველი ქართველი სერიული მკვლელი ხუთი წლის წინ რუსთავში გამოჩნდა. მოკლე ხანში მან რამდენიმე მკვლელობის ჩადენა მოახერხა. რუსთაველი მანიაკი მსხვერპლს ჯერ აუპატიურებდა და მერე ახრჩობდა. 1999 წლის ოქტომბერში მანიაკის პირველი მსხვერპლი ხათუნა მინაშვილი შეიქნა, რომელიც გაუპატიურებული და ზონრით გაგუდული იპოვეს. რამდენიმე დღის შემდეგ კანალიზაციის არხში ჩაგდებული თეონა ჩიხრაძის ცხედარი აღმოაჩინეს. იმავე წლის დეკემბერში მანიაკის სისასტიკეს კიდევ ერთი გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა: ნანა ბრეგვაძე მიტოვებულ შენობაში აღმოაჩინეს.

რუსთავში მომხდარ სამ მკვლელობას მაშინ თბილისის კრიმინალური შემთხვევებიც დაუკავშირეს, თუმცა, მათ ხელწერის მიხედვით ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონიათ: ვარკეთილში უცნობი თავს დაესხა გოგონას, რომელიც მოძალადის კლანჭებისგან მეზობლებმა იხსნეს. იმავე გარეგნობის პირი მეორე დღესვე ვარკეთილში ორ გოგონას დახვდა და ტანსაცმელი შემოახია. რამდენიმე დღის შემდეგ ლილოს სასაფლაოზე ახალგაზრდა ქალის ცხედარი აღმოაჩინეს... ერთი სიტყვით, იმ ხანებში რუსთავი-თბილისი მანიაკმა გვარიანად დააფრთხო. შსს-ს მაშინდელმა მინისტრმა, კახა თარგამაძემ ამ საქმის გამოძიება თავის მოადგილეს, კახა ბაკურაძეს დაავალა. სულ მალე თელეთში სექსუალური გაუკუღმართების ბრალდებით ვინმე პაატა სხირტლაძე დააკავეს და თარგამაძის უწყებამაც საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ცნობილი რუსთაველი მანიაკი დაპატიმრებულია. მართალია, იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ პოლიციელთა აზრი ციხეში მსხდომმა პატიმრებმაც გაიზიარეს, რომლებმაც რუთაველ „ბეზპრედელშჩიკს“ ქურდული სასამართლო მოუწყვეს და ყური მოაჭრეს. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ სხირტლაძეს სერიულ მკვლელობებთან არაფერი აკავშირებდა. ფოტორობოტის დახმარებით მოხერხდა ახალი ეჭვმიტანილის დაკავება. იგი სამეგრელოდან ჩამოსული ფრიდონ პირტახია აღმოჩნდა. პირტახია სასამართლომდე არ მისულა, იგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ასე რომ, დღემდე არ არის საბოლოოდ დადგენილი, მართლა ის იყო მკვლელი თუ არა. მაგრამ ფაქტია, რომ ამის შემდეგ რუსთავში მკვლელობათა სერია შეწყდა. განმეორდება თუ არა ხუთი წლის წინანდელი კოშმარი, ძნელი სათქმელია. პოლიციელები ამბობენ, რომ მანიაკი არ არსებობს, მაგრამ ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსის, დავით იაშვილის ინფორმაციით, „ირინა ბენდელიშვილზე თავდამსხმელის ფოტორობოტი მხოლოდ ახლაღა კეთდება, რადგან მანამდე ბენდელიშვილს ჩვენების მიცემა არ შეეძლო. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ფოტორობოტის შედგენა მანიაკის არსებობას სულაც არ ნიშნავს. არავითარი მანიაკი არ არსებობს...“

ღმერთმა ქნას, პოლიციის თუ პროკურატურის ასეთი მტკიცება სიმართლე აღმოჩნდეს. „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ფსიქოლოგი **ნანა დგებუაძე** საინტერესო დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას: — ის ფაქტი, რომ ოფიციალური სტრუქტურები მანიაკის გამოჩენას არ ადასტურებენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სინამდვილისაგან გაქცევას ცდილობენ. შეიძლება ისინი ერთს ამბობდნენ და მეორეს აკეთებდნენ. მანიაკის შიშით ყველა სახლში უნდა ჩაიკეტოს და ქუჩაში აღარავინ გამოვიდეს? ეს წარმოუდგენელია. რაც შეეხება მანიაკის არსებობის უარყოფას, სამართალდამცველებმა ჯერ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი უნდა შეისწავლონ. არსებობს საშიშროება, რომ მანიაკმა პოლიციასთან თამაში წამოიწყოს და საკუთარი სიძლიერისა და პოლიციის უძლურების დამტკიცებას შეეცადოს. ამიტომ ვამბობ, რომ პოლიცია და პროკურატურა სწორად იქცევა, როცა კატეგორიულად უარყოფენ მის არსებობას. ჯერ უნდა შეისწავლონ მისი ქცევის ნორმები და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედონ. არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება მართლაც მანიაკალურ გამოვლენასთან გვქონდეს საქმე. თქვენ თვითონ განსაჯეთ — თავდამსხმელმა ხელი არ ახლო მსხვერპლის ნივთებს. გამოდის, ძარცვის მცდელობა გამორიცხულია. მით უმეტეს, რომ ძარცვისას ყელში დანას არ უსვამენ. რჩება მეორე ვერსია: შეიძლება დანაშაული შურისძიების ან ანგარიშსწორების აქტი იყოს. ასეთ შემთხვევაში თავდამსხმელი მაინც აართმევდა პირად ნივთებს, რომ ძარცვის იმიტაცია მოეხდინა და გამოძიება მცდარ კვალზე დაეყენებინა. არც ეს მოხდა.



## ფსიქოლოგიური პორტრეტი — სექსუალური უძლურების მძაფრი გრძნობა

დამნაშავის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ასე დავხატავდი: შესაძლოა, იგი სტუდენტია, შეიძლება წარჩინებულიც. ცხოვრობს თბილისის გარეუბანში, რის გამოც მხოლოდ უცხო რაიონში ნადირობს. აქვს სექსუალური უკმარისობის მძაფრი გრძნობა, უფრო ზუსტად, აწუხებს სექსუალური უძლურება. დანა თუ სამართებელი მისთვის ამ გრძნობის დაკმაყოფილების საშუალებას წარმოადგენს... კარგი იქნებოდა, ეს მოსაზრებები ვარაუდად თუ დარჩებოდა და მანიაკობაში ეჭვმიტანილი რიგითი დამნაშავე აღმოჩნდებოდა.

— *ასეთი დამნაშავეების დაჭერა, როგორც წესი, ყოველთვის ძნელია ხოლმე...*

— რა თქმა უნდა, თქვენ რომ ადგეთ, უცხო ქუჩაზე სრულიად უმიზეზოდ ვინმეს დანა გაუყაროთ და მიიმალოთ, ვინ დაგიჭერთ? არ არსებობს მოტივი, რომელიც პოლიციას თქვენს კვალზე დააყენებდა. ანალოგიური სიტუაციაა ამ შემთხვევაშიც. ცნობილი „ჯეკი მფატრავი“ ისე გაუჩინარდა, რომ დღემდე არავინ იცის, ვინ იყო სინამდვილეში. ცნობილ სერიულ მკვლელ-მანიაკზე, ჩიკატილოზე საბჭოთა მილიცია და უშიშროება 30 წელიწადს ნადირობდა და მხოლოდ იღბლიანი შემთხვევის წყალობით დაიჭირეს. მსგავსი დანაშაულების გახსნა იმითაც არის ძნელი, რომ როგორც წესი, ანალოგიური ტიპის დამნაშავეები მარტოსულები არიან. ისინი თავიანთ ჩაკეტილ სამყაროში ცხოვრობენ. უახლოესმა ადამიანებმაც კი არ იციან, ვინ არიან ისინი სინამდვილეში. ასე რომ, ინფორმაციულად დაცულნი არიან. ჩვენს შემთხვევაში, პოლიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საქმის გასახსნელად. რამდენად სწრაფად მოხერხდება ეს, დამნაშავის ინტელექტზეა დამოკიდებული.

P.S. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ დანაშაული მოხდა და ახალგაზრდა ქალი ძლივს გადაურჩა სიკვდილს. კარგი იქნება, თუკი პროკურატურა ამ საქმეს სწრაფად გახსნის და ქალაქში პანიკას ბოლო მოეღება.

***დევი დევიძე***

# „ვინც დენს მოიპარავს, პასუხისგებაში მიეცემა“

## „2-3-საათიანი გათიშვები არ უნდა გაგიკვირდეთ“

ენერგეტიკის მინისტრებს მოსახლეობა ყველაზე ხშირად შემოდგომა-ზამთარში ახსენებს ხოლმე (ბოლოდროინდელი ვითარებიდან გამომდინარე, არცთუ სასიამოვნო კონტექსტით). ხსენებასა და ლანძღვას ვერც ახალი მინისტრი ასცდა, მაგრამ ის თავს იმართლებს, ჩემი რა ბრალია, „ჩასვრილი“ საქმე დამხვდაო.

ენერგეტიკის ახალგაზრდა მინისტრს წინ ძნელი ზამთარი ელის. რას გვპირდება **ნიკა გილაური:** წინამორბედივით ცივ და ბნელ ზამთარს თუ თბილსა და ნათელს, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— **როდესაც ენერგეტიკის მინისტრად დაგნიშნეს, თქვენი წინამორბედი უკვე ციხეში იჯდა. არ იფიქრეთ, საშარო საქმეაო?**

— ეგ მართლაც გავიფიქრე... მაგრამ მერე, რომ ჩავუფიქრდი, დავასკვენი — თუ ნაბიჯებს სწორად გადავდგამ და სადმე არ „გადავუხვევ“, არც შარს გადავეყრები-მეთქი...

— **მირცხულავასაც ეგონა, სწორად მივდივარ და მართალი ვარო, მაგრამ ციხეში მოხვდა.**

— ჯერ კაცი არ მინახავს ეთქვას — მტყუანი ვარო...

— **ანუ მირცხულავა მტყუანი იყო და რაღაც-რაღაცებს სცოდავდა?**

— ამას პროკურატურისა და სასამართლოს გადაწყვეტილება უკეთ იტყვის... თუმც გარკვეულწილად, ალბათ, სცოდავდა კიდეც.

— **მის ნაკეთებ საქმეებზე დოკუმენტაცია, ფაქტობრივად, მაგიდაზე დაგხვდათ. თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე დიდი დარღვევა?**

— ერთს ვიტყვი, ჩემი დროის 50%-ს წინამორბედების გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას ვახმარ. ყველაფრის გამოსწორებამდე კარგა ბევრი მაკლია. აქამდე საქართველოს ენერგომომარაგება ვალების აკიდებით ხორციელდებოდა. რუსეთის, სომხეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ვალები გვაქვს. ვალები რომ არ გვქონდეს, ათჯერ უფრო ადვილად სამართავი იქნებოდა ენერგეტიკა — იმპორტიც უფრო იოლად განხორციელდებოდა და ექსპორტიც, მე-9 ბლოკსაც მალე ავამუშავებდით. გარდა ამისა, სირთულეს გვიქმნის კაბალური პირობებით დადებული კონტრაქტებიც. ამის ყველაზე „საუკეთესო“ მაგალითი ჩინელებთან დადებული ხელშეკრულებაა, რომელზეც ჩემს წინამორბედს რატომღაც სახელმწიფოს სახელით აქვს ხელი მოწერილი. ამ კონტრაქტით „ხადორჰესის“ გამომუშავებული მთელი ელექტროენერგია ჩვენს ენერგობაზარს 5,33 ცენტად უნდა ეყიდა, მაშინ, როდესაც საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგია 2,5 თეთრი ღირს (ანუ 5-ჯერ ძვირად). დღემდე ვმუშაობ საიმისოდ, რომ ჩინელებს კონტრაქტი შევაცვლევინო. ამას გინდ შეცდომა დავარქვათ, გინდ განზრახ ქმედება, მის გამოსწორებაზე მთელი სამინისტრო კვირების განმავლობაში მუშაობდა.

— **მეზობელი ქვეყნებისა რამდენ გვმართებს?**

— კაციშვილმა არ იცის. არის ზოგიერთი სადავო ვალი, რომელსაც ახლა არ ვაღიარებთ, მაგრამ შესაძლოა არბიტრაჟში მოხვდეს და მისი აღიარება მოგვიხდეს. ზოგი ვალის არსებობის შესახებ შესაძლოა არც ვიცოდეთ და უცებ „გამოხტეს“. მაგალითად, ჩინელებთან თუ რაიმე ხელშეკრულება არსებობდა, არავინ იცოდა, ხელშეკრულების ქართული ვარიანტი საქართველოში არ არსებობდა, დახიეს და გაანადგურეს(?!). ჩინელებმა ჩამოგვიტანეს მირცხულავას ხელმოწერილი კონტრაქტი და ფაქტის წინაშე დაგვაყენეს.

— **მახსოვს თქვენი დაპირება, როცა გამინისტრდით — დენი იქნებაო, მაგრამ ჯერ არ დაზამთრებულა და უკვე შეზღუდვებია.**

— სად არის შეზღუდვები?

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***



# „გაზმანოვი ის გოშიაა, რომელიც ლუჟკოვის ყეფაზე წკმუტუნებს“

**„ალა პუგაჩოვა, ირინა ალეგროვა, ლაიმა ვაიკულე, ლარისა დოლინა ჩვენ გვიჭერენ მხარს...“**



30 სექტემბერს აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ „დამოუკიდებლობის“ მე-11 წლისთავი დიდი ზარ-ზეიმითა და ცეკვა-თამაშით აღნიშნა. რუსეთის აშკარა თუ ფარული მხარდაჭერით წარმართული და მოგებული ე. წ. „სამამულო ომი“ არძინბას ხროვისთვის პომპეზური თარიღია, რომლის მეშვეობით ცდილობენ, მსოფლიოს „თავისუფლებისმოყვარე“ ერად მოაჩვენონ თავი. სინამდვილეში კი დღეს უფრო არიან დაპყრობილი და სხვისი ნების მონურად შემსრულებელი, ვიდრე ოდესმე.

„დამოუკიდებლობის“ ზეიმზე სოხუმს დამქირავებელთა წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია ჩვენი „კეთილმოსურნის“, ვლადიმირ ჟირინოვსკის ხელმძღვანელობით, რომელსაც ლეშს დახარბებული ტურებივით ჩაუდგნენ კვალში დნესტრისპირეთის, ე. წ. სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და რუსეთის სხვადასხვა რეგიონის ანტიქართულად განწყობილი მარიონეტები. ჭკუა იხმარა და არაოფიციალურ სტუმრად მოინათლა თავი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა, რომელმაც სტატუსის მიუხედავად თავს უფლება მისცა და ისეთი აგრესია გადმოაფრქვია საქართველოს მიმართ, რომ მისი „ხელთუქმნელი სიბრძნის“ ოფიციალურ აპოლოგეტს „რია-ნოვოსტის“, ქართული მხარის მკაცრი რეაგირების შემდეგ, ლოშჩინინის ნაბოდვარის უარყოფა და მის გამო მობოდიშებაც კი მოუხდა. დიდი ხანია, რაც „ბოდიშები“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტისთვის წამლის როლს აღარ ასრულებს და არც არავისთვის მოუგვრია შვება მათ ცალყბა რევერანსებს. ჩვენთვის ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ რუსეთის განსაზღვრული ძალები აშკარა და გამომწვევ პროვოკაციებს მიმართავენ საქართველოს წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ჟირინოვსკის, ლოშჩინინს და მათ ამფსონებს ნაკლებად ანაღვლებდათ 1992-93 წლებში აფხაზეთში წარმოებულ ბრძოლებში დაღუპულ მსხვერპლთა ხსოვნისთვის პატივის მიგება. მათი ვიზიტის მთავარი მიზანი 3 ოქტომბრის ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთისთვის სასურველი კანდიდატის მხარდაჭერა იყო. არძინბას ფეხმორყეული რეჟიმის გამგრძელებლად მათ ხაჯიმბა ჰყავთ შერჩეული და სწორედ მის დასამოძღვრად იყვნენ სოხუმში ჩაბრძანებული „დიდად პატივსაცემი“ ადამიანები, რომლებმაც კულტურულად დეგრადირებულ აფხაზ სეპარატისტთა მთავრობას რუსული ესტრადის „ესაული“ ოლეგ გაზმანოვი და რამდენიმე, დაბალი დონის შემსრულებელი მიჰგვარეს და დიდი რიხით განაცხადეს, — აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ დღეს რუსეთის პოლიტიკური და კულტურული ელიტაც ზეიმობსო. გაზმანოვმა სცენაზე კუნტრუში არ იკმარა, აფხაზ „ძმებს“ დიდად შთამაგონებელი სიტყვაც მიუძღვნა და ქართველებზე „გამარჯვებაც“ მიულოცა(!).

რუსი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი რომ კარგა ხანია, ანტიქართული გამოხდომებით გამოირჩევა, ეს ჩვენთვის ახალი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამ დემარშში რუსული ესტრადის ვარსკვლავებიც თუ მიიღებდნენ მონაწილეობას, ნაკლებად იყო მოსალოდნელი. ხომ არ დადგა დრო, ყველას თავისი ადგილი მივუჩინოთ და ქართველ მსმენელს მაინც დავანახვოთ, ვინ რას „უკრავს და მღერის“. ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ თბილისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსს, **დავით ოქიტაშვილს**:

— გაზმანოვის დემარშში სულაც არ მიკვირს, რადგან იგი მოსკოვის მერის — ლუჟკოვის ყურმოჭრილი ყმაა და რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებს. ლუჟკოვმა აქცია გაზმანოვი „ვარსკვლავად“ და ბინებითა და სხვა მატერიალური სიკეთით გაანებივრა. ლუჟკოვს რა ინტერესებიც ამოძრავებდა აჭარაში, იგივე სურს აფხაზეთშიც და გაზმანოვიც მისი ნების შემსრულებელია. მე უფრო ის მწყინს, ჩვენთვის ტრაგიკულ დღეს აფხაზი სეპარატისტები რუსების მხარდაჭერით ზარ-ზეიმით რომ აღნიშნავდნენ. ეს კიდევ ერთი, ყოვლად უცერემონიო და უნამუსო გამოწვევაა მათი მხრიდან.

გაზმანოვს რაც შეეხება, მას კარგად ვიცნობ და ერთი დასკვნის გაკეთება შემიძლია — ის ნამდვილი გარეწარია(!). სამაგიეროდ, მას ლუჟკოვის გავლენით მზე და მთვარე ამოსდიოდა ასლან აბაშიძეზე. ვფიქრობ, ეს ფაქტი მის ანტიქართულ განწყობაზე უკვე მიანიშნებს. გაზმანოვი არის მეფის კარის გოშია — როგორც ლუჟკოვი დაუყეფს, ისე უნდა იწკმუტუნოს.

**— აფხაზი სეპარატისტები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ გაზმანოვთან ერთად ამ კონცერტზე იოსიფ კობზონიც გამოვიდა...**

— ეს ბინძური ჭორია. კობზონსა და გაზმანოვს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. კობზონი ასეთ წინდაუხედავ ნაბიჯს არასოდეს გადადგამს, ის ქართველებთან მეგობრობს და კარგად იცის ამ მეგობრობის ფასი. რუსული ესტრადის არც ერთი ცნობილი მომღერალი არ ჩასულა სოხუმში, მხოლოდ გაზმანოვმა გამოიჩინა თავი.

აჭარის დღეები რომ იყო მოსკოვში, პირველი „სკრიპკა“ სწორედ გაზმანოვი ბრძანდებოდა — სცენაზე აცეკვა ასლან აბაშიძე.

**— ამ აქციას მარტო საკონცერტო დატვირთვა რომ არ ჰქონდა, ეს იმ პოლიტიკური აჟაფსანდალიდანაც ჩანდა, რომლებიც ამ შოუს ესწრებოდნენ.**

— რა თქმა უნდა, ეს იყო პოლიტიკური სვლა 3 ოქტომბრის არჩევნებისთვის, რითაც რუსეთმა ხაჯიმბას მხარდაჭერა გამოუცხადა.

27 სექტემბერი ჩვენთან გლოვის დღეა და მათ კი კონცერტები ჩაატარეს, რასაც მოსკოვიც ტაშის კვრით შეხვდა. ეს სცენარი კარგა ხნის დაწერილია და ეტაპობრივად ახორციელებენ.

**— არ გიცდიათ, გაზმანოვს დაკავშირებოდით და პროტესტი გამოგეხატათ?**

— გაზმანოვთან ლაპარაკი უაზრობაა, ის ნაძირალაა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მე ოფიციალური პროტესტი განვუცხადე რუსული კულტურის წრეებში მოღვაწე ცნობილ ადამიანებს.

**— როგორი იყო მათი რეაქცია?**

— ერთხმად აცხადებენ, რომ ისინი სულ სხვაგვარად ფიქრობენ და რომ გაზმანოვი არ არის რუსული კულტურის ნამდვილი წარმომადგენელი. თითქმის ყველა ცნობილმა საესტრადო მოღვაწემ დაგმო ეს აქცია. მათ შორის, ალა პუგაჩოვამ, ირინა ალეგროვამ, ლაიმა ვაიკულემ, ლარისა დოლინამ, ალსუმ... რუსეთის საესტრადო ელიტა ჩვენ გვიჭერს მხარს და ის არასოდეს ჩაებმება ისეთ ბინძურ კამპანიაში, როგორშიც გაზმანოვი მონაწილეობდა.

***ზვიად სეხნიაშვილი***

# „ბალტიკა“ გვისმენს?!



**იმ დროს, როდესაც რუსეთმა საქართველოს საზღვრები ჩაკეტა, როკის გვირაბი შეგნებულად დაავიწყდა**

რედაქციიდან გამოვედი თუ არა, წითელი „ოპელის“ კარი გაიღო და შიგ უსიტყვოდ ჩავჯექი. ავტომანქანა ადგილს მოსწყდა და გამსახურდიას პროსპექტს გაუყვა. მანქანაში ჩემსა და მძღოლს უკან, კიდევ ორი ბრგე ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა. ჯერ კიდევ დილით ტელეფონით შევთანხმდით, რომ ისინი შპს „მაკმას“ დირექტორს შემახვედრებდნენ, რომელსაც მათი თქმით, თითქმის ორ თვეზე მეტია გამწარებით ეძებენ შს სამინისტროს თანამშრომლები. მეტიც, მასზე საერთაშორისო ძებნა ყოფილა გამოცხადებული, რაშიც ინტერპოლიც ჩაერთო თურმე.

მაინც რა დააშავა შპს „მაკმამ“ და მისმა დირექტორმა მევლუდ ბადგარიძემ, რატომ ემალება ის სამართალდამცველებს, ან სად მივყავრი ასე დაუფიქრებლად ამ უცნობ მამაკაცებს, რომლებმაც, როგორც შევთანხმდით, რამდენიმე წუთში თვალები უნდა ამიხვიონ, რათა კონსპირაციული ბინა, სადაც ბადგარიძე იმალება, არ გავამხილო. იქნებ ყველაფერი მოგონილია და ჩემი სტატიების ანტიგმირებმა შურისძიება გადაწყვიტეს — ტვინს მიბურღავს ფიქრი, მაგრამ უკვე გვიანია.

„ოპელმა“ გამსახურდიას გამზირზე მდებარე ერთ-ერთ ეზოში შეუხვია, სადაც მეორე მანქანა, ამჯერად „ვოლგა“ გვიცდიდა. გზა უკვე „ვოლგით“ განვაგრძეთ. მძღოლი უკანა ხედვის სარკით ამოწმებს, ვინმე ხომ არ აგვედევნა. მის გამომეტყველებაზე ვგრძნობ, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ კონსპირაციას არ ღალატობს და ახლა უკვე ვაჟა-ფშაველას გამზირის ერთ-ერთ ჩიხში კიდევ ერთხელ ვიცვლით ავტომობილს. ამჯერად „ტოიოტას“ მარკის ჯიპის უკანა სავარძელზე ორ მამაკაცს შორის ვზივარ. ერთ-ერთი შავი ფერის ქსოვილით თვალებს მიხვევს. ჩემმა „გამტაცებლებმა“ ერთი შეცდომა მაინც დაუშვეს. ქსოვილი შავია და თხელი, ამიტომ, ლამპიონების შუქზე მაინც ვხვდები, რომ ბაგებისკენ მივემართებით. ჭავჭავაძის გამზირი ჩავათავეთ და ძრავის ხმაც მიდასტურებს, რომ წყნეთის აღმართს შევუდექით. ნახევარ საათში ზემო წყნეთში ერთ ჩაბნელებულ, ორსართულიან სახლს მივადექით. ჭიშკარი სწრაფად გააღეს. დამხვდური იდუმალი ხმით კითხულობს: „მოიყვანეთ?“ მდიდრულად მოწყობილ ოთახში, სავარძელში 40-42 წლის მამაკაცი ზის. ეს მხოლოდ მაშინ დავინახე, როდესაც სახვევი ამხსნეს. იგი შპს „მაკმას“ დირექტორად გამეცნო და ორიოდე თვის წინ თავს გადახდენილი ისტორიის თხრობას შეუდგა: — სამი წლის წინ მე და ჩემმა მეგობარმა ბიზნესმენებმა შპს „მაკმა“ ჩამოვაყალიბეთ. თავდაპირველად, ე. წ. მეორადი ტანსაცმლის შემოტანა დავიწყეთ. მალე კი გერმანიიდან ნატურალური წვენების იმპორტით დავკავდით. აი, შარშან კი რუსეთიდან ლუდის, „სტეფანე რაზინის“ შემოტანა დავიწყეთ. მას საუკეთესო რუსული ლუდის, „ბალტიკას“ პარტიებიც მივაყოლეთ. „ბალტიკამ“ საქართველოს ლუდის მოყვარულებში მალე გაითქვა სახელი. ერთი სიტყვით, ჩვენი ბიზნესი ყვაოდა და ბედს არ ვემდუროდით. სამომავლოდ დიდი გეგმები გვქონდა, მით უმეტეს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ქართველ ბიზნესმენებს მხარდაჭერა და ხელშეწყობა აღუთქვა. მაგრამ ჩვენდა მოულოდნელად, 21 ივლისს შს სამინისტროს სპეცდანაყოფი დაესხა თავს ჩვენს საბაჟო საწყობს, სადაც მებაჟეების თანდასწრებით „ბალტიკის“ ბოთლებზე სააქციზო მარკებს ვაკრავდით. ჩვენს თანამშრომლებს (მებაჟეებსაც) ხელები აუწევინეს და დააჩოქეს. ამოიღეს დოკუმენტაცია, მოიყვანეს მანქანები, დატვირთეს „ბალტიკითა“ და „სტეფანე რაზინით“, ზედ მიაყოლეს „ნაბეღლავის“ პარტიაც და სადღაც წაიღეს. ჩვენ კი ბრალად წამოგვიყენეს, რომ კონტრაბანდული ლუდი გვქონდა შემოტანილი. ეს ისეთი აბსურდული ბრალდება გახლავთ, რომლის გაცამტვერება ადვოკატის გარეშეც შემიძლია. დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ალკოჰოლური სასმელების შემომტანი ნებისმიერი ფირმა წინასწარ აცნობებს ამის შესახებ საგადასახადო ორგანოებს და ყიდულობს სააქციზო მარკებს. ჩვენც ასე მოვიქეცით: შევისყიდეთ მარკები, როგორც „სტეფანე რაზინზე“, ასევე „ბალტიკაზე“ და მათ ვაკრავდით, ე. ი. საქონელი კონტრაბანდული არ იყო.

**— მაშ, რას გერჩოდნენ?**

— ეს მარტივი ასახსნელია: რუსული კომპანია „ბალტიკის“ პრეზიდენტი და მფლობელი ოსი ტიმურ ბალოევი გახლავთ. მან თავისი გვარსახელისა და მამის სახელის პირველი მარცვლების კომბინაციით უწოდა ლუდს „ბალ-ტი-კა“. თურმე, შს სამინისტროს ხელმძღვანელებს გაუგიათ, რომ ბალოევი აფინანსებს ცხინვალში ოს სეპარატისტებს, რომ ბალოევი უგზავნის კოკოითს იარაღს და სწორედ მან შეუძინა ოს სეპარატისტებს ძვირად ღირებული მოსასმენი აპარატურა, რათა კოკოითის უშიშროებას შესძლებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ჩემი ფირმა აპოლიტიკური დაწესებულებაა, მე არ მაინტერესებს, ვინ არის ლუდის მწარმოებელი. ჩემთვის, როგორც ბიზნესმენისთვის, მთავარია, რომ ჩემი ფირმის მიერ შემოტანილი საქონელი ხარისხიანი იყოს და კარგად საღდებოდეს. მე ვერ დავადასტურებ და ვერც უარვყოფ იმას, რომ ბალოევი მართლაც აფინანსებს ოს სეპარატისტებს. ყოველივე ეს არ აძლევდა საფუძველს ჩვენს სამართალდამცველებს, ასეთი აქცია განეხორციელებინათ „ბალტიკის“ იმპორტიორის მიმართ. გამოდის, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა ბალოევზე შური ჩვენი ფირმის დარბევით იძიეს. ლუდის ჩამორთმევით ბალოევმა კი არა, ჩვენ, ქართველმა ბიზნესმენებმა ვიზარალეთ, რადგან კომპანია „ბალტიკისათვის“ წინასწარ გვქონდა ფული გადახდილი. ერთი სიტყვით, 200 ათასი დოლარით დავზარალდით.

შს სამინისტრომ იმავე დღეს იგივე აქცია ჩაატარა საქართველოში „ბალტიკის“ იმპორტიორი ფირმის, „როიალ-ექსპრესის“ წინააღმდეგაც. რას გვერჩოდნენ? თუ არ შეიძლებოდა „ბალტიკის“ შემოტანა, წინასწარ ეთქვათ და ახლოსაც არ გავეკარებოდი. ახლა კი კონტრაბანდისტობაც დამწამეს და დაპატიმრებასაც მიპირებენ.

**— იქნებ ლუდის ადგილობრივმა მწარმოებლებმა „გაგიჩალიჩეს“ ეს საქმე?**

— ამასაც ვერ გამოვრიცხავთ, რადგან რუსულმა ლუდმა ძალიან შეავიწროვა ადგილობრივი პროდუქტი. როგორც გავიგეთ, ლუდის მწარმოებლებმა დიდი პატივი სცეს შს სამინისტროს ერთ-ერთ გამომძიებელს და მანაც ბალოევის საქმიანობის შესახებ დამახინჯებული ინფორმაცია მიაწოდა მინისტრს. შეცდომაში შეყვანილმა მინისტრმა ჩვენი და „როიალ-ექსპრესის“ დარბევის ბრძანება გასცა. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ხომ უნდა დაფიქრებულიყო, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ერთ-ერთი ძლიერი რუსული კომპანიის პროდუქციის წინააღმდეგ განხორციელებულ ამ აქციას.

**— რას გულისხმობთ?**

— ტიმურ ბალოევი და მისი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი, კგბ-ს ყოფილი გენერალი, ძალიან დაახლოებული არიან რუსეთის პრეზიდენტთან. ბალოევი კრემლშიც მიღებული კაცია და ყოვლისშემძლე მფარველებიც ჰყავს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ეს ბალოევმა პუტინს და კრემლის სხვა მაღალჩინოსნებს უამბო. რუსეთმა რომ ბესლანის ტრაგედიის შემდეგ რუსეთ-საქართველოს საზღვარი ცალმხრივად ჩაკეტა, ერთ-ერთი მიზეზთაგანი ესეც არის. რუსეთმა არაოფიციალურად გამოგვიცხადა ეკონომიკური ბლოკადა. უკვე თვეა, რაც ლარსის საზღვარზე რუსული საქონლით დატვირთული ერთი მანქანაც არ გადმოუშვიათ...

...გასაგებია მევლუდ ბადგარაძის გულისტკივილი, რომელიც ცდილობს რუსეთის მიერ გამოუცხადებელი ეკონომიკური ბლოკადა თავის ბიზნესინტერესებს დაუკავშიროს და „ლუდის ომის“ სახელით მონათლოს, მაგრამ არც მისი განცხადებების უყურადღებოდ დატოვება შეიძლება.

„კვირის პალიტრა“ თითქმის ორი კვირის განმავლობაში ცდილობდა შს სამინისტროს გამომძიებლებისგან კომენტარის მიღებას. სამინისტროს პრესმდივანსაც ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ამაოდ. მოგვიანებით, ამ საქმის გამომძიებელს, კახა სირაძესა და შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ემზარ ღარიბაშვილს სამინისტროს პრესმდივნის გარეშე დავუკავშირდით. ერთიც და მეორეც ინტერვიუზე დაგვთანხმდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, გადაუდებელი საქმე მოიმიზეზეს. სიტუაცია ვერც შს მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ხსენებამ შეცვალა. არადა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტს მინისტრმა სთხოვა, ამ საქმით დაინტერესებულიყო.

ძალაუნებურად გვებადება კითხვა: შს მინისტრს მისი ხელქვეითები არ ემორჩილებიან თუ?.. სხვათა შორის, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებმა რამდენიმე კვირის წინ საკუთარი თვალით იხილეს ლარსის საზღვართან ასეულობით მძიმეწონიანი მანქანა. ბევრ მათგანს რუსეთის მიერ ცალმხრივად ჩაკეტილი საზღვრის გამო საქონელი გაჰფუჭებოდა და უკვე უვარგის საქონელს თერგს ატანდა.

გთავაზობთ ერევნელი ბიზნესმენის, არტურ პოლოსიანის კომენტარს, რომელმაც თერგის ტალღებს 30 ტონა სომხური ატამი გაატანა: „რაში გაწყობთ რუსეთთან ჩხუბი? იქ ხომ გასაღების უზარმაზარი ბაზარია. ახლა რაღას ვიზამ, ჭკუა კი გვიან ვისწავლე. ამის მერე ერევნიდან ყაზბეგამდე სულ ხალიჩები რომ დამიგოთ, „ჩერეზ“ ყაზბეგი ტვირთს აღარ გავიტან“.

ერთი თვეა, საქართველო-რუსეთის საზღვრის ლარსის მონაკვეთზე ავტომანქანების რამდენიმეკილომეტრიანი რიგი დგას. რუსეთის მხარე არც კი ფიქრობს საზღვრის გახსნას. ამაო ცდისაგან გულგაწყალებულმა ზოგიერთმა მძღოლმა ჭკუა იხმარა — მანქანები მოაბრუნეს და ცხინვალის, კერძოდ კი როკის გვირაბის გავლით საზღვარი გადაკვეთეს. „ცხინვალის გავლით ტვირთების გატანა რუსეთში გაცილებით ძვირია, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებადი საზღვრის გავლით, რადგან ოსები ცალკე ტვირთის გაცილებისთვის, ცალკე საზღვრის გადაკვეთისთვის ბევრს გვახდევინებენ. გადახდილი თანხის უდიდესი ნაწილი ოსი სეპარატისტების ჯიბეში მიდის და მათი ბოევიკების აღჭურვას ხმარდება, მაგრამ რა ვქნათ, როკის გვირაბით რომ არ გავიტანოთ საქონელი, ვალებში ჩავვარდებით“, — ჩივიან მძღოლები.

როგორც შევიტყვეთ, უკვე ერთი თვეა, რაც საქართველოდან რუსეთში მიმავალი ყველა ტვირთი როკის გვირაბით გადის რუსეთში და ოსი სეპარატისტები უზარმაზარ შემოსავალს იღებენ. რატომ არ ტეხს განგაშს რუსების მიერ გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადისა და ცალმხრივად ჩაკეტილი საზღვრის გამო საქართველოს ხელისუფლება? რატომ არ სვამს ამ საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციებში და რატომ არის ლარსის საზღვრის მონაკვეთი ჩაკეტილი, როცა როკის გვირაბი გახსნილია? გამოდის, რუსეთის „დემოკრატიული ხელისუფლება“ ოს სეპარატისტებს უფრო ენდობა, თუ ყველაფრის მიზეზი, თავიც და ბოლოც მართლაც ბალოევის კომპანიის ნაწარმოები ლუდი „ბალტიკაა“(!).

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ხშირად მაია ნადირაძეს თანავუგრძნობ ხოლმე

## „მიმდინარეობს არაკეთილსინდისიერი კამპანია საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“

გასულ კვირას, „კვირის პალიტრის“ მკითხველის რეიტინგმა დაგვანახვა, რომ კორუფციასა და უმუშევრობაზე მეტად მოსახლეობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აწუხებს. ხალხის განწყობას, როგორც ჩანს, ხელისუფლებაც ხვდება, მაგრამ რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ყველა ქართველისთვის სანუკვარი მიზნისკენ? და არის თუ არა ისეთი დაპირისპირების დრო, რომლის მოწმენიც ამას წინათ გავხდით? სახელისუფლებო გუნდში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრა რესპუბლიკური პარტიის წევრი, პარლამენტარი **ივლიანე ხაინდრავა**:

— მმართველ პარტიაში ძალიან დიდი ხალხის მასაა. საქმე ისაა, რომ იქ დემოკრატებისა და ნაციონალების ფორმალურად შერწყმაც არ მომხდარა. ხშირად მაია ნადირაძეს თანავუგრძნობ კიდეც — ძნელია ამხელა კონგლომერატის მართვა. იქ არის განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები, საკმაოდაა არაპოლიტიკური ბალასტიც. სამწუხაროდ, ამ მხრივ შეიძლება რაღაც პარალელის გავლება „მოქალაქეთა კავშირთან“. პარტიაში არის თავს მოხვეული დისციპლინა. პოზიციებს და მიდგომებს ერთი ჯგუფი გამოიმუშავებს, დანარჩენებს კი საქმის კურსშიც არ აყენებენ. მხოლოდ ეუბნებიან, — დღეს ასეა საჭირო და ამას მხარი უნდა დაუჭიროთო. ზოგისთვის ეს კომფორტული მდგომარეობაა, იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა აქვთ ნაკლები, ზოგს კი ეს დისკომფორტს უქმნის. როდესაც ეს უკანასკნელნი რაღაც კითხვებს სვამენ და მასზე პასუხს ვერ იღებენ, უკმაყოფილო არიან.

ვფიქრობ, ნაციონალების ახალგაზრდა და ყველაზე აგრესიული ნაწილი ატეხს ბუნტს, თუნდაც მაჭავარიანის როლის გაძლიერების გამო. სხვა შემთხვევაში, სანამ ჟვანია პრემიერია და ბურჯანაძე სპიკერი, დიდი არეულობა არ იქნება. მაგრამ შესაძლოა ჟვანიას პრემიერობამ 4 წელიწადს არ გასტანოს, რადგან პრემიერად ყოფნა საკმაოდ რთული პოზიციაა და როდესაც ჟვანია პრემიერი აღარ იქნება, სახელისუფლებო გუნდში სერიოზული ბზარი გაჩნდება.

— **მაგრამ დემოკრატი მაჭავარიანის გაძლიერება ჟვანიას პოზიციების მომაგრებას არ ნიშნავს?**

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ეს სიმპტომი ამავდროულად სერიოზული რისკის მატარებელია — ახალგაზრდა ნაციონალებმა ეს შესაძლოა საგანგაშო ნიშნად მიიღონ და იფიქრონ, ინიციატივა სხვის ხელში გადადისო. ისინი დემოკრატებს მაინც არ თვლიან თანაგუნდელებად. რესპუბლიკელებიც უმრავლესობაში ვიყავით, მაგრამ არც მათ და არც ჩვენ არ გვქონია იმის განცდა — ერთიანი გუნდი ვართო. ჩვენ ვერ მივიღებდით ისეთი თამაშის წესს, როცა რომელიმე საკითხზე კენჭისყრის წინ, ჩვენთან მოსულიყო ვინმე და ეთქვა — ამას მხარი უნდა დაუჭიროთო. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაციონალებს კრიჭაში ვუდგავართ.

— **ამბობენ, რომ უცნაური სიმპტომებია მთავრობაშიც, კულუარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, იქ უკვე თავი იჩინა მინისტრების ურთიერთდაპირისპირებამ.**

— ბოლო დროს არაკეთილსინდისიერი კამპანია მიმდინარეობს საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი სალომესგან იქნებოდა სიგნალები იმის თაობაზე, რაც გვემუქრებოდა გაეროში, მაგრამ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს იმასთან, რაც ძალიან არ მოეწონათ პარლამენტში ამასწინანდელ ჩემს გამოსვლაში, როდესაც დღისა და ღამის მთავრობაზე ვილაპარაკე. უკანასკნელი არგუმენტი ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად აშშ-დან მოვიდა, როდესაც გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილის გამოსვლამდე მისი გამოსვლის საკვანძო საკითხებზე ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში პრეზიდენტის ბიძამ — თემურ ალასანიამ ილაპარაკა. უცნაურია, როდესაც ასეთი ტექსტით გამოდის ოფიციალური პოსტის არმქონე კაცი, მაშინ, როდესაც გვყავს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც პრეზიდენტის შემდგომ მთავარი ფიგურაა ასამბლეაზე. ეს არის პირდაპირი დასტური იმისა, რომ არსებობს ოფიციალური (ფორმალური) მთავრობა და არსებობს ჯგუფი, რომელიც რეალურად იღებს გადაწყვეტილებებს. თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ,



როდესაც პრეზიდენტს ძალოვნების დანიშვნის პრეროგატივა მიენიჭა, პრემიერს კი ყველა დანარჩენის, — ხელისუფლებაში ორი ჯგუფი კონსტიტუციურად გაფორმდა. ძალოვან მინისტრთაგან ნებისმიერს შეუძლია პრემიერს უთხრას — თავი დამანებე და შენს თავს მიხედეო. უხერხულია, ამას რომ ვამბობ, რადგან მინისტრი ჩემი ძმაა, მაგრამ ხომ ფაქტია. ცხინვალის მოვლენების დროს ხაინდრავა დარბოდა და მოლაპარაკებებით აღწევდა რაღაცას, მაგრამ როგორც დაღამდებოდა, სროლა იწყებოდა და მოლაპარაკებებით მიღწეული უმალ ინგრეოდა. პარლამენტში მძიმე ატმოსფეროა. უკვე გაჩნდა ტერმინები „მტერი“ და „მოღალატე“. ასეთი რამის თქმას შევარდნაძის დროსაც კი არ კადრულობდნენ. სატელევიზიო ეთერიც განსხვავდება შარშანდლისაგან. კანონში პატიმრობის შესახებ შედის მუხლი, რომლის თანახმად, კანონიერი განაჩენის ძალაში შესვლამდე უპირებენ ადამიანებს ზონებში ჩასმას, მათთან, ვინც უკვე იხდის სასჯელს. არ შეიძლება განგაშს არ იწვევდეს ის ფაქტი, რომ ყოველ სესიაზე კანონში შეაქვთ შესწორებები, რითაც იზრდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დატვირთვა, რომელიც ადმინისტრაციულ-სათათბირო ორგანოდ ჩამოყალიბდა და სასამართლოებზე ზემოქმედების სერიოზული ბერკეტი შეიძინა. ყველაფერი ეს სერიოზული საფრთხეა დემოკრატიისათვის.

— **შესაძლოა ხელისუფლება ფიქრობს, იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც დაისახა, ასეთი მეთოდები საჭიროაო.**

— სააკაშვილს სწამს, რომ ერის გადამრჩენი და სახელმწიფოს გამაერთიანებელია. არადა, რეალურად მას სხვა ტიპის ამოცანა უდგას — ერი გადარჩენილია, 21-ე საუკუნეში 3,5-მილიონიანი ერი არ აღიგვება პირისაგან მიწისა. სახელმწიფოს შეკვრა, კი ბატონო, აუცილებელია, მაგრამ მე-18 საუკუნის მეთოდებით კი არა, 21-ე საუკუნის ტექნოლოგიებით. ზოგიერთი ფიქრობს — მიზანი ამართლებს საშუალებასო; მე კი ვთვლი — რაოდენ კეთილშობილური მიზანიც უნდა გქონდეს, თუ მის მისაღწევად ცუდ საშუალებას იყენებ, ეს მიზანი ფერმკრთალდება, მისი დისკრედიტირება ხდება. ზნეობა და პოლიტიკა არ არის ერთმანეთისგან გასამიჯნი. ჩვენ პატარა, შეზღუდული შესაძლებლობების ქვეყანა ვართ და ურთიერთობაშიც ჩვენი კოზირი გულახდილობა, სიმართლე და ზნეობრიობა უნდა იყოს, თუნდაც რუსეთთან ურთიერთობაში. მათ ჩვენ ბინძურ პოლიტიკაში ვერ ვაჯობებთ.

# „ასეთ წინააღმდეგობებს ნამდვილად არ ველოდი“

## „მე პროფესიონალი დიპლომატი ვარ და თუ მომცემენ საშუალებას, დავეხმარები საქართველოს“

„კვირის პალიტრა“ საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს დაუკავშირდა, რათა მისგან მიეღო პასუხი კითხვაზე, რატომ ვერ აიცილა საქართველომ გაეროში უსიამოვნო ინციდენტი და მართლა გრძნობს თუ არა მავანთაგან „ფეხის დადებას“.

**სალომე ზურაბიშვილი:** — გაეროში ხმის უფლების დაკარგვა თავიდან იმიტომ ვერ ავიცილეთ, რომ ჩვენ მარტო დღევანდელობა კი არა, წარსულიც გვაქვს. წარსულში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა ახლა გვიხდება. ჩვენ გაეროსთან 4 წლის დავალიანება გვქონდა. 2003 წელს კიდევ ერთხელ მოგვმართეს — გადაიხადეთ 10-წლიანი გრაფიკით გაწერილი თანხის პირველი 700 ათასიო. როდესაც სამინისტროს ბიუჯეტს ამტკიცებდნენ, მაშინვე ვთქვი — უპირველესად საერთაშორისო ორგანიზაციების დავალიანება უნდა გავისტუმროთ-მეთქი. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა იმ მილიონ-ნახევარი ლარით, რომელიც ბიუჯეტმა გამოგვიყო. ამ ფულით ვერც გაეროს ვალს დავფარავდით და ვერც სხვა ორგანიზაციებისას. როგორც კი გაჩნდა ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის მოძიების საშუალება, ჩვენ მაშინვე მივმართეთ წერილობით ფინანსთა სამინისტროსა და პრემიერს. დამატებით მიღებული 700 ათასი დოლარი მაშინვე გადავუხადეთ გაეროს, მაგრამ დაგვიანებით. რადგან მანამდე რამდენჯერმე გადაგვივადეს დავალიანების დაფარვა, ხელმეორედ თხოვნა არაფერს მოიტანდა და ჩვენც ხმა დავკარგეთ. დიდი მუშაობა გავწიეთ საიმისოდ, რომ ხმა რაც შეიძლება მალე აღგვიდგინონ. ამიტომ მომავალ წელს მაინც დროულად უნდა გადავიხადოთ წლიური გადასახადიც და ვალიც, რაც 750 ათას დოლარს შეადგენს. ჩვენ სხვა ორგანიზაციების ვალიც გვაქვს, რაც სულ 59 მილიონ დოლარს შეადგენს(!).

— **კულუარებში ამბობენ, ქალბატონ სალომეს სავარძელს ეცილებიანო, თქვენც ასე ფიქრობთ?**

— არ ვიცი, მყავს თუ არა ვინმე ჩასაფრებული. სავსებით ნორმალურია, როდესაც ადამიანს ჰყავს ოპონენტები და აკრიტიკებენ. მე ახალი მინისტრი ვარ, ჩემი მეთოდები მაქვს და შეიძლება ისინი ვიღაცას არ მოსწონდეს. უკმაყოფილება მოჰყვა ელჩების დანიშვნის პროცესს, რომელთაც ბუნებრივია, ჰყავდათ თავიანთი მომხრეები. სამინისტრო ეფექტიან სამუშაო მოდელზე უნდა გადაეწყოს და იმედი მაქვს, რამდენიმე თვეში ასეც მოხდება.

— **როგორ შეხვდით თქვენ მიმართ გამოთქმულ საყვედურებს, საერთოდ, როგორ რეაგირებთ შენიშვნაზე?**

— ნერვები მეშლება. სიმართლე გითხრათ, ზოგიერთი რამ მეწყინა. რომ ჩამოვედი, ვფიქრობდი, სამინისტროში შემხვდება წინააღმდეგობა-მეთქი, მაგრამ ამას არ ველოდი პოლიტიკოსებისგან. მე არ ვარ პოლიტიკოსი, არც საფრანგეთში და არც აქ პოლიტიკით არასოდეს დავინტერესებულვარ, ეს ჩემს ხასიათს არ ერგება. მე პროფესიონალი დიპლომატი ვარ და თუ მომცემენ საშუალებას, დავეხმარები საქართველოს ამ დარგის განვითარებაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოსთვის და განსაკუთრებით, საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის.



— **ამ ინციდენტის გამო პრეზიდენტს ხომ არ უსაყვედურია, მისგან მაინც ძველებურ მხარდაჭერას გრძნობთ?**

— საყვედური არ მიმიღია და ვერც მივიღებდი, იმიტომ, რომ არ დამიმსახურებია. როდესაც მართლა რაიმე შეცდომა მომივა, მზად ვარ, შენიშვნა პრეზიდენტისგანაც მივიღო და პრემიერისგანაც.

— **როგორ აფასებთ რუსეთის როლს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში?**

— არ შეიძლება ეს კონფლიქტები რუსეთის გარეშე გადაწყდეს. სანამ რუსეთი გააგრძელებს ორსახოვან პოლიტიკას, როდესაც ერთი მხრივ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ კი საპირისპიროდ მოქმედებს, დიალოგის წარმართვა გაგვიჭირდება. აუცილებელია, რუსეთმა ამ ვითარებაში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს. კონფლიქტების მოგვარებას ხელს შეუწყობს რუსეთზე საერთაშორისო ზეგავლენაც, ის უნდა მიახვედრონ, რომ ორმაგი თამაში არ შეიძლება.

— **თქვენ ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი ბრძანდებით, რას ნიშნავს თქვენთვის ასეთი წინაპარი. საინტერესოა, რას ფიქრობდნენ თქვენს ოჯახში საქართველოს მომავალზე?**

— ძალიან ბევრს ნიშნავს და სამაგალითოა ჩემთვის ბაბუაჩემი. ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწე იყო, მას სახელმწიფოს აღმშენებლობის რეალური ხედვა ჰქონდა და არა იდეალისტური. ნიკო ნიკოლაძე აქტიური ადამიანი იყო, ყველა სფეროში საქმიანობდა. მისი მოღვაწეობა ჩემთვის მაგალითის მომცემია და ვეცდები, მის გზას არ გადავუხვიო. ჩემი ოჯახის სანუკვარი ოცნება ყოველთვის იყო საქართველოს დამოუკიდებლობა, ამაზე ძალიან ხშირად მამაც ლაპარაკობდა.

— **უფრო მსუბუქ თემაზე გადავიდეთ. როგორი ქმრები არიან ქართველი მამაკაცები. თქვენს მეუღლეზე რას იტყვით?**

— ზოგადად ამ თემაზე ვერ ვიმსჯელებ, კონკრეტულად, ჩემს მეუღლეზე გეტყვით. ოჯახში ორივენი თანასწორუფლებიანი ვართ, არავითარი შეზღუდვა არ მიგრძნია არასოდეს. არც ურთიერთგაგების უქონლობას ვუჩივი. ჩვენ-ჩვენი სფეროები განაწილებული გვაქვს. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ის უფრო ბევრს მითმობს. მაგალითად, ის უფრო გაუფრთხილდა ჩემს კარიერას, ვიდრე მე მისას. მგონი, ჩემ გამოა, რომ მას ის ადგილი არ უჭირავს, რაც უნდა ჰქონდეს.

# ვარშალომიძე მანაგაძის ადგილზე! — მანაგაძე?

## ვაკე-საბურთალოს გამგებელი აჭარას უხელმძღვანელებს?!



ლევან ვარშალომიძე



ავთანდილ დავითიძე

კანცელარიის კულუარებში შევიტყვეთ, მიხეილ სააკაშვილს ლევან ვარშალომიძის თბილისში გადმოყვანა უნდა.

პრეზიდენტის სტრუქტურების დღევანდელმა მეგობრებმა, ჩანს, აჭარის ხელმძღვანელად ბოლომდე ვერ გაამართლა. გარდა იმისა, რომ მოსახლეობა ახალი მთავრობით უკმაყოფილოა, ვარშალომიძეს ასლან აბაშიძის კადრებისადმი კეთილგანწყობაშიც ადანაშაულებენ. აჭარელები ამბობენ, — რომელ რევოლუციაზე ლაპარაკობს ხელისუფლება, როდესაც აჭარას ასლან აბაშიძის დროინდელი ჩინოვნიკები ისევ წურბლებივით ასხედან (რაშიც ვარშალომიძის მამასაც ადანაშაულებენ, კადრების საკითხს ის წყვეტსო). ეს შმიტი (ჭყინტი) ბიჭი ორ სიტყვას ვერ აბამს ერთმანეთზე და ამ „მგლებს“ მოუვლიდა, რომლებმაც ჯერ ასლანის დროს გამოხრეს მთელი აჭარა და რაც გადარჩათ, ახლა იმას უღებენ ბოლოსო.

აჭარა ურთულესი რეგიონია. მას მკლავძლიერი და უნარიანი ხელმძღვანელი სჭირდება. რაკი ვარშალომიძემ აჭარის ხელმძღვანელის პოსტზე ვერ გაამართლა, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, პრეზიდენტს ის ეროვნულ ბანკში, ირაკლი მანაგაძის ადგილზე გადაჰყავს. მაგრამ რატომ იცილებენ ირაკლი მანაგაძეს? გარდა იმისა, რომ ის შევარდნაძის დროინდელი კადრია, მისი სახელი ძალიან ცუდად მიება ლარის კურსის ბოლოდროინდელ რყევას. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ითქვა — მანაგაძეს ამ ამბავს გადააყოლებენო და ისე აგიცხადდეთ ყველაფერი კარგი — პრეზიდენტი მანაგაძეს „დამსახურებულ დასვენებაზე“ უშვებს. აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილზე კი, როგორც ამბობენ, ვაკე-საბურთალოს ამჟამინდელ გამგებელს, ავთანდილ დავითაძეს გადაიყვანენ, რომელიც გარდა იმისა, რომ აჭარელია, გამოცდილი და უნარიანი ხელმძღვანელის სახელიც აქვს.

ვარშალომიძის თბილისში გადმოყვანის ამბავი ჩვენთან საუბრისას აჭარის საქმეებში ჩახედულმა რამდენიმე დეპუტატმაც დაგვიდასტურა და რაკი უკვე საქმე ასე „ბოლავს“, ალბათ მალე ცეცხლსაც დავინახავთ.

**ზვიად ძიძიგური**: „უცნაურია, ლევან ვარშალომიძეს ასლან აბაშიძის მომხრეებისადმი ლოიალობას რომ აბრალებენ. აჭარას ხომ ფაქტობრივად, ლევან ვარშალომიძე კი არა, მამამისი, „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი გურამ ვარშალომიძე მართავს. თუ ამის გამო ვინმე იყო დასასჯელი, გურამ ვარშალომიძე უნდა დაესაჯათ და არა მისი ვაჟი.

სავსებით ლოგიკური იყო ლევანის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა და, საერთოდ, აჭარიდან წამოყვანა. ის ძალზე უხერხემლო ხელმძღვანელი აღმოჩნდა, ვერ გაატარა ის პოლიტიკა, რასაც ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი ავალებდნენ. მაგრამ კაცს, რომელმაც ერთ საქმეში ვერ გაამართლა, როგორ შეიძლება ასეთი საპასუხისმგებლო დაწესებულება — ეროვნული ბანკი ჩააბარო. ეროვნულ ბანკში ირაკლი მანაგაძის ხელმძღვანელობის დროს სტაბილური მდგომარეობა იყო და შესაბამისად, ეროვნული ვალუტაც ინარჩუნებდა სიმყარეს. ვერ გეტყვით, რამდენად სტაბილური იქნება ლარი ვარშალომიძის „ხელში“. არ მინდა წინასწარ დავიჯერო, ვერაფერს გააკეთებს-მეთქი, თუმცა, როგორც ადმინისტრატორმა და მმართველმა, მან აჭარაში სრული ფიასკო განიცადა. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პრეზიდენტს ძალიან მოკლე სათადარიგო სკამი აქვს და ერთსა და იმავე ხალხს ჩაკეტილ წრეზე ატრიალებს. არადა, არ შეიძლება პრეზიდენტი ბავშვობისა და ოპოზიციონერობის დროინდელი მეგობრების იქით არ იხედებოდეს. ითქვა, ლევან ვარშალომიძის ადგილზე ვაკე-საბურთალოს გამგებელი ავთო დავითიძე გადაჰყავთო. ამ კაცს ვიცნობ, საკმაოდ კარგი ორგანიზატორი და უნარიანი მუშაკია. მაგრამ არ ვიცი, რამდენად მისაღებია დავითიძე აჭარისთვის. რეგიონს მუქთამჭამელები უნდა მოშორდნენ და ხალხიც ამოისუნთქავს. პრეზიდენტის გვერდით არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლობას აიღებენ საკუთარ თავზე. ერთხელ უკვე ვიწვნიეთ სამშობლოზე შეყვარებული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ცუდი საკადრო პოლიტიკა და მისი შედეგი. არ მინდა მიშასაც იგივე დაემართოს“.

***გვერდი მოამზადა იზო რუკაძემ***

# ცხინვალთან სიტუაციის გამწვავებას ზამთრისთვის უნდა ველოდოთ...

## რატომ ეწინააღმდეგება კოკოითი როკის გვირაბთან ეუთოს დამკვირვებლების გაგზავნას?



*Только через мой труп! — ამ რუს ჯარისკაცს ცხინვალისკენ მიმავალი გზა სოფ. მეღვრეკისთან აქვს გადაკეტილი ქართველებისთვის, ისევე როგორც სხვა რუსებს — როკის გვირაბი...*

„ვინც გააკონტროლებს როკის გვირაბს, საბოლოოდ ის გაიმარჯვებს", — ეს გახლდათ ცხინვალის რეგიონში აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, 28 ივნისის „კვირის პალიტრაში" დაბეჭდილი ერთ-ერთი სტატიის ქვესათაური.

ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ სიტუაციის გამწვავებისთანავე სეპარატისტებს სერიოზულ სამხედრო დახმარებას რუსეთი სწორედ როკის გვირაბის მეშვეობით გაუწევდა. აქედან გამომდინარე, როკის გვირაბი იძენდა სტრატეგიულ მნიშვნელობას და მის მაკონტროლებელს დიდი უპირატესობა ექნებოდა.

სამწუხაროდ, ვარაუდი გამართლდა — ქართული მხრიდან გაუკონტროლებელი როკის გვირაბით სეპარატისტებმა საკმარისი სამხედრო დახმარება მიიღეს; მისი სასწრაფოდ გათვალისწინება მოუხდა ოფიციალურ თბილისს და კონფლიქტის ზონიდან გამოიყვანა კიდეც დამატებითი საბრძოლო ნაწილები.

დღეს მოსკოვში, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე, ეს საკითხი აქტიურად განიხილება — ქართული მხარე ცდილობს გაიტანოს ის, რაც მას ჯერ კიდევ აჭარის მოვლენების შემდეგ უნდა გაეკეთებინა, ანუ თუკი თბილისში ხელისუფლება გეგმავდა ცხინვალის რეგიონში „გაყინული კონფლიქტის" გალხვობასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დაწყებას სწორედ ამ „თეთრი ლაქიდან", მაშინ კეთილი ენება და აუცილებლად გაეთვალისწინებინა როკის გვირაბის უდიდესი მნიშვნელობა.

ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლის ზაფხულში დაუშვა იგივე შეცდომა, რაც გამსახურდიას მთავრობამ 1991 წელს და შევარდნაძის რეჟიმმა 1992 წლის გაზაფხულზე.

დღეს მოსკოვში ქართული დელეგაცია ამაოდ ცდილობს, მიაღწიოს როკის გვირაბის ჩასმას კონფლიქტის ზონის საზღვრებში, მაგრამ დაგომისის 1992 წლის ხელშეკრულებაზე ვაი-ქართველებს უკვე აქვთ ხელი მოწერილი იმ დოკუმენტისთვის, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზემო საზღვარს ჯავამდე ავლებს, ხოლო ქვედა საზღვარი თბილისი-ქუთაისის შემაერთებელ ცენტრალურ საავტომობილო ტრასამდე ჩადის.

სეპარატისტები გრძნობენ როკის უღელტეხილის სტრატეგიულ მნიშვნელობას და არასდიდებით არ აპირებენ მასზე კონტროლის გაყოფას — სხვანაირად აბა, როგორ უნდა ავხსნათ ის, რომ კოკოითის რეჟიმი კატეგორიული წინააღმდეგია როკის გვირაბის შესასვლელთან არათუ ქართველების, არამედ ეუთოს დამკვირვებელთა პოსტის გახსნისაც კი.

ცოტა ხანში თოვლი ჩაკეტავს იმ 14 გადმოსასვლელს, რომლებითაც უკანონო შეიარაღებული ჯგუფები რუსეთიდან სეპარატისტების დასახმარებლად გადმოდიოდნენ ცხინვალის რეგიონში. ასე რომ, მომავალი წლის მარტ-აპრილამდე სეპარატისტები მხოლოდ როკის გვირაბის იმედად დარჩებიან და ამიტომაც (ისევე, როგორც მათი ჩრდილოელი „მოძმეები") ძალ-ღონეს არ დაიშურებენ როკის გვირაბამდე „არ მიასუნინონ" არც ქართველ და არც უცხოელ დამკვირვებლებს.

შემოდგომის მიწურულს და ზამთრის დასაწყისში ცხინვალის რეგიონში მოსალოდნელია სიტუაციის მკვეთრი გამწვავება. ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა, როდესაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, ყოველდღიურად ესვრიან დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს.

ეს ერთგვარი ძალის მოსინჯვაა, რადგან ზამთრის მოახლოებისთანავე ჩაიკეტება არა მარტო რუსეთიდან გადმოსასვლელი გზები, არამედ თითქმის გამოუსადეგარი გახდება პატარა და დიდი ლიახვის ხეობების დამაკავშირებელი „სასიცოცხლო გზა", რომლის შესანარჩუნებლად ამდენი ვაჟკაცი დაგვეღუპა.

ასეთ მდგომარეობაში არ არის გამორიცხული სეპარატისტების მიერ გადამწყვეტი შეტევა დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებზე, როგორც ცხინვალიდან, თამარაშენის მიმართულებით, ისე ჯავიდან — ქურთისკენ. ეს ქართული „კუნძული" ოს სეპარატისტებს მოსვენებას არ აძლევს, ისევე, როგორც აფხაზ სეპარატისტებს — კოდორის ხეობა; სეპარატისტები ხვდებიან, რომ ადრე თუ გვიან ძალით წართმეულის დაბრუნებას საქართველო ასევე ძალით ეცდება, ეს ქართული „კუნძულები" კი სტრატეგიული მნიშვნელობის დასაყრდენი გახდება თბილისისთვის.

რაღა დასამალია და, აგვისტოში, მაშინ, როდესაც გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა „სასიცოცხლო გზისთვის", ქართულმა მხარემ მოახერხა დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები მოემარაგებინა ყველაფრით (რა თქმა უნდა, არ გავშიფრავ), რაც აუცილებელია რამდენიმედღიანი თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად.

მოვლენების ამგვარად წარმართვის შემთხვევაში თბილისი თავიდან ველარ აიცილებს საბრძოლო მოქმედებების ესკალაციას, რადგან იძულებული გახდება, დაიცვას დიდი ლიახვის ხეობა (და შესაძლოა, პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლებიც) სეპარატისტების იერიშისგან. ქართული მხარის შეტევა ალბათ უშუალოდ ცხინვალისკენ წარიმართება...

ასეთ კრიტიკულ მომენტში კი როკის გვირაბის ჩაკეტვას სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭება.

# დივერსია თუ შემთხვევითობა?!

## რას უკავშირდება ხანძრების გახშირება და სხვა საგანგებო სიტუაციები?

ხანძარი ბორჯომი-ხარაგაულის ტყე-პარკში, ხანძრის კერები მაღალმთიანი აჭარის ტყეებში, მაღალი ძაბვის ელექტროსადენების მწყობრიდან ხშირი გამოსვლა...

ასე მოხშირებული საგანგებო სიტუაციების ახსნა შეიძლება როგორც ბუნებრივი მოვლენების შემთხვევითი დამთხვევით, ისე გარკვეული ძალების მოქმედებით.

აჭარის მაღალმთიანეთში, ერთმანეთისგან კარგად დაშორებულ ტყის მასივებს ერთდროულად მოედო ხანძარი. უკვე დადგინდა, რომ ცეცხლს ქარი ვერ გადაიტანდა. ზოგი ამას მწყემსების დაუდევრობას მიაწერს, ზოგიც იმ ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლის ერთგვარ შურისძიებას, რომლებსაც ხელისუფლებამ ტყის ჭრა აუკრძალა.

ტყეში, განსაკუთრებით კი ხანძარჩამქრობი ტექნიკისთვის ძნელად მისადგომ, მაღალმთიან ადგილებში, ხანძრის დიდი კერების გაჩაღება (მსოფლიოში კარგად ცნობილი) ერთ-ერთი ყველაზე მარჯვე დივერსიული ქმედებაა.

სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების დივერსიულ ჯგუფებს ტყუილად როდი ასწავლიან, რომ ტყის ხანძარი საკმაო ზარალს აყენებს სამიზნე ქვეყნის ეკონომიკას და ართულებს პოლიტიკურ მდგომარეობას, რადგან ოპოზიცია ყოველთვის მზადაა სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის სისუსტეში დაადანაშაულოს მოქმედი მთავრობა.

აქსისი AXIS
ახალი მშენებარე კომპლექსი ყაზბეგის გამზირზე
(მეტრო „დელისთან")



არაყიშვილის ქ.№14 ტელ: 25 34 34; 91 25 34

# კაკუნის გარეშეც გაგიღებთ, ოღონდ თავის დროზე!

## NATO რუსეთთან ურთიერთობას საქართველოს გამო არ გაიფუჭებს?!

ბრიუსელში, NATO-ს შტაბბინის ერთ-ერთ დერეფანში, ორი სამხედროფორმიანი დამეჯახა და სიტყვისუთქმელად განაგრძო გზა. გამიკვირდა. ასეთ შემთხვევაში ევროპელები ათას ბოდიშს იხდიან ხოლმე. მაგრამ როდესაც მათ ფორმას დავაკვირდი, ყველაფერი გასაგები გახდა — ისინი რუსეთის არმიის ოფიცრები იყვნენ.

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ რუსი ოფიცრები ასე თამამად ივლიდნენ NATO-ს შტაბბინაში (თუმცა რუსეთის აგენტები მას არასდროს მოჰკლებია), მაგრამ ეს განაპირობა ორი წლის წინ, NATO-სა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებამ.

სწორედ ამ ორმხრივი, განსაკუთრებული ურთიერთობის გამო გვაფრთხილებდნენ NATO-ს წარმომადგენლები ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ საუბრებში — NATO-ში ასეთი აშკარა და ფართოდ რეკლამირებული სწრაფვით უფრო მეტად არ გაალიზიანოთ მეზობელი რუსეთიო.

— გეყოთ ღია კარზე კაკუნი, NATO-ში საქართველო მაშინ შევა, როდესაც ამის დრო დადგება. შეხედეთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რომლებმაც აურზაურის გარეშე, მშვიდად მიაღწიეს საწადელს. თქვენი ხმაურით მხოლოდ საქმეს ვნებთ და აღიზიანებთ რუსეთს, — დაახლოებით ასე გვეუბნებოდნენ NATO-ს არცთუ დაბალჩინოსანი მოხელეები, რომლებიც, ამასთანავე, კატეგორიულად მოითხოვდნენ, არ მომხდარიყო მათი გამოსვლების ზუსტი ფრაზირება და არ დასახელებულიყო მათი ვინაობა.

რუსეთის ფაქტორი ამ მიმართულებითაც ძლიერად მოქმედებს. NATO-ს ძველ და ახალ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რუსეთთან ორმხრივი, განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარება დიდი მიღწევაა. NATO-ში მოქმედებენ მომგებიანი პრინციპით — არაპროგნოზირებადი რუსეთი სჯობს „ჩახუტებული" გყავდეს და თვალს ადევნებდე, რას გიმზადებს, თორემ კონფრონტაციაში მყოფისგან ყველაფერია მოსალოდნელი. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ რუსეთთან ასე წვა-დაგვით მიღწეულ ურთიერთობას საქართველოს გამო არავინ გაიფუჭებს.

***ჩვენი დოსიე:** ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია — NATO 1949 წელს შეიქმნა. თავდაპირველად მასში 12 ქვეყანა: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ისლანდია, კანადა, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ და საფრანგეთი გაერთიანდა. 1952 წელს ალიანსს ერთმანეთის „დაუძინებელი მტრები" — თურქეთი და საბერძნეთი — ერთდროულად შეუერთდნენ. 1955 წელს NATO-ს ბლოკში გერმანია გაწევრდა, ხოლო 1982 წელს — ესპანეთი. აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1999 წელს, NATO-ს წევრები გახდნენ უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი, ხოლო წლეულს მათ მიუერთდნენ ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია.*

როგორც ჩანს, NATO-ში გაწევრებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს — სულ ცოტა, 8 წელი, რადგან ოთხი წლის შემდეგ, მორიგ სამიტზე, უკვე გადაწყვეტილია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებს შეავსებენ ალბანეთი, ხორვატია და მაკედონია. ამიტომ ალბათ არ ღირს ილუზიებით თავის შენუხება.

თუმცა რჩება კიდევ ერთი იმედი — აამოქმედებს თუ არა NATO თავის, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 პუნქტს, თუკი მომავალში უკვე ალიანსის წევრ საქართველოს გაუკონტროლებელ „თეთრ ლაქებში" — ცხინვალის რეგიონსა და განსაკუთრებით, აფხაზეთში, დაფიქსირდა საერთაშორისო ტერორისტების ყოფნა.

„კვირის პალიტრამ" ამ შეკითხვით მიმართა NATO-ს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს (მისივე თხოვნით, ვინაობის გამჟღავნების უფლება არ გვაქვს): — ეს ძალზე სერიოზული საკითხია და სამხედრო ოპერაციის დაგეგმვამდე, ჯერ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს. დღეს ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ NATO-მ ამგვარი ოპერაციები განახორციელოს საქართველოს „თეთრ ლაქებში", მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში ისე სწრაფად იცვლება სიტუაციები, რომ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლებაო, — ასეთი იყო პასუხი.

***ჩვენი დოსიე:** 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ NATO-მ პირველად აამოქმედა ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულების მე-5 პუნქტი, რომელიც კოლექტიურ თავდაცვას ითვალისწინებს, ანუ NATO-ს წევრ ერთ-ერთ ქვეყანაზე თავდასხმა აღიქმება, როგორც მთლიანად NATO-ზე თავდასხმა და აქტიურ მოქმედებაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი ქვეყანა ერთვება. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ს მხარში მთელი NATO ამოუდგა და პენტაგონთან ერთად დაარტყა ავღანეთში გაბატონებულ თალიბების რეჟიმს. ავღანეთში დღეს მიმდინარე პროცესებსაც NATO ხელმძღვანელობს.*

დღეისათვის NATO-ს მთავარი საზრუნავი მისი შემდგომი ტრანსფორმაციაა — ის უარს ამბობს მსხვილი სამხედრო ბაზების მშენებლობაზე ახალშემოერთებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე და უპირატესობას ექსპედიციური ძალების ჩამოყალიბებას ანიჭებს.

— მსხვილი სამხედრო ბაზები „ცივი ომის" გადმონაშთია. ჩვენ გვჭირდება უფრო მცირერიცხოვანი და მოქნილი საექსპედიციო დანაყოფები, რომლებიც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იქნებიან და მათი გადასროლა კონფლიქტის ზონაში რამდენიმე საათში ან მაქსიმუმ რამდენიმე დღეშია შესაძლებელი, — მიაჩნიათ NATO-ში.

***ჩვენი დოსიე:** NATO-ში დღესდღეობით 26 ქვეყანაა გაერთიანებული. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს მსოფლიოს კიდევ ორ ათეულამდე სახელმწიფო, მათ შორის, საქართველოც. თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, ზოგიერთი სახელმწიფო სულაც არ ფიქრობს საბოლოოდ NATO-ში გაერთიანებას. საფრანგეთი, რომელიც თავიდან NATO-ს აქტიური წევრი გახლდათ, გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა ამ ალიანსის სამხედრო ბლოკიდან და მასთან მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებში თანამშრომლობს. როგორც ამბობენ, თავის დროზე ნიკიტა ხრუშჩოვმა ყაზახეთში, სამხედრო პოლიგონზე მიიწვია შარლ დე გოლი და საგანგებოდ აყურებინა უზარმაზარი ბალისტიკური რაკეტის გამაოგნებელი სტარტისთვის მიწისქვეშა შახტიდან. ეს რაკეტა კამჩატკაზე სამიზნეს ბირთვული ქობინის გარეშე მოხვდება, თუმცა მეორე რაკეტა შეიძლება დასავლეთისკენ გაფრინდეს და პარიზის ცენტრში მოხვდეს NATO-ს შტაბბინას უკვე ბირთვული ქობინით მოხვდესო, — უხუმრია ხრუშჩოვს. ძნელი სათქმელია, ამ ფსიქოლოგიურმა ტრიუკმა იმოქმედა თუ არა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში საფრანგეთი გამოვიდა NATO-ს სამხედრო ალიანსიდან და მისი შტაბბინა პარიზიდან ბრიუსელში გადავიდა.*

ამ შემთხვევაში უკვე იზრდება საქართველოს მნიშვნელობა NATO-სთვის, რადგან შუა აზიასა თუ ახლო აღმოსავლეთში მოქმედებისას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს აუცილებლად სჭირდება საქართველოს საჰაერო სივრცე და სააეროდრომო ქსელი თავისი სამხედრო-სატრანსპორტო თუ საბრძოლო თვითმფრინავების შესაძლო იძულებითი დაშვებებისთვის.

NATO-ს ინტეგრაციის მორიგი ეტაპი წელს დაიწყო — შედგა საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის IPAP-ის გეგმა NATO-სთან ურთიერთობის საქმეში.

— საქართველომ მთელი ძალისხმევა სწორედ IPAP-ის გეგმის განხორციელებაზე უნდა გადაიტანოს, — მიაჩნია საქართველოს ელჩს NATO-ში ბატონ დავით დონდუას. ასევე ფიქრობენ NATO-ს მაღალჩინოსანი მოხელეებიც, თუმცა ამატებენ, რომ „ერთია IPAP-ის გეგმის მომზადება და მეორე — მისი პუნქტების დროულად და სწორად შესრულება".

NATO-ში საქართველოს მისიის შემადგენლობაში სწორედ ამ დღეებში გარკვეული ცვლილებები ხდება — NATO-ს შტაბბინაში საქართველოს სამხედრო წარმომადგენლად დაინიშნა ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი ბატკუაშვილი, რომელიც მანამდე თავდაცვის სამინისტროში „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის შტაბს ხელმძღვანელობდა და NATO-სთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს. მან ამ თანამდებობაზე პოლკოვნიკი დავით ნაირაშვილი შეცვალა, რომელიც თბილისში, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ გადმოიყვანეს.

ქ. მონსში, სადაც განთავსებულია „ევროპაში მოკავშირე ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა" SHAPE-ი, საქართველოს მეკავშირე ოფიცრად დაინიშნა მაიორი ნიკა ჩერქეზიშვილი, ხოლო NATO-ს საქართველოს მისიაში თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლად — სანდრო ბაქრაძე.

ქართულ მისიას, რომელიც NATO-ში მუშაობს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება — სწორედ მან უნდა შეასრულოს „შავი სამუშაო" საქართველოს NATO-სთან კიდევ უფრო დასაახლოებლად.

მანამდე კი ალბათ უნდა შევწყვიტოთ NATO-ს „კარზე კაკუნი" — დროზე ადრე მას მაინც არავინ გაგვიღებს.

*სპეციალურად „კვირის პალიტრისთვის"*
*NATO-ს შტაბბინიდან*
*ბრიუსელი*



რამდენიც არ უნდა ვუკაკუნოთ, NATO-ს მრგვალ მაგიდასთან მისაჯდომად 8 წელზე ადრე არ მიგვიწვევენ

# პანკისს უკვე თავად ძალოვანი მინისტრები „იცავენ"

## ოქრუაშვილი – კიევიდან, მერაბიშვილი – დუისიდან

ორი წლის წინ საქართველო, შეიძლება ითქვას, ბეწვზე გადაურჩა პანკისის ხეობაში რუსეთის დესანტის გადმოსხმას — მაშინ ამ ხეობაში მართლაც იყო გელაევისა და სხვა საველე მეთაურების უკანონო შეიარაღებული რაზმების 800-მდე წევრი, მაგრამ ქართულ-ამერიკულმა დიპლომატიურმა სვლებმა და სპეცსამსახურების მუშაობამ აიძულა ისინი ჩრდილო კავკასიაში დაბრუნებულიყვნენ.

დღეისათვის პანკისის ხეობაში მართლაც აღარ არიან ასეთი მსხვილი შეიარაღებული დანაყოფები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ იარაღი არ არის გადამალული. მაგრამ რუსეთი ამას ვერ მოიტანს საბაბად პანკისისთვის დასარტყმელად — ჯერ ის იარაღი ამოიღოს, რაც ჩეჩნეთის, ინგუშეთისა თუ ოსეთის სოფლებშია თავმოყრილი...

რუსეთის მიერ პანკისის ხეობაში რაიმე შესაძლო სპეცოპერაციის თავიდან ასარიდებლად საქართველოს ორი ძალოვანი მინისტრი თადარიგს იჭერს: შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა უკრაინაში, დსთ-ის ქვეყნების შს მინისტრების შეხვედრაზე რუსეთს შესთავაზა პანკისის ხეობის თითოეული მცხოვრების მონაცემების მიწოდება, რათა მოსკოვი დარწმუნდეს, რომ იქ ტერორისტები არ არიან. მინისტრმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ არათუ პანკისის ხეობაში, არამედ საერთოდ საქართველოში არ იმყოფება ტერორისტი გოჩიაევი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება 1999 წელს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების მთავარ ამფეთქებლად თვლის.

სანამ ოქრუაშვილს „საგარეო ფრონტი" აქვს გახსნილი, უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი ეუთოს დამკვირვებლებთან ერთად პანკისის ხეობას შიგნიდან „ზვერავს" კვლავ იმის დასამტკიცებლად, რომ პანკისში საერთაშორისო ტერორისტების კვალი გამქრალია.

ვიდრე მინისტრები ცდილობენ რუსეთის დარწმუნებას, პანკისი თავისუფალია ტერორისტებისაგანო, ხეობის თავზე ქართული სამხედრო ავიაცია „გაინავარდებს", რათა ყველა რუს პილოტს გაუქროს იქ თვითნებურად „შეხედვის" სურვილი. ერთი ეგაა, ქართული მოიერიშე თვითმფრინავები ხეობის მცხოვრებთ რუსულად არ მოეჩვენოთ და ემანდ, რამე არ „მიქარონ".

გარდა ამისა, ხეობაში რეიდებს აწყობენ შსს-სა და უშიშროების სამინისტროების სპეცდანიშნულების დანაყოფები, ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ცნობილია, რომ მოსკოვს ცრემლებისა არ სჯერა...

*რუბრიკა მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*




# ნიკაპი შაშხანის ლულაზე დააბჯინა და...




**გოგონა აღარსად ჩანდა, მოვარდნილ ტალღას მოეტაცა და დედის უკანასკნელი იმედი ახლა ეს ბიჭები იყვნენ. უფრო სწორად, თამაზი, რადგან დანარჩენები აზვირთებულ ზღვას ვერ შეებმებოდნენ. თამაზი არც დაფიქრებულა, ისე გადაეშვა წყალში. ამ ადგილას ნაპირი თეთრი ქვით იყო მოფენილი, არც წყალი იყო ამღვრეული, მაგრამ მოვარდნილ ტალღას შეეძლო გოგონა პირდაპირ ქვებზე დაენარცხებინა და ვეღარაფერს უშველიდა...**

**ალბათ, ძნელად თუ იპოვით ისეთ მწერალს, ტრაგედიაზე რომ არ მოესინჯოს კალამი, მაგრამ დღემდე მხოლოდ ნამდვილი ოსტატები პირველობენ. ისინი გენიოსები არიან და ზოგადსაკაცობრიო თემებზე წერენ, მე და ჩემისთანა მოკვდავებს კი ქართული თემატიკა უფრო გვაღელვებს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დაახლოებით რვაათი წლის წინ ჩემი ყურადღება მიიპყრო (არ ვიცი, მოსმენილმა თუ წაკითხულმა) ერთმა ძალზე ამაღელვებელმა, ტრაგიკულმა სიუჟეტმა და მართალია, დეტალები დამავიწყდა, მაგრამ დღემდე მახსოვს მისი ფაბულა და მთხრობელის გვარი — ჩარკვიანი. ის თავს „მხედრიონის“ წევრს უწოდებდა. დღეს შევეცდები ამ სიუჟეტის ჩემეული ვერსია შევთავაზო მკითხველს, რომლის ინტერესი, ჩვენი აზრით, ჯერაც არ განელებულა აფხაზური თემატიკის მიმართ, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.**

## „პატარა“ გმირობა

აღელვებულ ზღვაში ზღვისპირელებიც ვერ ბედავდნენ შესვლას. ქალაქში სულ რამდენიმე ბიჭი თუ მოიძებნებოდა, ასეთ დროსაც რომ არ იხევდნენ უკან. თამაზიც ერთი მათგანი გახლდათ. მამით ობოლი, ავადმყოფი დედის შემყურე ბიჭი ისეთი მორცხვი იყო, ვერც იფიქრებდით, თუ იმდენი გამბედაობა ეყოფოდა, რომ ზემოდან მოჰქცეოდა ყალყზე შემდგარ ტალღას, მაგრამ ასე იყო და ამისთვისაც სცემდნენ პატივს ნაცნობ-მეგობრები. მეტსახელად „მირნი“ შეარქვეს და ახლა, აგვისტოს ამ ცხელ დღეებში, ყველას გული სწყდებოდა, რომ ეს თვინიერი ბიჭი დღე-დღეზე დატოვებდა გაგრას. მზრუნველი მამიდის წყალობით ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში ჩაირიცხა და პირველ სექტემბრამდე მოსკოვში უნდა ჩასულიყო.

ზღვა კი იმ დღეებში ისევ ბობოქრობდა. მეხუთე დღე იყო, არ ჩამცხრალა ღელვა. ზვირთები გამეტებით ეხეთქებოდა ნაპირს.

— არ ვიბანაოთ? მგონი ოდნავ ჩაწყნარდა ქარი, საქმეა ეს? ზღვა სახლის წინ გქონდეს და ვერ ბანაობდე? — სინანულით აღმოხდა მეგობრების წრეში მდგარ ვახოს, რომელიც დიდი გამბედაობით არ გამოირჩეოდა.

— შენ რა, თამაზმა იკითხოს, დღე-დღეზე ღელვა ჩაწყნარდება და შენ კიდევ მოასწრებ ჭყუმპალაობას, — ღიმილით გადაულაპარაკა ენაქილიკა დათომ და თავმომწონედ გადახედა ბიჭებს, რომელთაც ერთი სული ჰქონდათ, ერთხელ კიდევ ენახათ ტალღებთან შებმული თამაზი.

— კარგი, ვიბანაოთ, ოღონდ აქ არა. აქ მაშველები არ ჩაგვიშვებენ. წამო „გრებეშოკთან“ ჩავიდეთ, იქ ვერავინ შეგვნიშნავს, მოფარებული ადგილია, — უთხრა თამაზმა მეგობრებს.

„გრებეშოკთან“ მართლაც არავინ იყო ერთი დედა-შვილის გარდა. ფრთხილად ეპარებოდნენ უკანდახეულ ზღვას და ტალღის მოვარდნისთანავე სიცილ-ტკარცალით გარბოდნენ უკან.

— აკი გითხარით, აქ ნაკლები ხალხი იქნება-მეთქი. ბანაობას არავინ დაგვიშლის. თუმცა, წყალში ნუ შემოხვალთ, ტალღები ჯერ კიდევ საშიშია. არც მე ვიბანავებდი, მაგრამ ორი დღელა დამრჩა წასვლამდე და ვერ მოვისვენებ, ერთხელ მაინც რომ არ გავცურო.

თამაზმა ტანსაცმელი გაიხადა, მკერდი დასავლეთიდან მონაბერ ნიავს მიუშვირა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ის იყო, წყლისკენ ნაბიჯი გადადგა, რომ ქალის კივილმა ჩაახშო ზღვის ხმაური — Спасайте — Бога ради мою девочку, спасайте! გოგონა კი აღარსად ჩანდა, მოვარდნილ ტალღას მოეტაცა და დედის უკანასკნელი იმედი ახლა ეს ბიჭები იყვნენ. უფრო სწორად, თამაზი, რადგან დანარჩენები აზვირთებულ ზღვას ვერ შეებმებოდნენ. თამაზი არც დაფიქრებულა, ისე გადაეშვა წყალში. ამ ადგილას ნაპირი თეთრი ქვით იყო მოფენილი, არც წყალი იყო ამღვრეული, მაგრამ მოვარდნილ ტალღას შეეძლო გოგონა პირდაპირ ქვებზე დაენარცხებინა და ვეღარაფერს უშველიდა...

ფსკერზე რომ ვერ იპოვა, ორ-სამჯერ ამოყვინთა, ეგებ ზემოთ ამოაგდოო ტალღამ, მაგრამ იქაც რომ ვერ მიაგნო, ისევ ჩაყვინთა და მიაგნო. გოგოს გონი ჯერ არ დაეკარგა, უაზროდ იქნევდა ხელებს და ცუდ-უბრალოდ ხარჯავდა უკანასკნელ ღონეს. ზურგიდან მოექცა, მარცხენა ხელი ნიკაპქვეშ ამოსდო და მაღლა ასვლა არც უცდია (იცოდა, იქ საშიში იყო დიდი ტალღების გამო), მთელი ძალით გაცურა წყალქვეშ... ნაპირისაკენ. თუმცა მასთან მიახლოებულს ერთი-ორჯერ ისე მძლავრად დაჰკრა ტალღამ, რომ ბავშვიანად ან ქვებს უნდა შენარცხებოდა, ან ტალღას დანებებოდა, მაგრამ მაინც იძალა, გოგო ნაპირზე გამოათრია და გასავათებული თვითონაც იქვე მიესვენა. მეგობრებმა შენიშნეს, რომ მარცხენა ხელის იდაყვიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი. ქვებზე გადაესერა ხელი, მაგრამ ამას ახლა ველარ გრძნობდა. ზღვასთან ნაომარს დასვენება სჭირდებოდა მხოლოდ. გოგოს დედამ, რომელიც გონდაკარგულ თავის ერთას ჩაჰფრენოდა, იმარჯვა, თავისი სარაფანი გახია და ბიჭებს გასძახა, ჭრილობა შეუხვიეთო.

## დამსახურებული ჯილდო თუ სასჯელი

სერგეი სტეპანიჩსა და ვალენტინა პავლოვნას მხოლოდ ეს ერთი გოგონა ჰყავდათ, მაშენკა ერქვა. ლამაზი, ქერათმიანი გოგო იყო. სერგეი სტეპანიჩმა იმავე საღამოს შვილის გადამრჩენლის პატივსაცემად რესტორან „გაგრიფში“ წვეულება გამართა. როგორც გაირკვა, მაშენკასაც იმ წელს დაუმთავრებია საშუალო სკოლა და ახლა უკვე სტუდენტი პირველ სექტემბერს სამედიცინო ინსტიტუტის კარს შეაღებდა (მართალია, ცურვაში მოიკოჭლებდა, მაგრამ სპორტის ოსტატის წოდება ჰქონია ტყვიით სროლაში და იანვარში ევროპის პირველობაზე მიემგზავრებოდა ბედის საცდელად). სერგეი სტეპანიჩმა თამაზის ავადმყოფი დედაც ინახულა და აღუთქვა, თამაზის პატრონობას მე ვიკისრებო. აცრემლებული ქალი დაამშვიდა — ჯავრი ნუ გექნებათ, მოსკოვში თამაზს ბინითაც მე უზრუნველვყოფ და არც სასმელ-საჭმელს მოვაკლებო. მოგვიანებით კი, როცა უფრო ახლოს გაიცნეს თამაზი, ცოლ-ქმარი მხოლოდ იმას ნატრობდა, გოგოს და ბიჭს ერთმანეთი შეჰყვარებოდათ. ასეთი სიძე უნდოდათ, ასეთზე ოცნებობდნენ და იღბალმა თავისი ფეხით შინ მიჰგვარა. ყოველ შაბათს არხანგელსკოეში, თავიანთ აგარაკზე მიჰყავდათ ბიჭი. მერე კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ინდურ ფილმებშია. მაშენკასა და თამაზს ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ კიდეც. საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა სერგეი სტეპანიჩმა და ვალენტინა პავლოვნამ სიძე თავისთან გადაიყვანეს საცხოვრებლად. მაშენკას სპორტული კარიერა რომ არა, ბავშვი უფრო ადრე გაჩნდებოდა, მაგრამ ქალი ნახევარჯერ შინ არ იყო. მართალია, შეჯიბრებიდან ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა, მაგრამ მერე და მერე თითქოს გაიყინაო, საპრიზო ადგილებს ვეღარ სცილდებოდა. არადა, თავის დროზე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობასაც უწინასწარმეტყველებდნენ.

მხოლოდ ვასიკოს გაჩენის შემდეგ შეიტყო თამაზმა, რომ მაშენკა სასმელს მისძალებოდა და საკმარისი იყო, ამაზე ქმარმა პროტესტი გამოხატა, რომ ქალმა იმ დღესვე სასამართლოში შეიტანა განცხადება განქორწინების შესახებ. თამაზი იმ წელს ინსტიტუტს ამთავრებდა. ბევრს ეხვეწნენ სერგეი სტეპანიჩი და ვალენტინა პეტროვნა — ჩვენთან დარჩი, ეს ბინა ყველას გვეყოფაო, მაგრამ იმავე ზაფხულს ბავშვიანად გაგრაში დაბრუნდა და ავადმყოფი დედის დახმარებით გაზარდა შვილი. ამასობაში ცხოვრება აირია, იმსხვრეოდა კომუნიზმის მითი... გავიდა ხანი და შეიტყო, რომ გალოთებულ მაშას ბინაში ხანძარი გაეჩინა. მისი დედ-მამა ცეცხლში გამომწვარა, თვითონ გადარჩენილა და ვიღაცას შეკედლებული ბომჟივით ცხოვრობდა.

ამასობაში, ვასიკო წამოიზარდა, სკოლაც დაამთავრა და სწავლის გაგრძელებას აპირებდა, რომ სწორედ იმ დროს დაერივნენ აფხაზები ქართველ სტუდენტებს. მალე ომიც დაიწყო და ვასიკომაც იარაღი აიღო ხელში. ერთიანად ძარღვი და კუნთი იყო, მგლის მუხლი ჰქონდა და ვეფხვის სიმარდე. ყველა ბრძოლაში წინა ხაზზე იდგა და ამის გამო უსაზღვროდ უყვარდათ თანამებრძოლებს.

**უნდოდა ეთქვა — ამჯერად მე წავალო, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ჯუბა ერთბაშად მოსწყდა სამალავს და ის იყო, წელში გასწორდა, რომ ამდენი ხნის მომლოდინე სნაიპერმა შიგ თავში დაახალა ტყვია. ბიჭი შექანდა, შეტორტმანდა და მოცელილივით დავარდა.**

— ვასიკო, შენზე ამბობენ, ნახევრად რუსიაო, ჩვენ კი რაც ომი დაიწყო ან ჩეჩნებს ვებრძვით, ან რუსს, არ გიჭირს?

— მე ნახევრად რუსი ვარ, მაგრამ არა ნახევრად ქართველი, ჰოდა, ვინც საქართველოს შემეცილება, არ დავზოგავ, ვინც გინდა იყოსო, — ჩაილაპარაკა და ცრემლი გაუკრთა თვალებში. მას შემდეგ ამგვარი რამ არავის უკითხავს. სამაგიეროდ, ერთხელ თვითონ წამოიწყო ამ თემაზე საუბარი.

— იცით, აი, ეს ნანგრევები, გორაკზე რომ შემორჩენილა, რუსული ყაზარმების ნაშთია. 1830 წელს აუშენებიათ რუსებს და ჯარიც ჩაუყენებიათ.

— ვინ გითხრა, ვასიკო, ეგ?

— ბაბუაჩემმა, სერგეი სტეპანიჩმა მიამბო, როცა ჩვენთან სტუმრობდა. ძალიან ამაყობდა, რუსებმა გადაგარჩინეთო ქართველები, ახლა კი ჩეჩნებთან ერთად გვიტევენ, ვერაფერი გამიგია, რატომ? რისთვის?

— დამთავრდება ომი და ყველაფერს გაიგებ, მაგრამ ფრთხილად იყავი, შვილო, ტყვიას ერიდე, — ხშირად მოძღვრავდა შენაერთში ყველაზე უფროსი ძია გიორგი, რომელიც მოწინააღმდეგის მხრიდან ნასროლი ყოველი ტყვიის შემდეგ ზეწამოიჭრებოდა და ბიჭს ეძებდა, ხომ არაფერი დაუშავდაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ძია გიორგის ვასიკომ თავისი ხელით გაუთხარა საფლავი. გულითაც დაიტირა და როცა გაგრა დაეცა, თავისი შენაერთის დარჩენილ წევრებთან ერთად დატოვა ქალაქი.

## მორევში

მთა-მთა, ტყე-ღრეში იხეტიალეს მთელი კვირა სოხუმისკენ მიმავლებმა და როცა თავი სამშვიდობოს დაიგულეს, ზურგიდან წამოეპარათ მტერი. 1993 წლის 16 სექტემბერი იდგა, მეორედ მოსვლის დღე. შეთხელებულ გაგრის ქართულ შენაერთს ფეხდაფეხ მიჰყვა მტერი და გუმისთის ქვემოთ, ხიდის მხარეს ნამდვილი სასაკლაო მოაწყო. ეს ის დროა, როცა ქართველების კუთვნილი მძიმე ტექნიკა ან გაყვანილია სოჭის აბსურდული ხელშეკრულების საფუძველზე, ან მათი საკეტები რუსების ხელშია, რაც დიდსულოვნად გადასცეს აფხაზებს. მანამდე კი სამანქანო გზა გაჭრეს ეშერიდან ზემოთ, ფუნიკულორისკენ. კარგი შეიარაღება და ცოცხალი ძალა ჰყავდა მტერს სოხუმის მეორე მხარესაც — ჭლოუში. ქალაქი ერთბაშად ალყაში აღმოჩნდა და ქართველები თითქმის ცარიელი ხელებით მოწინააღმდეგის პირისპირ აღმოჩნდნენ. მათ შორის იბრძოდა ჩვენი მოთხრობის გმირიც.

— დიდი ხანია, მინდოდა მეკითხა, მაგრამ ვერ გიბედავდი. მეც შენსავით უდედოდ გავიზარდე, მაგრამ ვიცი, რომ დედაშენი ცოცხალია, დროდადრო მაინც არ ეხმაურებით ერთმანეთს? — ბრძოლებს შორის შუალედში ჰკითხა თანამებრძოლმა და თანატოლმა ჯუბამ ვასიკოს.

— როგორ არა... — გულის ჯიბიდან ახალგაზრდა, ლამაზი ქალის ფოტო ამოიღო და მეგობარს აჩვენა, — კიდევ კარგი, დედაჩემი მაინც მეგულება სამშვიდობოს, — იცრუა ვასომ. ფოტო ისევ ჯიბეში ჩაიდო და მეგობარს გაეცალა. კარგად იცოდა ბიჭმა, რომ დედას ერთხელაც არ მოუკითხავს შვილი და მხოლოდ მამამ გაზარდა, რომელიც ავტოკატასტროფის შემდეგ ხუთი წელია, საწოლსაა მიჯაჭვული აქ, მამიდის სახლში. დღესვე მოინახულებდა, მაგრამ ვინ დააცლიდა. მართლაც, ცოტა ხანში გუმისთის მხრიდან ცეცხლის ისეთი წვიმა წამოვიდა, საფრიდან თავის გამოყოფასაც ვეღარ ახერხებდა ბიჭი. მდინარის გაღმიდან ნასროლ ჭურვებს ეშერიდან გამოტყორცნილი ბომბები აძლევდა ბანს და ირგვლივ ისეთი საცოდაობა ტრიალებდა, აშკარა იყო, აქეთა მხარეს მყოფთ გადარჩენის იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ. შიში არ დასტყობია ბიჭს. ის კი არა, ჯუბა როგორ მივატოვეო და ცეცხლის წვიმაში იმდენი მოახერხა, რომ მეგობრამდე მიხოხდა და მხრის შეხებით აგრძნობინა, შენ გვერდით ვარო.

— ვაზნები აღარ გვაქვს, — უთხრა ჯუბამ. ვასიკომ ჯიბეები მოიჩხრიკა. ოცდაათამდე ვაზნა დათვალა, შუაზე გაყო და ნახევარი მეგობარს მისცა. მერე დახოცილების ავტომატების რამდენიმე მჭიდიც მოიტანა.

— ხედავ, ჯუბა, ტანკები აამუშავეს. ხიდი დაზიანებულია და ალბათ ამ ხევით ამოვლენ ზემოთ. პირველ ტალღას თუ შევაჩერებთ, დანარჩენებს გზა ჩაეკეტებათ, — ჩაჰყვირა მეგობარს და წელიდან ხელყუმბარები შემოიხსნა, ჯუბასაც ორი ხელყუმბარა აღმოაჩნდა.

— არც ისე ბევრია, მაგრამ ერთი ტანკისთვის კმარა. აღარც მეთაურები ჩანან და აღარც ჯარისკაცები. ამ მონაკვეთზე ჩვენღა დავრჩით. ხელყუმბარებს ერთმანეთზე გადავაბამ და ხევში ჩავიპარები. ბუჩქნარი დამფარავს, ვერ დამინახავენ. მთავარია, ბრმა ტყვია არ მომხვდეს... ეს სნაიპერი მაინც ჩამოაგდოს ვინმემ. ეტყობა, სადღაც ხეზე ზის და ისვრის, მაგის დედა...

## სისხლი სისხლის წილ

იმავე წამს სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ ყური გაუგლიჯა ბიჭს.

— ხელყუმბარები აიღე და იქითა მხარეს გახოხდი. შეგვნიშნა მაგ დამპალმა, — უყვირა ჯუბას და მარცხენა ხელი ყურზე აიფარა, საიდანაც თქრიალით მოსდიოდა სისხლი. მოახერხა და ხეს ამოეფარა, მაგრამ ეს დიდი შეღავათი არ იყო. ამ დროს პირველი ტანკი დაიძრა, მდინარე გადმოკვეთა და პირდაპირ ხევს მისცა თავი. ტანკისტი ფრთხილად, მაგრამ თავდაჯერებულად მართავდა მანქანას. ნელი სვლით მიღოღავდა აღმართზე. მდინარის გაღმიდან მეორე ტანკიც დაიძრა. გაცლა სჯობდა, მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა. მთელი გულისყური ტანკისკენ მიეპყრო. კიდევ კარგი, ხის ამ მხარეს სნაიპერი ვერ ხედავდა. იქით, დახოცილების ახლოს, ხელყუმბარები შენიშნა და ის-ის იყო, გახოხება დააპირა, რომ ხევის შუაწელში, სადაც ტანკს უნდა გამოევლო, ჯუბა შენიშნა. ბიჭი ბუჩქებიდან გადმოხტა, ხის ტოტებში შემალული ნაღმები დააწყო და ისევ ბუჩქებში დურთა თავი. ვასიკოს გულმა სიხარულისგან ისეთი ბაგაბუგი მორთო, ბიჭმა იფიქრა, ამ სიკეთის დროს არ მიღალატოსო. იმარჯვა და სნაიპერის თვალწინ ავტომატისმჭიდეებიანად ხევისკენ გასხლტა, მაგრამ ვიდრე ბექობს ამოეფარებოდა, ორჯერ თუ სამჯერ ისე ახლოს ჩაუწივლა ტყვიამ, ლამის თავის ქალა ახადა. იმავე წამს ტანკის მუხლუხოებქვეშ დადებული ნაღმები აფეთქდა, მუხლუხის ჯაჭვი გაწყდა, ტანკი გვერდზე შებრუნდა და კინაღამ ამოყირავდა.

— ვაშაა!.. — ტაში შემოჰკრა ვასომ და ის იყო, წამოდგომას აპირებდა, რომ თითქოს ციდან ჩამოვარდაო, მის გვერდით ჯუბა აღმოაჩინა, გიჟივით დაეტაკა და ისე ჩაიკრა გულში, თითქოს საუკუნის უნახავი ენახოს.

წამით კი შედგა მეორე ტანკი, მაგრამ უმალვე პირველის ნაკვალევს მოჰყვა, ოღონდ მისი მძღოლი უფრო სწრაფად ირჯებოდა, მანქანაც ზედ დაზიანებულ ტანკთან მიაგდო, მერე კოშკურიდან ორი კაცი ამოძვრა და ბუქსირის ჩაბმას შეეცადა, მაგრამ აღარ აცალეს ვასომ და ჯუბამ. ცეცხლი გახსნეს და ორივე ჯარისკაცი მოკლეს. ერთხანს სიწყნარე ჩამოვარდა. ტანკის ლიუკი აღარ გახსნილა. სამაგიეროდ, ქვედა ლიუკი გაიღო და გავარვარებულ მზის შუქზე კიდევ ორი კაცის აჩრდილი დალანდეს ბიჭებმა — მანქანებს იფარებდნენ და ისე საქმიანობდნენ.

— შენ ჭრილობას მიხედე. ხელი არ მოიშორო, თორემ სისხლისგან დაიცლები, მე კი როგორმე იქით გავძვრები და იქიდან დავაყრი ტყვიას. თუ ავაცილე, ამ მხარეს გადმოინაცვლებენ და შენ უნდა იყოჩაღო.

ვასოს უნდოდა ეთქვა — ამჯერად მე წავალო, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ჯუბა ერთბაშად მოსწყდა სამალავს და ის იყო, წელში გასწორდა, რომ ამდენი ხნის მომლოდინე სნაიპერმა შიგ თავში დაახალა ტყვია.

ბიჭი შექანდა, შეტორტმანდა და მოცელილივით დავარდა. ვასო წამით გაშეშდა. ამ ბრძოლაში ის და ჯუბა ისე გაერთნენ, რომ სიკვდილზე არც უფიქრიათ. ახლა კი საკუთარი თვალით დაინახა მეგობრის სიკვდილი. ავტომატს დაავლო ხელი და სროლა-სროლით იქით გაქანდა, საიდანაც ჯუბას ესროლეს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გარბენა მოასწრო და სნაიპერის ტყვიამ მასაც უწია.

P. S. რუსი ჯარისკაცი ვიღაც ქალის ფოტოს დასცქეროდა, გარს თანამებრძოლები შემოხვეოდნენ. იქვე, ბუჩქებიდან შუახნის ქალი გამოძვრა. ოდესღაც ლამაზი უნდა ყოფილიყო, თუმცა სასმელს ერთიანად შეეცვალა მისთვის იერი.

— ვინ მოგცა, სად იყო ეს ფოტო? — ჰკითხა ხმის კანკალით ქალმა ჯარისკაცს.

— ცოტა ხნის წინ რომ დახოცე, იმ ორიდან ერთ-ერთის ჯიბეში ვიპოვეთ. რაო, იქითა მხარესაც მოასწარი საყვარლების გაჩენა? — დამცინავად ჩაეკითხა კაცი, მაგრამ ქალი მას აღარ უსმენდა. ცოტა ხანს დასცქეროდა ფოტოს, მერე მწარედ გაეღიმა, შაშხანას დასწვდა, გადატენა, ფეხსაცმელი ერთი გაქნევით მოისროლა, ნიკაპი შაშხანის ლულაზე დააბჯინა, ფეხის ცერა თითით სასხლეტს დააწვა და თანამებრძოლების ფეხებთან კეფაახდილი დავარდა.

***ვაჟა გავაშელი***

# „მთავარია, ერთმანეთის მოსმენა ვისწავლოთ“



## რუსუდან ლორთქიფანიძის „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“

დიპლომატიასთან საერთო მართლა არაფერი მქონდა. 6 წლის წინ პარლამენტის ახალგაზრდულ ჯგუფს, რომლის გადაწყვეტილებითაც გამოიწვიეს წინა ელჩი, უნდა შეერჩია ახალი კანდიდატურები. სწორედ მაშინ წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა... თბილისში რომ არ ვყოფილიყავი, შესაძლოა არც გავმხდარიყავი ელჩი.

ახალი ხელისუფლების რეფორმისტულმა ქარიშხალმა, ბოლოს და ბოლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელიც შეარყია და დღემდე ცოდნის ტაძრად წოდებულ უმაღლეს სასწავლებელში როინ მეტრეველის 13-წლიანი მმართველობა დასრულდა. ვინ იქნება ახალი რექტორი? ვინ შეძლებს ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ე. წ. რეფორმისტებსა და უნივერსიტეტის პედაგოგ-მეცნიერთა შორის სიამტკბილობის ჩამოგდებას? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს უახლოეს ორ თვეში უნივერსიტეტში რექტორის არჩევნების შედეგად მივიღებთ. მანამდე კი უკვე არსებობს ხელისუფლებისაგან წარმოდგენილი კანდიდატურა — იტალიაში უკვე საქართველოს ყოფილი ელჩი, ქალბატონი **რუსუდან ლორთქიფანიძე,** რომელიც 1-ელ ოქტომბერს უნივერსიტეტის პრორექტორად დაინიშნა და რომელსაც სავარაუდოდ, უზარმაზარი მისიის შესრულება მოუწევს. რა კრიტერიუმებით შეარჩია ქვეყნის უმაღლესმა პირმა რექტორის თანამდებობაზე ქალბატონი რუსუდანის კანდიდატურა, იმიტომ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ქალებს ანიჭებს თანამდებობრივ პრიორიტეტს? იქნებ იმიტომ, რომ უნივერსიტეტში ახლა სწორედ დიპლომატიური გამოცდილების რექტორი სჭირდება? ვინ არის რუსუდან ლორთქიფანიძე და რას ფიქრობს იგი თავისი ახალი პოსტისა და ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სფეროში შექმნილი მდგომარეობის შესახებ? ამ კითხვებზე ყოფილი ელჩი და, ჯერჯერობით, უნივერსიტეტის პრორექტორი თავად გვიპასუხებს:

**— ქალბატონო რუსუდან, ჩვენი საზოგადოება თქვენ თითქმის არ გიცნობთ, თუ შეიძლება თქვენ შესახებ ცოტა რამ გვითხარით.**

— დავიბადე და გავიზარდე თბილისში. დავამთავრე 53-ე საშუალო სკოლა, შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. მყავს მეუღლე, ასევე არქიტექტორი, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. ინსტიტუტის შემდეგ მოსკოვში ასპირანტურა დავამთავრე, იქ გატარებული ოთხი წელი ჩემთვის უაღრესად საინტერესო იყო. განებივრებული ვიყავი კარგი პედაგოგებით. ასპირანტურის შემდეგ მუშაობა დავიწყე პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა (დღეს ტექნიკური უნივერსიტეტი) და მეცნიერებათა აკადემიაში. გავიარე ყველა ეტაპი დოცენტიდან პროფესორამდე. 1993 წელს სადოქტორო დისერტაცია დავიცავი. მანამდე, სამი წლის განმავლობაში მოსკოვის არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის ინსტიტუტში ვსაქმიანობდი.

**— როგორც გავიგე, იტალიას ელჩობამდე გაცილებით ადრე გაეცანით.**

— 1982 წელს ახალგაზრდა პედაგოგების გაცვლის პროგრამით მოვხვდი რომის უნივერსიტეტში, „ლა საპიენცაში“, სადაც ვმუშაობდი თანამედროვე იტალიურ არქიტექტურაზე. ენა კი პერუჯის უნივერსიტეტში შევისწავლე. საინტერესო გარემო იყო — უამრავი უცხოელი: ახალგაზრდა, სტუდენტი, მეცნიერი, ხანდაზმული, ყველა ერთად სწავლობს იტალიურ ენას. მოგვიანებით იტალიის სხვადასხვა უნივერსიტეტში მიწევდა სამეცნიერო მუშაობა.

**— თქვენი საქმიანობა არაფრით არის დაკავშირებული დიპლომატიასთან. როგორ გახდით ელჩი?**

— დიპლომატიასთან საერთო მართლა არაფერი მქონდა. 6 წლის წინ პარლამენტის ახალგაზრდულ ჯგუფს, რომლის გადაწყვეტილებითაც გამოიწვიეს წინა ელჩი, უნდა შეერჩია ახალი კანდიდატურები. სწორედ მაშინ წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა... თბილისში რომ არ ვყოფილიყავი, შესაძლოა არც გავმხდარიყავი ელჩი.

ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა ელჩობა. ჩემი დის მეუღლე დიპლომატია და ეს პროფესია ჩემთვის მაინცდამაინც უცხო ხილი არ იყო. ძალიან ბევრი მასწავლა პრაქტიკულმა მუშაობამ. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ინტენსიური წლები.

**— როცა შეგატყობინეს, რომ უნივერსიტეტში მოგიწევდათ მუშაობა, რა განწყობა დაგეუფლათ?**

— დავინტერესდი. უნივერსიტეტის რექტორობა ელჩობაზე ნაკლებსერიოზული საქმე არ არის. და საერთოდ, სიახლის არ მეშინია.

**— გული არ გწყდებათ იტალიის დატოვების გამო?**

— რა თქმა უნდა, იტალია ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, მაგრამ საჭირო შეიქნა და უნდა დავტოვო. ამასთან, უკვე დავასრულე ელჩობა. 1-ელ ოქტომბერს დასრულდა საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის უფლებამოსილება იტალიაში. გახსოვთ „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, ამ კინოფილმს ჰგავდა 1-ელი ოქტომბერი. იტალია კარგია, მაგრამ მე ახლა ჩემს ქვეყანაში, ჩემს სახლში ვარ და თავს მშვენივრად ვგრძნობ.

**— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი წლის ბრძანდებით? თუ განათლების შესახებ კანონში ასაკობრივი ცენზი დაკანონდება, დიდხანს მოგიწევთ უნივერსიტეტში მუშაობა?**

— 57 წლის გახლავართ. მგონი, 8 წელი დამრჩა (ეცინება), ცოტა დრო არ არის. თუმცა, ჩემი აზრით, სამეცნიერო საქმიანობისთვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. რაც მეტი აქვს ცოდნა და გამოცდილება, მით უფრო ნაყოფიერად მუშაობს მეცნიერი. უდავოდ, მეცნიერ პედაგოგების შრომა უნდა დაფასდეს, მათი ანაზღაურება სამწუხაროდ მიზერულია.

იტალიაში ამბობენ — რამდენადაც კარგად არჩენს ინტელექტუალურ ელიტას, იმდენად ძლიერია ქვეყანაო. უპრობლემო ქვეყანა არ არსებობს. რეფორმები, პრივატიზაციის საკითხები ყველგან აქტუალურია. განათლება და მეცნიერება ქვეყნის მომავალს განაპირობებს და არ შეიძლება იგი ქვეყნის მმართველთა მუდმივი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენდეს. პრობლემები აუცილებლად მოგვარდება. მთავარია, ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა. ამით აღმოაჩენ, რომ თურმე არც ისეთი უცნაური და წარმოუდგენელია მეორე მხარის მოთხოვნები.

**— რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ, უმაღლესში მისაღები გამოცდების ახალი მოდელი?**

— ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით, ალბათ ეს საერთო კონსულტაციებით უნდა გადაწყდეს. იტალიაში ტესტით ინტელექტი მოწმდება, ანუ რამდენად აქვს აბიტურიენტს არჩეული პროფესიისთვის საჭირო ცოდნის მიღების უნარი. დასავლეთში ძალიან პრაგმატულები არიან. თუ მათთვის სწავლა მოწოდება არ არის, ამისთვის დროს არ კარგავენ. საკმაოდ ხანგრძლივი, 13-წლიანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტენ, რა სურთ მომავალში, კერძო სექტორში საქმიანობა თუ სწავლის გაგრძელება. მათთვის ხელის შემშლელი არ არის უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის უქონლობა.

**— თუ უნივერსიტეტის რექტორი (ამასთან, პირველი რექტორი ქალი) გახდებით, რომელი წინამორბედისგან აიღებთ მაგალითს?**

— მე ვიყავი პირველი ელჩი ქალიც საქართველოდან. რა თქმა უნდა, გავიზიარებ ყველა ჩემი წინამორბედის გამოცდილებას. ყველანი დაფასებული და პატივსაცემი ადამიანები იყვნენ. ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რომ ხალხის ნდობა დავიმსახურო. მე მიყვარს ადამიანები. მათი სიყვარული მეხმარებოდა დიპლომატიაში და ვიმედოვნებ, ამჯერადაც დამაძლევინებს სირთულეებს.

**— ქალბატონო რუსუდან, კარგია, რომ ასე ოპტიმისტურად უყურებთ ყველაფერს. იმედია, განათლებისა და მეცნიერების სფეროში, სადაც თქვენ ამიერიდან მოგიწევთ მუშაობა, ყველა პრობლემატური საკითხი მოგვარდება.**

— ქართველები ცნობილი არიან გონიერებით, ინტელექტითა და სწავლის სურვილით. ჩემი ელჩობის პერიოდში ხშირად მიწევდა ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან და სტაჟიორებთან მუშაობა. განათლების დონით ევროპულ თუ ამერიკულ სტანდარტებს პასუხობენ. ამიტომაც მჯერა, რომ განათლების სფეროში ყველაფერი მალე მოგვარდება.

*ეკა ლომიძე*

# რატომ შეცვალა სუფთა ვაზის ცრემლები წყალწყალა ღვინომ?

## პრობლემები, რომლებიც კახეთს მოსვენებას არ აძლევს

ვაზს უთქვამს თავისი პატრონისთვის — მომიარე და მოგივლიო. ისიც თავს ევლება თავის მარჩენალს. კარგად იცის, რაც უფრო გაირჯება, მით მეტად მოწყალე იქნება ვაზი. გლეხკაცი რის ვაი-ვაგლახით შოულობს დიზელის საწვავსაც, შესაწამლ ფულსაც და ნაფერებ-ნალოლიავები ვაზიც (თუ ბუნებამ არ გაწირა) პატრონს ამაგს უფასებს. წელს კახეთმა კარგი მოსავალი აიღო, მაგრამ რად გინდა, — ახალმა სატკივარმა იჩინა თავი. ღვინის ქარხნებმა თითქოს პირი შეკრესო, ყურძნის მიღებაზე უარი განაცხადეს. სიდინჯით განთქმული კახელი კაცი რომ გარეთ გამოვა და გზას გადაკეტავს, ესე იგი მართლა ძალიან უჭირს. გლეხი მწარე არჩევანის წინაშე დგას: მთელი წლის ნაოფლარი ან წყალს უნდა გაატანოს, ან კიდევ ჩალის ფასად მიჰყიდოს მეწარმეს.

ვითარების უკეთ გასაცნობად ყვარლის რაიონს ვესტუმრეთ და უშუალოდ გლეხებისგან მოვისმინეთ ყოველივე ის, რაც მათ აწუხებთ. „შვილო, ყოველ სისხამ დილას შინიდან გამოვდივარ და გზას გავყურებ, იქნებ ვინმე გამოჩნდეს და მითხრას, სადმე თუ იბარებენ ყურძენს. ღმერთის წყალობით ოქროსავით მოსავალი მოვიწიე, თანაც იმაზე მეტი, ვიდრე ჩემს ოჯახს სჭირდება და ჩამბარებელი კი არავინაა“, — შემომჩივლა ერთმა გლეხმა.

ყურძნის ჩაბარება წელს განსაკუთრებით გაჭირდება. თუ ადრე კახეთში ღვინის ქარხნებთან ყურძნით დატვირთული ავტომანქანების ლამის კილომეტრიანი რიგი იდგა, წელს კახეთში ასეთ სურათს ვერსად წააწყდებით.

**სევერ ჭაბაშვილი,** წნორის ცეკავშირის ღვინის ქარხნის დირექტორი: „ძალიან გვიჭირს, გამწარებული დავრბივართ და ფული ვერ გვიშოვია, რომ ყურძენი შევისყიდოთ. აი, ახლაც თბილისში მივდივარ, იქნებ ვინმე დაგვეხმაროს. მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაშია, სიღნაღის რაიონში არც ერთი ქარხანა ყურძენს არ იბარებს. არადა, მოსავალი კარგია, გლეხს კი ვერსად წაუღია ყურძენი. კარგი იქნება, მთავრობა შეღავათიან კრედიტებს მოგვცემდეს ყურძნის შესასყიდად. წინააღმდეგ შემთხვევაში, გლეხობა ამ ზამთარს მშიერი დარჩება. საქმე იქამდე მივა, რომ ვაზს გაკაფავენ და საზამთროს, წიწაკისა და პომიდვრის მოყვანას დაიწყებენ“...

ალბათ, კახელ კაცზე უკეთ არავინ იცის, რატომ დაეკარგა ფასი კახურ ღვინოს, რომ გლეხების თითქმის 90%-ს შარშანდელი ღვინიდან წვეთიც არ გაუყიდია. „ადრე თუ შაჰ-აბასი გვებრძოდა და გვსპობდა, დღეს სხვა ბევრ უბედურებასთან ერთად, სპირტითა და მჟავებით დამზადებული ღვინოები გვანადგურებს. ამხელა ზვრებით სავსე საქართველოს რა სჭირს საიმისო, რომ სპირტით დამზადებული ღვინო ვსვათ და ისიც ამერიკული სპირტით. მთელი საქართველო მაგ ვითომ ღვინით იჭყიპება. სუფთა ვაზის ცრემლები კი არავის უნდა“, — ამბობენ კახელები. თბილისში ე. წ. ელიავას ბაზრობასთან გავლისას ალბათ ბევრს მოუკრავს თვალი დიდი, დაახლოებით ორასლიტრიანი ლურჯი ფერის ბიდონებისთვის.

სწორედ ამ ჭურჭლით შემოჰქონდათ აშშ-დან სპირტი, რომლითაც ფალსიფიკატორები დღემდე აყენებენ წყალწყალა ღვინოს. კახელების თქმით, ამერიკული სპირტის ბიზნესს ის კაცი ედგა სათავეში, რომელსაც შევარდნაძის მთავრობაშიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პოსტი ეკავა და დღევანდელ ხელისუფლებაშიც დიდი თანამდებობა აქვს.

**თენგიზ ლომიძე,** ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის ღვინის ქარხნის დირექტორი:

„ფული რომ გვქონდეს, ყურძენს მივიღებდი, მაგრამ მერე ღვინის რეალიზაცია გვიჭირს. სად გავყიდო ამდენი ღვინო? ისევ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ქარხნებს მის გასაღებაში. დღეს ყველას ერთნაირად უჭირს — გლეხსაც და მეწარმესაც, ამიტომ მთავრობამ უნდა შეგვიწყოს ხელი, რომ ფეხზე დავდგეთ. შემიძლია გავრისკო და ჩავიბარო, თუ მეცოდინება, რომ ჩემს ნამდვილად კარგ ღვინოს მთავრობა შეისყიდის. დღეს ყველა ქარხანას ვენახები აქვს და ისინი აყენებენ იმდენ ღვინოს, რამდენიც ესაჭიროებათ. გლეხობას ამ კრიზისული მდგომარეობიდან უფული მეღვინე ვერ გამოიყვანს“.

როგორც ხედავთ, იქმნება მოჯადოებული წრე: გლეხი მეღვინეს ემდურება, მეღვინე კი მთავრობისგან ითხოვს თანადგომას. კახეთში ჩასულს უპურმარილოდ, ცხადია, არავინ გამოგიშვებს და აქვე მინდა შემოგთავაზოთ ერთ გამრჯე გლეხსა და ჩემ შორის გამართული დიალოგი. ძია ილომ ვაზის მრუდე ძირის სადღეგრძელო შესვა და თქვა: აბა სად არის სამართალი, მა ჩვენი წკრიალა ღვინო ათი შაური უნდა ღირდეს და მანდარინი ორი ლარი? — იკითხა მან. — ეგ ორი ლარი თბილისში ღირს ხოლმე, თორემ ადგილზე, იქაც იაფია-მეთქი, — შევუსწორე მე. — როგორც არ უნდა იყოს, შენ ყურძნის სარგებლობასა და მასზე დახარჯულ წვალებას მანდარინისას შეადარებ? ან ერთი ბოთლი „პივა“ ლარი უნდა ღირდს და ღვინო ეგრე იაფი? „პივით“ გადახდილი ლხინი თუ ჭირი გინახავს სადმე? — იწყინა ძია ილომ.

კახეთში არსებულ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით ჩვენ პრეზიდენტის რწმუნებულს, **პეტრე ცისკარიშვილს** ვთხოვეთ აზრის გამოთქმა.

— მოგეხსენებათ, მთავრობამ უკვე გადაწყვიტა თანხების გამოყოფა ღვინის ქარხნებისთვის, რათა მათ გლეხებისგან ყურძენი შეისყიდონ. თუმცა ეს იქნება მინიმალური დახმარება, რაც დღეისათვის შეუძლია სახელმწიფოს. სამაგიეროდ, ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება ფალსიფიცირების პრობლემა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 12)*





# რეგულაქსი®

იბრძანით თავი მსუბუქად და კომფორტულად!

სალეჭი ბრიკეტები და წვეთები ხანმოკლე გამოყენებისთვის ყაბზობის დროს

**რეგულაქსი – ბუნებრივი კომპონენტებისგან შექმნილი ბრიკეტები**

1 ბრიკეტი შეიცავს: 710მგ სინამაქის ფოთლების ფხვნილს, 300მგ სინამაქის ნაყოფის ფხვნილს, ქლიავის მუსს, ლეღვის პასტას და სხვა დამხმარე საშუალებებს.

**რეგულაქსი – წვეთები**

1მლ ხსნარი (20წვეთი) შეიცავს: 7,5მგ ნატრიუმის პიკოსულფატ-მონოჰიდრატს და სხვა დამხმარე ინგრედიენტებს.

- რეგულაქსის მიღება რეკომენდებულია საღამოს, ძილის წინ. ეფექტი ვლინდება 8-10სთ-ის შემდეგ.
- ინდივიდუალურად სწორად შერჩეულ დოზას წარმოადგენს ის დოზა, რომელიც იწვევს რბილი განავლის ფორმირებას.
- საფაღარათო საშუალებების მიღება შესაბამისი რეკომენდაციის გარეშე არ უნდა აღემატებოდეს 1-2 კვირას.

რეგულაქსი® საფაღარათო ბრიკეტები და წვეთები

კრეველ მოიზელბახი

გერმანია

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი



# რატომ შეცვალა სუფთა ვაზის ცრემლები წყალწყალა ღვინომ?

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*



სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უკვე შემოიტანა ლაბორატორიები, რომელთა დახმარებით ფხვნილებითა და მჟავებით დამზადებული ღვინოების დადგენა შეიძლება. ამ წუთებში კი, ჩვენი საუბრისას, თბილისის სავაჭრო ქსელებში, რესტორნებსა და ბაზრობებზე ტარდება რეიდი ფალსიფიცირებული ღვინოების ამოსაღებად. ყოველივე ეს თანდათან გაზრდის ღვინის ქარხნების მოთხოვნას ყურძენსა და გლეხის დაყენებულ ნატურალურ ღვინოზეც.

— **ეს მომავლის საქმეა... დღეს რა ოდენობით თანხებს გასცემთ ღვინის ქარხნებზე და რამდენად დროული იქნება იგი?**

— ბუნებრივია, სახელმწიფო თანხებს იმ ოდენობით ვერ გამოყოფს, რომ ქარხნებმა გლეხობა სავსებით დააკმაყოფილონ, ეს უკვე აღარ იქნება საბაზრო ეკონომიკა, ანუ დავბრუნდებით კომუნისტურ ეპოქაში. ამიტომ მეწარმეებს დახმარების პარალელურად, უნდა შევთავაზოთ საექსპორტო ბაზრებზე რაც შეიძლება სწრაფად გასვლა. რაც შეეხება ვადებს, ქარხნებს უკვე შეუძლიათ ხელშეკრულებების გაფორმება გლეხებთან და დაგვიანებული ანგარიშსწორების პრინციპით მათგან ყურძნის აღება.

— **საშუალოდ, რა ფასად შეისყიდიან ქარხნები კილოგრამ ყურძენს?**

— საბაზრო ფასი დაახლოებით 40-დან 50 თეთრამდე მერყეობს, რაც შარშანდელთან შედარებით 25-30%-ით მეტია.

— **გასაგებია, მაგრამ შარშანდელი ფასები საგრძნობლად განსხვავდება წლევანდელისგან, თუნდაც დიზელის საწვავი ავიღოთ, ამიტომ გლეხს კვლავწარმოებისთვის ფული აღარ რჩება...**

— დიზელის საწვავის ფასმა იმიტომ მოიმატა, რომ კონტრაბანდული საწვავი აღარ შემოდის... ფალსიფიცირებული ღვინო რომ აღარ იქნება, შესაბამისად, ყურძენზეც გაიზრდება ფასი. 40 თეთრი რა არის 1 კგ ყურძნისთვის, როცა სხვა ნებისმიერი ხილი სამჯერ და ხუთჯერ მეტი ღირს? წესით, სახელმწიფო არ უნდა ეხმარებოდეს მეწარმეებს ბიუჯეტის თანხებით. სახელმწიფო უნდა იბრძოდეს ფალსიფიცირებული პროდუქციის ალსაკვეთად, ქართული ღვინისთვის გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად რუსეთში, უკრაინაში და ა.შ...

უდავოდ, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ყველა ამ პრობლემას მოაგვარებს, მაგრამ ახლა, როცა ქვეყანა ე. წ. გარდამავალ საფეხურზეა, ხელისუფლებამ უნდა გამონახოს საჭირო რესურსები, როგორც გლეხის, ისე მეწარმისთვის მატერიალური თუ ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად. თორემ ნათქვამია, სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო.

P.S. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ვითარება იყო წელს ხორბლის მოსავლის აღებისას. ქართული ხორბალი თავისი თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება (თუ უკეთესი არ არის) შემოტანილს, მაგრამ, რატომღაც ჩვენი მარცვლეულით არავინ ინტერესდება. მეპურე ფერმერები დაღონებულნი დასცქერიან საცავებში გორებად დაზვავებულ მთელი წლის ნაწვალებს და ვეღარ გადაუწყვეტიათ, რა გზას დაადგნენ. „თუ ვინმე გამოჩნდება შესყიდვის მსურველი, ისეთ ფასს გვთავაზობს, რომ დანახარჯებსაც ვერ ანაზღაურებს, მომავალი წლისთვის თესლი რითღა შევიძინოთ ან მიწა რა სახსრებით დავამუშავოთ? — კითხულობენ ისინი. მადლობა ღმერთს, ყურძნისგან განსხვავებით, ხორბალს მოცდა შეუძლია, მაგრამ რამდენიმე თვეში საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყება და თუ ფერმერი ხორბლის რეალიზაციას ვერ შეძლებს, ცხადია, მომავალ წელს მისი მოყვანის არც ხალისი ექნება და არც შესაძლებლობა. ხოლო ის ადამიანები, ვის პირდაპირ მოვალეობაშიც შედის სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა და გლეხებისთვის დახმარების აღმოჩენა, რატომღაც მხოლოდ მაშინ ამოძრავდებიან ხოლმე, როცა უკვე საშველი არსაიდან არის“.

***მამუკა ხუციშვილი***






# „გლობალიზაციამ ეროვნული თვითმყოფადობის გაქრობა არ უნდა გამოიწვიოს“

კაცობრიობის ისტორია უხსოვარი დროიდან გაუთავებელი ომებითა და სისხლის ღვრით იწერებოდა. ერებს შორის განუწყვეტელი დაპირისპირებების პირობებშიც კი გამოჩნდებოდნენ ხოლმე კეთილი ნების ადამიანები, რომელთა მშვიდობიანი სიტყვა უფრო მძლავრად ჭრიდა, ვიდრე ბრძოლის ველზე მოლაპლაპე იატაგანი. სამშვიდობო დიალოგს ყველგან და ყოველთვის დიდი ფასი ჰქონდა, რადგან მხოლოდ მისი მეშვეობით ძალუძდა ადამიანს წინ აღდგომოდა გადაშენების საფრთხეს.

ცივილიზაციის მაღალ საფეხურებზე ასვლის შემდეგ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ადამიანი უფრო აგრესიული და უკარება გახდა. დიდი თუ პატარა საომარი კონფლიქტების ფონზე დედამიწა ერთ დიდ ნაღმს წარმოადგენს, რომელსაც უგუნური კაცობრიობის აგრესია სრულ კატასტროფას უქადის. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი წამყვანი სახელმწიფოები დღენიადაგ ამ პრობლემებს უტრიალებენ, ეძებენ საშიში ვითარებიდან თავდასაღწევ გზებს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. ზოგი ხსნის გზად გლობალიზაციას ასახელებს, ზოგი ურჩი სახელმწიფოების სამაგალითოდ დასჯას, ზოგიც დაპირისპირებული მხარეების მრავალკილომეტრიანი კედლებით იზოლირებას, მაგრამ ყველას ავიწყდება უმთავრესი — არსებობს უფალი და არსებობს ათი მცნება, რომელშიც წერია: — გიყვარდეს მოყვასი შენი!..



**„მისხალითაც არ ვაპირებთ ჩვენი სარწმუნოებისა და ეროვნულობის დათმობას“**

ქართველებს ერთმანეთთან გვიჭირს ხოლმე ამ მცნების აღსრულება, თორემ უცხოთა მიმართ ტოლერანტები და შემწყნარებელნი ვართ (მოყვარედ მოსულ უცხოელთან უნდა ვიყოთ კიდეც), ჩვენი ეს თვისება ლამის ყველა ერმა თავის თავზე გამოსცადა. შესაძლოა, ამიტომაცაა, რომ საქართველოში მოპატიჟებას ყოველთვის მზადყოფნით ეხმაურებიან უცხო ქვეყნების წარმომადგენლები.

30 სექტემბერს დაიწყო და ორი დღის მანძილზე გრძელდებოდა თბილისის საერთაშორისო ფორუმი „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“, რომელიც მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით ჩატარდა. ფორუმის მნიშვნელობაზე მიუთითებს ორგანიზატორთა სიმრავლეც და აქ წარმოდგენილი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

ფორუმის მუშაობაზე კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსის მოადგილეს **ზურაბ ცხოვრებაძეს**:

— როგორც ფორუმის სახელწოდებიდან ჩანს, საუბარი ძირითადად თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას — გლობალიზაციას და ცივილიზაციათა შორის დიალოგს შეეხო. ბევრი მიიჩნევს, რომ ცივილიზაციათა ურთიერთჰარმონიული თანაარსებობა შეუძლებელია და მათი შეჯახება გარდაუვალია. თბილისის ფორუმის მთავარი მიზანი ის იყო, რომ გაგვებათილებინა ეს მოსაზრება. კავკასია ოდითგან სხვადასხვა ცივილიზაციის მშვიდობიანი თანაარსებობის ნავსაყუდელი იყო. საქართველო კი კავკასიის გულია, სადაც არასოდეს ეშლებოდათ მშვიდობასა და აგრესიას შორის ჭეშმარიტი არჩევანი.

— **გლობალიზაცია ბევრში შიშსა და გაურკვევლობას იწვევს. მასობრივი საპროტესტო გამოსვლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ამის დასტურია. ქართველებმა რა პოზიცია უნდა დავიკავოთ?**

— რა თქმა უნდა, არსებობს შიში, რომ გლობალიზაციამ ეროვნული და რელიგიური თვითმყოფადობის გაქრობა არ გამოიწვიოს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი სახე და ტრადიციები შევინარჩუნოთ. ინტეგრაციის პროცესი ამ კუთხით უნდა წარიმართოს და ჩვენი როლიც მასში, უპირატესად, ამ თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში მესახება.

— **ალბათ, თბილისი შემთხვევით არ აურჩევიათ ფორუმის ჩატარების ადგილად.**

— ამით საქართველომ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის გახსნილია ყველანაირი სამშვიდობო დიალოგისთვის და დაინტერესებულია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შესწევს იმის უნარი, რომ ისაუბროს იმ პრობლემებზე, რაც დღევანდელ სამყაროს აწუხებს და ამავე დროს დაიცვას თავისი ძირეული, ფუნდამენტური ღირებულებები. თბილისის არჩევა ფორუმის ჩატარების ადგილად სწორედ ამით იყო განპირობებული. საქართველოს აქვს უნიკალური საუკუნეობრივი გამოცდილება, რათა იტვირთოს მშვიდობისმყოფელის მისია, რადგან იგი ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით და შემწყნარებლობით. ეს ძალიან იშვიათი ფასეულობაა და შეგვიძლია არა მარტო ვუთხრათ სხვებს, რომ ასეთები ვიყავით ოდითგან, არამედ გარკვეულად, გამოცდილებაც გავუზიაროთ მათ, თუკი, რა თქმა უნდა, ისინი ამას ისურვებენ.

საქართველოს საპატრიარქომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ყოველთვის მზად არის მის ხელთ არსებული შესაძლებლობებით ხელი შეუწყოს კეთილი ნების დიალოგს სხვადასხვა ცივილიზაციას შორის, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენ მისხალითაც კი არ ვაპირებთ ჩვენი სარწმუნოების, ეროვნულობისა და ტრადიციების დათმობას. ეს ფორუმიც ერთგვარი გამოცდილება იქნება ჩვენთვის, თუ როგორ მოვახერხოთ ახალ ვითარებაში ჩვენი ადგილის ისე შენარჩუნება, რომ გლობალიზაცია იქნება თუ ნებისმიერი სხვა პროცესი, შესაძლო საფრთხე თავიდან ავიცილოთ.

***ზვიად სეხნიაშვილი***



# რას გვეტყვი, მამაო?

— **ხშირად გამიგია მფარველი ანგელოზისა და მფარველი წმინდანის შესახებ. მაინტერესებს, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?**

— მფარველი ანგელოზი ადამიანს ღვთისაგან ნათლობის დღეს დაედგინება, ჩვენ მათი სახელები არ ვიცით. მფარველი ანგელოზი მუდამ თან სდევს ქრისტიანს, მფარველობს სიკეთეში და მწუხარებს ადამიანის ცუდი საქციელის გამო. მფარველი ანგელოზი მიევლინება ოჯახსაც, თუ ის ქრისტიანული წესითა და სიყვარულით ცხოვრობს.

წმინდანები კი ის მოღვაწენი არიან, რომელნიც თავიანთი მოწამებრივი აღსასრულისა და ქრისტიანული მოღვაწეობის გამო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. მფარველ წმინდანს ადამიანი ირჩევს მოძღვრის რჩევითა თუ საკუთარი სურვილით. რადგან მფარველი წმინდანები უმთავრესად ადამიანის მოსახელენი არიან, რამდენიმე თქვენი მოსახელე წმინდანიდან შეგიძლიათ აირჩიოთ და მფარველობა სთხოვოთ იმ წმინდანს, რომელიც თქვენს დაბადების დღესთან ახლოს მოიხსენიება. თუმცაღა მფარველობა ასევე შეგიძლიათ შესთხოვოთ ნებისმიერ სხვა წმინდანსაც.

— **ვიცი, რომ სამშობლოს დაცვის დროს მტრის მოკვლა ცოდვად არ ითვლება. რა განაპირობებს ამას?**

— სამშობლოს უფალი გვაძლევს. მისი სამსახური ყოველგვარ საკუთარ ამბიციაზე მაღლა უნდა იდგას. როცა ადამიანი ომში ქვეყნის დასაცავად მიდის და არა პირადი ამბიციური ინტერესით, როცა კაცის კვლა გაბოროტებული სულის მოთხოვნილება კი არა, იძულებითი ქმედებაა, როცა თავს მოყვარესა და მამულს სწირავს, ეს უკვე ქრისტიანული სათნოებაა. ამიტომაც ეკლესია სამშობლოს დაცვისას მეომრისაგან ადამიანის იძულებითი მოკვდინების ცოდვას თავის თავზე იღებს და შესთხოვს უფალს, ეს ცოდვა შენდობილი იყოს.

— **მარხვის შენახვა და აღსარების თქმა არ მიჭირს, მაგრამ არ ვიცი, საჭიროა თუ არა წვრილმან შეცოდებებზე საუბარი... გთხოვთ მირჩიოთ როგორ მოვიქცე.**

— უპირველესად გირჩევთ ამის შესახებ თქვენს მოძღვარს გაესაუბროთ. ეს საუბარი გაურკვევლობას აგარიდებთ. ზოგადად კი გეტყვით, რომ სასურველია, აღსარების წინ ყურადღება მიაქციოთ თქვენი სულის მოძრაობას, ანუ მოძღვარს გაანდოთ ის, რაც ტაძარში მოსვლისას ყველაზე მეტად გაწუხებთ და გაშფოთებთ. როცა ადამიანი წვრილმან ცოდვებზე ამახვილებს ყურადღებას, ბუნებრივია, უმთავრესი ცოდვების წარმოთქმა ავიწყდება. გირჩევთ აღსარების წინ საკუთარ თავს ჩაუღრმავდეთ და იმაზე იფიქროთ, რომ ყოველი მცდარი ქმედება ურწმუნოების, ეკლესიისაგან დაშორებისა და მოყვასის უსიყვარულობისგან მოდის. თუ ამ მთავარ შეცოდებებს მოინანიებთ, მათგან გამომდინარე წვრილმანი ცოდვებიც მოგშორდებათ.

— **ვარ მართლმადიდებელი. ჩემს გრიგორიანელ ცოლს სურს ბავშვი გრიგორიანელს მონათვლინოს, დასაშვებია თუ არა ეს?**

— კითხვაში დაზუსტებული არ არის, სად გულისხმობთ ბავშვის მონათვლას — გრიგორიანულ თუ ქრისტიანულ ტაძარში. თუკი დედა მართლმადიდებლურ ტაძარში, მოძღვრის ფარულად, ბავშვს გრიგორიანელს მონათვლინებს, ეს მკრეხელობა იქნება. გრიგორიანელის მონაწილეობა ნათლობაში, მართლმადიდებლური ნათლობის საიდუმლოს უარყოფას ნიშნავს. თუ ბავშვის დედამ გადაწყვიტა შვილი გრიგორიანულ ტაძარში გრიგორიანელ ნათლიას მონათვლინოს, ამ შემთხვევაში პატარა სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი გახდება. შეეცადეთ, მეუღლე დაარწმუნოთ, რომ ასეთი ნათლობა თქვენს შვილს წინაპრების რწმენისაგან დააშორებს და საყრდენს დაუკარგავს. თუ ამას ვერ შეძლებთ, ილოცეთ პატარისათვის. უფალი არ დაკარგავს თავის შვილს და ოდესმე ჭეშმარიტებას თვითონვე მოძებნის.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე***

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— არ გახსოვთ? ერთხანს თბილისშიც იყო, რუსთავში კი ვიცი, რომ საშინელი მდგომარეობაა...**

— რას მეუბნებით, რუსთავშია საშინელი მდგომარეობა?

**— დიახ.**

— ახლავე მოვხსნი „რელასის“ დირექტორს, თუ მართლა ასეა (მინისტრი რუსთავის მერს, მერაბ ტყეშელაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც უთხრა, — დღეს მხოლოდ 2 საათით გამოირთო ელექტროენერგიაო. არადა, დილის 9 საათიდან 14 საათამდე უდენობა საკუთარ თავზე ვიწვნიე. მერთან საუბრის შემდეგ ნიკა გილაურმა „რელასის“ დირექტორის მოხსნა რატომღაც გადაიფიქრა და საუბარი გავაგრძელეთ. — ი.რ.). თბილისში მხოლოდ ერთხელ იყო შეზღუდვა, როდესაც ორი ანძა აფეთქდა და ამას ენგურჰესის ორი აგრეგატის დაზიანებაც მოჰყვა. მაშინ იყო, რომ სამი დღით გამოირთო გლდანი და მუხიანი, ისიც დღეში 2-2 საათით.

**— ბატონო ნიკა, როგორც ვხედავ, რაღაც-რაღაცებს არ გეუბნებიან. რა ხდება, ინფორმაციას გიმალავენ?**

— ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი. თბილისის ელექტრომომარაგებაზე ვერავინ ვერაფერს იტყვის. რუსთავში კი იყო პრობლემები და მალე ყველაფერი გაირკვევა. სექტემბერში ორკვირიანმა აცივებამ ელექტროენერგიის ხარჯი მოულოდნელად გაზარდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, სექტემბერში შეგვენახა ენგურჰესის წყალი, რათა ზამთარს უკეთ შევხვედროდით. ერთი სიტყვით, ენგურჰესზე წყლის დონის შენარჩუნებას ვცდილობთ. 1-ელ ოქტომბერს მე-9 ბლოკი ჩაირთო და ესეც გამოასწორებს ამ ზამთრისთვის მდგომარეობას.

**— რეგიონებში იყო ე. წ. „მცირე ლიცენზიანტი“ ფირმები, რომლებიც გარკვეული საზღაურის ფასად მოსახლეობას უწყვეტ დენს აწვდიდნენ. ე. წ. კომერციული სადენები სამინისტროში თქვენი მოსვლის შემდეგ ჩაიჭრა. ხალხი კი იმ დროს მისტირის, როდესაც ძვირს იხდიდა და სინათლე ჰქონდა.**

— ე. წ. კომერციული დენი, სინამდვილეში, ქართული დენი იყო. მცირე ლიცენზიანტები გარიგებული იყვნენ დისპეტჩერიზაციის, გადაცემისა და განაწილების სამსახურებთან და მიზანმიმართულად აბნელებდნენ ქალაქს. ერთ ქუჩას გააჩახჩახებდნენ და ამბობდნენ — სახელმწიფო სექტორში დენი არ არის, ჩვენ კი გვაქვსო. აგროვებდნენ საუკეთესო გადამხდელებს, ართმევდნენ 100 დოლარს და შემდეგ აძლევდნენ დენს. გარიგების შედეგად მათი კომპანიის მრიცხველზე გაცილებით ნაკლები ოდენობით დენის დანახარჯი ფიქსირდებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მოსახლეობისგან ამოღებულ ფულს კი იჯიბავდნენ. ამან შექმნა მთელ საქართველოში ენერგეტიკული კრიზისი. თანხები, რომლებიც ჰესების ქსელებს, ქვესადგურებს, დისპეტჩერიზაციასა და თანამშრომლების ხელფასებს უნდა მოხმარებოდა, ადგილობრივი ლიცენზიანტების ჯიბეში მიდიოდა.

# „ვინც დენს მოიპარავს, პასუხისგებაში მიეცემა“







სანამ მინისტრი ვარ, მცირე ლიცენზიანტების მუშაობა არ აღდგება.

**— რუსული კომპანიები გაზის სფეროშიც ცდილობენ შემოსვლას. რამდენად კარგი და უსაფრთხო პარტნიორია რუსეთი, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობას?**

— ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ თუ გონივრულად მოვიქცევით, რუსიც კარგი პარტნიორი იქნება, ჩინელიც, თურქიც, აზერბაიჯანელიც, სომეხიც, ამერიკელიც და იაპონელიც. პარტნიორს როგორც მოველაპარაკებით, საკუთარ პოზიციას როგორც დავიცავთ, ისე წავა საქმე.

**— ანუ „თბილგაზს“ ვაძლევთ რუსებს?**

— ჩემზე უკეთ ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტრო მოგაწვდით ინფორმაციას. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ შემოვა „თბილგაზში“. თუ ხელშეკრულებაში ისეთი პირობები ჩაიწერება, რომელიც არ დააზარალებს მოსახლეობის ინტერესს, ამ ქსელს აღორძინებს და განავითარებს, თუ არ გაიზრდება ტარიფი და ხელშეკრულებაში ისიც ჩაიწერება, — თუ რომელიმე პირობა დაარღვია, სახელმწიფოს ინვესტორის გაშვება შეუძლიაო, სულერთია, ვინ შემოვა.

**— ცნობილია, რომ ენერგეტიკაში ყოველთვის დიდი კორუფცია იყო, თქვენ რას შვრებით, უმკლავდებით თუ თქვენც...**

— ჯერჯერობით, ვებრძვი. ენერგეტიკაში ყველა რგოლში კორუფცია იყო — დაწყებული ინკასატორიდან სულ ზემოთ... მოსახლე ინკასატორს აძლევდა ფულს. მას ფული დირექტორთან მიჰქონდა, დირექტორს ენერგობაზარში, ენერგობაზრიდან ფული ჰესში მიდიოდა, იქიდან ენერგოსისტემაში... გარდა ამისა, იყო ფულის კეთების სხვადასხვა ვარიანტი და სქემა. დღეს თამამად შემიძლია განვაცხადო — ამ რგოლების დაახლოებით 80% კორუფციისაგან გაწმენდილია. კომპანიები ერთმანეთთან ფულს აღარ ატრიალებენ და სექტორში შემოსული ფული მთლიანად ენერგეტიკაზე იხარჯება. ჯერჯერობით, ვერ ვაკონტროლებთ ინკასატორისა და მობინადრის გარიგებებს. თუ მობინადრე ინკასატორს „ლევ“ ფულს არ მისცემს, კორუფციის ხარისხი ძალიან შემცირდება.

**— როგორ პროგნოზს გააკეთებთ, ამ ზამთარს დენი გვექნება?**

— საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გვექნება. ელექტროენერგიის მომარაგების მხრივ პრიორიტეტი ექნება თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, ზუგდიდსა და ბათუმს. დედაქალაქს 24-საათიანი ელექტრომომარაგება ექნება, დანარჩენებს 18-საათიანი დღე-ღამეში; ანუ დაახლოებით 6-საათიანი შეზღუდვა იქნება.

დანარჩენ რეგიონებში კი გვინდა 8-საათიანი გრაფიკი მაინც დავაწესოთ. მათ დილით 3 და საღამოს კი 5-საათიანი მიწოდების გრაფიკი ექნებათ.

**— იყო დრო, როდესაც მწვავე ენერგეტიკული დეფიციტის დროს ელექტროენერგია საქართველოდან იყიდებოდა...**

— ვერაფერს ვიტყვი ამის თაობაზე, რადგან დამამტკიცებელი დოკუმენტაცია არ მინახავს. ისე, რა თქმა უნდა, მეც მსმენია ამაზე. მთავარი ისაა, რომ დღეს დენი აღარ იყიდება. შემთხვევით გადინებებს კი ვერაფერს ვუხერხებთ. ვგულისხმობ, აფხაზეთიდან, ქართული მხარის მიერ უკონტროლო ტერიტორიიდან ელექტროენერგიის გადინებას.

**— რაკი აქაურ ენერგეტიკაში რუსები „ბატონობენ“, არ გეშინიათ ჟირინოვსკისნაირების? ხომ გახსოვთ მისი მუქარა — საახალწლოდ დენს და გაზს გამოგირთავთო.**

— ჟირინოვსკის რამეს რომ ეკითხებოდნენ, პრეზიდენტი იქნებოდა. მის ნათქვამს სახელმწიფოს პოზიციად ვერ ჩავთვლით.

**— მოსახლეობას რას ეტყოდით?**

— მოსახლეობას ვთხოვ, არ მოიპაროს გადასახადი; გაზის ინკასატორი რომ მოვა, არ ჩამოაყრევინოს მაჩვენებელი და გადაიხადოს მოხმარებული აირის საფასური. რაღა ინკასატორს აძლევს ფულს და მის ჯიბეს ასქელებს, ოფიციალურად გადაიხადოს. ის თანხა ისევ თქვენს სასიკეთოდ დაიხარჯება. სხვათა შორის, მხოლოდ თხოვნას არ დავჯერდებით. სისხლის სამართლის კოდექსში შეგვაქვს მუხლი, ვინც დენის ანგარიშს მოიპარავს, პასუხისგებაში მიეცემა(!). ჩემი მხრივ კი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმ პირობას დავიცავ, თუმც 2-3-საათიანი გათიშვები ფორსმაჟორულ სიტუაციაში არ უნდა გაგიკვირდეთ. ვერც ავარიებსა და დივერსიებზე ვიტყვი წინასწარ ვერაფერს.

**— ამას წინათ, მიშა მაჭავარიანმა გაგკიცხათ — ამ კაცს ქართული ვერ გავაგებინე, იმდენი ინგლისური კი მე არ ვიცი, რომ ავუხსნაო. სახელისუფლებო გუნდში ალმაცერად ხომ არ გიყურებენ?**

— ცუდი დამოკიდებულება არავისგან მიგრძნია.

**— ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გეთქვათ — ნეტავი აქედან წამიყვანაო.**

— ჯერჯერობით არ მიფიქრია წასვლა, თუმცა ვაღიარებ, აქ ძალიან ძნელია მუშაობა.

P.S. მართალია, ნიკა გილაურმა მითხრა, რუსთავში მხოლოდ 2-საათიანი შეფერხება იყოო, მაგრამ ბატონო მინისტრო, თქვენთან ინტერვიუს შემდეგ ქალაქი კვლავ ჩაბნელებული დამხვდა. ასევე არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ როგორც წინა წლებში, ახლაც ხდება დენის მიტაცება და ე.წ. სადენებზე „ჩამოკიდება“, სხვათა შორის, დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზეც კი და ნურავინ იტყვის, ვერ ვხედავთო...

***მარი ზანდუკელი***


კავკასიის აკადემიური ცენტრი
CAC (სი ეი სი)
აცხადებს მიღებას
ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრატურის პროგრამაზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის /MBA/ საერთაშორისო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტთა მომზადება ბიზნესის წარმატებით მართვისათვის აუცილებელი ცოდნით, ჩამოუყალიბოს მათ ლიდერობისა და ხელმძღვანელობის, გადაწყვეტილების მიღებისა და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები.

ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო პროგრამას კავკასიის აკადემიური ცენტრი CAC (სი ეი სი) ახორციელებს გერმანიისა და აშშ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი. კურსდამთავრებულებს შესაბამისად მიენიჭებათ მაგისტრის ხარისხი. მაგისტრატურაში სწავლის განმავლობაში სტუდენტი გაივლის სრულ კურსს თანამედროვე ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში.

MBA პროგრამა მოიცავს 2 ძირითად მიმართულებას:

- ფინანსური მენეჯმენტი
- მარკეტინგის მენეჯმენტი



პროფესიონალიზმი, რომელიც დღევანდელ დღეს გვჭირდება!

[illegible]

UNIVERSITY CAC Caucasus Academic Centre

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
ტელ. 25-17-30; 29-40-80
ვებ. გვერდი www.cac.edu.ge; ელ.ფოსტა cac@gol.ge





# ვინ აიარაღებს

*ბესლანში ტყვედ აყვანილმა ტერორისტმა კულაევმა დაკითხვაზე აღიარა, რომ ჩეჩნეთის ბანდები კბილებამდე არიან შეიარაღებულნი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მხოლოდ „ბოევიკებისთვის“ მუშაობს. და მაინც, საიდან ჩნდება ეს იარაღი?*




## დუდაევსა და მასხადოვს მოსკოვი ამარაგებდა

საბჭოთა კავშირის დაშლისას ჩეჩნეთში დისლოცირებული იყო სამხედრო სასწავლო ცენტრი, შინაგანი ჯარების პოლკი, საავიაციო სასწავლო პოლკი და ათეულობით იარაღის საწყობი. 1992 წელს, როცა ჩეჩნეთში სეპარატიზმი მომძლავრდა, მოსკოვმა იარაღის გატანა გადაწყვიტა, მაგრამ დუდაევის დაჟინებით იარაღის მეტი წილი ჩეჩნეთში დარჩა. 1994 წლის ნოემბერში ჩეჩნეთის პრეზიდენტის სასახლეზე უნიჭო და უშედეგო შეტევის შედეგად დუდაეველებს საბრძოლო ტექნიკა უხვად ერგოთ. „ჰასავიურტის ხელშეკრულების“ შემდეგ, 1996 წლის ზაფხულში მოსკოვმა მასხადოვთან მეგობრობა გადაწყვიტა და იჩქერიის პრეზიდენტს იარაღისა და ტყვია-წამლის დიდი პარტია მიაწოდა. გარდა ამისა, პირადად მასხადოვს მოსკოვისნომრებიანი მსუბუქი შეჯავშნული ავტომანქანა და 2 მლნ დოლარი უფეშქაშა. მაგრამ მეგობრობა ყინულზე ნაწერი გამოდგა და 1999 წელს 30 ათასი „ბოევიკი“ დაღესტანში შეიჭრა. დაიწყო „მეორე“ ომი, რომელიც კონტრტერორისტულ ოპერაციად გადაიზარდა და დღემდე გრძელდება.

## „ღია კარის დღე“ სამხედრო საწყობში

მართალია, ჩეჩენ „ბოევიკებს“ დროდადრო იარაღი შემოაკლდებოდათ ხოლმე, მაგრამ არსენალის შევსებას დიდი ჯაფა არ სჭირდებოდა — ფული და მისი ჯანი! რუსეთის არმიის საწყობებიდან ბანდფორმირებები დაუბრკოლებლად ყიდულობენ არა მარტო ავტომატებსა და პისტოლეტებს, არამედ საზენიტო რაკეტების კომპლექსებს „იგლას“ და „სტრელას“. სანგრების და შტაბების „ბიზნესმენებს“ ასეთი განუკითხაობა ხელს აძლევთ. გენერალმა ალექსეი ვერბიცკიმ აღიარა, სპეციალური საინჟინრო მოწყობილობა — განმნამღველი დანადგარებიც კი იყიდებაო. იპარავს და ყიდის ყველა — ჯარისკაცით დაწყებული — მაღალჩინოსნით დამთავრებული.

ბანდიტების იარაღის ექსპერტიზამ ცხადყო, რომ მათ ახალ-ახალი იარაღიც არ აკლიათ. გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიარაღების 30%-ს ბოევიკები რუსული სამხედრო საწყობებიდან იღებენ.

## „მოძმე რესპუბლიკების“ დახმარება

უკვე დასაბუთებულია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანში არიან ძალები, რომლებიც უხვად ამარაგებენ იარაღით თავისუფლებისაკენ „მიმავალ“ ჩეჩენ სეპარატისტებს. სპეციალისტების მტკიცებით, საბჭოური წარმოების იარაღი ლაგოდეხიდან მოვიდა, დანარჩენი „ამანათი“ აზერბაიჯანს ეკუთვნოდა. ამას წინათ, ჩვენმა დაზვერვამ მოიპოვა ცნობები იმის შესახებ, რომ „ბოევიკები“ საქართველოს ტერიტორიიდან აპირებენ საზენიტო სარაკეტო კომპლექსების „სტინგერის“ კიდევ ერთი პარტიის გადმოსროლას. სწორედ ასეთი იარაღით ამარაგებს ქართულ არმიას აშშ. მოხერხებული ქართველები კი ამ „ჰუმანიტარულ დახმარებას“ ტერორისტებს ხელსაყრელ ფასად სთავაზობენ.

აზერბაიჯანში „დისლოცირებული“ ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაცია „ალ-ჰარამეინის“ ფილიალი მალულად აფინანსებს ჩეჩნებს და მათ დაქირავებულ რაზმებს.

***კომსომოლსკაია პრავდა***

# ტყუილის თქმასაც ნიჭი

გასული კვირის ოთხშაბათს **ენ-ტე-ვემ** [illegible] დოებას წარუდგინა დოკუმენტური ფილმი [illegible] მელსაც ერქვა საალერსო სახელი „მიშა“. [illegible]გრამაში არავითარი ანონსი არ ყოფილა და ვიფიქრეთ, ალბათ ისევ ხოდორკოვსკიზე ან, უკიდურეს შემთხვევაში — „ოლიმპიურ მიშაზე“ იქნებაო. აბა, სხვას ესოდენ ფამილიარულად როგორ შეჰბედავდნენ მიმართვას „ტელედიდოსტატები“?

მაგრამ ფილმი თურმე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე იყო. აბა, იფიქრეთ, ჩვენს პრეზიდენტზე საქართველოში ფილმი რომ შეექმნათ და „ვოვა“ დაერქმიათ, რა მოხდებოდა! ვერ წარმოიდგინეთ, არა? იმიტომ, რომ ჩვენი პრეზიდენტი ძალზე დადებითი ფიგურაა, საქართველოსი კი — მეტისმეტად საეჭვო? სწორედ ამაში უნდა, რომ დაგვარწმუნოს „ინფორმაციამ განსჯისათვის“, რომელიც ახლავს ფილმს საქართველოს ლიდერზე.

თბილისელი ყმაწვილი კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში სწავლობდა. საკვირველია, როგორ მოხვდა თბილისის ინტელიგენტური ოჯახიშვილი ამ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში? — კითხულობს მთხრობელი და განაგრძობს, რომ კიევში სწავლისას სააკაშვილი არაფერს იკლებდა, გოგონებთანაც მეგობრობდა, რისთვისაც კინაღამ კომკავშირიდან გარიცხეს. საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა კიევშივე გაიცნო ვიქტორ იუშჩენკო და სხვები, ვისაც დღეს მტკიცე ანტირუსული პოზიციები უჭირავთ(!). მუშაობდა აშშ-ში, აი ეს კი ყურადსაღები გახლავთ — „მიშას“ მხურვალედ უჭერდნენ მხარს სოროსის ფონდი და დასავლეთის სხვა ფონდები. აი, ახლა კი ცხადია, რომ სწორედ მათ დაგეგმეს „ვარდისფერი“ გადატრიალება და ერთადაც დადგეს ეს სპექტაკლი, — მრავალმნიშვნელოვნად ასკვნის დიქტორი, — კიდევ ერთი შტრიხი „გმირის“ პორტრეტისათვის — ამსტერდამელი ქალიშვილი, რომელიც შემდგომში მისი მეუღლე გახდა.

მთხრობელი აგრძელებს: „მიშა“ ჯერ შევარდნაძის მომხრედ ასაღებდა თავს, შვილსაც მისი სახელი — ედიკი დაარქვა, მერე კი ხელის აუკანკალებლად ლახვარი ჩასცა ზურგშიო, ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერ მასხადოვის დოსტიაო. ამის თქმაზე კადრში მასხადოვი ჩნდება. ამბობს: — „მე ვიცი, რაც არის რუსეთი და როგორ უნდა შეეწინააღმდეგო მას“. და კვლავ „ინფორმაცია განსჯისთვის“: „უკვე აშკარად დასტურდება ვერსია, რომ ტერორისტები ბესლანში პანკისიდან შემოვიდნენ“. დაბოლოს, ფილმის აპოთეოზი — როგოზინის გამონათქვამი საქართველოს პრეზიდენტზე: „ამ ჭაბუკს გვამებზე გადაბიჯება შეუძლია. აშკარაა, ფსიქიკა დარღვეულია“.

ჩვენ არ ვიცნობთ სააკაშვილს და არაფერი [illegible] მისი ფსიქიკის შესახებ, მაგრამ აშკარაა, [illegible] ტელევიზიას მარტო ფსიქიკა კი არ აქვს დარღვეული, არამედ ეთიკის ელემენტარულ წესებსაც ვერ იცავს. ისიც ნათელია, რომ ეს ფილმი შეკვეთილია — მტრის ხატის შესაქმნელად არის შეკოწიწებული, ასე რომ არ იყოს, რუსეთის ტელევიზიის არც ერთ არხზე არასოდეს გაუშვებდნენ. ამგვარი ფილმის ჩვენება სხვა არაფერია, თუ არა ისედაც დაძაბული სახელმწიფოებრივი ურთიერთობების შეგნებულად გამწვავება, პოტენციური მოკავშირეებისა და პარტნიორების სერიოზულ მოწინააღმდეგეებად გადაქცევა. გვინდა ეს ჩვენ? გვაკლია ნამდვილი მტრები?

„მტრის ძიებას“ სერიოზულად შეუდგა ეთერში დაბრუნებული გადაცემა „ვრემენა“ და მისი წამყვანი ვლადიმირ პოზნერი. მან პუტინის ნათქვამის — „ჩვენ სისუსტე გამოვიჩინეთ, სუსტებს კი სცემენ. მავანს უნდა მსუყე ნაჭერი ჩამოგვაჭრას, სხვები კი ამაში ეხმარებიან“ — ციტირების შემდეგ სტუდიის სტუმრებს მეტად მტკივნეული კითხვები დაუსვა: „ვინ გვცემს, კერძოდ ვინ არის რუსეთის მტერი, კონკრეტულად ვის უნდა მსუყე ნაჭერი წაგვგლიჯოს?“ — დარბაზში ისმოდა: ამერიკული იმპერიალიზმი, რადიკალური ისლამისტები, სააკაშვილი, მეხუთე კოლონა, მესამე ძალა...

ამ დაძაბული დისკუსიიდან მხოლოდ ერთი გახდა ნათელი: თუ ასეთი აზრები თუხთუხებს ჩვენი ე.წ. ინტელექტუალური ელიტის ტვინში, წარმოიდგინეთ, რა ხდება უბრალო ხალხის თავში?! „ვრემენამ“ მძიმე და გულღია საუბარი წამოიწყო. ჩასაფრებულ დემაგოგებს აბნევდა პოზნერის ირონიული მზერა და პირდაპირი პასუხის მოთხოვნა: „ვინ არიან ეს მტრული ძალები? კონკრეტულად მიპასუხეთ! გვარი, სახელი, მისამართი!“ სტუდიაში ანგარიშგასაწევი მოსაზრებებიც გაისმა: „ძლიერი — უბედურების მიზეზს თავის თავში ეძებს, სუსტი — სხვაგან. ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც გაძლიერებას აპირებს, მიუღებელია პოზიცია — ან მტერი, ან მეგობარი, რადგან მტრად შეიძლება გექცეს კონკურენტიც და პოტენციური პარტნიორიც...“

ჯერომ ჯერომი წერდა: „პატიოსნება — საუკეთესო პოლიტიკაა იმ შემთხვევაში, თუ არ შეგიძლიათ დამაჯერებლად იცრუოთ“. როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, დამაჯერებელი ტყუილის თქმის ნიჭი არავის გააჩნია (სად არის ახლა დორენკო, რა ნიჭი დავკარგეთ!), ამიტომაც ცრუობენ ფილმის შემქმნელები და, არც კი ცდილობენ ოდნავ მაინც მიუახლოვდნენ სიმართლეს, ამახინჯებენ ფაქტებს და ტყუილზე აგებულ ვერსიებს სთავაზობენ საზოგადოებას.

აი, ასეთი დროება დაუდგა რუსეთს.

***იზვესტია რუ***

# ჩვენი კაცი თბილისში

*„მე არ ვარ პროდასავლური ან პრორუსული. მე ვარ პროქართული. დიახ, მე ვსწავლობდი ევროპაში, ვმუშაობდი შტატებში, მაგრამ პირველი უმაღლესი განათლება მივიღე კიევში. მაშ რატომ არ უნდა დამერქვას პროუკრაინული?“*

***მიხეილ სააკაშვილი***

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, 8 თვის განმავლობაში გატარებული გარდაქმნების მასშტაბის გასააზრებლად საჭიროა გავიხსენოთ ერთი წლის წინანდელი საქართველო. ამ ქვეყნის პრობლემათა მცირე ჩამონათვალიც კი საკმაოდ შთამბეჭდავია. საქართველო წარმოადგენდა „არშემდგარი სახელმწიფოს“ კლასიკურ მაგალითს, რასაც თან ერთვოდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად დანაწევრება (გახლეჩა), განსაზღვრული ეკონომიკური პროგრამის არარსე-



ბობა, საკადრო აურზაური, კლანური ბიზნესისთვის ღიად უპირატესობის მინიჭება, ყოვლისმომცველი კორუფცია. ეს უკანასკნელი, ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, 80%-ს აღწევდა. მოარული ხმები ლეშეკ ბალცეროვიჩს, რომელიც შევარდნაძის დროს მრჩევლად მუშაობდა, შემდეგ სიტყვებს მიაწერენ: „ასეთი ოდენობის სახსრების მიმღებ ქვეყანას არ უნდა გააჩნდეს არანაირი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“. საუბარია საქართველოსთვის გაწეულ ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარებაზე. შევარდნაძის 10-წლიანი პრეზიდენტობის ხანაში ვერ მოხერხდა ისეთი საკითხის მოგვარებაც კი, როგორიცაა: მიზერული პენსიებისა და ხელფასების დროული გაცემა, შიდა ვალმა მხოლოდ დაცული მუხლებით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი შეადგინა. პრაქტიკულად, ძალაუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ დედაქალაქსა და მის შემოგარენზე. პროვინციებს ფეოდალები მართავდნენ, ხშირ შემთხვევაში კრიმინალური წარსულითა და აწმყოთი. ძალიან ხშირად რომელიმე რაიონის ხელმძღვანელის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღებოდა ე.წ. „სტრელკებზე“, სადაც თავს იყრიდნენ კონკურენტი ბანდიტური დაჯგუფებები. ამას დავუმატოთ სეპარატიზმის პრობლემა: 90-ანი წლების დასაწყისში დაკარგული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა, არსებობდა აგრეთვე დე ფაქტო დამოუკიდებელი აჭარა და პრობლემური სამცხე-ჯავახეთი.

ასეთი ტვირთით საქართველო შევიდა პოლიტიკურ კრიზისში, რომელიც დასრულდა „ვარდების ხავერდოვანი რევოლუციითა“ და შევარდნაძის გადადგომით. მოვლენათა განვითარებამ გააბათილა პესიმისტური სცენარი: საქართველო არ ჩაება სამოქალაქო ომის ახალ რაუნდში, არ დანაწევრდა მცირე სამთავროებად. რეკორდულად მოკლე ვადაში (45 დღე) საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა სამართლიანი და გამჭვირვალე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ა.წ 4 იანვარს, რომელშიც გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა ამომრჩეველთა ხმების 96%-ით. განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც ჩატარდა მარტში, მმართველმა ბლოკმა „ნაციონალური მოძრაობა“ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 70%. შვიდპროცენტიანი ბარიერი გადალახა მხოლოდ ბლოკმა „ახალი მემარჯვენეები“, რომელშიც შედიან ე.წ. „ახალი ქართველები“ და ბიზნესმენები ყოფილ „ძლიერი ხელმძღვანელების“ რიგებიდან.

საქართველოს პარლამენტში შეიქმნა პროპრეზიდენტული აბსოლუტური უმრავლესობა, რამაც საშუალება მისცა მიხეილ სააკაშვილს, მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მის მიერ გაცხადებული რეფორმების პროგრამისა და წარსული რეჟიმის მემკვიდრეობასთან ბრძოლის ფარგლებში.

წარმოგიდგენთ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის რამდენიმე ნაბიჯს. 25 იანვრის, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი იწყებს პოსტსაბჭოური სივრცისათვის უპრეცედენტო ბრძოლას კორუმპირებული ბიუროკრატების წინააღმდეგ. საქართველოს პარლამენტი იღებს ახალ კანონს კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც, ამერიკული ტრადიციების თანახმად, აძლევს პროკურორს საშუალებას, დადოს ეჭვმიტანილთან „გარიგება“: სამართლებრივი დევნის შეწყვეტა სხვის მიერ ჩადენილი უფრო მსხვილი და მძიმე დანაშაულის შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ. ახალი კანონის შესაბამისად, ეჭვმიტანილი, შეიძლება დაუსწრებლად იქნას მიჩნეული დამნაშავედ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ ცხადდება სასამართლოზე. საქართველოში იწყება ყოფილ პრეზიდენტთან დაახლოებული გადასახადების ურჩი გადამხდელების დაპატიმრების სერია. უკანონოდ მიღებული შეღავათების მოქმედების პერიოდში დაგროვილი გადასახადებისა და ჯარიმა-საურავების ბიუჯეტში გადახდის შემდეგ, ისინი თავისუფლდებიან საპატიმროებიდან. ამგვარი მკაცრი კურსის შედეგია არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შევსება, არამედ იმის გაცნობიერებაც, რომ გადასახადები ყველამ უნდა გადაიხადოს. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში აიკრიფა 756 მილიონი ლარი, რაც დაგეგმილის 102.9%-ს შეადგენს.

არანაკლებ რთულ პრობლემას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაული და ე.წ. „კანონიერი ქურდები“. მანამდე ხელშეუხებელნი, ისინი არა მხოლოდ გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ: ციხეებში დაუმორჩილებლობის მცდელობამ გამოიწვია საქართველოს მთავრობის საპასუხო რეაქცია, განადგურებაზე ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემის ჩათვლით. ასეთი პოზიცია აღმოჩნდა ცივი შხაპი, რომელმაც ერთ წამში გამოაფხიზლა კრიმინალური ავტორიტეტების „ცხელი თავები“. შედეგად, განსაკუთრებულად საშიში დამნაშავეები გადაყვანილ იქნენ „ევროპული სტილის“ სპეციალურ ციხეში, საიდანაც თავისუფლებაზე დარჩენილ თანამზრახველებთან დაკავშირება მობილური ტელეფონების საშუალებით შეუძლებელია.

კორუფციასთან შემდგომი ბრძოლა იღებს ტოტალურ ხასიათს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგზაო პოლიციას, საბაჟო და საგადასახადო სამსახურებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და არმიას. ხორციელდება თანამშრომელთა ხარისხობრივი ცვლა, თანაც „სუფთა“ ჩინოვნიკები, რომელთაც დაამტკიცეს თავისი კვალიფიკაცია, განაგრძობენ თანამდებობებზე მუშაობას. ზოგჯერ კურიოზებამდეც მიდიოდა საქმე. ქართველები, რომლებიც ჩინოვნიკებთან ურთიერთობაში შეჩვეულნი იყვნენ მარტივ ფორმულას „ფული — სამსახურის გაწევა“, ახლა უბრალო ცნობის ასაღებად იძულებულნი არიან, დახარჯონ უფრო მეტი დრო. ან ფულის ამღებ ადამიანს ვერ პოულობენ, ან ფულის აღება ეშინიათ.

***(გაგრძელება გვ. 27.)***

PSP ფსპ ფარმაცევტული კომპანია “პე-ეს-პე” აცხადებს მიღებას
ოფის-მენეჯერის ასისტენტის თანამდებობაზე.

ძირითადი მოთხოვნები:

- **უმაღლესი განათლება**: უპირატესობა მიენიჭება უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირებს (ექიმებს და ფარმაცევტებს).
- **ენები**: ქართული, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- **კომპიუტერი**: ძირითადი საოფისე პროგრამები (Windows, Word, Excel, Internet);

სასურველია წარმოადგინოთ რეკომენდაციები. უპირატესობა მიენიჭებათ ანალოგიურ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს.

განაცხადი მიიღება 15 ოქტომბრამდე.

ანკეტის შესავსებად მობრძანდით შემდეგ მისამართზე: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 148/III.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 940414; 942314;



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**მიშიკო ნიკოლეიშვილი**

დედამ და ბებიამ ზოოპარკში წაიყვანეს. მიშიკომ ზებრას უყურა, უყურა, შემდეგ თავის ზოლიან პერანგს შეხედა და წამოიძახა, — დედა, ჩემი აცვია!..

***

5 წლის **ლანა ცინცაძე** მულტფილმს უყურებდა რუსეთის ტელეარხზე. დედამ უთხრა: — ვნახოთ, სხვა არხზე ქართული მულტფილმი თუ არის და იქ გადავრთოთ.

ლანა არწმუნებდა: — ეს ნახატი ფილმი ქართულია, ძაღლი ქართულად ყეფდაო.

***

4 წლის **შოთიკო ჟორჟოლიანი** რუსულად სწავლობს დათვლას:

— რაზ, დვა, ტრი, ჩე, ტი, რე...

***

3 წლის **ლიკა ცხვედიანი** ეკითხება დედას:

— დედა, შენ მუცელში ბაია გყავს?

— კი, შვილო, მყავს.

— მელე ალა გცვენია, გოგო, მგელი ხალ, ლატო გადაყლაპე?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ იმ დაწესებულების სახელწოდებას, სადაც დილა ზარით იწყება.

**I**



# ლიზიკო და პაპა

**მოთხრობა**

ლიზიკოს პაპა ძალიან უყვარს. პაპა სამსახურიდან რომ მოდის, ლიზიკო სიხარულით კარებს უღებს, ქუდს ჩამოართმევს და მერე კისერზე ჩამოეკიდება. დილაადრიან თვალებს გააჭყეტს თუ არა, იმწამსვე პაპასთან გარბის, რადგან პაპამ ისეთი კარგი ზღაპრები იცის, ისეთი, რომ ლიზიკო ხან სიხარულით ცაში ფრინავს, ხან კი გველეშაპის მოსაგერიებლად მუშტებს კუმშავს და პაპას ჩუმად ეკითხება:

— პაპა, შუბიანი კაცი მალე მოვა? ჩქარა მოჭრას თავი მაგ საზიზღარ გველეშაპს!

ერთ დილას ლიზიკო დიდედამ გააფრთხილა: პაპასთან ნუღარ მიხვალ, მთელი ღამე არ სძინებია, ახლახან ჩაეძინაო. ლიზიკომ ჯერ თავი შეიკავა, მაგრამ როცა დერეფანში ზარი დაირეკა, გოგონა სწრაფად წამოხტა, პაპასთან მიიჭრა და მოუთმენლად ჩასძახა:

— პაპა, ზარმა არ გაგაღვიძოს, ეს მერძევე რეკავს, შენ კი თვალები მაგრად დახუჭე და დაიძინე.

*ანა ხახუტაშვილი*

# ხუთი პური

**ინდური არაკები**

ერთი კაცი ყოველდღე ბაზარში დადიოდა და ხუთ პურს ყიდულობდა. ერთხელ მეგობარი შეხვდა და ჰკითხა:

— მითხარი, რატომ ყიდულობ ხუთ პურს?

მან უპასუხა:

— ერთს მე ვჭამ, ორს ვასესხებ, ორს კი ვალში ვიხდი.

— არ მესმის, — უთხრა მეგობარმა, — განმიმარტე.

— აი, როგორ: ერთს მე თვითონ ვჭამ, ორს ბავშვებს ვაძლევ, ორს კი დედას და მამას.

# ჭკვიანი ექიმი

ექიმთან ერთი კაცი მივიდა და უთხრა:

— ბატონო ექიმო, მუცელი მტკივა, მიმკურნალეთ!

— რა ჭამე გუშინ? — ჰკითხა ექიმმა.

— მკვახე ხილი! — უპასუხა ავადმყოფმა.

— მაშ, აჰა, თვალის წამალი!

— რატომ თვალის?

— იმიტომ რომ შემდეგისათვის უკეთ დაინახო, რას ჭამ.

**II** რამდენი ვაშლი უნდა იყოს ცარიელ უჯრაში?



**IV** გამოტოვებულ ადგილებში შეარჩიე შესაბამისი ფრაგმენტები




**III** ანა, გამოიცანი

**1) რომელი მოხელე დაამოწმებს საბუთს ან რაიმე გარიგებას?**
ა) პროკურორი; ბ) მოსამართლე; გ) ნოტარიუსი; დ) ადვოკატი.

**2) რომელი ცხოველია ხორცისმჭამელი?**
ა) კურდღელი; ბ) ტურა; გ) კამეჩი; დ) ჯიხვი.

**3) რომელი ტბა მდებარეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე?**
ა) ფარავნის; ბ) რიწის; გ) პალიასტომის; დ) ჯანდარის.

**4) ამათგან, რომელი ჯიშია მონადირე?**
ა) ნაგაზი; ბ) სეტერი; გ) ბულდოგი; დ) პუდელი.

**5) რომელი მხედართმთავარია მიჩნეული მსოფლიოს დამპყრობად?**
ა) იულიუს კეისარი; ბ) ალექსანდრე მაკედონელი; გ) თემურ ლენგი; დ) ნაპოლეონ ბონაპარტე.

**6) ვისი ძე იყო გიორგი IV ლაშა?**
ა) გიორგი III-ის; ბ) დავით IV-ის; გ) თამარ მეფის; დ) დემეტრე I-ის.

**7). დაასრულე ანდაზა: ზარმაცი საღამოზე...**
ა) გაიღვიძებსო; ბ) გაბეჯითდებაო; გ) ამღერდებაო; დ) დაიძინებსო.

**8) ამ სახელმწიფოებიდან რომლის დედაქალაქს ჰქვია სახელმწიფოს სახელი?**
ა) ტუნისს; ბ) მაროკოს; გ) ეგვიპტეს; დ) ლიბიას.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



# ღირსებას არ ეღალატება!

## ქართველს ყველაფერი გამეტებით შეუძლია, სიყვარულიც, ბრძოლაც, მიცვალებულთა პატივისცემაც, ღალატიც...

***ოთარ კობერიძე** 75 კინოფილმშია გადაღებული. შეიძლება ბევრმა ჩვენმა თანამედროვემ არც იცოდეს, რომ ოთარ კობერიძის ცხოვრებაც ერთი მძაფრსიუჟეტიანი ფილმივითაა. თუმცა დიდმა გასაჭირმა სულიერად ვერ გატეხა, განვლილმა წლებმა ბევრი ტკივილი დაუტოვა, მაგრამ მეომრისა და რაინდის სული ვერ შეუცვალა. ბატონი ოთარი დღესაც მუშაობს და მალე ქართველი მაყურებელი ოთარ კობერიძის ახალ როლს იხილავს. „კა-გე-ბე... დამნაშავე ანგელოზები“, ასე ჰქვია ფილმს, რომელშიც მსახიობი ემანუელ დავითაშვილის როლს თამაშობს.*



**— ბატონო ოთარ, მძიმე ცხოვრება გქონდათ, სწორედ ამან ხომ არ შეგმატათ გამძლეობა, დღემდე რომ გამოგარჩევთ სხვებისაგან?**

— რომ გაიგოთ, როგორ ყალიბდება კაცი, უნდა იცოდეთ, როგორ ოჯახში იზრდება, — გვითხრა ბატონმა ოთარმა და გვიამბო, — დედაჩემის მამის, ეფრემ მეტრეველის ოჯახში დავიბადე. ბებია მუხრან-ბაგრატიონთა შთამომავალი იყო. პატარები ქართული ზნე-ჩვეულებით ვიზრდებოდით. მახსოვს, სოფლიდან ჩამოიყვანდა მოსამსახურედ გოგონას, ასწავლიდა საჭმლის მომზადებას, ოჯახის მოვლას, მერე კი ათხოვებდა. მე სამი გოგო დამამახსოვრდა ასეთი. მათ შვილებსა და შვილიშვილებს ზოგჯერ დღესაც ვხვდები. წარმოიდგინეთ, რომ ქართული ზნე-ჩვეულება მათაც არა აქვთ დაკარგული. პაპაჩემის ოჯახის წვლილიც არის ამაში. ეფრემ მეტრეველს შვიდი შვილი ჰყავდა. პატარა რომ ვიყავი, ბებიას დავყავდი ეკლესიაში, მასწავლიდა „მამაო ჩვენოს“, სკოლაში რომ შევედი, დედაჩემი — თამარი — მამეცადინებდა, თვალებში ვუყურებდი. იცით, რა ლამაზი იყო?! ახლა რომ ვფიქრობ, სწორედ მაშინ ყალიბდებოდა ჩემში მშვენიერების შეგრძნება. ბიჭები „კაზაკი-რაზბოინიკის“ ვთამაშობდით ხოლმე. მე ყოველთვის მეთაური ვიყავი. ეს აყალიბებდა ჩემში გამბედაობას, არტისტულობა კი, როგორც ჩანს, მაშინაც მეტყობოდა. ძალიან მამსგავსებდნენ ჩარლი ჩაპლინის ფილმის გმირს — ჯეკი კუგანს. მასავით მოკლე ქოჩორი მქონდა... ქუდსაც მისნაირად მახურავდნენ.

**— თბილისში სად ცხოვრობდით?**

— პაპა ხარფუხელი იყო. პირველი გილდიის ვაჭარი გახლდათ. მერე ორსართულიანი სახლი ელიას მთაზე შეუძენია თავად ბარათაშვილისაგან. იქ დაიბადა დედაჩემი, იქ დავიბადე მე. პაპას თავისი მეურნეობა ჰქონდა. ჰყავდა ძროხა, მოჰყავდათ პური, კალოობაც კი მახსოვს.. ჩემთვის პირველი და საშინელი ტკივილი დედის გარდაცვალება იყო. მახსოვს, როგორ იწვა დედა, სანთელი ეჭირა უმშვენიერესი თითებით. 13-14 წლის ვიქნებოდი. მას მერე რა არ გადავიტანე... სკოლა რომ დავამთავრე, ნიკოლოზ შენგელაიამ გადამიღო ფილმ „შავ მთებში“. უღალატო ვიყავი და უამრავი მეგობარი მყავდა. თუ საჭირო იყო, ვჩხუბობდი კიდეც. 1942 წელს ნიკოლოზ შენგელაია იღებდა ფილმს „ის კვლავ დაბრუნდება“, რომელშიც, 17 წლის ყმაწვილი, ნატო ვაჩნაძის პარტნიორი ვიყავი. ომი რომ დაიწყო, ბევრი წავიდა თბილისიდან. მომრავლდნენ შავოსანი დედები. მე ნავარჯიშები ვიყავი, ტანად დიდი. ამიტომ სულ მეგონა, ჩემზე იფიქრებდნენ, — ამას ფული გადაუხდია და ომში არ წაიყვანესო. თუმცა ასაკი არ მიწყობდა ხელს, მოვიმატე ერთი წელი, გამოვცხადდი კომისარიატში და წამიყვანეს ფრონტზე.

**— ომში რა გელოდათ, თუ გქონდათ გაცნობიერებული?**

— ომში წასვლამდე ზერელე განცდა მქონდა ბრძოლისა. ვიცოდი, ომობდნენ ჩემი წინაპრები, ხმალს იქნევდნენ, მტერს ხოცავდნენ, მაგრამ რომ დავინახე, ეს რა იყო, გავოგნდი... დენთის, ჩახოცილი ცხენებისა და ჯარისკაცების გვამების სუნი დღესაც კი მომდევს... ახლაც თვალწინ მიდგას: მშივრები მივდივართ. ყველას წყურვილი გვკლავს. ვხედავთ ჭაობია. იქვე მკვდარი კაცი გდია. ჩემმა მეგობარმა, გამოცდილმა მებრძოლმა, ვლასი კანდელაკმა აიღო მათარა, ამოიღო წყალი. დალია. მივცვივდით დანარჩენები და ჩვენც მოვიკალით წყურვილი. გვამს ვეღარც ვხედავდით... ვლასიმ გვითხრა: — ამ ცხედარს რომ ვერ ამჩნევთ, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, საცოდაობააო. ასეთი საშინელება გავიარე, მაგრამ მიმტევებლობა შევინარჩუნე. არაერთხელ მისვრია... ეს ცოდვა ეკლესიაში მოვინანიე.

**— ღალატი თუ გინახავთ ომში?**

— ერთი ახალგაზრდა უფროსი ლეიტენანტი გვყავდა. უზნეო, ლოთი და შეუბრალებელი კაცი იყო. მშიერმწყურვალები ვიყავით, მკბენარი გვეხვია. დილით ადრე წამოგვყრიდა, ხან 4 საათზე გვაღვიძებდა და მარშით გვარბენინებდა. კარცერიც კი გააკეთა. ვიღაცამ თქვა: — ეს კაცი მეომარი არ არის, არც მტრისა გაეგება რაიმე და არც მოყვრისაო... მეორე დღეს სანგარში მოკლული ვნახეთ. ვინ გააკეთა ეს, დღესაც არ ვიცი. მაგრამ სუყველას მოკლული იყო, რადგან ასეთი საქციელი ღალატის ტოლფასია ომში.

**— მეგობრის სიკვდილსაც გამოცდიდით.**

— უკრაინელი მეგობარი მომიკვდა პირველად... უფრო თავგამოდებით ვიბრძოდით ამის მერე. ბევრი ცოცხალი დავბრუნდით. მერე ხშირად დავდიოდით ერთმანეთთან. ბრძოლის წინ „მამაო ჩვენოს“ იტყოდა ერთი ჩვენგანი, რადგან ორიოდ კაცმა ვიცოდით მხოლოდ. უნგრეთში ერთი ჩამოკვეთილი მთის მახლობლად ვიდექით. მარნები იყო იქ. მოვიტანეთ ღვინო და შესანდობარი ვუთხარით დაღუპულებს. ქართველს ხომ ყველაფერი გამეტებით შეუძლია: სიყვარულიც, ბრძოლაც, მიცვალებულთა პატივისცემაც, ღალატიც... რამდენიმე წლის წინ ბუდაპეშტში ჩასვლა მომიხდა. ვითხოვე, ნა-



*ასაკი არ მიწყობდა ხელს, მოვიმატე ერთი*

ომარ ადგილებში წამიყვანეთ-მეთქი. ვეძებე დაღუპული მეგობრის საფლავი... ადგილი ვეღარ შევიცანი...

**— ფრონტიდან შეცვლილი დაბრუნდით?**

— ჯერ იმას გიამბობთ, როგორ დავბრუნდი. სამი დღე და ღამე ვიდექი მატარებლის კიბის საფეხურზე. რომ არ ჩავვარდნილიყავი, კარის სახელურზე ქამრით ვებმებოდი. ყველაფერს ვუძლებდი, ოღონდ კი ბებიაჩემი მენახა. ჩამოვედი თუ არა, ელიას მთაზე ქვემოდან ავძახე: — ბებო-მეთქი. გამოვიდა გახარებული, გულში ჩამიკრა... მკითხა, — რა გინდა, შვილო, რა მოგიმზადოო. საუცხოოდ ამზადებდა ცხვრის დუმით გატენილ ბადრიჯანს. ის მოვინატრე. ამასობაში, დაქანცულს დამეძინა. სუფრა რომ გაშალა, მაშინღა გამაღვიძა. ქვაბით დამიდგა კერძი და პური. ნახევარი ქვაბი საჭმელი და პური მთლიანად გავათავე და ისევ დავიძინე. ძილში ჩამესმა, ბიძაჩემი რომ მოვიდა, ოთარი ჩამოვიდა, მაგრამ არ გააღვიძოო, — უთხრა ბებიამ. კარგი, მაჭამე მშიაო! ვაიმე, პური სულ ოთარმა შეჭამაო. რომ გავიგე, თურმე 3 ნორმა პური მიჭამია, რომელსაც ტალონებით იღებდნენ, თვალის გახელა აღარ მინდოდა. ისიც გავიგე, რომ ბებიას, სადილი რომ მოემზადებინა, საგვარეულო ბეჭედი დაუგირავებია. გათენებას ველოდებოდი. გარიჟრაჟზე გავიპარე შინიდან. ჯერ ავლაბარში ჩავედი. ძველი ბიჭები ვნახე: — აქ სადღაც ბებიამ ბეჭედი დააგირავა, მაპოვნინეთ-მეთქი. დატრიალდნენ და მომიძებნეს. ის დღე იყო და ის, ყოველ დილით კალათას ავავსებდი პროდუქტით და ავუტანდი.

**— როგორ ახერხებდით იმ გაჭირვებისას სანოვაგის ყიდვას?**

— რამდენიმე ბიჭი ღამ-ღამობით ფქვილის ტომრებს ვტვირთავდით ვაგონებში. გასამრჯელოდ ცოტა ფქვილს და ფულს გვაძლევდნენ. მძიმე შრომა გვქონდა, მაგრამ ესეც ხომ ვარჯიში იყო! არასდროს ვწუწუნებდი. ბებიას სულ ეშინოდა, არაფერი დამეშავებინა, ან არ მექურდა. საიდან მოგაქვს ფულიო, — მკითხავდა შეწუხებული. ვატყუებდი: — ბებო, კინოსტუდიაში მიღებენ-მეთქი. არ ვუმხ-



*ლია ელიავა*

ელდი, მტვირთავად რომ ვმუშაობდი. მე ასე მჯერა: ან პიროვნებისათვის, ან სამშობლოსათვის თუ რამეს გაიღებ, თუ უფალმა მოგცა ამისი უნარი, აღარ უნდა დააყვედრო ვინმეს. ჩემს ოჯახში ასე იზრდებოდნენ. აგერ, კედელზე ბიძაჩემის ხმალი მიკიდია. ხმალს აწერია: ჩემი ცხოვრება სამშობლოს ეკუთვნის, გული — ქალს, ზნე ჩემი — მე. ასე ვცხოვრობდი მეც. ზნეობა არ დამეკარგა, — ეს იყო მთავარი. ბიძაჩემი 22 წლისა ბოლშევიკებმა მოკლეს — მანგლისში. პაპას უჭირდა გახსენება, მაგრამ მერე და მერე მიყვებოდა: არტილერიის ლაფეტზე მკერდგაგლეჯილი ესვენა, ასე ჩამოიყვანესო... უკან მისი ცხენი მოჰყავდათ, ნაბადი ჰქონდა გადაფარებულიო. ეს ხმალი ლამის საუკუნე-ნახევრისაა, ეს ხანჯალი კი პაპაჩემისაა... აზერბაიჯანელებმა აჩუქეს.

**— აზერბაიჯანში ხომ არ მუშაობდა?**

— არა, თბილისელი აზერბაიჯანელი მეგობრები ჰყავდა. მახსოვს, მეიდანზე ჩავიდოდით. შეიკრიბებოდნენ: სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი, ქართველი, ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ, თბილისს პური აკლია და საიდან მოვიტანოთო... ამ დროს ზარები აგუგუნდებოდა. ყველა თავ-თავიანთ სალოცავში მიდიოდა. ბრუნდებოდნენ და აგრძელებდნენ საუბარს — ხორცი საიდან ჩამოვიტანოთო... ხალხს უჭირს, ვის დავეხმაროთო. ასეთი სიტყვა და ქცევა მაქვს ნანახი. ამას ვერ ვუღალატებ. უკვე 79 წლისა ვარ, პაპაჩემზე ერთი წლით უფროსი და დღესაც, როგორც გითხარით, იმ ზნეობით ვცხოვრობ.

თბილისში კი... თბილისში სხვანაირი იყო ცხოვრება. კარი არ იკეტებოდა, კაცო... გისოსებს სად ნახავდით? ვინ გაბედავდა სხვის ოჯახში შესვლას. ჩვენს სახლს ელიაზე გასაღები საერთოდ არ ჰქონდა.

**— ის სახლი დღესაც დგას?**

— დგას, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხუცმა დეიდამ გაყიდა ის სახლი. მითხრა: ჩამომიწერე, ვის დავურიგო ის ფული, რომელიც აქედან ავიღეო. ყველა დააპურა. დარჩა მხოლოდ ჩემი და მისი წილი — მაშინდელი 60.000 მანეთი. მითხრა, ეს თანხა ბანკში შეიტანე, სანამ ცოცხალი ვიქნები, ხელი არ ახლოო. როცა გაგვიჭირდა, ჩემმა ლიამ მთხოვა: — ოთარ, იქნებ გამოიტანო ის ფულიო. მირჩევნია, ვისესხო, მე ხომ დეიდას სიტყვა მივეცი-მეთქი. გავიდა ცოტა დრო და ის ჩემი სიბერის იმედი არ წამართვეს?!. ისე, როგორც ყველას დაუკარგეს ფულადი დანაზოგი.

**— თქვენზე ამბობენ, ვეფხვთანაც კი იპოვა საერთო ენაო...**

— ლენინგრადის სტუდიაში გამომიძახეს. მომთვინიერებელი უნდა ითამაშოო. ჩემი გმირის გვარი რუსული იყო. კატეგორიული უარი ვთქვი — რუსს ვერ ვითამაშებ-მეთქი. მართლაც დამითმეს. მესხიშვილი — მესხიევი დაარქვეს ვეფხვების მომთვინიერებელს. საგრიმიოროში ვიჯექი. მომთვინიერებელი კონსტანტინოვსკი იყო. გამომცადა. ვეფხვი შემოუშვა ჩემთან. სარკეში დავინახე. მოვიდა ვეფხვი. ტორები დამაწყო მხრებზე და ამლოკა. ვუყვირე: — წადი-მეთქი. ჩავიდა და წავიდა. შემოვარდა კონსტანტინოვსკი: — თქვენ სწავლებაც არ გჭირდებათ. ასეთი რა უთხარით იულკასო (ვეფხვს ერქვა). რა ვიცი, რა ვუთხარი, უბრალოდ, მოვეწონე. ერთხელ ისე ამილოკა შუბლი, თმა სამი დღე ყალყზე მედგა. დავმეგობრდით. ხშირად მანქანაში ვისვამდი და ერთად დავდიოდით. ერთხელ თამაშში გამარტყა ტორი. დღესაც მეტყობა ნაიარევი.

**— ისე მიყვებით ამ ამბავს, ვხვდები, ცხოველები გყვარებიათ...**

— მიყვარს, ჩემს ლიასაც უყვარდა. ერთხელ გოშია მოიყვანა — „პანჩო“ დავარქვით. რომ წამოიზარდა ძაღლი, ხშირად გადიოდა სახლიდან, ბრუნდებოდა ჭუჭყიანი... ვბანდი, ვტუ-



*4 წლის ოთარი მამასთან ერთად*

ქსავდი... ერთ ზაფხულს ლია წყნეთში იყო. არ მინდოდა ძაღლი მარტო დამეტოვებინა. მანქანაში ჩავსვი, დეიდაჩემთან უნდა ამეყვანა. გზად სტუდიაში შევიარეთ. ვიღაცას ველაპარაკებოდი. პანჩო მანქანიდან გადმოხტა. დავუძახე. დინჯად მოაბრუნა თავი, თითქოს დამემშვიდობა, წავიდა და წავიდა. ეს ძაღლი, „ბუცაც“, ლიას მოყვანილია. დაბერდა... ვერ ველევი, ლიას მოყვანილია და...

**— ქალბატონ ლია ელიავას არყოფნა ყველა ჩვენგანისათვის გულსატკენია.**

— ეს ჩემი დიდი ტკივილია. ყველაფერზე დარდობდა. რომ ნახავდა, ვიღაც მოხუცი ინტელიგენტი ხელგამოწვდილი იდგა, გულის შეტევა მოსდიოდა.

იმ დღეს გამოფენიდან დაბრუნდა. ცუდად იყო. წვეთები დავალევინე. ჩაეძინა. საწოლზე ტანსაცმლიანი მივწექი და ძილმა წამართვა თავი. განთიადისას თითქოს თავში ჩამარტყესო. წამოვხტი, გადავხედე ლიას... უკვე აღარ იყო... ჩემი ოჯახის წევრები დასასვენებლად იყვნენ, მარტო ვიყავი. დილის 6 საათიდან 11-მდე გულში მყავდა ჩაკრული... 11 საათზე დამხმარე ქალი მოვიდა, მეზობლებს იმან დაუძახა.

**— დღევანდელ დღეზე რას ფიქრობთ?**

— ახლა რთული დროა, მაგრამ რას ვიზამთ. მთავარია ჩვენს ზნეს არ ვუღალატოთ, ღირსება შევინარჩუნოთ და ყოველ ჩვენგანში იყოს მეომრის სული, რომელიც უკეთესისათვის ბრძოლას შეგვაძლებინებს...

***ლელა ჯიჯაშვილი***

სამედიცინო ცენტრი ექიმი ბილი
ხელმძღვანელი ბია ბვარამია
ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით
ჩხვლეტის გარეშე
გარანტირებული ეფექტით
ნებისმიერი ფერის თმებისათვის
ნაოჭების გასწორება:
ბოტოქსის ინექციებით
მეზოთერაპიით
დერმაბრაზიით
ოქროს ძაფებით
კოსმეტოლოგია
სახის კანის ქიმიური და ულტრაბგერითი პილინგი
თმის ცვენის მკურნალობა მეზოთერაპიით
კონტური მაკიაჟი
ცელულიტის მკურნალობა სპეციალური მასაჟით
და პარაფანგოს ცხელი შეხვევებით
კოსტავას 63,
ტელ:
212-312,
364-464

# დედამიწაზე დაბრუნებულმა მადლი უნდა გაიყოლოო...

ჩემი დღევანდელი რესპონდენტი — ძია ლადო ვეტერინარია, თუმცა ადამიანებსაც არანაკლებ უმსუბუქებს ტკივილს. ხშირად ისეთი ავადმყოფიც მოუბრუნებია საამქვეყნოს, ექიმებს რომ ხელი ჩაუქნევიათ — ნუ ვაწვალებთ, მშვიდად სიკვდილი ვაცალოთო!..

ძია ლადო სამკურნალო ბალახებს ცნობს და საგვარეულო რეცეპტებით ისეთ ნაყენებს ამზადებს, უკვდავების წყალს რომ არაფრით ჩამორჩება.

ძია ლადო ძალზე საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა და ისეთი უჩვეულო ამბავი მომიყვა, მივხვდი, კიდევ ერთი ზღაპარი დაიწერებოდა — ზღაპარი დიდებისათვის...

მოკლედ, იყო და არა იყო რა...

შრომისმოყვარე გლეხის, სვიმონის ოჯახში ექვსი ქალის შემდეგ დაიბადა ვაჟი... აბა, მემკვიდრის დაბადება ვის არ უხარია, მაგრამ სვიმონს ორმაგი სიხარული ეწვია — ჯერ ერთი, ბიჭი გვარს გააგრძელებდა, თანაც წინაპრისგან მიღებულ მადლს გადაიბარებდა — ბალახეულისგან სხვადასხვა უებარი წამლის დამზადებას ისწავლიდა და ადამიანებს ტკივილს შეუმსუბუქებდა...

თავად სვიმონს ბაბუამ ასწავლა სამკურნალო მცენარეების ცნობა. მამა ახალგაზრდა დაეღუპა ტრაგიკულად და ამიტომ ბაბუა იყო მისთვის აღმზრდელიც და მასწავლებელიც. დიდი ნიჭი არ აღმოაჩნდა ბიჭს, თავადაც განიცდიდა და ბაბუაც ნერვიულობდა: — არ უნდა დავკარგოთ მადლი, ღმერთს ჩვენი ოჯახის კაცები სხვათა ტკივილის შესამსუბუქებლად მოუვლენია ქვეყანაზე და თუ იმედი არ გავუმართლეთ, გადავშენდებითო!..

მორწმუნე კაცი იყო დემეტრე. თავისი ხელით აგებულ ეკლესიაში ათენ-აღამებდა, უფალს სანთელ-საკმეველს არ აკლებდა...

ერთხელაც, აღდგომა თენდებოდა, შინ დაიბარა: — არ მელოდოთ, მთელი ღამე სანთლები ჩაუქრობლად უნდა ენთოს ტაძარში, იქ გავათენებო!..

გამთენიისას ჩააკითხა შვილიშვილმა, 17-18 წლისა იქნებოდა მაშინ სვიმონი. ბაბუა ეკლესიის იატაკზე იწვა და გაფითრებულ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. მკვდარი ეგონა და ამიტომ შეჰყვირა: — ვაიმე, ბაბუაო!.. მოხუცმა თვალი გაახილა და თავდაპირველად უაზროდ შეხედა შვილიშვილს, მერე ნელ-ნელა გონს მოეგო და მუხლებზე დადგა: — ღმერთო, მე ულირსს ეს რა სასწაული მანახვეო!.. მერე 40 დღე ჩაიკეტა ეკლესიაში. შინაურებს შეეხვეწა: — არც რამე მკითხოთ, არც დამელაპარაკოთ, სანამ თავად არ გავაღებ კარს, არც დამიკაკუნოთო!..



ბაბუა დემეტრეს სიტყვა კანონზე მეტი იყო.

ორმოცი დღე ორმოც საუკუნეს დაემსგავსა, მაგრამ მაინც გასრულდა — როგორც იქნა, გააღო კარი და ლანდად ქცეული მოხუცი გამოფარფატდა გარეთ. სვიმონს უცებ ისიც კი მოეჩვენა — ბაბუა ანგელოზად ქცეულაო!..

დემეტრემ შვილიშვილი თავისთან მიიხმო. წინ შავი ღვინით სავსე ფიალა დაიდგა, დროდადრო პურს ასველებდა შიგ და მიირთმევდა...

როდის-როდის მოიკრიბა ძალღონე და ალაპარაკდა: — სვიმონ, შენზე მადლი არ გადმოდის და ამიტომ შენს მომდევნოს დაველოდოთ... სანამ ბიჭი არ გაგიჩნდება, შვილზე უარი არ თქვა, ქალების სიმრავლემ არ შეგაშინოს... ბიჭს მე ვასწავლი მკურნალის საქმეს... მაგრამ მანამდე განსაცდელი გელით: ხუთი წლისა ავად გახდება და საღათას ძილს მიეცემა. არ შეგეშინდეთ, არც მკვდარი გეგონოთ, არ დაასაფლავოთ, აცალეთ მშვიდი ძილი პატარას, ის ღმერთის რჩეული იქნება... ახლა ვიცი გაინტერესებს, სად ვიყავი და რა ვნახე, მაგრამ ვერაფერს გეტყვი ამის შესახებ... ერთს კი გაგიმხელ — ღმერთი ყოველთვის ჩვენთანაა... იმასაც გეტყვი, ხვალ-ზეგ ამქვეყნისა აღარ ვიქნები... არ შეგეშინდეს, ბაბუა, გაჭირვების გამო ღმერთის საყვედური არ დაგცდეს...

ბაბუა დემეტრე მეორე საღამოს მიიცვალა.

მემკვიდრე ვაჟის დაბადებამდე კი დიდი დრო გავიდა და როგორც გითხარით, იგი 6 ქალის შემდეგ „მოვიდა“: ლადო დაარქვეს, ვლადიმერი — ადრე დაღუპული ბაბუის სახელი.

ექვსი და ცივ ნიავს არ აკარებდა პატარას და ისიც კარგა ხანს ყველას დედას ეძახდა...

ჩვეულებრივი ბავშვი იყო ხუთ წლამდე, მერე კი... მერე აღსრულდა ბაბუა დემეტრეს წინასწარმეტყველება — ბიჭს წითელა ბატონები შეეყარა, ბევრი ფერების შემდეგაც „გაიბუტნენ“, გაჯავრდნენ და ბოლოს პატარა ისე ცუდად გახდა, ერთი შეცხადება შეიცხადეს კიდეც. მკვდარი ეგონათ... სვიმონს რომ არ ემარჯვა, სოფელს შეყრიდნენ. — არ მომკვდარა, მხოლოდ საღათას ძილით სძინავს, ბაბუა დემეტრესთანაა, ნუ გეშინიათ, სიკვდილის წინ პირობა მომცა, ბიჭს დაგვიბრუნებსო...

ცოლ-შვილმა იფიქრა, — სვიმონი უბედურებამ გააგიჟაო! და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბავშვი საბანში გაახვია და ბაბუა დემეტრეს მიერ აშენებულ ტაძარში შეიყვანა, შიგ ჩაიკეტა და ახლოს არავინ გაიკარა...

— ძია ლადო, მართლა ბაბუა დემეტრესთან იყავით საღათას ძილის დროს?! — გაოცებულმა ვკითხე მკურნალს.

— ჰო, გუშინდელივით მახსოვს ის საოცარი ქვეყანა: დიდი ალაყაფის კარი ეკიდა შესასვლელში. ბაბუა იქ მელოდებოდა, მოდი, რამდენი ხანია გიცდიო... კარი დროდადრო იღებოდა, ხან გამოდიოდნენ, ხან შედიოდნენ. ვკითხე ბაბუას — ესენი ვინ არიან-მეთქი?! მუხლზე დამისვა და ჩამომითვალა: — ის ბოროტებაა, — იმიტომაა შავი და დალეული; სიკეთე უკან მოსდევს — მზესავით ანათებს და ადვილი საცნობია... აი ის ჩამოძონძილი არსებები სხვადასხვა ავადმყოფობაა... ის უხილავი, მიწიდან რომ ფოთლები ამოკრიფა — ქარია, იმ კუთხეში ვარსკვლავები სახლობენ და დაღამებას უცდიან... აი ის დარდიანი, ოხვრა-კვნესით და თავდახრილი რომ დადის — სიკვდილია!..

— მეშინია-მეთქი! — გულში ჩავეკარი ბაბუას.

— ნუ გეშინია, ბაბუა შემოგევლოს! ჯერ ერთი, სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს, ეგეც არ იყოს, სულაც არაა ბოროტი. პირიქით — რომ ვერც დაიჯერებს კაცი — ისეთი კეთილია, როცა ვინმესთან გაგზავნიან — შინ არ დამხვდაო... მზად არ იყოო... შენ რომ დაავალე, ის საქმე არ დაუსრულებიაო!.. მისი ნება რომ იყოს, სულ არ მოკლავდა ვინმეს, მაგრამ, უფლის ნებაა ასეთი: სიკვდილი რომ არ იყოს, სიცოცხლის ფასს ვერასოდეს გაიგებდნენ ადამიანები, ბოროტება რომ არ იყოს, ვერც სიკეთის შუქს შეამჩნევდნენ... ასეა, ბაბუა გენაცვალოს, შავი თეთრის ფონზე ჩანს მხოლოდ... წამო, დრო ცოტა გვაქვს, ბევრი უნდა ნახო და გაიგო, დედამიწაზე დაბრუნებულმა ის მადლი უნდა გაიყოლო, რაც შენს სიცოცხლეს გამართლებას მისცემსო!..

...ბაბუა დემეტრემ ათასგვარი ყვავილით აჭრელებულ მწვანე მინდორში გამიყვანა. თავადვე მაჩვენებდა და მასწავლიდა, რომელი მცენარე რა სატკივარს შველოდა... იმ დიდი მინდვრის ბოლოში ისევ შემოგვხვდა სიკვდილი, ყურადღებით შემომხედა: — ეს ის ბიჭი არაა, სიცოცხლეს რომ უნდა დაეხმაროს დედამიწაზეო?

ბაბუა დემეტრემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

სიკვდილმა ჩემ წინ ჩაიმუხლა და მითხრა: — ხომ გახსოვს, როგორაცაა — თუ დაინახავ ავადმყოფს თავთან ვუდგავარ, ჩემია და ბრძოლას აზრი არა აქვს, თუ ფეხებთან ვარ — შენია, თამამად დაუდექი გვერდით სიცოცხლესო!.

— ეგ ხომ ზღაპარია, ძია ლადო?!

— ჩვენი სიცოცხლეც ზღაპრის ნაწილია, აბა, როგორ?! ...ათი დღე ვყოფილვარ უგონოდ და სოფლელები ეკლესიაში ჩაკეტილ მამაჩემს ეხვეწებოდნენ თურმე, — ნუ აწამებ საცოდავ ბავშვს, დასაფლავების ნება მოგვეციო!..

ათი დღის შემდეგ რომ გაიღო ეკლესიის კარი და ჩემი ფეხით გამოვედი მამასთან ხელჩაჭიდებული, იქ მყოფთაგან ბევრს დაუჩოქია კიდევაც...

...ამის შემდეგ ჩვეულებრივი ვერ ვიქნებოდი, ბუნებრივია.

რვა კლასის დამთავრების შემდეგ საფერშლო დავამთავრე, სამედიცინო ინსტიტუტს ვერ შევბედე, ამიტომ სასოფლო-სამეურნეოში ჩავაბარე, ვეტერინარია შევისწავლე და სოფელში დავბრუნდი... გითხარი, სამკურნალო ბალახებს ვცნობ. მართალია, გერმანელ ფარმაკოლოგებთან ვმუშაობ, მაგრამ ამით მარტო ჩემს ოჯახს კი არა, სოფელსაც გაუჩნდა პურის ფული...

— ავადმყოფთან მისული მართლა ხედავთ მის თავთან ან ფეხებთან მდგომ სიკვდილს?!

— ვხედავ, აბა, არ ვხედავ? — ისევ ისეთია, დარდიანი... მხოლოდ მაშინ იღიმება, როცა ექიმებისგან უიმედოდ მიჩნეულ ავადმყოფს საამქვეყნოს შემოვაბრუნებ... ძალიან უყვარს სიკვდილს სიცოცხლე — საკუთარ თავზე მეტად უყვარს!

საოცრებაა ყველაფერი!..

ძია ლადოსთან შეხვედრის შემდეგ ისეთი განწყობა დამეუფლა, თითქოს ზღაპარში ვიმოგზაურე და როგორც ყოველთვის, ყველაფერი კეთილად დამთავრდა: „ჭირი იქა, ლხინი აქა!...“

***ინგა ჯაყელი***






# მამულ-დედული

## სექტემბრის სამუშაოები



სექტემბერში იბერტყება კაკალი. იგი გასაშრობად თხლად გაშალეთ მშრალ სათავსში, რომელიც კარგად ნიავდება და დაცულია მღრღნელებისგან. მსხვილი, საღი კაკლები შეგიძლიათ გადაარჩიოთ და ადრე გაზაფხულზე დათესოთ.

ხილის კრეფისთვის დაგჭირდებათ: კიბეები, ვედროები, ყუთები, კავი ტოტის ჩამოსაწევად, ასევე გრძელ ჭოკზე მიმაგრებული სპეციალური საკრეფი, კენწეროებიდან ვაშლისა და მსხლის ჩამოსაკრეფად. ვაშლის კრეფისას შეეცადეთ ცვილი, რომლითაც დაფარულია ნაყოფი, ნაკლებად დაზიანდეს, ვინაიდან იგი ხელს უწყობს შენახვას, ვედროშიც ფრთხილად ჩააწყვეთ, არ დაჟეჟოთ.

ხილი მოკრეფის დღესვე უნდა დახარისხდეს, დაზიანებული ნაყოფი მოცილდეს და ზომის მიხედვით გადაირჩეს, ხოლო შემდეგ ფრთხილად ჩალაგდეს წინასწარ 4%-იანი საჭმელი სოდით გარეცხილ ყუთებში, ან დალაგდეს თაროებზე. ვაშლი დაალაგეთ ყუნწით ქვემოთ, მსხალი — პირიქით. იმისათვის, რომ ჰაერი არ გამოშრეს, საცავში დადგით ტაშტით წყალი. ტენიან სარდაფებში პირიქით — დგამენ ჩამქრალი კირით ან მშრალი ხახვით სავსე ყუთს, რომ ზედმეტი ტენი შეიწოვოს. იქ, სადაც ხილი ინახება, არ შეიძლება მძაფრსუნიანი პროდუქტის ან ქიმიური საშუალებების (ბენზინი, ნავთი და ა.შ.) შენახვა. კარგად ინახება გაუქმებულ მშრალ ჭაში კალათით ჩაკიდებული ხილი, მათ შორის ქლიავიც. სარდაფის უქონლობის შემთხვევაში ხილის შენახვა შეიძლება აივნებზეც, ოღონდ წინასწარ სათითაოდ შეახვიეთ ქაღალდში და ისე ჩააწყვეთ, ხოლო ყინვის დროს ყუთები შეფუთეთ. კარგად ინახება ვაშლი, კომში და მსხალი ღია აივანზე ან საკუჭნაოში დადგმულ სახურავიან ტახტებსა და სკივრებში, ოღონდ იქაც სათითაოდ ქაღალდში გახვეული ჩაალაგეთ.

ყურძნის შესანახად ვარგისია სათავსი, სადაც ტემპერატურა 5-6 გრადუსია, ტენიანობა 80%. უმჯობესია თუ მტევნებს ყუთებში შემდეგნაირად ჩაალაგებთ — ერთი ფენა ნახერხი, შემდეგ მტევნები და ა.შ.

მოსავლის აღების შემდეგ, ნაკვეთი გადაბარეთ. თუ სამი წლის მანძილზე სასუქი არ შეგიტანიათ, სასურველია ყოველ 10 კვმ-ზე 40-60 კგ ნაკელის შეტანა. ყინვის დაწყებამდე გადაბარვა იმიტომ არის სასურველი, რომ ყინვა ბელტებს შლის და აფხვიერებს ნიადაგს. გამხმარი და დაავადებული ხეები ძირიანად ამოძირკვეთ და გაიტანეთ ნაკვეთიდან. ხის ამოსაღებად (განსაკუთრებით ვაშლის და მსხლის) მოთხარეთ ხეების ირგვლივ ნიადაგი 60-100 სმ-ის დაშორებით ძირიდან და ყველა ფესვი გადაჭერით. როგორც კი ხეს გვერდზე გადახრით, მერე ადვილია მისი ამოთხრა.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## კიდევ ერთხელ ჩაის შესახებ



**— ჩაის სიკეთის (განსაკუთრებით მწვანე ჩაის) შესახებ ბევრი რამ მსმენია. მისი მოხმარების წესიც ალბათ სხვადასხვაგვარია. ჩემს ოჯახში გარდა იმისა, რომ შავ და მწვანე ჩაის ყოველდღე მივირთმევთ, მწვანე ჩაის სამკურნალოდ (შლის მარილებს, კენჭებს ნაღვლის ბუშტში და ა.შ.) ასე ვაყენებთ: 1 ს/კ მწვანე ჩაის ვასხამთ 1 ლ ადუღებულ წყალს, ვაყოვნებთ 20 წთ-ს. მიიღება დღეში ოთხ ულუფად. გთხოვთ, მეტი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაის შესახებ.**

***პატივისცემით, ნ. გოგიაძე***

— ჩაი უბრალოდ ცხელი სასმელი კი არ გახლავთ, ბევრად მეტ სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს, ვიდრე დღემდე იყო ცნობილი. თუნდაც ტანინი, დიდხანს ეგონათ, რომ უბრალოდ მთრიმლავ ნივთიერებას წარმოადგენდა. ამ დროს ფერმენტაციის შემდეგ ტანინი შესანიშნავ გემოსაც იძენს და P ვიტამინის წყაროც გახლავთ. P და C ვიტამინი ძალზე კარგად არის ჩაის ფოთლებში შეზავებული. ჩაი ასევე შეიცავს ალკალოიდებს, ეთერზეთებს, ამინომჟავებს, პიგმენტებს. ალკალოიდებს შორის ყველაზე ცნობილია მატონიზებელი ნივთიერება კოფეინი. თანაც, ჩაი უფრო მეტ და ადვილად შესათვისებელ კოფეინს შეიცავს, ვიდრე ყავა. უამრავი პროფილაქტიკური და სამკურნალო ნივთიერებაა განსაკუთრებით მწვანე ჩაიში — მათ შორის ანტისიმსივნური და ანტირადიაციული. ასე რომ, საკმაოდ მოძველებული გამოთქმა „ჩაი სიცოცხლის ელექსირია!“ — დღესაც ძალაშია!

P.S. დაინტერესებულ მკითხველს იმასაც გავაცნობთ, თუ რას ეძახიან ჩაის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: თვით ჩაის სამშობლოში — ჩინეთში უამრავი სახელწოდებით მოიხსენიება ეს ღვთაებრივი სასმელი. სახელები შერქმეული აქვს წარმოშობის, ჯიშის, ტიპის და ა.შ. მიხედვით. ასე მაგალითად, ტუნჩა, ჩენლიანჩა, ჩიჩა, ბაიჩა... აქცენტი გამახვილებულია სიტყვის ბოლო ორ ასოზე — ჩა. პორტუგალიელები ჩაის ეძახიან ჩაას, ინდოეთსა და პაკისტანში — ჩხაის, შუა აზიაში ჩაის ან ჩოის, ტიბეტში — ცაის, მონგოლები, ყალმუხები — ციად მოიხსენიებენ, არაბები — შაიდ, იაპონიასა და კორეაში — ტეად, ინგლისში — თიდ. ფრანგები, იტალიელები, ესპანელები, ჰოლანდიელები, გერმანელები, შვედები, დანიელები და ნორვეგიელებიც, ინგლისელების მიბაძვით ეძახიან თის. 1825 წლამდე ეგონათ, რომ ჩაის ერთადერთი სამშობლო ჩინეთი იყო, მაგრამ გამოკვლევებით დადგინდა, რომ ინდოეთის მთიან ჯუნგლებში, ბირმაში, ვიეტნამში, ლაოსში, ტიბეტსა და ჰიმალაიშიც უძველეს წარსულში იზრდებოდა ჩაის ბუჩქები.

## ყორნის გაწვრთნაც შეიძლება...



ყორანი ბეღურასნაირთა რიგის და ყორნისებრთა ოჯახის ყველაზე დიდი წარმომადგენელია. მამალი დედალზე დიდია. შეფერილობაში დედალ-მამალს შორის განსხვავება არ არის. ზრდასრული სრულიად შავია, თავზე, კისერსა და ფრთებზე მოიისფრო მეწამული, ხოლო სხეულის ქვედა მხარე — მოლურჯო ელვარებით.

საქართველოში ბუდობს ევროპული ყორანი. ძალიან ფრთხილი და ჭკვიანი ფრინველია. იმ ადგილებში, სადაც სდევნიან, იშვიათად შეხვდებით, ხოლო იქ, სადაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ (ქალაქებშიც კი), მრავლად არიან. მაგალითად, რუსეთში ყორნის ბუდეს შეხვდებით საყდრის მაღალ სამრეკლოზე. საერთოდ კი მისი საცხოვრებელი ტყეა, საიდანაც სანავარდოდ ტყის ირგვლივ მდებარე ღია ადგილებში გამოდის.

ყორანი უპირატესობას ცხოველურ საკვებს ანიჭებს. ხანდახან გარეული ფრინველების ბუდეებს შლის, კვერცხებსა და ბარტყებს უნადგურებს, უყვარს ლეში... წყვილი ბუდეს იკეთებს ხის კენწეროზე, კლდეზე, ზოგჯერ კოშკზე, მაღალ შენობებზე. ერთი ბუდე რამდენიმე წელიწადს ჰყოფნით და თანაც, ერთმანეთის ერთგულები არიან. დებს 3-7 კვერცხს, კრუხობს 19-21 დღე. მშობლებს ძალიან უყვართ თავიანთი ნაშიერები, დიდ მზრუნველობას იჩენენ მათ მიმართ.

სხვათა შორის, ყორანი ადვილად შინაურდება, მისი გაწვრთნა შესაძლოა ისე, როგორც ძაღლისა. თუმცა, ნივთების მოპარვის ოსტატიცაა... ზოგჯერ ძაღლებთანაც მეგობრობს, აშორებს მათ პარაზიტებს. ასევე ეჩვევა ცხენებს, ძროხებს. შეუძლია სხვადასხვა ცხოველისა თუ ფრინველის ხმების წაბაძვა — ყეფს ძაღლივით, ღუღუნებს მტრედივით... მავნე მწერებისა და მღრღნელების განადგურებით მას სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის, გარდა ამისა, ბუნებაში ასრულებს „სანიტრის“ როლს.

## ბალის პიტნა სასარგებლოა



ბოსტანში თუ უკვე გაქვთ პიტნა, ხომ კარგი, თუ არა და, დარგეთ ამ შემოდგომით. ერთი ბუჩქი რომ აიღოთ, სულ ცოტა 10-15 ნაწილად დაიშლება. დარგეთ ერთმანეთისგან 20-30, ხოლო რიგთაშორისებში 40-50 სმ-ზე. პიტნის გამრავლება, გარდა ბუჩქის დაშლისა, შეიძლება ფესურებით, კალმებით და ადრე გაზაფხულზე განვითარებული ამონაყრებით. საუკეთესო ნიადაგი პიტნისთვის არის მსუბუქი შავმიწები. სადაც ასეთი ნიადაგი არ გაქვთ, გადამწვარი ნაკელი და მდინარის ქვიშა შეურიეთ ერთმანეთში და ჩაბარეთ. თანაც გაითვალისწინეთ, რომ პიტნას აუცილებლად სჭირდება მორწყვა. იმასაც გეტყვით, პიტნა არა მხოლოდ კულინარიაში ერთ-ერთი ცნობილი სანელებელია, არამედ საოჯახო აფთიაქსაც გაამდიდრებს.

ხალხურ მედიცინაში ბალის პიტნას ხმარობენ კუჭ-ნაწლავის ტკივილის დროს, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის, მეტეორიზმის, თავის ტკივილების, ეპილეფსიის და დეპრესიის სამკურნალოდ. პიტნის ცხელი ნაყენის მისაღებად 1 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს აყენებენ 500 მლ მდუღარე წყალში 2 საათის განმავლობაში. დალიეთ 100 მლ 3-4-ჯერ დღეში.

## დაუმარცხებელი „მტერი“



ეს სათაური გაზვიადებულად აღარ მოგეჩვენებათ, როდესაც შემდეგ მონაცემებს წაიკითხავთ: ვირთაგვების საშუალო წარმომადგენელს (სულ მსოფლიოში 60 სახეობის ვირთაგვააა) შეუძლია წვრილი მონეტის დიამეტრის მქონე ნახვრეტში გაძვრეს. თავისუფლად ავიდეს აგურის კედელზე, გაცუროს დაახლოებით 1 კმ და მხოლოდ წყალზე გაჩერდეს 3 დღე და ღამე. ფოლადისმაგვარი კბილებით თავისუფლად ღრღნის ტყვიის მილებს და წიდაბეტონის ბლოკებს. მეხუთე სართულიდან გადაგდებული სრულიად უვნებელი რჩება და, რაც მთავარია, ერთი წყვილი ერთ წელიწადში იძლევა 15000 „შთამომავალს“!

იქ, სადაც ატომურ ბომბებს ცდიდნენ (აშშ-ში), ყველაფერი მიწასთან სწორდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პოლიგონზე ბიოლოგები შესამოწმებლად მივიდნენ, ყველაფერში აღმოაჩინეს რადიაცია: ნიადაგში, მცენარეებში, თევზებში, მაგრამ როდესაც ამ მიზნით დაჭერილი ვირთაგვები შეამოწმეს, მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა — ისინი აბსოლუტურად ჯანმრთელები აღმოჩნდნენ.

რითი აღარ ებრძვიან მათ: შხამებით, მექანიკური საშუალებებით, ხვრელებს წამლავენ გაზით, უშვებენ შიგ წყალს, ნავთს, ასხივებენ, აავადებენ მიკრობებით, მაგრამ საუკუნოვან ბრძოლაში ადამიანმა ვირთაგვა ვერ დაამარცხა... ვირთაგვა ყველაფრის მჭამელია! ყოველგვარ საკვებთან ერთად მიირთმევს: ქსოვილებს, ფეხსაცმელს, ქაღალდს, ძვლებს, ხის ქერქს, ტყავს... ფრინველებს უჭამენ კვერცხებს, ბარტყებს. არც ცხოველები არიან მათ გამო კარგ დღეში — ღორებს და ცხვრებს აგლეჯენ ხორცს გვერდებიდან, ხოლო ხბორებს თუ თავს დაესხნენ, მტრისას! ვირთაგვების მოწამვლა შხამებით ძალიან ძნელია, ვინაიდან, მათ უნარი შესწევთ საკვებში შერეული ერთი მემილიონედი შხამის აღმოჩენისა! იგი ეჭვით უყურებს ყველაფერ ახალს და უცნაურს. დადგით სათაგური, ან თუნდაც დადეთ ჩვეულებრივი აგური და ერთი-ორი დღის განმავლობაში იქ აღარ გამოჩნდებიან.

ვირთაგვები ყველაზე გავრცელებულია ფილიპინებში, სადაც მოსავლის აღების წინ, 10 დღით ადრე, ჯოხმომარჯვებულები კონსერვის ქილების ჟღარუნით ღამით დადიან ბრინჯის ყანებში და აფრთხობენ ვირთაგვებს.

აზიაში ვირთაგვები ყოველწლიურად 48 მლნ ტონა ბრინჯს ანადგურებენ. და კიდევ, ვირთაგვას შეუძლია მრავალი დაავადების (შავი ჭირი, ტიფი, ბრუცელოზი, ტრიქონელოზი, სალმონელოზი, ცოფი, ციება...) გადატანა.

სწორედ ამიტომაც ვირთაგვების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება აუცილებელია ყოველწლიურად.

## მკითხველის ფოტო



— შოშია არ გეგონოთ!..

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

**რედაქციისაგან:**

**ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.**

**გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).**

**წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.**

## მოზაიკა

* * *

*ფრინველები ძალიან ცუდად ერკვევიან საკუთარი კვერცხების ფორმაში, ფერსა და ზომაში. იმდენად ცუდად, რომ არწივები, ქათმები, იხვები კრუხად სხდებიან კვერცხის მსგავს ნებისმიერ საგნებზე, ხოლო გედები „ცდილობენ“ შთამომავლობა გამოჩეკონ ბოთლებიდან, თოლიები კრუხად სხდებიან ქვებზე, ჩოგბურთის ბურთებსა და კონსერვის ქილებზეც კი, თუ კვერცხებს ამ საგნებით შეუცვლიან.*

* * *

*ყვავი კი არა, ყორანი ცოცხლობს 100 წლამდე, ზოგიერთი ქარიყლაპია და ნიანგი — 300 წელს, ხოლო ახალ ზელანდიაში, თოლიას ბუდეში მობინადრე ხვლიკი ტუატარა — ოთხ საუკუნეს.*

# სკანვორდი ფრაგმენტებით





1 სოფელი იმერეთში
2 ირმებშებმული მარხილი
3 დაფიქრება, ჭვრეტა
4 პატარა ფლეიტა
5 იაპონური ნაციონალური სამოსი
6 რუსი პაროდისტი
7 მგალობელი ფრინველი
8 თონეში ჩავარდნილი პური
9 მამაკაცის სადღესასწაულო სამოსი
10 ჯაშუში, აგენტი ძვ. ათენში
11 ტროპიკული ხილი
12 რისამე მთავარი დასაყრდენი პუნქტი
13 ბრაზილიური ცეკვა
14 მომღერალთა გუნდი
15 გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური
16 ბუდისტური სალოცავი
17 ყოვლისმომცველი, საყოველთაო
18 იაპონური პოეზიის ჟანრი
19 პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა
20 ძველებური ინგლისური ოქროს ფული
21 კვების გარკვეული რეჟიმი
22 შვლის ნაშიერი
23 ჟანდარმი იტალიაში
24 წყლის შეერთება სხვა ნივთიერებასთან
25 ცივი იარაღი
26 გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ ღირსებებზე
27 პატარა პლანეტა
28 სახელმწიფო აფრიკაში
29 უნგრული ეროვნული საჭმელი
30 ქვიშიანი უდაბნოს ტიპი საჰარაში
31 ძალიან იშვიათი ნივთი



32 სპილენძის ჩასაბერი მუს. ინსტრუმენტი
33 ნარნარი ფრენა
34 წამლის ფორმა
35 იტალიელი კომიკოსი
36 ქალაქი იტალიაში
37 გეომეტრიული ფიგურა
38 ესპანური მაგარი ღვინო
39 იაპონური ორთაბრძოლა
40 პურის სოკო
41 რესტორნის წიგნი
42 დაფაზე საწერი
43 მტკიცე პირობა
44 ქალის პირბადე
45 კრემიანი ნამცხვარი
46 კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
47 ... მახარაძე
48 თავდაყირა დგომა
49 რომაელი ორატორი, მწერალი
50 რუსული ვერტმფრენი
51 ინფორმაციის ერთეული
52 ... მერფი
53 გერმანული პარფიუმერიული ფირმა
54 ხვლიკის სახეობა
55 დროის ისტორიული მონაკვეთი
56 აშშ-ის შტატი
57 გადამდნარი ღორის ქონი
58 კუროსავას ფილმი
59 მრავალნიჩბიანი ხის სამხედრო გემი
60 გერმანიის სამრეწველო რეგიონი



61 პეპლების საჭერი ხელსაწყო
62 მდინარე საქართველოში
63 რუსული ჯიპი
64 ქრისტეს გამყიდველი
65 პროტესტანტების მღვდელი
66 ქვეწარმავალი
67 ხვიარა მცენარე

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ჩატურანგა; 2. კაშალოტი; 3. ტელემაქე; 4. ურანი; 5. ონორე; 6. დაიმი; 7. რიტონი; 8. გალა; 9. გეტა; 10. მარე; 11. იდო; 12. ლიმონათი; 13. აზოტი; 14. ავი; 15. დაბა; 16. ჰელიოსი; 17. ატამანი; 18. ლაიკა; 19. ტოგა; 20. იქთიოზავრი; 21. მნე; 22. პატიო; 23. კროლი; 24. ლეი; 25. ნოსტე; 26. პანტა; 27. ლაბა; 28. სარმა; 29. ანარა; 30. დრომადერი; 31. პანო; 32. ლიგა; 33. ნადიმი; 34. შინიონი; 35. შამანი; 36. ბარკასი; 37. მანი; 38. რაბინი; 39. ორგია; 40. მანე; 41. ვოლვო; 42. ოლიფა; 43. აზია; 44. მოკო; 45. რა; 46. ბაკარა; 47. რაპირა; 48. მარკა; 49. ფრი; 50. რემარკა; 51. ფასადი; 52. ლავა; 53. ალჟირი; 54. აფრიკა; 55. ფალი; 56. ჩია; 57. ჰავაი; 58. ჰავა; 59. ელია; 60. რაინი; 61. მესა; 62. იგორ; 63. ლინზა; 64. მაიორი; 65. გზირი; 66. მინდი; 67. ილო; 68. მალამო; 69. რძე; 70. გაზი; 71. გრიზლი; 72. ჯო.
1. შერი; 2. მილა იოვოვიჩი; 3. კიანუ რივზი; 4. მარტინ შინი; 5. მირა სორვინო.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

# 13-დან 19-მდე

## ნიკო გომელაური: — დღემდე ვერ მივაღწიე შეგნებულ ასაკს



*პოპულარული მსახიობი და საინტერესო ქართული და რუსული ლექსების ავტორი* ***ნიკო გომელაური****, შეიძლება ითქვას, მოსწრებული მამაა. თვითონაც ახალგაზრდაა, უმცროსი შვილი უკვე 10 წლისა ჰყავს. ნიკო გომელაური იღბლიანი ხელოვანიცაა. არც როლის ლოდინი უხდება ხანგრძლივად და მისი პოეზიაც ძალზე პოპულარულია ახალგაზრდებში. ამ უკანასკნელის დასტურია ხალხით გადაჭედილი მისი პოეზიის საღამოები, მაგრამ ვიდრე ასეთი პოპულარული გახდებოდა, ისიც ჩვეულებრივი ბიჭი იყო, იზრდებოდა თბილისში და მშობლებსაც „ჩვეულებრივ“ აბრაზებდა.*

— რომ გითხრა, განსხვავებული ბავშვობა მქონდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. მეუბნებოდნენ: მავნე და უზნეო ხარო. ისე დამარწმუნეს, რომ დედა თუ მკითხავდა, როგორი ბიჭი ხარო, ვპასუხობდი — მავნე და უზნეო-მეთქი. ცელქი ვიყავი, ისევე, როგორც დღეს ჩემი შვილია. სულაც არ მაღიზიანებს მისი ანცობა. მთავარია, უზრდელი არ იყოს. არსებობენ ბავშვები, რომლებიც თავიანთი უზრდელობით გაგაოგნებენ...

**— რას მავნებლობდით ხოლმე...**

— ხან ცეცხლს წავუკიდებდი რამეს, დავწვავდი, ხან ტექნიკას ვაფუჭებდი. მაინტერესებდა მექანიზმების დაშლა. მე მგონი, ყველა ბიჭი ასეა. ხშირად დაურტყამს დენს. სხვათა შორის, დღესაც ასეა...

**— სერიოზული ტრავმა თუ მიგიღიათ ცელქობის შედეგად?**

— ერთხელ წყნეთში მინა ჩავამსხვრიე. მოვახერხე და ორივე ხელის ვენა გადამეჭრა... არანაკლები საფრთხე გამოვიარე, როცა, ისევ წყნეთში, მეზობლის ცარიელ კოტეჯში შევიპარე და გადავწყვიტე, ლეიბზე მომედუღებინა ჩაი. ლეიბი დაიწვა და კინაღამ მთელი კოტეჯიც შეიწირა...

**— კარგად სწავლობდით?**

— ოროსანი ვიყავი. ეს შეიძლება, არც იყოს სათქმელი. რაც არ მაინტერესებდა, იმას არ ვსწავლობდი. ქართულში, რუსულში, ისტორიაში ორი არასოდეს მიმიღია, მაგრამ ქიმიაში, ფიზიკაში — იცოცხლე. ერთხელ ოთხი საშემოდგომო გამომყვა. სამ საშემოდგომოზე კი კლასში ტოვებდნენ. ასე იყო ჩემს ბავშვობაში. ახლა მე მგონი, აღარავის ტოვებენ კლასში. მახსოვს, ქიმიის მასწავლებელმა დამიწერა ნიშანი იმიტომ, რომ მივედი და გალაკტიონის ლექსი წავუკითხე. მიხვდა, რომ ქიმიას ვერც ვისწავლიდი, მაგრამ შემეძლო ლექსები წამეკითხა კარგად და ამისთვის ღირდა ჩემი სამიანით დასაჩუქრება.

**— ლექსების წერა სკოლაში დაიწყეთ?**

— ლექსი სკოლაში ყველას დაუწერია, განსაკუთრებით, სიყვარულზე, მაგრამ ძირითადად, შემდეგ დავიწყე ლექსების წერა.

**— ე.წ. შეგნებულ ასაკში?**

— რა ვიცი, რომელი ასაკია შეგნებული. მე დღემდე ვერ მივაღწიე მაგ შეგნებულ ასაკს.

**— სამაგიეროდ, შვილებთან არ გაგიჭირდებათ საერთო ენის გამონახვა.**

— მართლაც არ მიჭირს.

**— რაც შეეხება მავნე ჩვევებს, სიგარეტის მოწევა ადრე დაიწყეთ?**

— მოკრივე ვიყავი და ამიტომ გვიან დავიწყე მოწევა...

**— პირველი ღვინი თუ გახსოვთ, რომელზეც დალიეთ?**

— ეს იყო მეხუთე კლასში. ჩემმა კლასელმა — გოგიტა ბუთლიაშვილმა მოიტანა კახური ღვინო სამლიტრიანი ქილით, მთელი კლასი ვიყავით, თითოს ორ-ორი ჭიქა შეგვხვდა. ისე დავთვერი...

**— სტაჟიანი გამოდიხართ ამ საქმეში.**

— მაშინ დავლიე, თორემ სმა კი არ დამიწყია... ისე, მე კახელი ვარ. მყავდა პაპა ნიკო, რომელიც წყალგარეულ ღვინოს მასმევდა.

**— კრივი თუ გამოგადგათ ცხოვრებაში?**

— კრივი ლამაზი და კაცური სპორტია. ის გასწავლის, რომ შენ მიერ დამარცხებული უნდა წამოაყენო ფეხზე... ჩხუბი არ მიყვარს, მაგრამ თუ ვინმე მოინდომებდა დავეჩაგრე, რა თქმა უნდა, გამოვიყენებდი კრივს. ბიჭებს ვასწავლი: როცა გჩაგრავენ, პირდაპირ ცხვირში უნდა დაარტყა, ან ნიკაპში ამოარტყა იდაყვი... მთავარია, რომ მართალი იყო, როცა მართალი ხარ, ბოლო ნაძირალაც კი უკან დაიხევს, მოგერიდება.

**— ახალ თაობაზე რას ფიქრობთ?**

— ვამაყობ, რომ ისინი უკეთ იცხოვრებენ, ვიდრე ჩვენ. ნაკლებად იქნება დანების ტრიალი, რაც ჩვენს ბავშვობაში იყო... 12 წლისამ დანა ჩავიდე ჯიბეში. ამით ძალიან ვამაყობდი. 17 წლისამ გავაცნობიერე და მას შემდეგ დანას არ მივკარებივარ. სიმართლე გითხრათ, აღარც მიჩხუბია. შენს მოწინააღმდეგეს უბრალოდაც რომ გაუკაწრო ხელი, მას კი მოუშუშდება, მაგრამ შენ გაგყვება დანაშაულის შეგრძნება.

**— გოგონების მიმართ როგორი დამოკიდებულება გქონდათ?**

— ფასეულობები არ იცვლება. ჩვენ პატივს ვცემდით გოგონებს, ზოგიერთებს გვიყვარდა კიდეც... უბრალოდ, ჩვენხელა გოგონებს 3-4 წლით უფროსი ბიჭები მოსწონდათ და ჩვენ არ გვაქცევდნენ ყურადღებას. ეს მაშინ შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ ახლა რომ ვფიქრობ, მეცინება.

**— ზაფხული სად გაატარეთ?**

— როგორც იქნა, მეღირსა დასვენება. ამდენი წელია შვებულებაში არ ვყოფილვარ და წელს 20 დღით შეკვეთილში გავედით, ავთო ვარსიმაშვილის სახლში ვისვენებდი. არაჩვეულებრივი იყო!

**— ცურვა იცით?**

— ვიცი. პატარა ვიყავი, მე და მამა გემით რომ ვმოგზაურობდით და მოულოდნელად აუზში ჩამაგდო. შემეშინდა, თუმცა გავცურე. მას შემდეგ ვცურავ.

**— ავთო ვარსიმაშვილზე ამბობენ, მძიმე ხასიათი აქვსო, თქვენ არ გაგიჭირდათ მასთან ერთად დასვენება?**

— ავთოსთან მერვე წელია, ვმუშაობ. მიჩვეული ვარ... არც ის მგონია, მე უკეთესი ხასიათი მქონდეს. მეგობრები ბევრნი ვიყავით ერთად და მოწყენა არ გვიგრძნია.

**— თქვენს თეატრში პრემიერა არ იგეგმება?**

— უკვე გაიხსნა სეზონი გრიბოედოვისა და თავისუფალ თეატრებში. მალე გასტროლებზე წავალთ. ჯერ ბელორუსიაში, უკრაინაში, რუსეთში, მერე გერმანიაში. მოკლედ, წელს სულ გასტროლებზე ვიქნებით. ჯერჯერობით ასეთი გეგმები გვაქვს.

***ლელა ჯიყაშვილი***

## ეს იყო ზაფხულში...

*არდადეგები დამთავრდა და ბავშვებიც დაუბრუნდნენ სკოლებს. სკოლადამთავრებულთაგან კი ბევრი წელს პირველად წავიდა უმაღლეს სასწავლებელში. მათ ჯერ კიდევ მოჰყვებათ ზაფხულის ხალისიანი განწყობა. რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ და ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილების შესახებ ვთხოვეთ მოყოლა.*

***ბექა თუჯიშვილი, 17 წლის:*** — წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ამიტომ წლევანდელი წელი გამორჩეულია ჩემთვის. ვსწავლობ ტურიზმის, კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობაზე...

5 წლის ასაკიდან ქართულ ცეკვებზე დავდივარ. ამ ორი წლის წინ ჩვენი ანსამბლი — „ქართული ფოლკლორი“ გასტროლებზე იტალიაში, კუნძულ სარდინიაზე გაემგზავრა. ისე მოეწონათ იტალიელებს ქართული ხალხური ცეკვები, რომ ერთმა მილიონერმა ქალბატონმა მილანშიც მიგვიწვია კონცერტების ჩასატარებლად.



სარდინიაში ყოფნის პირველ დღეებში შევამჩნიეთ, რომ იტალიელები გაოცებულები გვიყურებდნენ, როცა ერთმანეთს მივმართავდით ან უბრალოდ სიტყვა „კაცოს“ წარმოვთქვამდით. რეპეტიციების დროს ჩვენი ხელმძღვანელი ბადრი მაჭავარიანი წარამარა ასე მოგვმართავდა: ნუ გამაგიჟეთ, კაცო, ნუ გეზარებათ ხელ-ფეხის განძრევაო... ან „ახლა მოგინდა, შე კაცო, დასვენება და ჭამა?..“ იტალიელებმა ცოტა ხანში ცერად დაგვიწყეს ყურება. მერე ერთ-ერთმა ჩვენს ხელმძღვანელს ღიმილით თითი დაუქნია და იტალიურად რაღაც უთხრა. ინგლისელმა თარჯიმანმა გვითარგმნა: ასეთი მიმართვა არაეთიკურიაო. ვერ გავიგეთ, რა არ მოეწონათ... გავაგრძელეთ რეპეტიცია... როგორც ჩანს, იტალიელები რაღაცამ შეაწუხა. ერთმა სარდინიელმა გვკითხა: კი, მაგრამ, რას ნიშნავს თქვენებურად „კაცო“? ავუხსენით, რომ ეს არის მამაკაცისადმი მიმართვა... უცებ იტალიელს სიცილი აუტყდა, სულ ცრემლები ღვარა. თურმე იტალიურად „კაცო“ მამაკაცის სასქესო ორგანოს ჰქვია. აბა, რა ჭკუაზე დადგებოდნენ, ჩვენ რომ ერთმანეთს ასე ვამკობდით?!

ცოტა ხნის წინანდელ ამბავსაც გიამბობთ. მისაღებ გამოცდაზე მივედით. გამოაცხადეს ჯგუფები და აბიტურიენტები ერთბაშად მიაწყდნენ კიბეს. ისე ჩქარობდნენ, გეგონებოდა, მატარებელი უნდა გასულიყო. ერთმა ტანსრულმა გოგომ გვარიანი მუჯლუგუნი მითავაზა და გზიდან ჩამომიშორა. კისრისტეხით ავარდა კიბეზე... ნეტავ რა მიარბენინებს-მეთქი, გაფიქრება ვერ მოვასწარი, რომ ფეხი რაღაცას წამოსდო და გაიშხლართა. შეწუხებული მივვარდი და გაოცებულმა პირი დავაღე... გოგონას კაბა გადასწეოდა, ფეხები კი წვრილ-წვრილად ნაწერი ფორმულებით ჰქონდა სავსე. სასწრაფოდ გაისწორა ქვედატანი და დამჭყივლა: რას მომჩერებიხარ, ამაყენე, თუ შეგიძლიაო! დავეხმარე ადგომაში. ამჯერად ნელა წავიდა. თვალი გავაყოლე. მის „შპარგალკებში“ ჩახედვა მეც არ მაწყენდა, მაგრამ ხომ არ ვთხოვდი?!

***ანი ასათიანი, 14 წლის:*** — ყველა ჩემხელა გოგონა ოცნებობს კინოში გადაღებაზე. წელს ეს ოცნება ამისრულდა. დედაჩემის ახლობელი მარი გულბიანი კინოფილმს იღებდა და ერთ-ერთ როლზე მე ამირჩია. ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, ეს როლი რომ განვასახიერე. საკმაოდ იოლი ყოფილა მსახიობობა!



მუშაობა მალე დავამთავრეთ, მაგრამ შინ წასვლა არ მინდოდა. ამიტომ ძალიან ვთხოვე მარის, რაღაც დაევალებინათ ჩემთვის, ოღონდ გადაღებებზე მევლო. მითხრეს, ხმის ჩამწერი აპარატი დაიჭირე ხელშიო. სიხარულით დავთანხმდი. აპარატი გაუნძრევლად უნდა მჭეროდა. ზოგიერთი დუბლის გადაღება კი საათობით გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ ადგილზე გაჩერება მიჭირს, დავალება მაინც კარგად შევასრულე. მხოლოდ ერთხელ გაგვიჭირდა...

უნდა გადაეღოთ მოხუცი კაცი, რომელიც დიდ ძაღლს ასეირნებდა. ეს ძაღლი მისი შვილიშვილის იყო, ამიტომ კადრს მიღმა ძაღლს ეს გოგონა ეძახდა. გამოვარდებოდა ძაღლი პატრონისკენ... სულ სირბილ-სირბილით გამოათრევდა მოხუცს, რომელიც თავს ვეღარ იკავებდა და უნებურად სწორედ ჩემს ხმის აპარატს ეჯახებოდა. გავწვალდით, ერთ ეპიზოდს 4 საათის განმავლობაში ვიღებდით! იმ საღამოს შინ დაღლილი დავბრუნდი, მაგრამ როგორც კი გავიფიქრე, რომ მალე გამოვა ფილმი, რომელსაც ალბათ „ქალაქში არავინ“ ერქმევა და რომელზეც მეც მაქვს შრომა გაწეული, სულ დამავიწყდა დაღლილობა.

***თეა ვაწაძე, 15 წლის:*** — დედით ბერძენი ვარ და უკვე რამდენიმე წელია, ზაფხულს საბერძნეთში ვატარებ. იქ უფასოდ ვისვენებ ბანაკში.



წელს ბანაკში ჩვენი მასწავლებლებიც დაახლოებით ჩვენხელები იყვნენ — 17 წლისანი. საბერძნეთში ასეა: ისინი ბანაკში დასასვენებლად მოვიდნენ, მაგრამ რაკი სტუდენტები იყვნენ და თანაც მუშაობა შეეძლოთ, უარი არ თქვეს მასწავლებლობაზე. გოგოს მარინა ერქვა, ბიჭს — მილიკოს ვეძახდით, იმიტომ, რომ ძალიან უყვარდა „მილიკოს“ დალევა — ასეთი ცხელი სასმელი არსებობს საბერძნეთში. ალბათ იმიტომ, რომ მასწავლებლები თანატოლები იყვნენ, კარგად გვესმოდა ერთმანეთის. იმდენად მოგვწონდა ბანაკში ყოფნა, მადლობის ნიშნად სიურპრიზი მოვუწყვეთ მარინასა და მილიკოს. ბავშვებმა ფოიეში ყვავილებით დავწერეთ მათი სახელები. წარმოიდგინეთ ორივეს სიხარული, როცა ყვავილებით მორთული ფოიე ნახეს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ განსაკუთრებით მიყვარს საბერძნეთში დასვენება. იქ ზღვა სულ სხვანაირია. მეორე — ეს ხომ ელინთა ქვეყანაა.

## საყვარელო „პალიტრავ“

## „მე სიცილი მინდა...“

***— მეგობარმა მითხრა, რომ ჯენიფერ გარნიე ახალ ფილმში ძალიან სასაცილო გოგონას როლს თამაშობს. იქნებ ამ ფილმის და საერთოდ, მსახიობის შესახებ ცოტა რამ მიამბოთ.***

***ნინი ცხადაძე, 16 წლის, თბილისი***



— ცნობილ სერიალში — „ჯაშუში“ — აგენტ სიდნი ბრისტოუს როლის შემსრულებელმა ჯენიფერ გარნიემ უკვე დაიმსახურა მაყურებლის სიმპათია. ახლახან ეკრანებზე გამოვიდა რომანტიკული კომედია — „ერთ ღამეში 30-ის“, რომელშიც **ჯენიფერ გარნიე** მთავარ როლს განასახიერებს. მისი გმირი, სახელად ჯეინი იმ ასაკშია, როცა გაჩხინკულ გოგონაში ქალი იღვიძებს, მშობლებთან უსიამოვნებები აქვს და მისი ოცნების ყმაწვილები ზედაც არ უყურებენ. ჯეინს ერთი სანუკვარი ოცნება აქვს — რაც შეიძლება მალე 30 წლის გახდეს. და აი, თავისი დაბადების დღეს, როცა 13 წელი შეუსრულდა, ოცნება აუხდა. მისი სხეული 30 წლის ქალისას დაემსგავსა, მაგრამ ქცევები ტინეიჯერისა შერჩა. ერთი სიტყვით, მაყურებელი ლოგიკური აბსურდის მოწმე ხდება, რაც ასე საჭიროა კომედიისთვის.

„ულამაზო და მორცხვი ვიყავი, უზარმაზარმინებიანი სათვალე მეკეთა და ბუს მამსგავსებდნენ. ამიტომ ბიჭები ჩემკენ არც იყურებოდნენ“, — იხსენებს მსახიობი თავის გარდატეხის ასაკს. პირველად ბიჭმა რომ აკოცა, 15 წლის ყოფილა. მეორე დღეს კი თაყვანისმცემელმა ზედაც არ შეხედა: — დიდი ამპარტავანი ვინმე ხარო, უთხრა ჯენიფერს.

დიახ, პატივმოყვარეც და ამბიციურიც გახლდათ. ეს, ალბათ, აღზრდის ბრალი იყო, კიდევ თავად ჯენიფერის თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლის შედეგი: მშობლები თავიანთ სამივე ქალიშვილს ფორტეპიანოზე და მათი შერჩევით კიდევ ერთ ინსტრუმენტზე დაკვრას აიძულებდნენ. ჯენიფერმა კი ფორტეპიანოს გარდა, კიდევ ორი აირჩია: საქსოფონი და ვიოლონო. გარდა ამისა, ბრწყინვალედ ცურავდა, ტურნირებშიც კი იღებდა მონაწილეობას და ეუფლებოდა საბალეტო ხელოვნებას. ასეა დღესაც: ის კვლავინდებურად აქტიურია და სიცოცხლით სავსე. — მომბეზრდა კუნთმაგარი და აგრესიული აგენტების თამაში — კომედია მინდა, სიცილი მინდა, იქნებ ამ კომედიაში თამაშის წყალობით იმიჯი შევიცვალო და რეჟისორებმა ჩემში აგენტი კი არა, ქალი დაინახონ, — ამბობს ჯენიფერი და დიდი იმედი აქვს, რომ ამ კომედიის წყალობით ამპლუას შეიცვლის.

ახლა მსახიობი ყოველდღე, თითქმის 14 საათს ტელევიზიაში ატარებს, მაგრამ მეგობრებისა და ახლობლებისთვის დრო მაინც რჩება. არც პირად ცხოვრებას ივიწყებს და ბენ აფლეკსაც ხვდება ხოლმე.

თუ ვიგულისხმებთ, რომ ჰოლივუდი სკოლაა, მაშინ ჯენიფერ გარნიე ამ სკოლის პატივმოყვარე მოსწავლეა.

# რატომ ჯიუტობს ჩემი „სადედინაცვლო“?

ეს ამბავი ცოტა უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ფაქტია — ახალგაზრდა მანდილოსანი თავისი ოჯახის, საკუთარი განცდების შესახებ გულწრფელად მიყვება:

— ჩემი მშობლები ძალიან ახალგაზრდები დაქორწინდნენ, — მიამბობს 23 წლის ანი, — ერთი წლის შემდეგ გავჩნდი მე. ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ. ოთხი წლის თავზე მამაჩემი დააპატიმრეს. დამნაშავე არ იყო, მაგრამ რადგან ერთი არაკაცის ცემის მოწმე იყო (ის კაცი რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა), ბრალდებულად ცნეს. დედაჩემი მეორე ბავშვზე ორსულად იყო. როგორც კი მამას 9 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, აბორტი



გაიკეთა. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და არ მესმოდა, რატომ ჰქონდათ ბებიას და დედას უკმაყოფილება. ახლა მეც დედა ვარ და ვიცი, ძნელია, როცა რძალს ატყობ შვილის ღალატს, თანაც მუცლის მოშლა ნიშნავდა, რომ იგი ოჯახში არ გაჩერდებოდა. დედამ ჩემი წაყვანაც დააპირა, მაგრამ ბებიამ არ დაანება. დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, დამტოვა და წავიდა. ერთ წელიწადში გათხოვდა კიდეც. ბებო მზრდიდა. ახალგაზრდა ქალი იყო, 42 წლისა და ყველას მისი შვილი ვეგონე. როცა მამა ციხიდან გამოვიდა, უკვე 14 წლის ვიყავი. კარგად მახსოვს ის დღე — 33 წლის კაცი სრულიად გაჭაღარავებულიყო. დედაჩემის სახელი აღარ უხსენებია...

მე და დედას ურთიერთობა გვაქვს. რამდენჯერმე მთხოვა კიდეც, მასთან გადავსულიყავი საცხოვრებლად, მაგრამ უარი ვუთხარი — ბებოს გარეშე გამიჭირდება-მეთქი. ოთხი წელია, ქმარ-შვილთან ერთად, საბერძნეთში ცხოვრობს (მეორე ქმარი ნახევრად ბერძენია). ერთხელ ვიყავი კიდეც მასთან. მამას არასოდეს დაუშლია ჩემთვის დედასთან ურთიერთობა.

სანამ მე ოჯახში ვიყავი, მამა ხალისიანად იყო, რას არ აკეთებდა, ყველა სურვილს მისრულებდა. მერე სიყვარული მეწვია. შევატყვე, არ ესიამოვნა. არ დაუშლია ლევანთან შეხვედრა, მაგრამ ეს კი მითხრა, — ჯერ უნდა ისწავლოო. მამის სიტყვა ჩემთვის კანონი იყო, მაგრამ მაინც დავარღვიე პირობა, დავკარი ფეხი და ბებიისა და მამის დაუკითხავად გავყევი ლევანს. მამა არ გამბუტვია. მეორე დღესვე მოვიდა ჩვენთან და დაგვლოცა. ბებო უფრო დიდხანს ჯიუტობდა. დედაჩემმა აუარებელი საჩუქარი გამომიგზავნა საბერძნეთიდან ნაცნობის ხელით...

ბედნიერება არ დამცალდა. მეუღლე მომიკლეს და დამრჩა პატარა გოგონა ობლად... მამამ ბინა მიყიდა, თუმცა მთხოვა, მარტოს გაგიჭირდება და ჩვენთან იცხოვრეო. დავთანხმდი.

მამაჩემს რომ ვუყურებ, გული მიკვდება — ძალიან სიმპათიური, საქმიანი და უაღრესად გულკეთილია, ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ მაინც მარტოხელაა, ძნელია უმეუღლეოდ ოჯახის გაძღოლა. ბოლო ხანს შევუჩნდი — როდემდე უნდა იყო მარტო, იფიქრე ცოლის შერთვაზე-მეთქი. თავიდან გაუკვირდა, ამას არ ელოდა ჩემგან, მერე და მერე კი ღიმილით მისმენდა. რახან თვითონ ხელს არ ანძრევს, მე ვიაქტიურებ-მეთქი, — გადავწყვიტე და დავტრიალდი.

ჩემი მეგობრის ნათლია ახალგაზრდა, ქმარს გაცილებული ქალია, შვილიც ჰყავს. მამა ისეთი გარეგნობისა და ხასიათისაა, უარს არც გასათხოვარი ქალი ეტყოდა, მაგრამ ისე მომეწონა თამარი, ისე დავუახლოვდი და შევეთვისე, მივხვდი, რომ სწორედ ის გაუგებდა მამას, ის გაუწევდა ღირსეულ მეუღლეობას. ბებიამაც მომიწონა არჩევანი და გადავწყვიტეთ, ჩემი მეგობარი, თავის ნათლიასთან ერთად, შინ მოგვეწვია. საგანგებოდ მოვემზადეთ. არც მისთვის გაგვიმხელია მიპატიჟების მიზანი და არც მამაჩემი გამიფრთხილებია, თუმცა, ვთხოვე, — სტუმრები გვეყოლება და არ დაიგვიანო-მეთქი.

ასე გავაცანი თამარი და მამაჩემი ერთმანეთს.

არავინ თქვას, არ არსებობს ერთი ნახვით შეყვარებაო. როგორც კი მამა ოთახში შემოვიდა და სანდომიან სტუმარს გაეცნო, მაშინვე მივხვდი, რომ ორივეს ძალიან მოეწონათ ერთმანეთი. მოეწონათ და შეუყვარდათ, მაგრამ აგერ უკვე ნახევარ წელზე მეტია, ყოყმანობენ დაქორწინებას. თამარს 18 წლის ბიჭი ჰყავს და ვერ უმხელს, — სხვა კაცი შემიყვარდაო. შიშობს, რომ გათხოვება შვილს დააკარგვინებს. ვუთხარი, — თუ გინდა, შენს ვაჟს ყველაფერს მეავუხსნი-მეთქი. იუარა. მამას ადრეც შესთავაზეს ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში მუშაობა, რომლის ოფისიც ბაქოშია, მაგრამ თამარის გამო თავი შეიკავა. ამ რამდენიმე კვირის წინ კი გადაწყვიტა, წასულიყო. წასვლამდე მაინც დაურეკა თამარს — კვლავ უარი მიიღო...

მამა არაფერს გვაკლებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მას აკლია ყველაზე მთავარი — სითბო და სიყვარული.

თამარის გამო რომ ნერვიულობდა და ღამეები არ ეძინა, ბებიაჩემს რაღა დააძინებდა! ისხდნენ გათენებამდე და საუბრობდნენ. მათ ღამეულ საუბრებში არ ვერეოდი, რადგან ბავშვი უჩემოდ არ იძინებდა, მაგრამ ერთხელ, შუაღამისას, ფეხაკრეფით მივედი ოთახის კართან (მამა მეორე დღეს უკვე მიდიოდა ბაქოში). ყური მივუგდე. ბებიამ ცოტა მკაცრად თქვა: — ადექი და, მაგის ჯინაზე სხვა შეირთე ცოლად. რა, ქალი დაილია ამ ქვეყნადო (არადა ბებოსაც ძალიან მოსწონს თამარი)? მამაჩემმა წყენით მიუგო: — მართალია, მაგრამ მე თამარი მიყვარს. ან ეგ გახდება ჩემი ცოლი, ან არავინ. მას შემდეგ, რაც ანის დედამ გული მატკინა, მეგონა, სხვას ვეღარასოდეს შევიყვარებდი. თამარმა კი მაგრძნობინა, რომ არ დამიკარგავს სიყვარულის უნარი. თბილი, მგრძნობიარე და ღირსეული ქალია, მაგრამ მისთვის შვილია ყველაზე მთავარი. არადა შვილს თავისი ადგილი აქვს, ქმარს კი თავისი უნდა ჰქონდეს. ვერ გამიგია, რატომ ფიქრობს, გათხოვება შვილის ღალატი იქნებაო...

ამ სიტყვებმა ისე ამაფორიაქა, ვეღარ მოვისვენე. მამა გავისტუმრეთ და მეორე დღეს თამართან მივედი. ყველაფერი ვუამბე. თვალზე ცრემლი მოადგა და მითხრა: — მე მამაშენი მართლა ძალიან მიყვარს. ვიცი, მასთან ბედნიერი ვიქნები, მაგრამ რა ვუყო სანდროს (სახელი შეცვლილია. — ავტ.), რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ, როცა ნათესავები ერთ შეძლებულ კაცს მირიგებდნენ, სრულიად სერიოზულად, დიდი კაცივით მითხრა, — როგორც კი გათხოვდები, იმ დღიდან გავქრები თბილისიდან და ვერასოდეს მნახავო. ძალიან შევშინდი და შევფიცე, გათხოვებას გულშიც არ გავივლებდი. ბიჭს ისეთი თვალები ჰქონდა, მუქარას უთუოდ აასრულებდაო.

ასეთი ეგოისტი როგორ გაზარდე, როგორ შეიძლება 18 წლის ბიჭი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდეს-მეთქი, — გავწიწმატდი.

თამარი გაჩუმდა. სამაგიეროდ, მე ვეღარ გავჩუმდი და რაც პირზე მომადგა, ყველაფერით შევამკე მისი ერთა. შევატყვე, ნაწყენი დამრჩა. მაინც მშვიდად მისმენდა. წამოსვლის წინ თავაზიანად დამემშვიდობა და ჩემი გოგონასათვის საჩუქრებიც გამომატანა. მას მერე ერთი-ორჯერ ველაპარაკე ტელეფონით, ნახვით აღარ მინახავს, ვგრძნობ, გამირბის. მე კი ძალიან მინდა ჩემი „დედინაცვალი“ გახდეს. ბოლოს და ბოლოს, 37 წლის ქალია, მას უყვარს მამაჩემი და მე, მასზე უმცროსმა, ჭკუა როგორ დავარიგო? დრო გავა, მისი შვილი თავის გზას მოძებნის, საკუთარ ოჯახს შექმნის და დედამისი, უნდა თუ არა მის მოყვარულ ვაჟს, უკანა პლანზე გადაინაცვლებს. თამარი მარტო დარჩება.

სამწუხაროდ, ვიცი, რა ძნელია მარტოსულობა. ახლა ახალგაზრდა ვარ, მეგობრებიც გვერდით მყავს, გამზრდელი ბებიაც და მამაც მხარში მიდგანან, შვილი დარდს მიმსუბუქებს, მაგრამ მერე და მერე მეც ძალიან გამიჭირდება, თუ გვერდში უახლოესი ადამიანი არ მეყოლება. ცოლ-ქმარი ხომ 40-50 წლის მერე იცლის ერთმანეთისთვის, მანამდე კი შვილებს ზრდიან. ამ დროიდან იწყება წარსულის გაანალიზება, წვრილმან-მსხვილმანის აწონ-დაწონა.

მართლაც, საშინელებაა იმის აღმოჩენა, რომ მიუხედავად ბევრი ახლობლისა, მაინც მარტო ხარ... უსიყვარულოდ, მხოლოდ მოვალეობის გამო ოჯახის შექმნა, თუნდაც მეორედ, ჩემთვის დაუშვებელია, ახლავე ვაღიარებ, თუ მეღირსა მეორე სიყვარული, უკან არ დავიხევ და ბედნიერებას არამც და არამც არ ვკრავ ხელს. ასე რომ, თამარის სიჯიუტე სრულიად გაუმართლებელია...

საინტერესოა, რას იტყვის თქვენი მკითხველი და რას ურჩევს ჩემთვის სასურველ „სადედინაცვლოს“?

***მარინა ბაბუნაშვილი***

ჩვენ გვწერენ

# მე ვეძებ ნანას

„...ერთმა დღემ შეიძლება მთელი ცხოვრება გადაწონოს. არ მეთანხმებით? დიდი ხანია, ვეძებ ერთ მშვენიერ ქალს. იგი შემთხვევით გავიცანი ბათუმში. მეორე საღამოს უკვე თბილისში მოვდიოდი, წინა დღე კი ერთად გავატარეთ, თუმცა თავიდან დავიწყებ...

ბათუმის ბულვარში ვიჯექი. შუადღის მზე აჭერდა და სანაპიროზე ხალვათობა იყო. ბულვარში დასასვენებლად შემოვიდა დედა და შვილი და ჩემ წინ სკამზე ჩამოსხდნენ. ბიჭი 9-10 წლისა იქნებოდა. მალე მოეწყინა და დედას აუტყდა, შადრევანთან გამიშვი, მაგიდის ჩოგბურთს ვითამაშებ. იქ ჩემი კლასელი და მისი ძმები არიან და მეც გავერთობიო. ქალმაც ნება დართო. ცოტა ხანში გამოველაპარაკე და საერთო ნაცნობიც მალე აღმოვაჩინეთ. მერე კაფეში დავპატიჟე. მორიდებით მითხრა, მარტო არა ვარო. ბიჭიც თან წამოიყვანეთ-მეთქი. არა, მარტო შვილი არ მახლავს, მეგობარი ქალიც მახლავსო. არც მასზე დამიხევია უკან. ცოტა ხანში ის მეგობარიც მოვიდა და ოთხივე ერთად წავედით რესტორანში. მიზნად არაფერი მქონია, როგორც ეს ასეთ შემთხვევაში ხდება — იწყება და მალე მთავრდება საწოლით. სადილმა მშვენივრად ჩაიარა. ვსაუბრობდით ათას რამეზე. მივხვდი, რომ ნანამ (იგი ასე გამეცნო) მთელი ჩემი არსება დაიპყრო. საღამოს ყველა ერთად გავედით სანაპიროზე. ისევ ატყდა ლუკა — თამაში მინდაო და ნანას მეგობარი, ქეთი, ბიჭს გაჰყვა (მგონი, ქეთიმ საგანგებოდ დაგვტოვა მარტო), ნანას დაუბარა, შინ გვიან დავბრუნდებითო.

მე და ნანა ბარში შევედით. საოცრად მომინდა მისთვის გული გადამეშალა. ასეც მოვიქეცი. მერე ნანამაც მიამბო თავისი ამბავი: თურმე მისი ქმარი ამ სამი წლის წინ ბელგიაში წასულა და „დაკარგულა“. გვიანღა გაიგო, რომ იქ საყვარელთან ერთად იმყოფებოდა. დღემდე არანაირი დახმარება არ მიგვიღია მისგან და რომც გამოგზავნოს, აღარც მინდაო, — თქვა მან დანანებით. მაშინ მე არც ხელი, არც გული არ შემითავაზებია მისთვის. დამშვიდობებისას მობილურის ნომერი ვთხოვე და მანაც მომცა. მეორე დილით თბილისში წამოვედი, ის კიდევ ათი დღე უნდა დარჩენილიყო ბათუმში. თითქმის ყოველდღე ვეხმიანებოდი მობილურით. ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი, მაგრამ ათი დღის მერე ველარაფრით დავუკავშირდი. ერთი თვის მერე კი სულ სხვა ხმამ მიპასუხა, — ეს ნომერი ახლა მე მეკუთვნისო. მივხვდი, მან შეგნებულად გამოცვალა ნომერი... რა აღარ ვიფიქრე. ნანა, მაპატიე, მაგრამ უნებურად ისიც კი გავივლე გულში, იქნებ მომატყუა და ქმარიც ჰყავს-მეთქი. მერე ის ჩვენი საერთო ნაცნობი მოვძებნე და გამოვკითხე ნანას ამბები. მან დამიდასტურა ნანას ნაამბობი და დაამატა: — ნანა მთელი სკოლის თვალი იყო და რაც ქმარმა ჩაიდინა, ამას არ იმსახურებდაო. ისიც მითხრა, — ადრე გოგებაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდნენ მისი მშობლები, ქმრის ოჯახი კი გამსახურდიას გამზირზეო. გოგებაშვილზეც ვიყავი და გამსახურდიაზეც ვეძებე, ცნობათა ბიუროსაც მივაკითხე, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერსად გავიგე. ჩემმა დამ მირჩია, „კვირის პალიტრისთვის“ მომეწერა. ამიტომაც გწერთ... ვიცი, ნანა წაიკითხავს და ამჯერად აღარ დამტოვებს უყურადღებოდ. ის მაინც მითხრას, რატომ აღარ სურს ჩემთან შეხვედრა. მე ხომ მისთვის არაფერი მომითხოვია. ახლა კი ვეუბნები, რომ მიყვარს, სულ მასზე ვფიქრობ და ხელს ვთხოვ.

***გიორგი. თბილისი“***

# „მერე რა, თუ დედაჩემი მამაჩემზე 30 წლით უმცროსია...“

*ბოლო ხანს ისე მომრავლდნენ მეტად ორიგინალური წყვილები, რომ სულაც არ მიკვირს, როცა მეუბნებიან, ამა და ამ ბიჭმა 12 წლით უფროს ქალთან დაიწერა ჯვარი, ის ორი მეტრის სიმაღლის გოგო ლამის მისი კანჭის სიგრძე ყმაწვილს გაჰყვა ცოლადო... კაცმა რომ თქვას, ეს ახალი ამბავი არ არის, მაგალითისთვის ონორე დე ბალზაკი და ჩარლი ჩაპლინიც გვეყოფა. ერთმა თავისზე ბევრად უფროსი, ლამის დედისტოლა ქალი შეიყვარა, მეორემ კი თითქმის შვილიშვილისხელა გოგო შეირთო ცოლად, რასაც იმ დროს დიდი სკანდალი გამოუწვევია. წარმოიდგინეთ, რას იტყოდნენ გოეთეზე, რომელსაც 90 წლის ასაკში „ტინეიჯერმა“ ულრიკემ დაახვია თავბრუ!*

*ერთი სიტყვით, სიყვარულს მართლაც ვერაფერს გაუგებ და, როგორც ჩანს, თაყვანისცემასაც არ გააჩნია ასაკი. ამას ქართული სინამდვილეც მოწმობს.*

**ლიკა (33 წლის):** — სამი წლით უმცროს ბიჭს ვუყვარდი. მეც ძალიან მომწონდა. მაგრამ გონებაში ჩაბეჭდილი სტერეოტიპი — ცოლი ქმარზე უმცროსი უნდა იყოს — მოსვენებას არ მაძლევდა. ხელი რომ მთხოვა, უარი ვუთხარი — უმცროსს ცოლად ვერ გავყვებიმეთქი. ეჰ, ერთი შენა ხარო. თურმე ბებიამისი ბაბუამისზე 11 წლით უფროსი ყოფილა და ტკბილად შებერებიან ერთმანეთს. მე კი ვერ გავრისკე და 13 წლის უფროს კაცს უყოყმანოდ გავყევი. 4 წელიწადში დამენგრა ოჯახი. ასაკობრივმა სხვაობამ თავისი ქნა. ის სხვა დროში აზროვნებდა, მე სხვა დროში.



**ლაშა (29 წლის):** — ჩემმა ძმაკაცმა 23 წლის ასაკში 8 წლით უფროსი ქალი შეირთო ცოლად, თანაც 12 სანტიმეტრით მაღალი და შვილიანი. მშობლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ შვილთან ვერაფერს გახდნენ, ვერ გაყარეს ცოლს და ოჯახიდან მოიკვეთეს. უკვე 7 წელია, ბაჩი და ქეთი ბედნიერად ცხოვრობენ, ჰყავთ ულამაზესი შვილები. ასე რომ, მათ შემხედვარეს მჯერა, ფიზიკურ და ასაკობრივ სხვაობას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია სულიერი და გონებრივი კონტრასტი არ იყოს ცოლ-ქმარს შორის.

**ბექა (21 წლის):** — დედა ძალიან პატარას გარდამეცვალა. მამამ მე და ჩემი უფროსი დები მარტოხელამ გაგვზარდა. 17 წლის რომ გავხდი, გამომიცხადა — ცოლი უნდა შევირთო და ხომ არ გეწყინებაო. გამიკვირდა — რატომ უნდა მწყენოდა! ჩემი საცოლე შენი დის ტოლია, ჩემზე 30 წლით უმცროსიაო. მერე რა მოხდა-მეთქი... მამაჩემის მეორე ცოლი ისეთი თბილი და მოსიყვარულე ადამიანია, რომ მასზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი — მან დედა დამიბრუნა. ანამ ერთი ძმაც შემძინა. არ მესმის, რით არის ცუდი, რომ დედაჩემი მამაჩემზე 30 წლით უმცროსია.

**თამარი (54 წლის):** — ასაკობრივი სხვაობისა რა გითხრათ, მაგრამ მე და ჩემი ქმარი ისე განვსხვავდებით გარეგნულად ერთმანეთისგან, რომ როცა ჩემმა მშობლებმა შოთა დაინახეს, კინაღამ გული გაუსკდათ, მე 1,58 სმ სიმაღლისა ვარ და მთელი სიცოცხლე 50 კგ-ს ვიწონი, ის კი სიმაღლით 2 მ-ია და დაქორწინებისას 142 კგ-ს იწონიდა! მერე კი ისე გასუქდა, რომ მის გვერდით დღემდე ცეროდენას ვგავარ, ის კი ბაყბაყდევს. ასე ვეძახი მოფერებით. ჩვენი კონტრასტული გარეგნობა ბედნიერებაში ხელს სულაც არ გვიშლის. ბიჭებიც მამას დაემსგავსნენ და ოჯახში ვხუმრობთ ხოლმე — ჩვენზე შეიძლება დაიწეროს ახალი ზღაპარი „ფიფქია და 4 გოლიათი“-მეთქი.

***ეკა ლომიძე***

დიასახლისთათვის

# ხილის წვენი

1 კგ შინდს, ქლიავს, ატამს ან დამარცვლილ იზაბელას დაასხით 2 ლ წყალი და მოხარშეთ. გადმოდგით, გააცივეთ, ფრთხილად გაწურეთ, დაამატეთ შაქარი გემოვნებით და მორევით აადუღეთ. სწრაფად ჩაასხით სუფთა ქილებში და მოხუფეთ.

# ლეღვის მურაბა



1 კგ წვრილ, მკვრივ ლეღვს მოაჭერით ყუნწები, დაჩხვლიტეთ, ორიოდ წუთით ჩაყარეთ მდუღარე წყალში და ფრთხილად გადმოიღეთ საწურში. მოადუღეთ 1 კგ შაქრის ვაჟინი და შიგ ჩააწყვეთ ლეღვი, გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ ნელ ცეცხლზე შედგით. ადუღეთ 10 წუთი, გადმოდგით, გააცივეთ 4 საათი და ისევ შედგით ცეცხლზე.

როცა ლეღვი გამჭვირვალე გახდება და წვენი შესქელდება, ჩააწყვეთ ქილებში ჯერ ნაყოფი, შემდეგ დაასხით ვაჟინი და ცხელ-ცხელი მოხუფეთ.

# თაყვანისმცემლების გარეშე ცხოვრება არაფერია...



## „გადაწყვეტილებებს ყოველთვის გვიან ვიღებ“

მომხიბვლელი პროკურორი, ქალბატონი მანანი მამაკაცებს აჯადოებს. რას აღარ სჩადიან მისი გულის მოსაგებად, გონებასაც კარგავენ სიყვარულში გამოტყდომის დროს, მის ბაღში ვარდების თაიგულებით დაძრწიან და სერენადებს უმღერიან.

ეს სცენები ქართველმა მაყურებელმა უკვე იხილა ახალ ქართულ საპნის ოპერაში, გიო ცინცაძის სერიალში „ეჰ, მეგობრებო“, სადაც მომხიბლავი პროკურორის როლს ქართული ესტრადის ვარსკვლავი ნანი ბრეგვაძე ასრულებს.

მის ახალ ამპლუაზე ქალბატონ **ნანი ბრეგვაძეს** ტელეფონით მოსკოვში ვესაუბრეთ:

**— ქალბატონო ნანი, როგორც ვიცი, ეს თქვენი პირველი კინოროლი არ არის?**

— დიახ, პირველად თენგიზ აბულაძის ფილმში „ყელსაბამი ჩემი სატრფოსთვის“ ვითამაშე ეპიზოდური როლი. ვფიქრობ, საკმაოდ შთამბეჭდავი სახე იყო.

**— ეტყობა, მოგწონთ მსახიობობა.**

— მომწონდა, მაგრამ ახლა არ ვიცი, რა გამომივიდა — ჯერ არ მინახავს ჩემი ნამუშევარი. მე ხომ სამსახიობო სკოლა არა მაქვს გავლილი. მე მომღერალი ვარ და არა მსახიობი. თუმცა ძალიან მომწონდა გადამღებ ჯგუფთან მუშაობა.

**— იოლად დათანხმდით ფილმში მონაწილეობას?**

— არა, ფილმში მონაწილეობა მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა, თანაც რაჭველი ვარ და გადაწყვეტილებებს ყოველთვის გვიან ვიღებ. ახლა კი ყველას ვეუბნები, არ დამცინოთ, თორემ თავს მოვიკლავ-მეთქი. აი, ასეთ დღეში ჩავვარდი ქალბატონი მანანის გამო.

**— ძალიან მომხიბლავი პროკურორი გამოგივიდათ, პროტოტიპი თუ ჰყავს თქვენს გმირს?**

— იცით, ჯერ არც ერთ პროკურორ ქალს არ შევხვედრივარ. რაც შეეხება ჩემი გმირის მომხიბვლელობას, უბრალოდ, ჩემს თავს ვთამაშობდი...

მართლა, გამახსენდა, კიდევ ერთ ფილმში ვარ ნათამაშები, ახალგაზრდა მიშა ჭიაურელმა გადაიღო ფილმი ფეხბურთელებზე. იქ კახი კავსაძის ცოლს ვთამაშობ, ნამდვილი აფთარია. ასეთივე როლი მაქვს თენგიზ აბულაძის ფილმშიც, სულ ვჩხუბობ.

**— ძნელი იყო გადასაღებ მოედანზე მუშაობა?**

— არა, ისე მიხსნიდნენ ყველაფერს, რომ ნამდვილად არ გამჭირვებია.

**— ფილმში თავგადაკლული თაყვანისმცემლები გყავთ. ცხოვრებაშიც ასეა?**

— რა თქმა უნდა. აბა, თუ თაყვანისმცემლები არ გყავს, არც ცხოვრება და არც შემოქმედება არაფერია. დღემდე ვმეგობრობ ერთ პიროვნებასთან, რომელიც ჯერ კიდევ „ორერაში“ ყოფნის დროს მეტრფოდა. მოდიოდა მალულად კონცერტებზე, მერე ყვავილებს მიგზავნიდა, მაგრამ ახლოს არ მეკარებოდა. იძულებული გავხდი, მე გამეცნო. დღემდე ჩემი ყველაზე ერთგული თაყვანისმცემელია. რაც შეეხება ქართველ თაყვანისმცემლებს, მათ სხვანაირი ხასიათი აქვთ, რუსებივით გადარევა, სადარბაზოებში დგომა და ა.შ. არ იციან, არც მიყვარს ასეთი რაღაცები. ჩემთვის საკმარისია მითხრათ, რომ მოგწონვართ ან გყვარებივართ. ეს სიტყვები ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

**— ალბათ გადაღებას ბევრი კურიოზი ახლდა.**

— კურიოზები, ძირითადად, ჩემთან იყო დაკავშირებული. ტექსტი გამუდმებით მავიწყდებოდა. კურიოზული იყო ფილმის ბოლო სცენის გადაღება. არბაზე უნდა გვეჩხუბა. ისე ციოდა, კანკალმა აგვიტანა, ჩხუბისა და კამათის თავი აღარავის ჰქონდა, ისტერიულად ვიცინოდით ყველანი.

**— თქვენ მოსკოვში ხართ იმ დროს, როცა საქართველოს და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობები უაღრესად დაძაბულია. უხერხულად ხომ არ გრძნობთ თავს ასეთ სიტუაციაში?**

— გუშინ „ბი-ბი-სის“ მივეცი ინტერვიუ ამ საკითხზე. რუსებს მიაჩნიათ, რომ მე მხოლოდ საქართველოსი არა ვარ, მათიც ვარ. ამიტომაც აინტერესებთ ჩემი აზრი. ჩემთვის უპირველესი საფიქრალი ჩემი სამშობლოს ბედია და მიუღებელია საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა. მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას არსებული სიტუაციის მიმართ ყოველთვის გამოვხატავ. მიუხედავად ამისა, ყველასგან დიდ პატივისცემასა და სიყვარულს ვგრძნობ.

**— გენატრებათ თბილისი?**

— უთბილისოდ არ შემიძლია, მის გარეშე თავს ცუდად ვგრძნობ.

***ეკა ლომიძე***

# „ქუჩის ბიჭები“ საქართველოს ტოვებენ...

რამდენიმე დღის წინ ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“, თემურ თათარაშვილი და მერაბ სეფაშვილი მოსკოვში გაემგზავრნენ ქართული სიმღერის ფესტივალზე, რომლის ორგანიზატორია ვახტანგ კიკაბიძე. ქართველ მომღერლებთან ერთად კონცერტზე რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლებიც გამოვლენ.

გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ერთ-ერთმა „ქუჩის ბიჭმა“, **ზურა ხაჩიძემ** ექსკლუზიური ინტერვიუ მოგვცა (როგორც გავიგე, „ქუჩის ბიჭები“ მოსკოველ პროდიუსერებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას და საქართველოს დატოვებას აპირებენ)...

**— რომელ სიმღერებს შეასრულებთ ფესტივალზე?**

— 3-4 სიმღერას ვიმღერებთ, თუმცა ჯერ არ გადაგვიწყვეტია, ძველი რეპერტუარიდან თუ სრულიად ახალ სიმღერებს. ამას კონცერტის რეჟისორი გადაწყვეტს. ამ ფესტივალს დიდი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობაა. ხელოვნებისა და კულტურის რუსი მოღვაწენი ცდილობენ ქართველ კოლეგებთან ხშირი კონტაქტით გაალღონ პოლიტიკური ყინული, ეს კონცერტიც ამის დასტურია.

**— არ გეშინიათ, რომ დეპორტაცია გაგიკეთონ?**

— ყველა წვრილმანი მოგვარებულია. საქმეში ჩართულია გამოცდილი პროდიუსერი გია შამათავა, მანვე მოაგვარა საორგანიზაციო საკითხები.

**— ფესტივალში იქაური ქართველი მომღერლებიც მიიღებენ მონაწილეობას?**

— ვიცი, რომ რუსი ვარსკვლავები გამოვლენ ჩვენთან ერთად, ქართველებიდან კი ვინ იმღერებს, ჯერ არ ვიცი.

სხვათა შორის, მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს ბევრ სიურპრიზს ვპირდებით.

**— მოსკოვში დარჩენას ხომ არ აპირებს „ქუჩის ბიჭები“?**

— ბევრი შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი. ვნახოთ, შეიძლება მართლაც გადავიდეთ მოსკოვში. თუმცა, ფესტივალის დასრულების შემდეგ თბილისში ჩამოვალთ. მოვამზადებთ რუსულ რეპერტუარს და მერე გავემგზავრებით მოსკოვში. იმედი მაქვს, ფეხს მოვიკიდებთ რუსულ შოუბიზნესში.



**— „არტიმედთან“ აღარ ითანამშრომლებთ?**

— კომპანია „არტიმედი“ თითქმის დაშლილია. ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ რატომღაც ფეხი ვერ მოიკიდა ისე, როგორც წამყვან პროდიუსერულ კომპანიას შეეფერებოდა. მიუხედავად ამისა, მისი დიდად მადლიერი ვარ, სხვა რომ არაფერი, ყველა მომღერალს უზრუნველყოფდა ხელფასით.

**— ამ ბოლო დროს თქვენი თანხებით იღებთ კლიპებს, წერთ სიმღერებს...**

— ჩვენი სახსრებით გადავიღეთ ორი კლიპი, რომლებიც სულ მალე გავა ტელეეთერში. ერთ-ერთი კლიპის რეჟისორი დათო გერსამია გახლავთ. სიმღერას ჰქვია „SOS“ (ტექსტი გია ჯოხაძეს ეკუთვნის, მუსიკა „ქუჩის ბიჭებს“), ტერორიზმის წინააღმდეგაა. ჩვენს კლიპში ქართველი ჯარისკაცები მონაწილეობენ. ამით გვსურს გამოვხატოთ მათ მიმართ დიდი სიმპათია და თანადგომა.

მეორე კლიპი უფრო გასართობია. სიუჟეტი ძალიან სახალისო და საინტერესოა. მაყურებელი ნახავს, როგორ ვერთობით მეგობრებთან ერთად, როგორები ვართ სცენის მიღმა, შეყვარებული ან მეგობარი გოგონების გარემოცვაში. კლიპის რეჟისორი ბასა ჯანიკაშვილი გახლავთ. სიმღერის სახელწოდებაა „მიყვარხარ“ და ავთო ბადურაშვილს ეკუთვნის.

**— როგორც ჩანს, მოსკოვში კონკრეტული წინადადებები შემოგთავაზეს...**

— თქვენი გაზეთის მკითხველს ექსკლუზიურ ინფორმაციას ვთავაზობთ ჩვენი გეგმების შესახებ. მე აპოლიტიკური კაცი ვარ, თუმცა, ნათქვამს, დღეს სიმღერისა და ცეკვის დრო არ არისო, გვერდს ვერ ავუვლი. მოგეხსენებათ, წლების მანძილზე, მაშინ, როცა ყველაზე მეტად უჭირდა ჩვენს ქვეყანას, ქართველ ხალხს სწორედ ხელოვნება აძლევდა შვებას და გამძლეობას მატებდა და... ერი, რომელიც შემოქმედების გარეშე დარჩება, გადაგვარდება.

იქნებ ამიტომაც აუცრუვდა ბევრ ხელოვანს გული აქაურობაზე — შრომა არ უფასდებათ და თვალი საზღვარგარეთისკენ უჭირავთ. ჩვენც იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ამიტომ წავალთ იქ, სადაც შრომა დაგვიფასდება.

***ეველინა მენთეშაშვილი***

# სტალინის როლს ბანკირი ასრულებს...

*„მოსკოვური საგა“ — ასე ჰქვია რუსი მწერლის, ვასილ აქსიონოვის ნაწარმოებს, რომელიც ეკრანზე ცნობილმა რუსმა რეჟისორმა, დიმიტრი ბარშჩევსკიმ გადაიტანა.*

*„მოსკოვური საგა“ სტალინის ეპოქის საზოგადოების ცხოვრებას აღგვიწერს. ქართველებისთვის ახალი რუსული ტელესერიალი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასში ერთ-ერთ მთავარ, ბერიას როლს რუსთაველის თეატრის მსახიობი* ***ირაკლი მაჭარაშვილი*** *ასრულებს. ამჯერად ირაკლი ჩვენი სტუმარია და თვითონ გვიამბობს ფილმის შესახებ.*



## „ბერიას მანქანაში უცნაური სიამოვნება განვიცადე“

**— ირაკლი, ლავრენტი ბერია დღემდე უარყოფით პერსონად არის ცნობილი. როგორ არის იგი წარმოჩენილი ფილმში?**

— რეჟისორს გადაწყვეტილი ჰქონდა პროტოტიპთან ზედმიწევნით მიახლოებული გმირი წარმოეჩინა. მე კი გადამღებ ჯგუფს შევთავაზე სხვანაირი ბერია გვენახვებინა მაყურებლისთვის. მართლაც, ჩემი აზრი გაითვალისწინეს და ვფიქრობ, ფილმმა ბევრად მოიგო.

შევქმენით პერსონაჟი, ჩვეულებრივი ქართველი, რომელმაც თავისით გაიკვალა გზა და უმნიშვნელოვანეს დიდჩინოსნად იქცა. რა თქმა უნდა, ბერია არ შეგვილამაზებია, ყველა ის უარყოფითი თვისება დავუტოვეთ, რაც ჰქონდა, მაგრამ მაინც — ჩემი ბერია იმ ბერიასავით საშინელი არ არის. გადაღებისას, მოსკოვში გავიცანი ბერიას შვილობილი, 80 წელს მიტანებული საოცრად ლამაზი ქალი. მანაც მითხრა — მართალია, ლავრენტი პავლოვიჩს ბევრი ცუდი თვისება ჰქონდა, მაგრამ ის საქმეს აკეთებდა, რომელსაც აშკარად არავინ, მაგრამ მალულად ყველა უფასებსო. ატომური ბომბის შექმნას რუსეთი სწორედ მას უნდა უმადლოდეს. ამერიკელი, ატომური ბომბის შემქმნელი ჩამოიყვანა მოსკოვში, გააკეთებინა საქმე და ისევე მალულად გაუშვა უკან. ამას ხომ უნდოდა ნიჭი, უნარი, ორგანიზება?

**— ძირითადად, რომელ პერიოდზეა აქცენტი ფილმში?**

— საერთოდ, ფილმი იმ დროს გახმაურებულ ექიმების საქმეზე მოგვითხრობს, ბერიას ცხოვრება კი იწყება თბილისიდან, 1923-24 წლებიდან. ნაჩვენებია, როგორ იცილებს მეტოქეებს და იკვალავს გზას.

**— როგორ მიგიწვიეს ფილმზე?**

— სრულიად მოულოდნელად. თბილისში ჩამოვიდა ფილმის გადამღები ჯგუფის წევრი, ჩემი მეგობარი ირინა ჟღენტი. მითხრა — ქართველ მსახიობებს ვარჩევთო და მეც გადამიღო სინჯები. დაახლოებით 10 დღეში დამირეკეს, — როლი უნდა შემოგთავაზოთ, ოღონდ არ დაიბნე, ბერია უნდა ითამაშოო. ვიფიქრე, სად მე და სად ბერია-მეთქი. ამიხსნეს, სახეს დავაკვირდით და გრიმით კარგ შედეგს მივაღწევთო. მგონი, მართლა გამოვიდა რაღაც.

**— ფილმში ერთადერთი ქართველი მსახიობი ხართ. არადა, იქ სხვა ქართველი პერსონაჟებიც არიან. თვით სტალინსაც კი რუსი განასახიერებს. ნუთუ ქართველებში მსახიობების არჩევა გაუჭირდათ?**

— ჩემ გარდა, არის კიდევ ერთი ქართველი — რეჟისორი ნანა მჭედლიძე. იგი სტალინის დედის, კეკეს როლს თამაშობს. დანარჩენები, ფაქტობრივად, რუსული კინოს ვარსკვლავები არიან. მხოლოდ სტალინის როლს ასრულებს არაპროფესიონალი, ბანკირი. თურმე მთელი სიცოცხლე ოცნებობდა სტალინის როლზე. პედაგოგიც კი დაიქირავა, რომ მეტყველებით იოსიფ ვისარიონოვიჩისაგან დიდად არ განსხვავებულიყო.

**— სტალინი და ბერია ფილმის მთავარი გმირები არიან?**

— არა. ფილმში მოთხრობილია ებრაელ ექიმსა და მის ოჯახზე. ებრაელის ქართველ ცოლს ინა ჩურიკოვა თამაშობს.

**— რაიმეთი თუ ჰგავხართ ბერიას?**

— არა, რას ამბობთ.

**— ამბობენ, ძალიან უყვარდა ქალებიო.**

— ყველა მამაკაცს უნდა უყვარდეს ქალი, ოღონდ არა ბერიასავით გადამეტებულად.

ისე, გარეგნულად რომ დავმსგავსებოდი, წონაში მოვიმატე, გაძლიერებულ კვებაზე ვიყავი.

**— როგორც გავიგე, ისევ მიუწვევიხართ მოსკოვში..**

— დიახ. ისევ რეჟისორი დიმიტრი ბარშჩევსკი იღებს ახალ ფილმს, სახელწოდებით „მძიმე ქვიშა“. მე ხანში შესულ ებრაელს განვასახიერებ.

**— გავიგე, „მოსკოვური საგას“ გადაღებისას არაორდინარულ სიტუაციებშიც აღმოჩენილხართ თქვენ და „სტალინი“.**

— გასამხედროებულ ობიექტზე გვქონდა გადაღება. მე და სტალინი მივედით „BMW“-ს მარკის ავტომანქანით. გადმოვედით, დაგვინახეს ბებერმა დარაჯებმა, ძველმა ჩეკისტებმა, მათ ჯერაც ახსოვთ სტალინი და ბერია. წამოხტნენ, მოგვესალმნენ. მორიდებით გვთხოვეს — თქვენთან გასაუბრება და ფოტოების გადაღება გვინდაო. აღარც კი ახსოვდათ, რომ მსახიობები ვიყავით. ერთი დარაჯი გამოგვიტყდა: მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი, ერთხელ თქვენთან ერთად ფოტო გადამეღო და ერთი ასი გრამი არაყი ჩამერტყაო. ავუხდინეთ ოცნება.

მეორედ, მე და საშა გრიმითა და ფილმის კოსტიუმებით ქუჩაში მივდიოდით, ავტომანქანით. გორკის პროსპექტზე ინსპექტორმა გაგვაჩერა. შემოყო ფანჯარაში თავი და შეცბა. ამ დროს „სტალინმა“ გადმომხედა და მკითხა, — „ჩტო ნამ დელატ, ლავრენტი პავლოვიჩ, არისტავატ ევო ილი ნეტ?“ „უეჟაიტე, პაჟალუსტა“, შეშინებულმა ამოიხრიალა ინსპექტორმა.

**— თქვენ გადაღებისას ბერიას მანქანაში იჯექით. როგორი იყო იქიდან სამყარო?**

— ბერიას პირადი მანქანა იმ დროისთვის მეტად კომფორტული იყო. კრემლიდან რომ გამოვედით, საოცარი გრძნობა დამეუფლა. ვფიქრობდი, მგონი მართლა ბერია ვარ-მეთქი, ისე მესიამოვნა კომფორტი. ყურადღებას არ გაკლებენ, შენს გავლაზე გზები იკეტება. მივხვდი, რატომ ისწრაფვიან ადამიანები ძალაუფლებისაკენ.

კიდევ ერთი კურიოზი — თბილისში გადასაღები სცენები ყირიმში გადაიღეს. შეეშინდათ აქ ჩამოსვლა, ვიღაცებმა დააშინეს გადამღები ჯგუფი — იქ ხალხს მოგტაცებენ, აპარატურას წაგართმევენო და მე აღარავინ მისმინა. ყირიმში მოძებნეს თბილისის მსგავსი ქუჩები, ზოგიც დეკორაციებით მოაწყვეს, მაგრამ ძალიან ძვირი დაუჯდათ.

***ეკა ლომიძე***

## ორშაბათი — 4 ოქტომბერი

ქვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.40 მრავალჟამიერ 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 23.00 მოამბე 21.05 სერიალი „კარიბის ზღვაზე" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი „ლოლიტა" (U)

19.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 19.30 „იმღერე რამე" 20.00 „მთავარ როლში" - რ. ჩიქოვანი 20.40 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 22.00 ბასტი-ბუბუ 22.15 მხ. ფილმი (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 სერიალი 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 „ტელეღიპუცები" 18.20 „ფოქს კიდსი" 18.45 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 მხ. ფილმი (18). 02.00 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 14.45, 02.55 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 09.20 „აქტიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 დროება 12.40, 16.25, 02.45 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ჩალის ქუდი" (U) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45 ქრონიკა 15.20 სერიალი „კლონი" 16.40 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.25 18.05 სერიალი „ტყუპები" 20.00 სერიალი „კლონი" 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" 22.45 23.10 „არჩევანის დრო" 00.25 „აქტიორი" 01.20 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ვუპი" 11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.05 ტელეჟურნალი 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.20 19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო" 21.15 სერიალი „ვუპი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი (18)

18.00 მინისერიალი „გრაფინია დე მონსორო" მე-5ს. 19.10 დოკ. ფილმი 20.20 კონცერტი 22.15 მხ. ფილმი (15)

13.00, 00.30 ქართული მუსიკა 14.00 მხ. ფილმი (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი (U) 22.30 ქართული მუსიკა

08.00 PTP Планета-ს„ პროგრამა 11.20 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ. მხ. ფ. 13.00 PTP Планета-ს„ პროგრამა 21.00 ინდ. ფილმი „სიყვარული და ღალატი"

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი „მუსკულები" (განმ.) 19.30 ანიმაციური ფილმი „დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

09.05 მელოდია 09.30 ფოტოაპარატები 09.45 „აჩიკუდა" 10.05 ვიდეოკამერები 10.25 მელოდია 10.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.10 მელოდია 11.25 ტელევიზორები 11.35 მელოდია 11.50 პრინტერები 12.05 დისნეი და მისი მეგობრები 12.25 მელოდია 12.35 მობილურები 18.05 მელოდია 18.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.45 მელოდია 19.00 „აჩიკუდა" 19.20 პრინტერები 19.40 მელოდია -„მოკლე შეტყობინებები" 20.20 ტელევიზორები 20.30 „ნა-ნა-ნა" - კარაოკე 21.30 კომპიუტერული ტექნიკა 22.00 მელოდია 22.20 მობილურები 22.40 მელოდია 23.00 ფოტოაპარატები 23.15 მელოდია 23.40 ვიდეოკამერები

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Билли Зэйн в фильме "БРИЛЛИАНТ ДЖЕРУ" 11.00 Док. детектив "Узник Пермской обители". Дело 2002г. 11.30 Дисней-клуб: "Алладин". 12.10 Ефим Копелян в детективе "ОСОБОЕ МНЕНИЕ" 13.40 Смехопанорама 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 "Последний герой". Суперигра. 16.30 "Фабрика звезд". 17.00 "Пять вечеров". Понедельник. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.00 Сериал "КЛОН". 20.00 Жди меня. 21.00, 00.30 Время 21.30 Сергей Маковецкий в боевике "72 МЕТРА". 1-я серия. 22.40 Спецрасследование. "Выжившие в авиакатастрофах". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Искатели. "Последняя ночь великого князя". 00.40 Петр Марченко в программе "Русский экстрим". 01.10 Кетлин Тернер в боевике "ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ ВАРШАВСКИ" 02.30 Кристофер Ллойд в комедии "ПРИВИДЕНИЕ ЗА РАБОТОЙ". 04.10 Сериал "Специальное подразделение II". 04.50 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Огненные воды Таити".

## სამშაბათი — 5 ოქტომბერი

07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი „მარსუპილამი" 09.55 „იმღერე რამე" 10.25 მხ. ფილმი „ლოლიტა" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი „უშიშრები" 16.30 ისტორიანი 17.00 მულტსერიალი „მარსუპილამი" 17.25 „ძველი აფიშა" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „კარიბის ზღვაზე" 22.00 „მიამბეთ თქვენზე" 00.00 მხ. ფილმი „შემსრულებელი" (U)

19.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 19.30 „იმღერე რამე" 20.00 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 21.30 კონცერტი 22.00 ბასტი-ბუბუ 22.15 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში" (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.55 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 „ტელეღიპუცები" 18.20 „ფოქს კიდსი" 18.45 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 მხ. ფილმი (18) 02.15 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 12.20, 14.25, 04.30 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 09.20 „აქტიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ყავა და ლუდი" 12.40, 16.25 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ჩალის ქუდი" (U) 1-ლი ს. 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 15.20 სერიალი „კლონი" 16.30 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.25 თამაში „პოლიციის აკადემია" 18.05 სერიალი „ტყუპები" 20.00 სერიალი „კლონი" 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" 22.50 „უცნობი საქართველო" 23.20 მხ. ფილმი „მიიღე" 01.30 „აქტიორი" 01.35 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ვუპი" 11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.05 ტელეჟურნალი 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 18.20 19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო" 21.15 სერიალი „ვუპი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი (15) (ჯეინ ბირკინი)

18.00 მინისერიალი „გრაფინია დე მონსორო" მე-6ს. 19.10 დოკ. ფილმი 20.20 კონცერტი 22.15 მხ. ფილმი „ბარონი ...ზე" (15)

13.00 ქართული მუსიკა 14.00 მხ. ფილმი „საიდუმლო საქმე" (U) 16.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი (U) 22.30, 00.30 ქართული მუსიკა

დაავადების გამწვავებისას გამოიყენება ალერგიის საწინააღმდეგო ანტიჰისტამინური პრეპარატი — სუპრასტინი, ტავეგილი, დიაზოლინი, ტელფასტი და სხვა, იმუნომოდულატორები — ვიფერონი, დამამშვიდებლები — ტრანკვილიზატორები, კატაბალახას ნაყენი. ინიშნება ნიკოტინის მჟავის პრეპარატები. იშვიათად ექიმი მიმართავს — თხევადი აზოტით, ულტრაიისფერი სხივების ლაზერითა და ზღვის აბაზანებით მკურნალობას.

***მაია მუხიგული***

# ჭარხალი საკვებიც და მკურნალიც...

ჭარხალი (ნებისმიერი სახით) დადებით ზეგავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლასა და სისხლის წარმოქმნაზე. მასში შემავალი ნივთიერებები ააქტიურებენ ნაწლავების კუნთებს. დადებითად მოქმედებენ მსხვილი ნაწლავის ანთებისა და ღვიძლის მკურნალობისას. ჭარხალი არის ათეროსკლეროზისა და არითმიის საწინააღმდეგო საშუალება, გამოდევნის ორგანიზმიდან წიდებს და ხელს უშლის სიმსივნის წარმოქმნას.

**ხალხური მედიცინა გვირჩევს:**

— ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, ღვიძლისა და ენდოკრინული სისტემის დაავადებების დროს ჭამის შემდეგ მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ახალგამოწურული თაფლიანი ჭარხლის წვენი;

— გაღიზიანებული ნერვული სისტემის დასამშვიდებლად, ფილტვებისა და პლევრების ანთების დროს — მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ახალგამოწურული წვენი დღეში 3-4-ჯერ;

— ანემიისა და ორგანიზმის გამოფიტვის დროს ერთმანეთს შეურიეთ თანაბარი რაოდენობის წვრილ სახეხზე გახეხილი ჭარხალი, სტაფილო და ბოლოკი; გაწურეთ წვენი ტილოში, ჩაასხით თიხის ჭურჭელში და 2-3 საათი შედგით თბილ ჰაერღუმელში ან დადგით ცხელ ღუმელზე. შემდეგ მიიღეთ 1ს/კ წვენი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე. მკურნალობის კურსია 2-3 თვე;

— ყაბზობის დროს რეკომენდებულია მიიღოთ 100-150 გ ახალგამოწურული ჭარხლის წვენი;

— ქრონიკული სურდოს დროს გამოირეცხეთ ცხვირი მოხარშული ჭარხლის წვენით;

— ცხვირში წყლულის დროს — ჩაიწვეთეთ ნესტოებში 3-3 წვეთი ჭარხლის წვენი;

— მასტიტის დროს ძუძუზე დაიდეთ გახეხილი ჭარხლის ფაფის საფენი, დროდადრო ცვალეთ (გაშრობისთანავე). მკურნალობის კურსია 15-20 პროცედურა;

— ფურუნკულოზის, წითელი ქარის, სირსველის (ლიქენის), წყლულისა და დარტყმის შედეგად შესივებულ ადგილებზე დაიდეთ ჭარხლისა და მისი ფოთლების ფაფის საფენები.

***ტაინაია ვლასტი №17***

# უკრაინა გზაჯვარედინზე დგას

წლეულს ევროპაში მიმდინარე არც ერთი მოვლენა აშშ-ისათვის ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში, რომელიც 31 ოქტომბერს გაიმართება — სასწორზეა დადებული დემოკრატია უკრაინაში და ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია.

ლეონიდ კუჩმა არ მონაწილეობს საპრეზიდენტო არჩევნებში. მისი სახელი 2000 წელს ჟურნალისტის მკვლელობას უკავშირდება, რამაც კუჩმას რეიტინგი დასცა. სწორედ ამიტომ არც უცდია კვლავ გაპრეზიდენტება. ეს — კარგი ამბავია, ცუდი კი ის არის, რომ მსხვილი ბიზნესმენები, რომლებსაც კუჩმა გამდიდრებაში დაეხმარა, ყველა ხერხით ცდილობენ ხელისუფლების შენარჩუნებას.

ბრძოლა ძირითადად ორ კანდიდატს — ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იუშჩენკოსა და ამჟამინდელ პრემიერ ვიქტორ იანუკოვიჩს შორისაა გაჩაღებული. იუშჩენკო ლიბერალურ-



კონსერვატორული ბლოკის, „ჩვენი უკრაინის“ ხელმძღვანელია, ლიბერალისა და დემოკრატიის რეპუტაცია აქვს და დასავლეთთან კავშირის გაძლიერების მომხრეა.

იანუკოვიჩს უკრაინის მთავრობისა და დიდი ბიზნესის წარმომადგენლები უჭერენ მხარს, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით — რუსეთზეა ორიენტირებული. ორივე კანდიდატი საბაზრო ეკონომიკასა და კერძო მეწარმეობას ემხრობა.

უკრაინაში პოლიტიკური რეჟიმი სულ უფრო რეპრესიულ ხასიათს იძენს — სახელმწიფო, თითიდან გამოწოვილი მიზეზებით, ზედიზედ ხურავს მასობრივი ინფორმაციის მისთვის არასასურველ საშუალებებს.

იანუკოვიჩის მომხრეები აკონტროლებენ თითქმის ყველა ტელეარხს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებას.

ყველა კარგად ხედავს, რომ უკრაინის საშინაო საქმეებში რუსეთი აშკარად ურევს ხელს — პუტინმა უკრაინა მტკიცედ მიაჯაჭვა რუსეთს ეკონომიკური შეთანხმებებით, უკრაინის ექსპორტი რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა. წინასაარჩევნო კამპანიაში ჰეგემონია რუს პოლიტიკოსებს ეკუთვნით, რომლებიც არაფერს იშურებენ იუშჩენკოსთვის ჩირქის მოსაცხებად.

უკრაინაში არჩევნებს უცხოელი დამკვირვებლები დაესწრებიან, მათ შორის, ამერიკელებიც.

***ნიუზუიქი***

# სიმართლე რუსეთზე

დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერებმა უნდა აღიარონ, რომ ჩვენმა დღევანდელმა სტრატეგიამ რუსეთის მიმართ კრახი განიცადა. ასე იწყება ღია წერილი, რომელსაც ხელს აწერს აშშ-ისა და ევროპის 115 ცნობილი პოლიტიკოსი.

წერილში ნათქვამია: — პუტინის მთავრობა სისტემატურად ზღუდავს პრესის თავისუფლებას, ანგრევს რუსეთის ფედერალურ სისტემას. აპატიმრებს პოლიტიკურ ოპონენტებს, დამოუკიდებელ კანდიდატებს უსპობს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას, აშინებს და აპატიმრებს არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს, ასუსტებს რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს.

ბატონი პუტინის საგარეო პოლიტიკისთვის დამახასიათებელია რუსეთის მეზობლებისა და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართ მუქარის ტონი, დაბრუნება იმპერიული მილიტარიზმის რიტორიკისკენ და ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შეუსრულებლობა. ჩვენ უნდა ვთქვათ სიმართლე იმაზე, რაც ხდება რუსეთში. — ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, შვედეთისა და იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრები, ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი და სხვები.

***ვაშინგტონ პოსტი***

# „ტერორისტები ჩვენი შვილები

***ტელეკომპანია „ალ-არაბიას“ დირექტორმა აბდელ რამან ალ-რაშიდმა არაბული სამყაროს დუმილი დაარღვია და ისლამისტების ტერორზე ხმამაღლა პირველად ალაპარაკდა.***

მართალია, რომ ყველა მუსლიმანი ტერორისტი არ არის. მართალია ისიც, რომ თითქმის ყველა ტერორისტი მუსლიმანია. ერაყში ნეპალელი მზარეული ვინ გაიტაცა და მოკლა? — მუსლიმანმა, დარფურში ორი თვითმფრინავი ვინ ჩამოაგდო? — მუსლიმანმა.

ბინ ლადენი მუსლიმანია. ისინი, ვინც დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ავტობუსებში, სკოლებში, საცხოვრებელ სახლებში თავებს იფეთქებენ, თითქმის ყველანი ალაჰის მიმდევრები არიან. შემაძრწუნებელი სტატისტიკაა. და განა ეს ჩვენ შესახებ, ჩვენს საზოგადოებაზე და ჩვენს კულტურაზე არაფერს გვეუბნება?





ვაღიაროთ, რომ ტელეეკრანებზე დემონსტრირებული ძალმომრეობის ეს სურათები მართლაც სასტიკია და მუსლიმანისთვის სამარცხვინო. ჩვენ კი ისე ვართ გატრუნულნი, თითქოს თვალებზე ლიბრი გვეფაროს და ვერაფერს ვხედავდეთ. დროა ყველაფერი დავინახოთ, ჩვენს ისტორიულ დამსახურებებზე ქადაგებას შევეშვათ და სიმართლეს თვალი გავუსწოროთ.

უმჯობესი იქნება საკუთარ თავს თავად თუ მივხედავთ, ვაღიარებთ, რომ მუსლიმანური საზოგადოება დასნეულდა და მას მკურნალობა სჭირდება. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი — აღიარება უნდა იყოს. ტერორისტები ხომ ჩვენი შვილები არიან და ისინი ჩვენმა გულქვაობამ აქცია მკვლელებად. მათი შეჩერება ჩვენი ვალია. აბა, ყური დაუგდეთ ეკრანიდან რას ამბობს „ალ-ჯაზირას“ ეთერით ერთ-ერთი შეიხი იუსუფ ალ-ქარდავი: — ისლამისტური კანონების მიხედვით, აშშ-ის მოქალაქეების დახოცვა შეიძლება. რელიგიის მსახური უდანაშაულო, მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვისაკენ მოუწოდებს, ხვალ კი შეიძლება თანამემამულეებს უცოდველი ბავშვების დახოცვა უქადაგოს, იმ დროს, როცა მისი ორი ქალიშვილი ურწმუნო დიდი ბრიტანეთის უსაფრთხო სასწავლებლებში სწავლობს. როგორ უნდა შეხედოს ალ-ქარდავიმ თვალებში პიკ ბერგის მშობლებს, რომელსაც საქონელივით ყელი გამოღადრეს? რა დაეჯერება შეიხს, რომელიც სიტყვით ამბობს, ისლამი შემწყნარებლობას და მიმტევებლობას ქადაგებსო, საქმით კი სისხლისმსმელია. წინა თაობაშიც იყვნენ რადიკალები, მემარცხენეები და ნაციონალისტები, მექრთამეები, მოძალადეები და ადამიანებს მოსაკლავადაც ადვილად იმეტებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მაშინ მეჩეთში ალაჰის მსახურები ხალხს მშვიდობისაკენ მოუწოდებდნენ და კეთილშობილურ მორალურ ფასეულობებზე ესაუბრებოდნენ.

ჩვენი კაცთმოყვარე რელიგია დღევანდელმა, ახალმა თაობამ გახადა სასტიკი. ყურანი ხომ ხის უმიზნო მოჭრასაც კი კრძალავს, კაცის კვლას ყველა ცოდვათა შორის უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს, მოყვასისადმი უყურადღებობას განსჯის და გეუბნება, მწყურვალ კატას წყალი მიაწოდეო. ჩვენი საზოგადოება ისლამის კანონებს იცავდა და სხვა ერებთან მშვიდობიან თანაარსებობას ამიტომაც ვახერხებდით. დღეს კი, ღირსებას ნამდვილად არ გვმატებს, ისლამის სახელით მძევლად აგვყავს მოსწავლეები და ჟურნალისტები, ვხოცავთ მშვიდობიან მოქალაქეებს, ვიქეცით კამიკაძეებად, ვაფეთქებთ ავტობუსებს, შენობებს და ათობით ადამიანს ვკლავთ. ასეთი ადამიანები შეურაცხყოფენ ისლამს.

გატეხილ, შებღალულ სახელს ვერ აღვიდგენთ, თუკი საჯაროდ, ყველას გასაგონად არ ვაღიარებთ, რომ ტერორისტული აქტები, რომლებიც დღეს მსოფლიოში ხდება, ჩვენი — მუსლიმანების ნამოქმედარია. და თუ ამას დღეს არ გავაკეთებთ, ხვალ უკვე ჩვენი შვილებიც ამ დაწყევლილ გზას უყოყმანოდ დაადგებიან, იმასვე ჩაიდენენ, რასაც დღეს ჩვენი შეიხის მიერ ტვინარეული ადამიანები აკეთებენ. ამ შეიხებს, რომლებიც თავიანთი უმსგავსო მოწოდებებით რევოლუციონერობას თამაშობენ, სხვის შვილებს საომრად გზავნიან, თავიანთ შვილებს კი — ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში, ხმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩავაწყვეტინოთ...

***შტერნი №39***

# ოთხეული ძალიან ცდილობს, მაგრამ...



ბრაზილია, გერმანია, ინდოეთი და იაპონია ერთობლივად იბრძვიან გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსის მისაღებად. ისინი ადრეც ითხოვდნენ წევრობას, მაგრამ ყოველთვის უარს იღებდნენ, შესაძლოა იმიტომ, რომ ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ახლა კი ოთხეულს დიდი იმედი აქვს, რომ თავისას მიაღწევს. ინდოეთისა და იაპონიის პრემიერებს — მანმოჰან სინგჰს და ძიუნიტარო კოიძუმის, ბრაზილიის პრეზიდენტს ლუის ინასიუ დე სილვას და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს იოშკა ფიშერს მიაჩნიათ, რომ „გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა ასახოს XXI საუკუნის საერთაშორისო საზოგადოებრიობის ცხოვრების რეალიები“.

ოთხი ქვეყნის თავკაცები ერთმანეთს ნიუ-იორკში შეხვდნენ. მათ ივალდებულეს, რომ ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს ერთმანეთს და მოითხოვეს, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი მიენიჭოს აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანასაც, თუმცა კერძოდ რომელს, არ დაუსახელებიათ. მათ ერთხელ კიდევ შეახსენეს ყველას, რომ ინდოეთი მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი დემოკრატიული ქვეყანაა, იაპონია, აშშ-ის შემდეგ, გაეროს მეორე სპონსორი, ბრაზილიას კი თამამად შეუძლია უშიშროების საბჭოში მთელი ლათინური ამერიკის წარმომადგენელი იყოს. არც გერმანიის აქტიურობა დავიწყებიათ გაეროს პროექტებში, მათ შორის, ავღანეთშიც.

ოთხეულს თეორიულად აქვს გაეროს უშიშროების საბჭოში შესვლის შანსი, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს არ მოხდება. მართალია, ამერიკელები, ბრიტანელები, ფრანგები და რუსები აშკარად ვერ შეეწინააღმდეგებიან მათ მუდმივ წევრობას, მაგრამ ჩინეთი არაფრით არ დათანხმდება იაპონიის მიღებას.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უკვე განაცხადა, — უშიშროების საბჭო დირექტორთა საბჭო როდია, მისი შემადგენლობა ვერ განისაზღვრება ცალკეული ქვეყნის ფინანსური შენატანით და პრიორიტეტი განვითარებად ქვეყანას უნდა მიენიჭოსო.

ახალი ინიციატივის ჩასაშლელად გაეროს ხუთი მუდმივი წევრიდან ოთხს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი) შეუძლია კრინტიც არ დაძრას, ჩინეთი მაინც თავისას გაიტანს, — ფიქრობენ ანალიტიკოსები.

***ვლასტი №38***

# სტროუ სიბნელეში მუგაბე ვერ იცნო

გაეროს დიპლომატიურ მიღებაზე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა — ხელი ჩამოართვა ზიმბაბვეს პრეზიდენტს რობერტ მუგაბეს, რომელსაც ადამიანის უფლებათა დარღვევაში ადანაშაულებდა. ეს მომენტი BBS NEWS-ის ოპერატორებმა აღბეჭდეს. ბრიტანელმა კონსერვატორებმა სტროს საქციელი გააკრიტიკეს.

საგარეო საქმეთა მინისტრი თავის მართლებას შეეცადა — ბნელოდა და მუგაბე ვერ ვიცანი, მეგონა, ვიღაც სხვას ვართმევდი ხელს. თანაც იქ არ ველოდი ჩემი პოლიტიკური ოპონენტის ნახვასო.

ლონდონი მუგაბეს ზიმბაბვეს თეთრკანიანი მოსახლეობის შევიწროებასა და არჩევნების შედეგების გაყალბებაში ადანაშაულებს. ბრიტანეთმა ამ ქვეყნის მიმართ მიიღო სანქციები თეთრკანიანი ფერმერების შევიწროებისა და შავკანიანებისთვის მათი საკუთრების უკანონო გადაცემის გამო; მუგაბე კი ლონდონს მისი დამხობის მცდელობაში ადანაშაულებს. ის 24 წელია ზიმბაბვეს (ყოფილი სამხრეთ როდეზია) მეთაურია.

***ლენტა რუ***

## მოკლედ

**სლოვენიის** პრემიერ-მინისტრმა ანტონ როპმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს არ დაუჭერს ხორვატიის შესვლას ევროკავშირში. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა მას შემდეგ, რაც სლოვენია-ხორვატიის საზღვარზე ხორვატიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უმიზეზოდ დააპატიმრეს სლოვენიელი მოქალაქეები.

**კატარის** ტელეარხი „ალ-ჯაზირა“ იტყობინება, რომ ახალი ზელანდიის მთავრობამ მიიღო ერაყიდან თავისი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანის გადაწყვეტილება.

**აშშ-ის** სენატმა 65 წლის კონგრესმენი, რესპუბლიკელი პორტერ გოსი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსად დაამტკიცა. პორტერ გოსის კანდიდატურა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა წამოაყენა.

**ირანის** პარლამენტმა არ მიიღო ორი დიდი პროექტი, რომლებიც თურქეთის ბანკს უნდა დაეფინანსებინა. ერთი მათგანი ირანში პირველი მობილური კავშირის ქსელის მშენებლობის იყო — 3 მლრდ დოლარი თურქულ კომპანიას უნდა გადაეხადა, მაგრამ ირანის პარლამენტმა მიიჩნია, რომ მობილური ქსელის უცხო ქვეყნის კომპანიისთვის გადაცემა ისლამური რესპუბლიკის ეროვნულ უსაფრთხოებას საშიშროებას შეუქმნიდა. პარლამენტარებმა, იმავე მიზეზით, არც დედაქალაქის აეროპორტის რეკონსტრუქციის პროექტს დაუჭირეს მხარი — მასში 200 მლნ დოლარი თურქულ-ავსტრიულ კონსორციუმს უნდა ჩაედო.

**დამასკოში** მოკლეს პალესტინის ექსტრემისტული დაჯგუფება „ჰამასის“ ერთ-ერთი ლიდერი იზვედინ ალ-შეიფ ჰალილი.

**ფრანგი** როკმუსიკოსი ბერტრან კანტე, რომელიც თავისი საყვარლის, ცნობილი მსახიობის, მარი ტრენტინიანის მოკვლისთვის ლიტვაში ციხეში 8 წლით ჩასვეს, საფრანგეთში დააბრუნეს პატიმრობის მოსახდელად.

**კალიფორნიის** შტატის გუბერნატორი, ცნობილი მსახიობი არნოლდ შვარცენეგერი აპირებს, სოლიდური თანხა დაუზოგოს თავის შტატს — ამ მიზნით მან ციხეებში სიგარეტის მოწევა აკრძალა. ეს ბევრს გაუკვირდა, რადგან თავად არნი სიგარეტის დიდი მოყვარული გახლავთ.

**აღმოსავლეთ პაკისტანის** ქალაქ სიალკოტის შიიტთა მეჩეთში ბომბი ააფეთქეს. ამ დროს სამლოცველოში დაახლოებით 1000 მორწმუნე იმყოფებოდა. დაიღუპა 18 კაცი, 40 — დაშავდა.

**ავღანეთში,** პაკისტანის საზღვართან, ბლოკ-პოსტს თავს დაესხა 40-მდე თალიბი. დაიღუპა 12 სამხედრო მოსამსახურე. ქვეყნის ხელისუფლება თალიბთა გააქტიურებას მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს მიაწერს. ტერორისტულმა ორგანიზაციებმა — „თალიბანმა“ და „ალ-ქაიდამ“ განაცხადეს, რომ აუცილებლად ჩაშლიან 9 ოქტომბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს.

**პაკისტანში** სპეცოპერაციის დროს მოკლეს ცნობილი ტერორისტი ამჯად ჰუსეინ ფარუჯი. მას ბრალი ედება ბოლო ორი წლის თითქმის ყველა გახმაურებულ დანაშაულში: პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფზე ორჯერ თავდასხმაში, ამერიკელი ჟურნალისტის დენიელ პერლისთვის თავის მოკვეთაში, ადგილობრივი „ალ-ქაიდის“ ხელმძღვანელობაში. მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში ასეთი მნიშვნელოვანი გამარჯვება პაკისტანის ლიდერს ძალაუფლების გამტკიცების საშუალებას მისცემს და აშშ-ის საყვედურისგანაც დაიცავს — ტერორიზმს არ ებრძვიო.

# ჩვენი კაცი თბილისში

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. გვ. 14)*

კორუფციასთან ბრძოლის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საგადასახადო შემოსავლების ბიუჯეტში გადახდის მკვეთრი ზრდა. მარტში ადგილობრივ ვალუტაზე, ლარზე, საგადასახადო დავალიანების დაფარვისათვის, მოთხოვნა ისეთი მაღალი იყო, რომ საქართველომ მცირე ფინანსური კრიზისი განიცადა, როდესაც ყველა ხელმისაწვდომი ლარი უცებ საბანკო ანგარიშებიდან ფინანსთა სამინისტროში გადავიდა. მარტიდან იწყება ეროვნული ვალუტის კურსის ზრდა დოლართან მიმართებაში. სექტემბერში დოლარში იძლეოდნენ მხოლოდ 1.68 ლარს, 25%-ით ნაკლებს, ვიდრე მარტში. სახელმწიფო ფიქრობს იმაზე, თუ როგორ შეაჩეროს ლარის შემდგომი ზრდა — კიდევ ცოტაც და კურსი ავნებს ექსპორტს. ანალიტიკოსები საუბრობენ ლარის მიმართ შეუქცევადი ნდობის ზრდის შესახებ და საქართველოს თითქმის 80%-ანი დოლარიზაციის დაწევაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ბიზნეს-საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოსადმი ნდობის ზრდა აისახება სახელმწიფო ობლიგაციების (ვალდებულებების) შემცირებაში 40-დან 11.5%-მდე ინფლაციის უცვლელი დონისა და გაზრდილი მოთხოვნის პირობებში. პარალელურად მცირდება განაკვეთები კომერციულ სესხებზე, თანაც აგვისტოში განაკვეთები სესხებზე პირველად უთანაბრდება დოლარის განაკვეთებს. ბიზნესის განვითარება ნაკლები ფინანსური დანახარჯების პირობებში უდავოდ აისახება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ აგვისტოში პარლამენტმა, გაზრდილი შემოსავლებიდან გამომდინარე, გადასინჯა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. ფინანსთა სამინისტროს გეგმით, 2004 წლის საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები აღემატება გასული წლის მაჩვენებლებს 200 მილიონი დოლარით, რაც 20%-ზე მეტს შეადგენს.

პირველად მთავრობამ სრულად დაფარა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ სახელფასო და საპენსიო დავალიანება. თუმცა, საქართველოს უმეტეს რეგიონებში, პენსია კვლავაც 7 აშშ დოლარს შეადგენს, ამდენად ამ მიმართულებით წარმატებებზე საუბარი ნაადრევია. მიხეილ სააკაშვილი იძლევა პირობას, რომ სახელმწიფო სექტორში ხელფასები 100 ლარზე (დაახლოებით 50 აშშ დოლარი) ნაკლები არ იქნება. ფაქტობრივად, მთავრობას უნდა გააჩნდეს საკმარისი სახსრები პენსიების ზრდის უზრუნველსაყოფად, თუმცა, ასეთ მოკლე ვადაში შეუძლებელია მნიშვნელოვანი მატების განხორციელება. წარმოების ზრდამ, ამავე პერიოდში, შეადგინა 16.5%. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროებში — შესაბამისად 46.3 და 39.8%-ით. მსხვილი ბიზნესის განვითარების ტემპები უფრო მოკრძალებულია, თუმცა მაინც შთამბეჭდავი — 12.2%. ბენდუქიძის დაპირება გადასახადების განაკვეთების შემცირებასთან დაკავშირებით, ანუ მოგებაზე გადასახადის განაკვეთის 20-დან 12%-მდე შემცირება, დღგ-ის 20-დან 18%-მდე, და აგრეთვე, მრავალი სხვა გადასახადისა და მოსაკრებლის გაუქმება, ექსპერტების აზრით, ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და მისი ჩრდილოვანი ნაწილის შემცირებას. საგადასახადო წნეხის შესუსტების გარდა, ეკონომიკის მინისტრი აპირებს ტოტალური პრივატიზაციის განხორციელებას ძალიან მარტივი წესების დაცვით. მყიდველებს მოეთხოვებათ მხოლოდ ერთი — „ცოცხალი ფული“. არანაირი საინვესტიციო ვალდებულებები, სტრატეგიული ობიექტები, ეროვნული უპირატესობანი და „სილამაზის კონკურსი“. გაუქმდა საინვესტიციო პოლიტიკის სამმართველო, დაიხურა ანტიმონოპოლიური კომიტეტი. ბენდუქიძის ლოგიკა მარტივია: თუ ირღვევა თქვენი უფლებები, მიმართეთ სასამართლოს. ჟურნალ „ეკონომისტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, მან განაცხადა, რომ 2007 წლისთვის ის აპირებს საკუთარი სამინისტროს გაუქმებასაც. „ნორმალურ სახელმწიფოს არ ესაჭიროება ეკონომიკის სამინისტრო, ხოლო 3 წელიწადში ჩვენ ავაშენებთ ნორმალურ სახელმწიფოს“, — განუცხადა მან ჟურნალისტს.

უნდა ითქვას, რომ ყველა ქართველი ერთნაირად კეთილი თვალით არ უყურებს ამგვარ რადიკალიზმს და ამიტომაც სამინისტროს შენობასთან ხშირად ეწყობა საპროტესტო აქციები. მეორე მხრივ, უამრავი „მკვდარი“ საწარმო არის იმის დადასტურება, რომ საჭიროა რადიკალური ზომების გატარება. საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი რეგულარულად ატარებენ ე.წ. „როუდ-შოუს“ ინვესტორებისთვის და არწმუნებენ მათ, რომ საქართველოში ინვესტიციების დაბანდება სანდოა. ანალიტიკოსების აზრით, ეს უფრო ჰგავს კორპორაციულ და არატრადიციულ სახელმწიფო რეკლამას. პირველად თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის განმავლობაში მსხვილ ქართულ ბიზნესს უჭირს დასავლური განათლების მქონე კადრების მოზიდვა, რადგან ამ საქმეში მას კონკურენციას სახელმწიფო უწევს. შესაძლებელია, ეს სააკაშვილის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მიღწევაა — დაუბრუნოს სახელმწიფოს ის პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა კადრები, რომლებიც კარიერასაც ელტვიან და ცოდნის რეალიზებაც სურთ, რაც ნელ-ნელა შეავსებს დინამიკურ ეკონომიკასთან არსებულ ნაპრალს.

ყოველივე ზემოთქმული ახალი ხელისუფლების ძალისხმევათა არასრული ჩამონათვალია. ეს არ არის მასშტაბური, ახალდაწყებული რეფორმების შედეგი, ეს სახელმწიფოს ეკონომიკაში ელემენტარული წესრიგის დამყარების ნაყოფია. ქართული პროექტის წარმატებულობაზე რეალურად მსჯელობას ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევძლებთ. მაგრამ ახლაც კი აშკარაა, რომ ამჟამინდელი საქართველო, ყირგიზეთის პრეზიდენტის, აკაევის თქმით, არის „გამოწვევა ყველა ახალი სახელმწიფოსათვის პოსტსაბჭოურ სივრცეში“. მაგრამ თუკი ეს ის გამოწვევაა, რომელსაც უნდა დაუპირისპირდე, მაშინ ღირს დავფიქრდეთ ასეთი პრეზიდენტების ღირებულებათა სისტემაზე.

***ზერკალო ნედელი***

# რატომ შეცვალა სუფთა ვაზის ცრემლები წყალწყალა ღვინომ?

*(დასაწყისი იხ. გვ. 12)*

სწორედ ამ ჭურჭლით შემოჰქონდათ აშშ-დან სპირტი, რომლითაც ფალსიფიკატორები დღემდე აყენებენ წყალწყალა ღვინოს. მათივე თქმით, მარტო ყვარლის ქინძმარაულის ქარხანაში, სანამ „მხედრიონი“ მუსრს გაავლებდა ყველაფერს, ათასობით ტონა სუფთა ყურძნის სპირტი ინახებოდა. საქართველოს აქვს საიმისო რესურსი, რომ საკუთარი სპირტი ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ ვიღაცას არ აძლევს ხელს ქართული სპირტის წარმოება. კახელების თქმით, ამერიკული სპირტის ბიზნესს ის კაცი ედგა სათავეში, რომელსაც შევარდნაძის მთავრობაშიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პოსტი ეკავა და დღევანდელ ხელისუფლებაშიც დიდი თანამდებობა აქვს.

**თენგიზ ლომიძე,** ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის ღვინის ქარხნის დირექტორი:

„ფული რომ გვქონდეს, ყურძენს მივიღებდი, მაგრამ მერე ღვინის რეალიზაცია გვიჭირს. სად გავყიდო ამდენი ღვინო? ისევ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ქარხნებს მის გასაღებაში. დღეს ყველას ერთნაირად უჭირს — გლეხსაც და მეწარმესაც, ამიტომ მთავრობამ უნდა შეგვიწყოს ხელი, რომ ფეხზე დავდგეთ. შემიძლია გავრისკო და ჩავიბარო, თუ მეცოდინება, რომ ჩემს ნამდვილად კარგ ღვინოს მთავრობა შეისყიდის. დღეს ყველა ქარხანას ვენახები აქვს და ისინი აყენებენ იმდენ ღვინოს, რამდენიც ესაჭიროებათ. გლეხობას ამ კრიზისული მდგომარეობიდან უფულო მეღვინე ვერ გამოიყვანს“.

როგორც ხედავთ, იქმნება მოჯადოებული წრე: გლეხი მეღვინეს ემდურება, მეღვინე კი მთავრობისგან ითხოვს თანადგომას. კახეთში ჩასულს უპურმარილოდ, ცხადია, არავინ გამოგიშვებს და აქვე მინდა შემოგთავაზოთ ერთ გამრჯე გლეხსა და ჩემ შორის გამართული დიალოგი. ძია ილომ ვაზის მრუდე ძირის სადღეგრძელო შესვა და თქვა: აბა სად არის სამართალი, მა ჩვენი წკრიალა ღვინო ათი შაური უნდა ღირდეს და მანდარინი ორი ლარი? — იკითხა მან. — ეგ ორი ლარი თბილისში ღირს ხოლმე, თორემ ადგილზე, იქაც იაფია-მეთქი, — შევუსწორე მე. — როგორც არ უნდა იყოს, შენ ყურძნის სარგებლობასა და მასზე დახარჯულ წვალებას მანდარინისას შეადარებ? ან ერთი ბოთლი „პივა“ ლარი უნდა ღირდს და ღვინო ეგრე იაფი? „პივით“ გადახდილი ლხინი თუ ჭირი გინახავს სადმე? — იწყინა ძია ილომ.

კახეთში არსებულ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით ჩვენ პრეზიდენტის რწმუნებულს, **პეტრე ცისკარიშვილს** ვთხოვეთ აზრის გამოთქმა.

— მოგეხსენებათ, მთავრობამ უკვე გადაწყვიტა თანხების გამოყოფა ღვინის ქარხნებისთვის, რათა მათ გლეხებისგან ყურძენი შეისყიდონ. თუმცა ეს იქნება მინიმალური დახმარება, რაც დღეისათვის შეუძლია სახელმწიფოს. სამაგიეროდ, ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება ფალსიფიცირების პრობლემა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უკვე შემოიტანა ლაბორატორიები, რომელთა დახმარებით ფხვნილებითა და მჟავებით დამზადებული ღვინოების დადგენა შეიძლება. ამ წუთებში კი, ჩვენი საუბრისას, თბილისის სავაჭრო ქსელებში, რესტორნებსა და ბაზრობებზე ტარდება რეიდი ფალსიფიცირებული ღვინოების ამოსაღებად. ყოველივე ეს თანდათან გაზრდის ღვინის ქარხნების მოთხოვნას ყურძენსა და გლეხის დაყენებულ ნატურალურ ღვინოზეც. დედაქალაქის მერი დაგვპირდა, რომ ფალსიფიცირებული ღვინოებისგან ბაზრებისა და სავაჭრო ქსელების გასუფთავების შემდეგ, გლეხობას ღვინის მუდმივი რეალიზაციისათვის ადგილებს მიუჩენს.

**— ეს მომავლის საქმეა... დღეს რა ოდენობით თანხებს გასცემთ ღვინის ქარხნებზე და რამდენად დროული იქნება იგი?**

— ბუნებრივია, სახელმწიფო თანხებს იმ ოდენობით ვერ გამოყოფს, რომ ქარხნებმა გლეხობა სავსებით დააკმაყოფილონ, ეს უკვე აღარ იქნება საბაზრო ეკონომიკა, ანუ დავბრუნდებით კომუნისტურ ეპოქაში. ამიტომ მეწარმეებს დახმარების პარალელურად, უნდა შევთავაზოთ საექსპორტო ბაზრებზე რაც შეიძლება სწრაფად გასვლა. ამ გზითაც გაიზრდება ყურძენზე მოთხოვნილება. რაც შეეხება ვადებს, ქარხნებს უკვე შეუძლიათ ხელშეკრულებების გაფორმება გლეხებთან და დაგვიანებული ანგარიშსწორების პრინციპით მათგან ყურძნის აღება.

**— საშუალოდ, რა ფასად შეისყიდიან ქარხნები კილოგრამ ყურძენს?**

— საბაზრო ფასი დაახლოებით 40-დან 50 თეთრამდე მერყეობს, რაც შარშანდელთან შედარებით 25-30%-ით მეტია.

**— გასაგებია, მაგრამ შარშანდელი ფასები საგრძნობლად განსხვავდება წლევანდელისგან, თუნდაც დიზელის საწვავი ავიღოთ, ამიტომ გლეხს კვლავწარმოებისთვის ფული აღარ რჩება...**

— დიზელის საწვავის ფასმა იმიტომ მოიმატა, რომ კონტრაბანდული საწვავი აღარ შემოდის... ფალსიფიცირებული ღვინო რომ აღარ იქნება, შესაბამისად, ყურძენზეც გაიზრდება ფასი. 40 თეთრი რა არის 1 კგ ყურძნისთვის, როცა სხვა ნებისმიერი ხილი სამჯერ და ხუთჯერ მეტი ღირს? წესით, სახელმწიფო არ უნდა ეხმარებოდეს მეწარმეებს ბიუჯეტის თანხებით. სახელმწიფო უნდა იბრძოდეს ფალსიფიცირებული პროდუქციის აღსაკვეთად, ქართული ღვინისთვის გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად რუსეთში, უკრაინაში და ა.შ...

უდავოდ, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ყველა ამ პრობლემას მოაგვარებს, მაგრამ ახლა, როცა ქვეყანა ე. წ. გარდამავალ საფეხურზეა, ხელისუფლებამ უნდა გამონახოს საჭირო რესურსები, როგორც გლეხის, ისე მეწარმისთვის მატერიალური თუ ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად. თორემ ნათქვამია, სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო. ნუ დაგვავიწყდება, რომ ვაზი საქართველოს სიმბოლოა უხსოვარი დროიდან და წმინდა ნინომ ვაზის ჯვარით გააქრისტიანა ქართველი ერი. შემთხვევითი არ იყო, რომ შემოსეული მტერი უპირველესად ვენახებს ჩეხდა. ისე ნუ მოვიქცევით, რომ ამა სოფლის მარჩენალი გლეხის მარჯვენა შვილივით ნაზარდი ვაზის ჯალათად ვაქციოთ.

P.S. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური ვითარება იყო წელს ხორბლის მოსავლის აღებისას. ქართული ხორბალი თავისი თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება (თუ უკეთესი არ არის) შემოტანილს, მაგრამ, რატომღაც ჩვენი მარცვლეულით არავინ ინტერესდება. მეპურე ფერმერები დაღონებულნი დასცქერიან საცავებში გორებად დაზვავებულ მთელი [redacted] ლი, ისეთ ფასს გვთავაზობს, რომ დახ- [illegible] კითხულობენ ისინი. [illegible]

***რუბრიკა მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# აგიტაცია სიმღერით

კვირას აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. სამი დღით ადრე კი რესპუბლიკა დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობდა, ანუ ქართულ-აფხაზურ ომში გამარჯვებას.

30 აგვისტოს სოხუმში ჩატარებულმა საზეიმო კონცერტმა მთელი აფხაზეთი დააყენა ფეხზე. აფხაზები აღაშფოთა იმან, რომ ზეიმი სააგიტაციო ღონისძიებად იქცა. რუსეთიდან ჩამოსული დეპუტატები, სახელმწიფო მოხელეები და მსახიობები ხალხს რაულ ხაჯიმბას არჩევას მოუწოდებდნენ. იოსიფ კობზონი აფხაზებს დაჰპირდა, თუ ხაჯიმბას პრეზიდენტად აირჩევთ — კვლავ ჩამოვალ აფხაზეთშიო. ოლეგ გაზმანოვი მღეროდა: „სანამ აფხაზეთი ყვავის, არ დაშრება რუსეთის მდინარეო“, მერე კი ლექსი წაიკითხა საქართველოზე, რამაც დამსწრე საზოგადოება ფრიად დაძაბა, თუმცა, ეტყობა, მომღერალს აპატიეს — იფიქრეს, ბაიბურში არ არის, სად ჩამოიყვანესო. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე ვლადიმირ კოლესნიკოვი და დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი იმუქრებოდნენ: მიეცით ხმა ხაჯიმბას, თორემ რუსეთი საზღვრებს გადაგიკეტავთო. ზეიმის დასასრულს აფხაზმა მწერალმა ფაზილ ისკანდერმა დიდი ეკრანიდან მიმართა თანამემამულეებს — სწორი არჩევანი უნდა გააკეთოთო და ეკრანზე მსხვილი პლანით გამოჩნდა „სწორი“ კანდიდატი.

რუსულმა დესანტმა სააგიტაციო მარათონი გამართა. საღამოს ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ დამოუკიდებლობას კი არ ზეიმობდნენ, არამედ ხაჯიმბას მომავალ პრეზიდენტობას. აღშფოთებული ხალხი მეორე დილას პარლამენტის შენობასთან შეიკრიბა მოთხოვნით — ყველა კანდიდატს მიეცეს აგიტაციის თანაბარი უფლება!

ზეიმმა აღაშფოთა ქართულ-აფხაზური ომის მონაწილეებიც კი, რომლებიც აცხადებდნენ, ეს იყო სააგიტაციო შოუ და არა დამოუკიდებლობის დღესასწაულიო.

ამომრჩეველთა ლიგამ „პატიოსანი არჩევნებისთვის“, განცხადება გააკეთა — ამ კონცერტით რესპუბლიკის რამდენიმე კანონი დაირღვა. კერძოდ ის, რომ აკრძალულია არჩევნებში უცხო [illegible] ... გამო რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელ[illegible] მიუხედავად, ოპოზიციამ სასამართლოში გააპროტესტოს.

***გაზეთა რუ***


სარეპეტიტორო სკოლა
**სტს**
მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელი ტესტებისათვის
ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8200 |
| ევრო | 2,2570 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,2875 |
| რუსული რუბლი | 0,0623 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2085 |


„ალუპლასტის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
უმაღლესი ხარისხის პროფილით
სხვადასხვა ფერები და საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. თითშეხვეული შევიდა და თავშეხვეული გამოვიდა



მოგეხსენებათ, ექიმობა ძალზე რთული პროფესიაა. იგი არა მარტო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, არამედ ტაქტსა და წინდახედულებას. სწორედ ამის შესახებ გვარიგებდა ერთი ჩემი პროფესორი. მაგალითისთვის კურიოზიც გაიხსენა, რომელსაც თქვენც მოგიყვებით. ეს ამბავი მას დიდი ხნის წინათ გადახდა თავს, როცა ახალგაზრდა ექიმი გურიის ერთ-ერთ სოფელში გაანაწილეს. სოფელში ექიმი არ ჰყავდათ და როცა გაიგეს მისი ჩასვლა, პირველივე დღეს ხალხით გაიჭედა პოლიკლინიკა.

— პოლიკლინიკაში რომ შევდგი ფეხი, ჩემს კაბინეტამდე ძლივს მივაღწიე, — ჰყვებოდა პროფესორი, — პირველი პაციენტი მსუბუქი იყო, ისეთი არაფერი აწუხებდა, მხოლოდ თითი ჰქონდა გაჭრილი. ვიფიქრე, თითს უცებ დავუმუშავებ და მერე სხვა ავადმყოფებს მივხედავ-მეთქი. პაციენტი რომ შემოვიდა, სკამზე დაჯდომაც არ შევთავაზე, მივუბრუნდი ჩემს კარადას, იარაღებისა და წამლების გადმოლაგება დავიწყე. უცებ ჩემ უკან ბრაგვანის ხმა გავიგე, მოვტრიალდი და ვხედავ, გულწასული ავადმყოფი შუა კაბინეტშია გაშხლართული და თან თავიდან სისხლი სდის. იქვე, მის გვერდით მდგარი სკამის კიდისთვის ჩამოურტყამს თავი. რაღას ვიზამდი, მივვარდი, ნიშადურით მოვასულიერე, ჭრილობა დავუმუშავე, თავი შევუხვიე და ბოლოს თითისთვისაც მოვიცალე. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ პაციენტს გადამეტებული შიში ჰქონია სამედიცინო ინსტრუმენტებისადმი (მათ დანახვაზე გული მისდიოდა). მე რომ მისთვის ან დაჯდომა, ან წამოწოლა შემეთავაზებინა, ეს არ მოხდებოდა. კარი რომ გავაღე და პაციენტი გარეთ გამოვუშვი, მთელი ხალხი სახტად დარჩა. ჯერ ისედაც ეჭვის თვალით მიყურებდნენ, როგორც ახალგაზრდას და ახლა რომ შეხედეს, თითშეხვეული კაცი თავშეხვეული გამოვუშვი, ყველა ერთიანად წამოიშალა და უნდა გენახათ, ვინ საით გარბოდა...

— ამ ამბის მერე, — გააგრძელა პროფესორმა, — კაიხანს აღარავინ მეკარებოდა, სანამ ერთი ძალიან მძიმე ავადმყოფი ფეხზე არ დავაყენე.

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

## 2. ჩიტზე დარდობს

30 წლისა ისევ გაუთხოვარი ვიყავი და გვარიანად შემიშფოთდა ოჯახი. დედაჩემი ჩამჩიჩინებდა: — გაიხედ-გამოიხედე, თავს საშველი დაადგიო. ამასთანავე, სადაც წავიდოდა, ყველგან სასიძოს ეძებდა. ხმას ვერ ვიღებდი — შენ უხეირო ხარ და ახლა მე დამაცადე საქმის გაკეთებაო! ერთი სიტყვით, ერთ დღესაც ვსხედვართ ნაჩხუბრები ავტობუსში გვერდიგვერდ და საკმაოდ გრძელ რეისს — „ნაძალადევი-გლდანს“ მივუყვებით. თავზე ხანში შესული ქალბატონი დამადგა. ადგილი დავუთმე. დაჯდა, შემათვალიერა და დედაჩემს გაუბა ლაპარაკი. რომ გაიგო, ამისი ქალიშვილიაო, აღტაცებულმა წამოიძახა: — დედა,



რა კარგი გოგოა, შვილი მყავს საცოლო, ვაჟკაცი, განათლებული და თუ მოვიყვან, მხოლოდ ასეთ გოგოს მოვიყვან რძლადო. მერე მისამართიც მოითხოვა. დედაჩემმაც, დააძრო შვილივით ნაფერები ბლოკნოტი, ამოგლიჯა ფურცელი და ზედ მისამართი მიაწერა. საქვეყნოდ ჩხუბს ხომ არ ავტეხდი. თანაც ვიფიქრე, გიჟი ხომ არ არის, მართლა მომაკითხოს-მეთქი... ორი დღის შემდეგ პირველი სართულის მეზობელმა ამომძახა, გეძებენო... გადავიხედე ეზოში... დგას ეს ჩვენი თანამგზავრი ქალბატონი ვიღაც აყლაყუდასთან ერთად და ამომჩერებია! რაღას ვიზამდი, გავუღე კარი. შემოვიდნენ თუ არა, ეს შენი ვაჟკაცი სავარძელში მოწყვეტით ჩაენარცხა და მიყუჩდა. სამაგიეროდ, დედამისმა მოხსნა პირი: — აი, ხომ ხედავთ, როგორი შვილი მყავს, რა მორიდებულია და მოკრძალებული, გარეგნობითაც ვერ დამიწუნებთო. ვუყურებ ამ დადუმებულ კაცს, ხან ვფიქრობ, მუნჯია-მეთქი, ხანაც, ალბათ არ მოვეწონე-მეთქი. უეცრად სასიძომ პირი გააღო და ამოთქვა: — აქ ტუალეტი სად არის? დედაჩემმა გადმომხედა... რაღას იზამდა, ადგა და გაჰყვა, მაგრამ იმავე წუთს უკან დაბრუნდა და სტუმარს მოკრძალებით შეეკითხა: — ქალბატონო, ასე ჩუმად რატომ არის თქვენი შვილი, დარდობს რამეზე?

— უიმე, ვერც წარმოიდგენთ რა ჩვილი, თბილი და ფაქიზი გული აქვს — მეშვიდე კლასში იყო, ჩიტი მოუყვანეს, გაუფრინდა და იმაზე დარდობს! — იყო პასუხი.

***ირმა სიორიძე, თბილისი***

## 3. გატეხილი ტუალეტი



ყოველ სოფელს თავისი ხუმრობის უსტაბაში ჰყავს. ჩვენთან ასეთი გახლავთ ლადო ბერძენიშვილი. ეს ის ლადოა, მომაკვდავიც რომ არ იშლიდა ოხუნჯობას და როცა ცოლი ჩასძახოდა: — კაცო, რა მოგივიდა, თვალი გაახილეო, მშვიდად ამოილაპარაკა: — თვალი გავახილო და შენ დაგინახოო? მოკლედ, ლადო გზის პირას ცხოვრობდა. ბაღჩის ბოლოს, ღობესთან ახლოს ჰქონდა ტუალეტი ჩადგმული. ალბათ იმიტომ, ფიცარი მალე არ დალპესო, ძველი თუნუქი შემოეკრა გარს. ვიღაც ავარას თუ თავგადასავლების მოყვარულს ქვა უსროლია, თუნუქიც გაფუჭებულა და ფიცარიც გატეხილა. შეამჩნია ეს ბატონმა ლადომ, აღშფოთდა და ხმამაღლა ილანძღებოდა. ამ დროს გამოიარა მისმა მეზობელმა იორამმა და დაინტერესდა:

— რა მოხდა, ლადო ძია?

— რაღა რა მოხდა, აი, ტუალეტი გაუტეხიათ!..

— ვაჰ, — სერიოზულად ჰკითხა იორამმა, — გაუტეხიათ? მერე და ბევრია წაღებული?

***რომან ზუკაკიშვილი, საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

| კურიოზების კონკურსი |
| --- |
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ——— |
| ——— |
| თქვენი სახელი, გვარი |
| კვირის პალიტრა №40 |

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 6 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 7 ოქტომბრის 13 საათამდე.*

# მხიარული ამბები მერაბ ბერაძისგან




**მკითხველი კარგად იცნობს მერაბ ბერაძის საინტერესო, პრობლემურ სატელევიზიო გადაცემებს, რომელიც თავად ავტორს მიჰყავს მისთვის ჩვეული მახვილი იუმორით. ამჯერად მერაბ ბერაძე სწორედ თავისი იუმორისტული ჩანახატებით გვინდა წარმოგიდგინოთ. ამ ჩანახატებს და გახსენებებს ცნობილი ადამიანების ხუმრობების შესახებ მან თავი მოუყარა ერთ მხიარულ კრებულში, რომელსაც „ცოდვაა დასავიწყებლად“ ჰქვია და რომელიც სულ ახლახან გამოჩნდა წიგნის თაროზე. ვფიქრობთ, ამ წიგნიდან ამოკრებილი რამდენიმე კურიოზული ეპიზოდი „კვირის პალიტრის“ მკითხველსაც გაამხიარულებს.**

***

ნოდარ დუმბაძე ყოველთვის ძალიან ბევრ წერილს იღებდა მადლიერი მკითხველისგან. ერთ დღეს, მორიგი ფოსტა რომ გახსნა, მისი ყურადღება მშობლიური ჩოხატაურიდან გამოგზავნილმა ბარათმა მიიპყრო:

„ნოდარა, ბიჭო! რაფერ მიყვარდი და გაღმერთებდი, შე კაიდედმამიშვილო, მაგრამ რას მერჩოდი, რატომ ამირიე საქმე ოჯახში? ერთადერთი ბიჭი მყავდა, ცოლ-შვილის მოყვარული, წესიერი, პატიოსანი, მაგრამ რად გინდა, რაც შენი „თეთრი ბაირაღები“ წეიკითხა, იმის მერე სულ შენს ლიმონას ბაძავს და ხან მილიციაშია, ხან პროკურატურაში, ხან კიდევ გადასახლებაში!“

ნოდარმა იმავე დღეს მისწერა პასუხი: „გილოცავ გადარჩენას, შენი ბედი, რომ „მამის მკვლელი“ არა აქვს წაკითხული!“

***

გალაკტიონ ტაბიძეს ერთი გამომცემლობის რედაქტორმა ფრიად უსამართლოდ ატკინა გული. ამის შემდეგ პოეზიის მეფე მომენტს არ უშვებდა, რომ მისთვის არ დაერეკა და მწარედ არ ეგინებინა. თუკი ის რედაქტორი კაბინეტში მარტო იყო და ყურს არავინ უგდებდა, იცოცხლეთ, ისიც „კარგებს“ უგზავნიდა იქიდან, მაგრამ ერთ დღეს მასთან თურმე ინგლისელი პოლიგლოტი დევიდ ლენგი იჯდა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ქართული და ამიტომ გალაკტიონის გინებას, თვითონ რომ უნდოდა, ისე ვერ პასუხობდა.



— შენ ხარ, ხარიტონ? — იკითხა გალაკტიონმა.

— დიახ!

— შენი დედა, შენი ცოლ-შვილი!..

— დაა!

— შენი კეთილები!..

— დაა!

— შენი მეზობლები!..

— დაა!

— დაიც გყავს?

***

იტალიელი პოლიგლოტი, პროფესორი ლუიჯი მაგაროტი, ძალიან მალე დაეუფლა ქართულს და ადრე ნასწავლ 15 თუ 16 ენას ჩვენებურიც მიუმატა. ამ საქმეს იგი მეტისმეტად უმადლოდა მის მასწავლებელს, ნამდვილ თავადის ასულს. ერთ დღეს იგი პედაგოგს ეწვია:

— ქალბატონო ელენე, მე მეგონა, რომ ქართული კარგად ავითვისე. თურმე ჯერ სად ვარ? გუშინ ქუჩაში ერთი ბიჭი ეუბნებოდა მეორეს, — დამერხაო (სინამდვილეში მაგაროტიმ ბევრად უფრო უხერხული ნათქვამი გაიხსენა, რომლის აქ გამოტანასაც ვერ ვაკადრებ ჩემს მკითხველს)! რას ნიშნავს ეს სიტყვა, მე მისი მნიშვნელობა არ ვიცი!

პედაგოგს ჯერ ელდა ეცა, მაგრამ რადგან იტალიელი არ მოეშვა, იძულებული გახდა ზრდილობის ფარგლებში აეხსნა: — ეს არის ჟარგონი და იგი გამოხატავს მარცხს, წარუმატებლობას, დროებით შეფერხებასო!

ცოტა ხანში, ქართული ენის ერთ-ერთ ცნობილ მეცნიერს სიდედრი გარდაეცვალა. სხვებთან ერთად პანაშვიდზე მაგაროტიც მივიდა და როგორც კი ფეხი შედგა ოთახში, შორიდან დაუძახა: — ბატონო ვალერიან, ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენც ასე დაგე...თ!

***

რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი პენსიაზე რომ გავიდა, მისი ერთი გასართობი ის იყო, რომ თავისი განუყრელი ტროსტით, საღამო ხანს, თბილისის რომელიმე კაფეში შედიოდა, ყავას სვამდა და მუსიკას უსმენდა...

ერთ დილით გაიღვიძა და სახლში ტროსტი რომ ვერ აღმოაჩინა, დაუყოვნებლივ ჩაიცვა და ახლომდებარე კაფეს მიადგა.

— წუხელ თქვენთან ტროსტი დამრჩა!

— ბატონო ვასო, წუხელ საერთოდ არ ყოფილხართ ჩვენთან! — შეწუხდა გამგე.

ვასო მეორე კაფეს მიადგა და იქაც ვერ აღმოაჩინა დანაკარგი. შემდეგ მესამე კაფეში იკითხა, მეოთხეში და როცა უკვე იმედი ჰქონდა გადაწურული, ერთ-ერთში თავისი საყვარელი ტროსტი გამოუტანეს.

— დიდი მადლობა. იცით, თქვენ გარდა, ყველა აფერისტი და მამაძაღლია! — გაუხარდა რეჟისორს და ოფიციანტს თბილად ჩამოართვა ხელი.

# გამოვლინდა კურიოზების კონკურსის კიდევ სამი გამარჯვებული

**პირველი ადგილი და პრემია** — 50 ლარი დაიმსახურა კურიოზმა **„წაწლობა ახლებურად“**, რომელიც **„ხევსურის“** ფსევდონიმით დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კურიოზმა მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა, პრემიის გადაცემა, ვფიქრობთ, ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ავტორის ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

**მეორე ადგილი და პრემია** — 30 ლარი გადაეცემა თბილისელ **რევაზ წიჟარაძეს** კურიოზისთვის **„თუ სადმე ნახოთ...“**

**მესამე პრემია** — 20 ლარი წილად ხვდა თბილისელ **თეიმურაზ ვარდოსანიძეს** კურიოზით **„რაც არ გერგება!..“**

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, **7 ოქტომბერს, 17 საათზე**.

კურიოზების კონკურსი გრძელდება.

წარმატებებს გისურვებთ!

1-ელი ნოემბრის ნომერში თქვენ შეიტყობთ ოქტომბრის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.

## მილოცვა

**გილოცავთ, მადლენა მასწავლებელო!**

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან პროფესიული დღესასწაული გვსურს მივულოცოთ ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების ამაგდარ პედაგოგს, ქალბატონ *მადლენა სულაკაძეს.*

ოც წელზე მეტია, ქალბატონი მადლენა უმაღლესი პროფესიონალიზმით, ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით, უსაზღვრო სითბოთი და სიყვარულით დამოუკიდებელი ცხოვრების პირველ ნაბიჯებს ულოცავს მომავლის ქართველებს, უკიდეგანო ქართულ სიბრძნესთან აზიარებს მათ, ქართული ტრადიციებისა და ზნეობის მწვერვალებთან შეჭიდებულ ვაჟკაცებსა და ქალებს აფრთიანებს მამულის საკეთილდღეოდ. გილოცავთ, მადლენა მასწავლებელო, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. უფალი იყოს თქვენი შემწე.

ულრმესი პატივისცემით, თბილისის 161-ე საშუალო სკოლის $II^3$ კლასის მოსწავლეთა და მშობელთა სახელით:

*შ. ბარამიძე, ე. თურმანიძე, რ. გაბელაია, ნ. ბარათაშვილი, მ. კალანდაძე, მ. გოგინაშვილი, ნ. სუხიაშვილი, ლ. გვიმრაძე, ნ. პეტრიაშვილი, ე. ბეგლარიშვილი, ი. ბოკერია, ნ. კოპალეიშვილი, თ. ხატიაშვილი, ხ. ტულუში, ს. მუტაფიანი, ე. ფესვიანიძე, თ. აკობია, ს. ციმინტია, მ. ავალიანი, თ. დავითაშვილი, ლ. ბაშალეიშვილი, თ. არსენაშვილი, ი. ცხაკაია*



**დალი დარსალიას!**

ჩემო საყვარელო დალი! გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას შენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

გფარავდეთ მაღალი ღმერთი!

*ნატო თოფურია*

**ზამირა გაგუას!**

ჩვენს „მედჩხირე“ მეზობელს, სათნო, განათლებულ, საყვარელ ზამირას სოხუმელი ყოფილი და ამჟამინდელი მეგობრები ვულოცავთ დაბადების დღეს!

და თუმცა ამ დღეს ნაღველიც ახლავს, ვუსურვებთ მას სულის სიმტკიცეს, ტკივილთან გამკლავებას, ჯანმრთელობას და მთავარი ნატვრის – სოხუმში დაბრუნების – ახდენას.

*ლეილა ჯირთბაია*

**მარიამ ქმერიძეს!**



ჩვენო საყვარელო მარიამ, ჩვენო პირველო მერცხალო, ჩვენი ოჯახის მშვენებავ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას შენს მშობლებთან და დაიკო ქეთევანთან ერთად. გფარავდეს მარიამ ღვთისმშობელი და მაღალი ღმერთი.

*შენი მოსიყვარულე მშობლები, ბებიები და პაპები*

*ღირსეულ პიროვნებას, უსაყვარლეს პედაგოგს, ულამაზეს ქალბატონს* **მადონა მანტუას!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და წარმატებებს. დიდი ბედნიერებაა მადონა მასწავლებელთან ერთად მუშაობა. მთელი მარტვილის რაიონი ამაყობს ამ ნიჭიერი, ლამაზი, სათნო ქალბატონით.

*მარტვილის რაიონის ინტელიგენცია, II საშ. სკოლის კოლექტივი*

## ბინები

სასწრაფოდ! ბორჯომში, პრესტიჟულ ადგილას, IV სამმართველოს წინ, ფიჭვნარში, ახლაშენებული, მონოლითურ-კარკასიან, ელიტურ 4-სართულიან სახლში, III სართულზე, 5-ოთახიანი ბინა (194კვმ), ფართი აივნების გარეშე, 5 აივნით (25კვმ), ა/ფარეხით (50კვმ) და სარდაფით (50კვმ). ფასი: $39.700-ის ეკვივალენტი ლარებში. ტელ: 96-85-67; 65-02-00; 899 29-19-59. ირაკლი

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

გსურთ, გქონდეთ საკუთარი ბიზნესი და სტაბილური შემოსავალი? „გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი“ იწვევს 18-დან 45 წლამდე მანდილოსნებს სათანამშრომლოდ. საქმის დასაწყებად საჭიროა $350. მის: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთ. №210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

ოფისში სამუშაოდ გვესაჭიროება სამი თანამშრომელი ხელმძღვანელის და მოადგილეების თანამდებობაზე. სასურველია 30-45 წლის ასაკის, პედაგოგიური და ადმინისტრაციული მუშაობის სტაჟის მქონე პირები. ტელ: 64-63-40

Внимание! Серьезных, деловых людей предлагается перспективная работа. Возможно выезды за рубеж. Тел: 96-22-50. Тамара

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას: მატრასები, სკამები, სამეულები, ტახტები; ნაჭრის შეცვლა, დარბილება. მერხებზე ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია (საღამოს)

ვასრულებ სახურავების ბრტყელ გადახურვას, ნებისმიერი მასალით, გარანტიით, შეღავათიან ფასად. ტელ: 899 50-10-94. გია; 899 50-69-67; 62-42-22; 62-18-33

რკინის სამქრო ამზადებს რკინის კარს – 350 ლარად, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს, გარაჟებს, აივნებს, ვიტრაჟებს, მოაჯირებს, გისოსებს და ლითონის ნებისმიერ ნაკეთობას. ტელ: 899 90-05-26. დათო

დავამონტაჟებ ელექტროგაყვანილობას საცხოვრებელ სახლებში, ოფისებში, სხვადასხვა შენობაში. დავაყენებ „ატმორს“, ბრებს, ჭაღებს. შევცვლი დაზიანებულ წერტილებს. ტელ: 38-92-71; 893 98-23-80. მერაბი

ტექსტის აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 893 96-00-42; 899 91-86-81

კომპიუტერი, პოლიგრაფია, დიზაინი, პროგრამირება: პროგრამირების ჩაწერა კომპიუტერში, CD-ზე, ტექსტის აკრეფა, ამობეჭდვა, სარეკლამო პლაკატები, ბუკლეტები, ლოგოტიპები, ეტიკეტები, მონაცემთა ბაზები, სკანირება, ინტერნეტი, Web-საიტი; არქიტექტურა: პროექტირება, მშენებლობა, ინტერიერის მოწყობა, ავეჯის პროექტირება. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა“ და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

კომპიუტერული ფირმა „ბაზისი“ – ახალი კომპიუტერული ტექნიკისა (AMD; Celeron; Celeron-Tualatin; PIV – პროცესორებით) და ორგტექნიკის ფართო არჩევანი შეკვეთით, ხელსაყრელ ფასებში. კომპიუტერების შეკეთება-მოდერნიზაცია, აპარატული და პროგრამული პრობლემების აღმოფხვრა, ქსელების მონტაჟი. მომსახურება – ადგილზე გამოძახებით. ვიღებთ შეკვეთებს. მის: დოლიძის ქ. №20. ტელ. 36-47-44; 899 97-27-63. გოგი

გთავაზობთ წონის დაკლებას თვეში 7-დან 20 კგ-მდე, ერთხელ და სამუდამოდ; წონის მომატებას – 4-5 კგ თვეში, მიღებული შედეგის შენარჩუნების 100%-იანი გარანტიით, მცენარეული საშუალებებით, შიმშილის, ვარჯიშის, დამქანცველი დიეტის, უკუჩვენების გარეშე. კონსულტანტი ქ-ნი მედეა. ტელ: 98-86-19; 899 70-14-40

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^{0}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

წამალი „მთაწმინდა“ კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა“ შეგიძლიათ შეიძინოთ PSP აფთიაქებშიც.

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულად) და ანტითამბაქო, სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ. დამზადებულია მოსკოვში, აკად. ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ხმაურის, ყურის ანთების, ტკივილის მკურნალობა ენერგო ან ინფორმაციის მეთოდით, აპარატებისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (სამების ეკლესიის უკან), თ. აბულაძის №8. სამუშაო საათები: 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42; 899 97-85-46. ლევან სეხნიაშვილი

ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი“ (ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი) ამზადებს უმაღლესი დონის ფსიქოთერაპევტებს, კურნავს ფსიქიკურ აშლილობას (ნევროზები, ფსიქოზი, ნარკომანია, ეპილეფსია, შიშები, სექსუალური მოშლილობა), ახორციელებს მშობელთა კონსულტაციებს და ფსიქოტრენინგებს. ტელ: 93-11-05; 57-37-13

ძვირფასო მშობლებო, მეუღლეებო და შვილებო: თუ ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ნიკოტინი ხდება თქვენი ოჯახის, მომავლისა და სიყვარულის დამანგრეველი მიზეზი, თუ ვეღარ ვუმკლავდებით ამ თითქოსდა უკურნებელი სენით გამოწვეულ პრობლემებს, მოგვმართეთ და ძალიან მალე დარწმუნდებით, რომ უკურნებელი არაფერია. შედეგის გარანტია – 100%. ტელ. 34-02-38; 98-86-19; 893 12-71-43. მკურნალი ექიმი ქ. ნინო გურგენიძე

მთლიანი ორგანიზმის კომპიუტერული დიაგნოსტიკა ხელმისაწვდომ ფასად, უახლესი პროგრამებით: ნევროზი, უძილობა, შიში, მაღალი წნევა, ინსულტის შემდგომი პერიოდი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, ნაღვლის და უნებლიე გამოყოფა, ენურეზი, ფიბრომა, კისტა, მიომა. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო; ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, ფსორიაზი, კატარაქტა, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია. დამზადებულია მოსკოვში აკად. ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ. 899 21-13-66; 99-75-90. ლალი

ალკოჰოლიზმისაგან განკურნება კრემლის ყოფილი ლაბორატორიის მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად). გარდა ამისა, ვმკურნალობ ნევროზს, აგრესიას, ენურეზს (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლის დაავადებებს, ბრონქიტებს, ასთმას, ფსორიაზს. შესაძლოა სიმაღლეში მომატებაც (ბავშვებში). ტელ: 893 35-45-35 (ნებისმიერ დროს); 99-75-90 (12-17 სთ), შაბათ-კვირის გარდა. მაკა

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის („პახმელიის“) სინდრომის მოხსნა, ჰალუცინაციები, აგრესიები, ჰეპატიტები. მკურნალობა შესაძლოა პაციენტისგან მალულად. პრეპარატები მაღალეფექტურია და უსაფრთხო. დამზადებულია მცენარეებისაგან და გაჯერებულია ვიტამინებით. ტელ: 53-08-02; 99-75-90 (სამსახური). თამრიკო

პირველად საქართველოში! ალკოჰოლიზმთან კომპლექსური ბრძოლა (თერაპიული კურსი), ნარკომანიისაგან გამოწვეულ ორგანიზმის დაბინძურებასთან ბრძოლა, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა: 1. ნევროზები; 2. ჰეპატიტები (C ჰეპატიტი); 3. ჰალუცინაციები; 4. მამაკაცური პრობლემები, აკად. ლიხარიოვის მეთოდებით (მკურნალობა შესაძლოა პაციენტისგან ფარულადაც). ტელ: 899 22-63-90. ნინო

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი), არტერიული წნევის რეგულაცია, უახლესი გერმანული აპარატურის მეშვეობით. მის: ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღ. ექიმი ზურაბ ხარაშვილი. ტელ. 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა), 10-16 სთ

სარძევე ჯირკვლების (მასტიტები, მასტოპათია, ონკოგადაგვარებები) უზუსტესი დიაგნოსტიკა, დასხივების, კომპიუტერისა და ფუნქციის ალების გარეშე. რამდენიმე წთ-ში დავიდგენთ, რა სახის პათოლოგიები მიმდინარეობს. მკურნალობა ოპერაციის გარეშე 10-დღიანი კურსით, არატრადიციული მედიცინის მეთოდებით (ბიოდენებით, ჩინური წერტილებით (ნემსის გარეშე), მცენარეებით). დიაგნოსტიკური ცენტრი „პანაცეა“. მის: ალმაშენებლის 113-115. კაბ. 10. ნინო სისაური. ტელ: 899 78-21-24; 61-61-18 (ბინა)

ვმკურნალობ თმის ცვენას, ბუდობრივს და ჩვეულებრივს. 10 დღეში ვაჩერებ თმის ცვენას და ჩამოცვენილი თმაც ამომყავს. მის: აღმაშენებლის №115, პოლიკლინიკის შენობა, ეზოს ბოლოში, კაბინეტი №19. ტელ: 78-07-94 (ბინა); 95-83-54 (სამს.) ლალი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სკოლიოზი, შაკიკი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მიღება რკინიგზის პოლიკლინიკაში, წინასწარი ჩაწერით. ექ. მ. ალექსიშვილი. ტელ: 899 57-16-99; 39-39-97; 61-02-97

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

სტუდია „ესთეტიკა“ იწვევს მსურველებს 16-დან 50 წლამდე ყოფაქცევის, ზრდილობის და ეთიკის ნორმების შესასწავლად. გაცნობა, სამსახური, დიპლომატია, კვების, ჩაცმის, დასვენების და გართობის კულტურა (ამ ყველაფრის ცოდნა თქვენი წარმატების საწინდარია). მის: უზნაძის 59. 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 95-73-73; 899 55-16-09

სამეჯლისო ცეკვების სტუდია „გრაცია“ იწვევს ბავშვებს 5-დან 15 წლამდე და უფროსებს 15-დან 35 წლამდე ესპანური, ევროპული და ლათინურ-ამერიკული ცეკვების შესასწავლად: ვალსი, ტანგო, სამბა, სალსა და სხვა. მის: უზნაძის 59. 23-ე სკოლა. ტ: 56-61-63; 95-73-73; 899 55-16-09; 64-46-60

შევასწავლით კომპიუტერზე მუშაობას საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail. საგამომცემლო: Pagemaker, Photoshop, CorelDRAW, QuarkXpress. არქიტექტურა, დიზაინი, ანიმაცია: ArchiCAD, AutoCAD, 3-d MAX, ვებდიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა“ და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

საახლე! ორუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე“. ჩაწერა ყოველდღე, 12.00-15.00 სთ. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web-დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა“ და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ“ იწვევს 15-17 წლის ასაკის მოსწავლეებს ამერიკის, საფრანგეთისა და გერმანიის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: თბილისი, ქავთარაძის 12. ტ: 30-39-20

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: დ. აღმაშენებლის 115. ბ. 20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-99

ინგლისური ენის სპეციალისტი, მთარგმნელ-რედაქტორი (სამეცნიერო-ტექნიკური) მოამზადებს მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში მაღალ დონეზე, გაძლიერებული პროგრამით. მსურველებს შეასწავლიან სასაუბრო და ბიზნესინგლისურს. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ფასი შეღავათიანია. ტელ: 79-41-06. ეკა (საღამოს)

წარმოებს მოსწავლეთა მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება სახის კანის დეფექტები, მალამოები, მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო; კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. შეღავათები ეხება სტუდენტებს, მრავალშვილიან, ობოლ, უმუშევარ და ლტოლვილთა ოჯახებს. მის: დადიანის №26 ან აღმაშენებლის №90. ტელ: 69-09-19; 95-47-67; 893 33-09-66

## იყიდება

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ, ევროპულ ტელეარხებს. ჩრვენებს ყველგან – ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 380; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი. ფასი – $200; მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

გთავაზობთ: 1. მდინარეების და ხევების ნაპირსამაგრ „გაბიონის“ Ф4 მმ-იანი დიამეტრის მოთუთიებულ და შავი მავთულისაგან დამზადებულ ბადეებს; 2. ქუჩებისა და სავაჭრო ტერიტორიების დასაგველად, ველური ცოცხის დიდ პარტიებს. ტელ: 899 14-28-16

## სხვადასხვა

შპს „მეკა“ სამშაბათს, 5 ოქტომბერს, დღის 3 სთ-ზე, ჟურნალისტთა კავშირში, საკონფერენციო დარბაზში აწყობს პრესკონფერენციას ჟურნალისტებისათვის, თემაზე – საერთაშორისო ბიზნესურთიერთობები, პოლიტიკა და მისი შედეგი თანამედროვე საქართველოში. მის: ერეკლე მეორის მოედანი №3, ჟურნალისტთა კავშირის საკონფერენციო დარბაზი. ტელ: 899 55-45-13







### როლანდ და რამაზ მარგველაშვილების ხსოვნას!




შაბათს, ქუთაისში უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ 56 წლის როლანდ მარგველაშვილი, რომლის მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა და ამავე დროს კიდევ ერთხელ გაგვიახლა მოურჩენელი ტკივილი — ამ შვიდი წლის წინ მისი 25 წლის ვაჟის, რამაზის ტრაგიკულმა აღსასრულმა რომ განგვაცდევინა. ძნელია, სანუგეშო სიტყვები უთხრა მის მეუღლეს, ქალბატონ გუგულას. ბედმა, უბედურ დედობასთან ერთად, ახლა მეუღლის დაკარგვის სიმწარეც რომ არგუნა. ძნელია, თანაუგრძნო ეკას, რომელსაც სრულიად ახალგაზრდას მოუწია უამრავ ტკივილთან პირისპირ შეხვედრამ. ჯერ, ახალდაქორწინებულს მეუღლე დაეღუპა, მერე მამა წავიდა ამ ქვეყნიდან, ახლა კი — მამამთილი, მამის მაგივრობას რომ უწევდა მასაც და მის შვილსაც, ბაბუის მოსახელე პატარა როლანდიკოს. მასაც ხომ სულ პატარას მოუწია დავაჟკაცებამ — 9 წლისას თავისი საამაყო ბაბუა აღარ ჰყავს... როლანდიკოს მომავალზე ზრუნვა ახლა ბიძამისმა, რეზომ უნდა იტვირთოს... როლანდ მარგველაშვილმა ღირსეული კაცის სახელი დატოვა. ოჯახის, ახლობლების და მეგობრების ერთგულმა და მოამაგემ, უამრავი საზრუნავი გაიყოლა... უფალს შევთხოვთ, მის ოჯახს ამიერიდან მაინც აშოროს განსაცდელი...

ნათელში იყოს როლანდ და რამაზ მარგველაშვილების სულები.

*ოჯახის ახლობლები*

### მიხეილ (მიშა) ვოიტკევიჩის გახსენება



ვცოდავთ მაშინაც, როცა ჩვენს მოამაგე ადამიანს სიცოცხლეში არ მივეფერებით, არ ვაგრძნობინებთ, რაოდენ გვიყვარს, რამხელა სითბო და სიწმინდე დატოვა ჩვენში. ისე, ჩემთვის ვიტყვი იმას, რომ მინდა მამა დაგიძახო, მინდა იცოდე, ჩემო მიშა ბიძია, რამხელა ტკივილი დატოვე და ჩემი უნებლიე უყურადღებობაც როგორ მტკივა.

შენი ქალიშვილებისგან, მარინასა და მადონასგან არ მარჩევდი, მათთან ერთად მწვრთნიდი და ადამიანობას მასწავლიდი, რადგან იცოდი, მამა მაკლდა და ძნელი იყო ყოველივე ეს პატარა გოგონასათვის. კეთილი თესლი არ იკარგება და შენი ცხოვრება მაგალითია არა მარტო ჩემთვის, არამედ იმერეთის იმ პატარა ქალაქის მცხოვრებთათვისაც, სადაც შენ, წარმოშობით პოლონელი და სულით და ცნობიერებით ქართველი, ქართულ საქმეს აკეთებდი — ზნეობრივ კრიტერიუმებს აყალიბებდი.

ღმერთმა აცოცხლოს შენი ღირსეული მეუღლე, ყველასათვის საყვარელი ნუნუ დეიდა და შენი შვილები. არ ჩამქრალიყოს შენგან დანთებული სანთელი შენს კერიაზე, მსუბუქი ყოფილიყოს საქართველოს მადლიანი მიწა შენთვის, „ხალასი პატიოსნებით" გამორჩეულო კაცო.

*ხათუნა ჩიმაკაძე*

### ამირან კაჭარავას მონატრება



ჩვენო თბილო და უსაზღვროდ მონატრებულო მამიკო, ერთი წელია იმ დღიდან, რაც გაჩერდა შენი კეთილშობილი გული, რომელიც უსაზღვრო სიყვარულს იტევდა. წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი. რაც დრო გადის, მით უფრო გაუსაძლისი და მძიმეა უშენობა. დრო მკურნალიაო, — მაგრამ ვერანაირი დრო ვერ განკურავს იმ ტკივილს, რომელიც შენი იმ ქვეყნად წასვლამ მოგვაყენა.

გვენატრები ყველას.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი უკვდავი, კეთილშობილი სული.

*შენს სიყვარულს მონატრებული შენი ოჯახი*

### ლიანა გაგუა-წიკლაურის მონატრება



10 წელი გავიდა, რაც შენ აღარ ხარ ამ ქვეყანაზე.

ჩვენო ლია, შენ ხომ უსაზღვრო სიყვარულისა და უანგარო სიკეთისთვის იყავი გაჩენილი. ვაი, რომ არ დაგცალდა, ბოლომდე დახარჯულიყავი.

ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ, გვჭირდება ყველაფრის დამტევი შენი დიდი გულის სითბო, შემწყნარებლობა და იმედიანი ღიმილი.

გულით ვატარებთ სიყვარულს, რომელსაც შენ გვჩუქნიდი და თავს ძალიან უმწეოდ ვგრძნობთ.

*ოჯახი, ახლობლები*

### დათო ნოზაძის გახსენება



დათო, როგორ გვიჭირს უშენობა. უკვე მეხუთე დაბადების დღეს ვხვდებით უშენოდ. როგორ გვინდა, ძველებურად ისევ ჩვენ გვერდით იყო და შენთან ერთად ვზეიმობდეთ შენს დაბადების დღეს, მაგრამ სამწუხაროდ ღმერთმა შენი თავი წაგვართვა. ეჰ, რას ვიზამთ?! — ღმერთსაც ხომ კარგი უნდა. შენი მონატრების ტკივილს შენი პატარა და ლამაზი დისშვილი — დათუკა გვიმსუბუქებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს!

*თიკა და მარი*

### მალხაზ და დათო პირმისაშვილების გახსენება



მალხაზ, უკვე ერთი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. რამდენი გაჭირვება და დარდი გამოიარე... როცა გეგონა, რომ ყველაფერი უკან დარჩა, მაშინ გიმტყუნა ჯანმრთელობამ. წყნარად წახვედი ამ ქვეყნიდან და სამ თვეში თან გაიყოლე შენი ძმა დათო.

რა მძიმეა ჩემთვის გახსენება ყოველივესი, რა ლამაზი ცხოვრებით ვცხოვრობდით, მალხაზ, რა ლამაზად თენდებოდა და ღამდებოდა, როცა სიყვარულით აღსავსე ოჯახი გვქონდა.

ჩვენო მალხაზ! სექტემბერი უშენოდ დაიწყეს შენმა ვანომ და ხატიამ. წახვედი და დაუტოვე შენს შვილებს დიდი ტკივილი, რასაც ვერავინ უვსებს. რაც შენი შვილების გვერდით აღარ ხარ, მათ თვალებში სევდამ დაისადგურა, მაგრამ ცდილობენ ისეთები იყვნენ, როგორიც შენ გინდოდა.

მხოლოდ ვანოსღა შევცქერით იმედად, უშენობით ნაადრევად დადინჯებული ყმაწვილი რომ დადის. მოუნელებელი ტკივილი დაუტოვეთ თქვენს მშობლებს.

პატარა ჟინვალი დღესაც შეძრწუნებულია იმით, რომ ოჯახს ორი ძმა გამოაკლდით.

გაუსაძლისია ამქვეყნად უთქვენოდ ყოფნა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა და ლამაზი სული. ამინ!

*თქვენი ოჯახი*

### შაქრო ბერიშვილის ხსოვნას!



ტკივილიანი და ცრემლით სავსე წელი გავიდა უშენოდ. დრო ყველა ჭრილობას კურნავსო... მაშინ რატომ არ ილევა სევდა, რატომ არ ყუჩდება ტკივილი, რომელიც შენ დაგვიტოვე? შენ ხომ ამქვეყნად ადამიანთა სანუგეშებლად და სიკეთის საკეთებლად იყავი მოვლენილი. უშენობა საოცრად უჭირს შენს ოჯახს — მას ხომ შენი გულის სითბო და კეთილი ღიმილი, თანადგომა და იმედი მოაკლდა. ვიხსენებთ შენს საყვარელ ფრაზებს, ჟესტებს, არტისტიზმს. „საფირმო" სადღეგრძელოებიც შენებური, გულიანი დაგვიტოვე. ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი გქონდა, სხვისი გაჭირვებით შეწუხებული, ყველაზე მზრუნველი, ყურადღებიანი და მოყვარული იყავი.

უამრავი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე და უამრავი ცრემლი გაიყოლე მარადიულ სასუფეველში. ჩვენ ვერასოდეს დაგივიწყებთ, მოვალთ საფლავთან, სანთელს დაგინთებთ, შეგამკობთ ცრემლებითა და ყვავილებით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*„უკვდავებაში გადაინაცვლე, დაგრჩა ვაჟკაცის კარგი სახელი,*
*იძინე ტკბილად, ჩვენო ძვირფასო, თავზე გვირგვინად გედგას ნათელი."*

*ოჯახი*

### იზო ხუბულაშვილის გახსენება



შენ წახვედი, ჩვენ დავრჩით!

ჩვენ შორის გაჩნდა უზარმაზარი სივრცე, რომელიც სავსეა შენით, შენი იუმორით და კისკისით, შაყირით და მახვილსიტყვაობით.

ჩვენ კი გაუთავებლად ვფიქრობთ შენზე, ძალიან მაგარი და თან ძალიან მშიშარა ყოფილხარ! ძალიან მაგარი იმიტომ, რომ თურმე მაგ სიცილ-ხარხარის უკან რამხელა ტკივილს ატარებდი უხმოდ, ყველას კი უდარდელი გვეგონე; ძალიან მშიშარა იმიტომ, რომ არაფერი გვითხარი!

ყველანი ბოდიშს გიხდით, რომ ვერ დაგეხმარეთ და ვერ გადაგარჩინეთ! შენ ხომ ჩვენ შორის ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე და ყველაზე მეტად გეშინოდა „იქ" წასვლის. ძალით გამოგასალმეს სიცოცხლეს. შენ მოგკლეს საშინელი სიკვდილით!

მხოლოდ ყველაზე უსინდისოს და გარეწარს შეუძლია, შებღალოს შენი სხეული და სული!

ჩვენ... ჩვენ კი...

ძალიან გვიყვარხარ, ძალიან გვენატრები.

ჩვენო საყვარელო იზო!..

*შენი თანამშრომლები*

### „ისა ყოფილა ვაჟკაცი"

*ბონდო კახოიძის ხსოვნას!*



ფერისცვალებამ ფერი იცვალა თითქოს და ქართულ ფანდურს სიმი გაუწყდა. მზეს გაუხუნდა სინათლე და დაყრუვდა ზეცა, მწუხარებას ველარ გაუძლო. ვაი, იმ დედას, შვილის სიკვდილს რომ ეტყვიან. ვაი, იმ მიწას, ასეთ ვაჟკაცებს მიწად რომ აქცევს....

28 სექტემბერს ორმოცი დღე შესრულდება იმ სისხლიანი დღიდან, ფერისცვალებას რომ გაუთენდა საქართველოს. სამაჩაბლოს ძირძველ მიწას იცავდა ბონდო კახოიძე. მოძალადე გადამთიელებს ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ; თუ ღმერთმა ინება, თქვენთან ერთად ვიზეიმებ საქართველოს მთლიანობას, თუ არა და, ხომ გმირულად მოვკვდებითო, — უთქვამს ბოლოს მშობლების სანახავად ჩამოსულს. აკი, აუხდა კიდეც წინასწარმეტყველება — თანამოსანგრესთან, გიორგი ქარაიასთან ერთად, ბონდო გმირულად დაეცა ერედვის მისადგომებთან. იმედის მომცემ კაპრალს, ვინ იცის, რა ოცნებები დარჩა აუხდენელი, ის ხომ 19 სექტემბერს 22 წლის უნდა გამხდარიყო...

ამაოდ დავეძებთ სიტყვას, დედა რომ ვანუგეშოთ. დედა, რომელმაც ხუთი შვილი გაუზარდა სამშობლოს. უმცროსმა ძმამ, ბერდიამ ბრძოლის წინა ხაზზე თამარაშენში გაიგო თავზარდამცემი ამბავი... უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა სოფელი კიდევ ერთ თუშ მზეჭაბუკს იმ დღეს. საქართველოს დროშით შებურული გმირის ცხედართან თითოეული ზემოქედელისათვის გაცხადებულიყო სასწაული: საუკუნეთა სიშორიდან გადმოსულიყო ზეზვა გაფრინდაული და ღირსეულ შვილს ხმალს უწვდიდა, მზეზე ალესილს...

### ანიკო ყანჩაველი-აბაშიძის მონატრება



3 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. გილოცავ, ჩემო ძვირფასო დედა. წახვედი ჩემგან, მაგრამ ჩემთან დარჩა შენი ლამაზი სული. ყველა დედა ლამაზია, ამ მხრივ ვერავის შევეჯიბრები, მაგრამ შენ შენი წარსულით უფრო გაალამაზე შენი და ჩემი ცხოვრებაც.

სამი თვე იცხოვრეთ ერთად შენ და შენმა მეუღლემ. იგი, როგორც სამხედრო პირი, პირველი დადგა ომის სადარაჯოზე. წერილებით ელაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ წერილებიც მალე შეწყდა — დავრჩით მე და შენ მარტონი. მთელი შენი ცხოვრება მე შემომწირე. პატიოსანი ცხოვრებით განვლე დარჩენილი წლები. შენი მეუღლის შესანდობარსაც ვერავინ იტყოდა, სიკვდილის ბოლომდე ელოდი.

დედა, შენ ზესტაფონში ცხოვრობდი. ყველა გიცნობდა, როგორც პატიოსან ექთანს. ამ ბოლო ხანებში ზამთრობით ჩემთან იყავი ხოლმე რუსთავში. ეს ზამთარი კი ძალიან უიღბლო გამოდგა ჩვენი ოჯახისათვის. როგორ ხარობდი შენი შვილიშვილებით, რომელთაგან მხოლოდ უფროსი შვილიშვილის ცოლ-შვილს მოესწარი. ორი ვაჟის გაბედნიერება სანუკვარ ოცნებად დაგრჩა. პატარა შვილთაშვილის, მარიამის გაზრდაში დიდი წვლილი მიგიძღვის. რძალი შენზე ლოცულობს და სანთლებს ანთებს შენი სულის სადიდებლად. ხშირად და ტკბილად გიგონებენ შენი შვილიშვილები და მწარედ განიცდიან შენი ამ ქვეყნიდან მოულოდნელად წასვლას.

მენატრები ძალიან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი მაგული*

### გია კახოშვილის ტკივილიანი მონატრება



გია, ჩვენო სიცოცხლევ, უკვე მეორედ მოვიდა შენი დაბადების დღე, 4 ოქტომბერი. 25 წლის გახდი, მოგიკვდეს დედა. რატომ დაიფერფლა შენი ლამაზი სიცოცხლე. შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა იგი. მომავალზე ოცნებობდი, მაგრამ განგებამ წერტილი დაუსვა შენს ამქვეყნად ყოფნას. შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა, ჩვენ — მარადიული ტკივილი, მწარე სიცოცხლე, ცივი ქვის ყურება და ლამაზი სურათის მოფერება. ძალიან გვენატრები ყველას, შენს დებს, დისშვილებს, შენს ახლობლებს.

ყოველდღე ვანთებთ სანთლებს შენი სულის უკვდავსაყოფად.

*შენი უბედური მშობლები — გივი, ზეინაბ; დები — ნანა და ეკა*

### ელბერდი იაკობაშვილის ტკივილიან ხსოვნას!



ჩვენო საყვარელო ელბერდი, 40 დღე იწურება, რაც თელეთის კოლეჯის კოლექტივი ველარ ხედავს თქვენს მოღიმარ სახეს, ველარ ისმენს თქვენს თბილ, ნუგეშის მომცემ, იმედიან სიტყვებს. ძალიან გვენატრები, ძალიან დიდხანს გვეხსომება თქვენი კაცური მითითებები, გულისხმიერი ურთიერთობა და სიყვარული. ამბობენ, — ღმერთსაც რჩეულები უყვარსო და თქვენც ასეთი რჩეული აღმოჩნდით.

ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ მარადისობასთან შენივთებული თქვენი ლამაზი სულისთვის.

*თელეთის კოლეჯის კოლექტივი*

### ლია ბოკუჩავა-ჯინჭარაძის გახსენება



საოცრად თბილი, მოწყალე, სხვათა შემბრალე და თანადგომის ნიჭით აღსავსე იყავით. თბილისის მშვენებავ, დიდო ქალბატონო ლია, რა მოულოდნელად წაბრძანდით ამ ქვეყნიდან. სხვის ტკივილს რომ იზიარებდით, რატომ ინახავდით თქვენსას ასე უხმოდ? სიყვარულის, სიკეთის მთესველი — ასეთად დარჩებით თქვენი ოჯახის, მეზობლების, კოლეგებისა და სტუდენტების გულებში.

*კეკელიძის ქ. №25, IV სადარბაზოს მცხოვრებლები*

### ომარ ნემსაძის ხსოვნას!



ჩვენო ომარ, ოქტომბრის თვე ხომ შენ გეკუთვნოდა და ყოველ 9 რიცხვში ვიყრიდით თავს შენ გარშემო. შენმა წასვლამ შენი მეგობრებისა და ახლობლებისათვის ეს ნათელი დღე სევდით შემოსა და დაგვრჩა მოგონებები, რომლებიც ასე უხვად დაგვიტოვე შენი უმწიკვლო ცხოვრების წესით და უზადო, ადამიანური თვისებების თვალსაჩინო მაგალითების სახით.

გვწამს, რომ უფალმა შენს წმინდა სულს სათანადო ზეციური სასუფეველი დაუმკვიდრა.

*შენი მეგობრები*

### ზურაბ ტყემალაძის გახსენება



არ ვიცი, რა დავარქვა შენს წასვლას — გარდაცვალება თუ სიკვდილი. ალბათ გარდაცვალებაა, რადგან სანამ ჩვენ ცოცხლები ვიქნებით, შენც არ მოკვდები. შენ პირველი იყავი და პირველი დარჩები ჩემთვის, შვილო.

აი შვილო, გავიდა ცრემლიანი სამი წელიწადი. უშენობით ვიტანჯებით შენი განადგურებული დედა, მამა, და და დეიდა. თურმე, შვილო, დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. ჩემო ზურა, გეძახი და გიხმობ ყოველდღე, მენატრება შენი მოფერება, შენი ძახილი „დე".

ყოველთვის თვალწინ მიდგას შენი ყოველი მოქმედება. მეამაყებოდი, რომ ლამაზი ვაჟკაცი მყავდი და მეგონა, ასეთივე ლამაზი იქნებოდა შენი სიცოცხლეც, მაგრამ ასე არ მოხდა, ალბათ ესეც ღვთის ნება იყო.

იძინე, ჩემო ლამაზო ვაჟკაცო, ჩემო 21 წლის ბიჭო, მშვიდად, ისევე, როგორც ბუნებით იყავი. ჩვენ კი ჩუმად გულში მოგეფერებით სიცოცხლის ბოლომდე.

*შენგან გულდამწვარი დედა*

### კონსტანტინე ქელიძის მონატრება



გავიდა ტკივილიანი და ცრემლებით სავსე 40 დღე, რაც შენ აღარ ხარ, სიყვარულით და ალალი შრომით შექმნილ შენს ოჯახში. დაგვრჩა მხოლოდ მოგონება, შენი სითბო და მონატრება. ძალიან გვიყვარხარ, ძალიან გვაკლიხარ, გვენატრება შენი კეთილი ღიმილი და ალერსიანი მზერა.

ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

*ოჯახი*

### ერთი წლის შემდეგ...

*ლერი თათეშვილი*



შენ რომ მეგობრობა გაგვიწიე, ის ყოველთვის გვეხსომება თითოეულ ჩვენგანს სამაგალითოდ...

შენ რომ სიკეთე თესე, ის ჩვენში დღესაც ხარობს შენი სულის საცხონებლად...

შენ რომ ტკივილი მოგვაყენე, ის გაგვყვება მთელი ცხოვრება...

არ გეგონოს, უშენობას შევეგუეთ... ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ...

გპირდებით, რომ არასოდეს ჩაქრება შენს სახელზე ანთებული სანთელი და მუდამ გაგინათებს ცათა სასუფეველს!

*ტკივილიანი მონატრებით შენი მეგობრები: თამუნა, თინიკო, თამუნა, ქეთი, შორენა, ნანული*

### შმაგი გონჯილაშვილის მონატრება



8 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, შმაგი! წელს მესამედ ვხვდებით უშენოდ ამ დღეს.

რა სევდიანი და ტკივილიანია უშენობა, ჩვენო საოცრად კეთილო და საყვარელო შმაგი.

წარმოუდგენელი იყო შენი გარდაცვალება. დაუჯერებელია, რომ აღარ დაგვიბრუნდები. შენმა დაკარგვამ განუზომელი ტკივილი დაგვიტოვა მარტო ჩვენ კი არა, მთელ შენს სანათესავოს, რომელსაც ვერანაირი დრო ვერ განკურნავს.

შენ ჩვენი მოუშუშებელი ჭრილობა ხარ. უსაზღვროდ გვენატრები. შენს ლოდინში დაღლილმა დედამაც ხომ შენ გვერდით დაიმკვიდრა სამუდამო სასუფეველი.

ახლა კი რაღა დაგვრჩენია — წარსული, რომელსაც მოვიგონებთ. ცრემლმორეული თვალებით უფალს შევთხოვთ, შენი სული ნათელში ამყოფოს.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური თიანეთის, სოფელ ჯიჯეთის მიწა.

*ძმა, დები და მამა*

### დიმიტრი ცაგურიას მონატრება



წლებმა ვერაფერი შეცვალა, ჩემო დედისერთავ!

1992 წლის 4 ოქტომბერს გიმუხთლა ბედმა. სამხედრო დავალების შესრულების დროს გმირულად დაეცი 24 წლის კადრის ოფიცერი, კაპიტანი. ყველა ოცნება განუხორციელებელი დაგრჩა.

დედაშენს ისღა დარჩენია, აგინთოს სანთლები და ღმერთს შესთხოვოს, ნათელში უმყოფოს შენი უმწიკვლო სული, ჩემო კეთილო და სიკეთის მთესველო შვილო.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*დატანჯული დედა — ფოთოლა ცაგურია*

### გოჩა გოგოლაურის გახსენება



4 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო, სანატრელო მეუღლევ და მამავ... დიდი დრო არ არის გასული, რაც დაგვტოვე, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შევიგრძნოთ, შენი სახით რა ფასდაუდებელი განძი დავკარგეთ.

25 თებერვალი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის, სრულიად უდანაშაულოდ, შემთხვევით დაიღუპე, მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე. უფალმა ერთი ნაბიჯი არ გადაგადგმევინა, გამოგარჩია და ზეციურ საუფლოში წაგიყვანა.

4 ოქტომბერს 41 წელი შეგისრულდებოდა.

გვიჭირს უშენობა, შენზე წარსულში ლაპარაკი. უსაზღვროა ის დიდი ტკივილი, რაც ჩვენ დაგვიტოვე და ის ხვედრი, რაც მე — შენს მეუღლეს მხვდა წილად. ობლად გაზრდილს, ობლებს მაზრდევინებ, შენ კი არ დაგცალდა, მოზიარე ყოფილიყავი ყველა იმ სიხარულისა, რაც მომავალში უნდა მოხდეს შენი შვილების ცხოვრებაში.

ჩვენო ძვირფასო მამიკო, შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ბოლოს კი უხმო ცრემლებით გვინდა, მოგილოცოთ დაბადების დღე. საფლავზე 41 სანთელს დაგინთებთ.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და სპეტაკი სული.

*მეუღლე ელისო ზურაბიანი; შვილები — ნინო და გიორგი*



დეიდა ელისო ქობალია; დეიდაშვილები: ვეფხია, ზვიადი; რძლები: ნათია, თეა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარინა ელიზბარის ასული ცაბუტაშვილი-ასანიშვილი**

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

მეუღლე დოდო თოფურია; შვილები: ირმა, ირაკლი ნაცვლიშვილები; და ლილი, ძმა გიგლა ნაცვლიშვილები; რძალი ციცო ჩაჩხიანი; სიძე ჯიბილო კახიძე; ძმისშვილები: პაატა, დიტო, ლია ნაცვლიშვილები; დისშვილები: ალიკო, ზურიკო კახაძეები იუწყებიან

**რაული დიმიტრის ძე ნაცვლიშვილის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* 4 ოქტომბერს, 16 საათზე;

*დაკრძალვა:* 5 ოქტომბერს, 15 საათზე.

*მისამართი:* თბილისი, მოსკოვის პროსპექტი, მე-5 კვარტალი, მე-3 კორპუსი, ბინა №30.

# მეგობრის ნაჩუქარი „საბედისწერო“ კნუტი



— ელისო პირველ კურსზე გავიცანი — ერთ ჯგუფში მოვხვდით და რატომღაც ყველაზე მეტი საერთო მასთან ვიპოვე. ერთი შეხედვით რბილი, დამყოლი ხასიათი ჰქონდა და ყოველ წუთს მეუბნებოდა, რომ ყველაფერი მოსწონდა ჩემი — ჩაცმის სტილი, სიარულის მანერა, საუბარი, ღიმილი... ცოტა ხანში შევამჩნიე — აშკარად მბაძავდა და ცდილობდა, დამმსგავსებოდა, ტანსაცმელსაც ზუსტად ჩემნაირს ყიდულობდა. ზოგჯერ ვბრაზობდი კიდეც, რატომღაც მაღიზიანებდა მისი საქციელი, მაგრამ თქმა მერიდებოდა. რა მაკავებდა — არც კი ვიცი...

უცნაური მოვლენები კი მას შემდეგ დატრიალდა, რაც ელისომ დაბადების დღეზე კნუტი მაჩუქა. ცხოველები შინ არასოდეს მყოლია და არც ვიცოდი, როგორ მომევლო. ლამის უკან გავატანე, მაგრამ ესეც მომერიდა. ვერ ვაგრძნობინე — ასეთი საჩუქარი ჯერ არასოდეს მიმიღია-მეთქი, — დაიწყო 24 წლის თინიკო ბ-ძემ, რომელიც თავად გვეწვია რედაქციაში და გვითხრა, — როცა ვინმე გაჩუქებთ ცხოველს თუ ფრინველს, თუ დარწმუნებული არ ხართ მის გულწრფელობასა და კეთილშობილებაში, ყველანაირად შეეცადეთ, „საჩუქარი“ მომტანს უკანვე გაატანოთო.

— მას შემდეგ, რაც კნუტი სახლში წავიყვანე, უცნაური ამბები დატრიალდა ჩემს თავს, კარგა ხანს ვერ მივხვდით მიზეზს... კნუტი ძალიან პატარა იყო, დამოუკიდებლად ჭამაც არ შეეძლო და რძეს საწოვარათი ვაძლევდი. შევეჩვიე, მერე კი შემიყვარდა და ჩემს ოთახში დავუდე ბინა. კნუტი ჭრელი იყო და „ხატაურა“ დავარქვი, მალე ხატაურამაც ისწავლა ჩემი ცნობა და სხვას არავის იკარებდა. ერთხელ ინსტიტუტშიც კი წავიყვანე. თურმე ჩანთაში ჩამძვრალა და... იმ დღეს ყველა ლექცია ჩემთან ერთად „მოისმინა“, თან ისე მშვიდად და წყნარად, ერთიც არ დაუკნავლია და არავინ შეუწუხებია.

მიუხედავად იმისა, რომ ყუთში ჰქონდა საწოლი, ხშირად ჩემს ფეხებთან მოკალათებულს ეძინა ხოლმე. ერთხელ ვიღაცის დაჟინებული მზერა ღრმა ძილშიც კი ვიგრძენი და გამოვფხიზლდი. ხატაურა უცნაურად თვალებანთებული მომჩერებოდა. შემეშინდა და ვერც გავბედე განძრევა. რომც მომენდომებინა, ალბათ, ვერც გავინძრეოდი — ჰიპნოზივით მოქმედებდა ჩემზე ხატაურას თვალები... ისევ ჩამეძინა და უცნაური ხილვა მქონდა: გარდაცვლილი ბებია მოვიდა და მარწმუნებდა, რომ... აუცილებლად თავი უნდა მომეკლა!... ვიღაც ბიჭი მანახვა, მისი სახელიც მითხრა — გიგა: შენი ბედია და უკვე ერთი წელია საიქიოში გელოდება. ქორწილისთვის ყველაფერი მზადა გვაქვს, რატომ აგვიანებო!..

დილით თავი ისე მტკიოდა ინსტიტუტშიც კი ვერ შევძელი წასვლა. საღამოს მომაკითხა ელისომ, — ლექციებზე რომ არ იყავი, გამიკვირდაო. რატომღაც მიზეზი დავუმალე და არაფერი ვუთხარი არც ხატაურას ღამეული საქციელისა და არც უსიამოვნო ხილვის შესახებ. თავად აიყვანა კნუტი ხელში და კალთაში ჩაისვა, — როგორაა, უჩვეულოს ხომ არაფერს ამჩნევო. უჩვეულო რა უნდა იყოს, ჩვეულებრივი კნუტია-მეთქი, — ვუთხარი და რატომღაც მომეჩვენა, რომ ელისომ სახე მომარიდა.

— არა, არაფერი... ისე, მეც არა ვარ დღეს კარგად. შეყვარებული მყავდა, ფიცი გვქონდა ერთმანეთისთვის მიცემული. თითქოს გული უგრძნობდა, რომ დიდი დღე არ ეწერა, ავარიაში დაიღუპა. სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ეკლესიაში დავიფიცეთ — თუ ერთს უდროოდ რაიმე მოუვიდოდა, მეორეს ბედზე აღარ უნდა ეფიქრა — დღეს გიგას წლისთავია, — თქვა და სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

...სახელი გიგა რომ ახსენა, ცუდად გავხდი. ხილვა გამახსენდა და ის გიგა, გარდაცვლილმა ბებიამ რომ მითხრა, — შენი საბედოა, ქორწილისთვის ვემზადებით და მალე უნდა მოხვიდეო. ელისოს მაინც არაფერი ვუთხარი.

მეორე დღიდან კი თავის ტკივილი გამიძლიერდა, არც წამლებმა მიშველა და არც არანაირმა მკურნალობამ — ექიმები ხელებს შლიდნენ, ტკივილისთვის მიზეზი არაა, გოგონა ჯანმრთელიაო!..

ტკივილი კი არ მაძინებდა და თუ ჩავთვლემდი, ბებია გაჩნდებოდა ჩემ გვერდით, ხელს მაჯაში ჩამავლებდა, თავისკენ მეწეოდა და ჩამძახოდა, — ქორწილს პატარძალი აკლიაო!..

— რამ გადაგარჩინათ?

— შემთხვევითობამ. ეტყობა, ადამიანი თუ ბედმა არ გაწირა, ყველაფერი თავისით მოგვარდება. ყველა სპეციალობის ექიმი მოვიარეთ და ბოლოს ალერგოლოგთანაც მივედით. მან ძიება დაიწყო, რას შეიძლებოდა გამოეწვია თავის ტკივილი და როცა ვუთხარი, — შინ კნუტი მყავს, რომელიც ხშირად ჩემს საწოლშიც იძინებს-მეთქი, მაშინვე მოგვთხოვა, — სასწრაფოდ მოიშორე, რადგან თავის ტკივილის მიზეზი მისი ბეწვი შეიძლება იყოსო...

ეს რომ მითხრა ექიმმა, მაშინვე ელისო გამახსენდა. ვიფიქრე, რადგან მისი ნაჩუქარი იყო, კნუტი აუცილებლად მისთვის გამეტანებინა დროებით მაინც. როცა ეს ელისოს ვუთხარი, ერთბაშად აჭარხლდა და უარი მითხრა, — რაც გინდა მთხოვე, კნუტს ვერ წავიყვან, ცხოველებზე ალერგია მაქვსო...

— სხვას ვერ ვანდობ, ორი დღე, რომც კვდებოდე, ჩემი ხათრით უნდა შეინახო ხატაურა-მეთქი! — ჩავუსვი ხელებში კნუტი და კარი მივხურე...

არ ვიცი, რა უყო კატას ელისომ, მაგრამ იმ დღის შემდეგ შვება ვიგრძენი და პირველად, რამდენიმეკვირიანი წამების შემდეგ, მშვიდად დავიძინე...

როდესაც საბოლოოდ დავმშვიდდი, რაღაც-რაღაცები გავიხსენე. ალერგოლოგთან ერთი ექთანი იყო, რომელმაც ყურადღებით მოისმინა ჩემი ნაამბობი და მორიდებით მითხრა: ამას წინათ ჩემს ვაჟს თუთიყუში აჩუქეს და როგორც კი შემოიყვანა სახლში, მაშინვე დეპრესია დაეწყო, გუნება გაუფუჭდა. დედამთილმა მითხრა: — ცხოველებზე ხშირად ხდება ავადმყოფობის, უბედურების, უიღბლობის გადალოცვა. ქალი, რომელსაც ჩემი შვილის ხელში ჩაგდება უნდოდა, ლამის ათი წლით იყო გიაზე უფროსი, თანაც ბავშვიანი... შენი ამბავიც რაღაცით იმას მაგონებსო.

...ბუნებრივია, ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და მივედი იმ ქალბატონთან... რომ დამინახა, მაშინვე მითხრა, როგორც ჩანს, ელისო რომ გარდაცვლილი შეყვარებულის „რისხვას“ გაჰქცეოდა და ბედი გახსნოდა, აუცილებელი იყო მიცვალებულისთვის სხვა გოგო „შეეჩეჩებინა“. ამიტომ ცდილობდა გარეგნულადაც კი დაგმსგავსებოდაო!..

— კი, მაგრამ, კნუტი რა შუაში იყო?!

— კატა ყველაზე უკეთ ამყარებს კავშირს მიღმა სამყაროსა, თუ გარდაცვლილთა სულებთან... ზუსტად ვერ აგიხსნით და ალბათ არცაა საჭირო, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ კატის სხეულში ჩაბუდებულ ავსულებს თვითმკვლელობამდე უნდა მივეყვანე და ელისოს უიღბლობა სიცოცხლით გამომესყიდა...

— ელისოს უთხარით რამე?

— არა... რადგან კნუტი მას დავუბრუნე, ეტყობა, ამით მასზეც მოხდა რაღაც გავლენა. დაუსწრებელზე გადავიდა, თავის რაიონში დაბრუნდა და მას შემდეგ ახლოსაც აღარ გამკარებია... ნაცნობებისგან ვიცი, რომ ჯერ არ გათხოვილა და რატომღაც ხშირად ავადმყოფობს...

მას შემდეგ ბევრჯერ მოვინდომე ლეკვის ან კნუტის სახლში მიყვანა, მაგრამ თავსგადახდენილი ამბავი არასოდეს მავიწყდება.

***ინგა ჯაყელი***

„საზალდო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. სკოლა.

II. 3 ვაშლი.

III. **აბა გამოიცანი**

1) — გ); 2) — ბ); 3) — ბ); 4) — ბ); 5) — ბ); 6) — გ); 7) — ბ); 8) — ა).

ჩვენ გვწერენ

# პატარა კაცი თათრებს გოლიათი ეგონათ...



დედაჩემი ხშირად მიყვებოდა თავისი პაპის თავგადასავალს. პეტრო ერქვა იმ კაცს. პეტრიკელას ეძახდნენ. მენახირე ყოფილა. დაბადებიდან ჰქონია დანათლებული მადლი და სიუხვე. სოფელ ზემო მაჩხაანში, ჩვენი ბაღჩის ბოლოს ოთხი ღარით მოდიოდა თურმე წყალი. ეს წყალი დიდ ნავში გროვდებოდა. იქ არწყულებდნენ საქონელს. პეტრიკელა გარეკავდა ნახირს დილაადრიან, შუაღამისას ამოჰყავდა ნავის წყალზე, მერე კაკლის ხეების გრილში დაეყრებოდა პირუტყვი, მზე რომ გადაიწვერებოდა, ისევ გაიყვანდა საბალახოდ და შებინდებისასღა მოდიოდა სოფელში. სხვა მენახირეები იქნებ პეტოზე ნაკლებად არ უვლიდნენ პირუტყვს, მაგრამ პეტოს საქონელი, რომ იტყვიან: „ერთი ათასად იქცა“. ზოგი ძროხა ტყუპსაც იგებდა, რაც იშვიათობა იყო. თან ჯანსაღი ხბოები მალე იზრდებოდნენ და როგორც ზღაპარში, მალევე იწყებდნენ გამრავლებას. პეტოს ქონების ეგრე მომრავლება შეშურებიათ ძმებს და ცხვარში გაუგზავნიათ. სამ წელიწადში პეტოს ფარას ფარეხები ველარ იტევდა. ახლა ყანაში გაგზავნეს პეტო. ისეთი ყანა მოიყვანა, თითო ხელეურიდან სამი კილო ხორბალი დგებოდა. პეტოს ძმებს კი ჯერ მსხვილფეხა პირუტყვი გაუწყდათ, მერე ცხვარი. მოაბრუნეს პეტო მენახირედ და ისევ გამრავლდა ნახირი, მერე ცხვარი და ა.შ. გაიგეს პეტრიკელას ხელუხვობის ამბავი თათრებმა. გადაწყვიტეს შეეპყროთ და თავიანთ მოჯამაგირედ აეყვანათ. სდიეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. რამდენი თათარიც შეეცადა პეტოს შეპყრობას, პეტო მოერია, მოკლა, ჯიბეში ქვები ჩაუწყო და მდინარეში ჩაძირა. ტანად პატარა კაცი იყო, თათრებს გოლიათი ეგონათ და ხშირად თავად პეტოს ეხვეწებოდნენ, ის კაცი ხელში ჩაგვაგდებინეო. პეტოს ულვაშებში ეცინებოდა და ყველას საიქიოში ისტუმრებდა. ერთი თათარი არ მოეშვა, თან უთხრა: — რამდენი კაციც გამოვგზავნე პეტრიკელას შესაპყრობად, ყველა დამიხოცა, მოიტა, თოფის ლულა მაინც მომეცი, შევაშინებ და დავიჭეროო. უსმენს პეტრიკელა, წააძრობს ლულას კონდახს და აძლევს. ცოტა ხანში მეორეს დაამაგრებს კონდახზე და იმ თათარსაც გააგორებს.

პეტრიკელას ერთადერთი შვილი ჰყავდა, დედაჩემის მამა — ადო. 12 წლის ყოფილა ადო, პეტრიკელა რომ გარდაიცვალა. თავზე ძროხა დაუკლეს, ორმოცს კი აღარ უხდიდნენ ძუნწი ძმები. უტირია ადოს — მამაჩემს რატომ არ უხდით ორმოცსო. იძულებული გახდნენ, გადაეხადათ, მაგრამ იმის მერე აღარაფერი გაუკეთებიათ.

პეტრიკელას ხელგამომავალი ბედი ადოსაც გამოჰყვა. მაგრამ პეტოს მერეც არ იშლიდნენ ძმები შურიანობას და ახლა ძმისშვილს ავიწროებდნენ. ბუნებამ სამაგიერო მიუზღო, — წყალდიდობამ იქაურობა დახრამა და ის უხვად გამომდინარე ოთხღარიანი წყალი უფსკრულში ჩაინთქა.

იმ ადგილს ზემო მაჩხაანში, ჩვენი ბაღჩის ბოლოს, დღესაც მიჩვენებენ ხოლმე უხუცესები.

***ელიკო, სოფ. ზემო მაჩხაანი***

# სარკეში ჩავიხედე და თვალებს არ დავუჯერე...



ეს ოთხი წლის წინ მოხდა. მეგობრებთან ერთად მანქანით ვბრუნდებოდი თბილისში — ქალაქგარეთ აღვნიშნეთ ერთი ჩვენი კლასელის დაბადების დღე. ხომ იცით, როგორი მხიარულები არიან 21-22 წლის ყმაწვილები. მანქანაშიც სიცილ-ხარხარი იდგა, ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცლიდით. გზას არც ერთი არ ვუყურებდით, მგონი, მძღოლსაც კი ჩვენკენ ჰქონდა თავი მობრუნებული. უეცრად რაღაც ხმა გავიგონეთ. ალეკომ (მძღოლმა) რაღაც დაიძახა. მგონი, უნდოდა მიენიშნებინა, — გზას გახედეთო. უეცრად, დაჯახებამდე, სულ ცოტა ხნით ყველანი გავჩუმდით. იმ წამების სიჩუმე ძალიან კარგად მახსოვს. მერე რა მოხდა, არ ვიცი. თითქოს შემხვედრი მანქანა არ ყოფილა, რას დავეჯახეთ, ვერ გეტყვით... სასიამოვნო სითბო ვიგრძენი სხეულში. სილურჯეში ჩავიძირე. ეს იყო და ეს.

მანქანა დალეწილი იპოვა გამვლელმა.

ჩვენ გზის პირას ვყოფილვართ მიმოფანტულები. მარტო გულმკერდდაჟეჟილი ალეკო მჯდარა საჭეს ჩაფრენილი. ისეთი მძიმე მდგომარეობა გვქონდა ხუთივეს, რომ იტყვიან, ექიმებმა ხელმეორედ გვაჩუქეს სიცოცხლე. მე 23 დღე ვყოფილვარ კომაში. გონს რომ მოვედი, ნელნელა გავიხსენე ყველაფერი. ლაპარაკი მიჭირდა, ხელის მოძრაობაც კი ისეთი ძნელი იყო ჩემთვის, მეგონა, ფუთიან ტვირთს ვეწეოდი. ერთი კვირის შემდეგ სარკე მოვითხოვე. ჩავიხედე და თვალებს არ დავუჯერე. ჩემმა წაბლისფერმა თმამ წითლად შემომანათა სარკიდან. ეს რა არის-მეთქი? — ამოვილუღლუღე. დედამ თავზე ხელი გადამისვა. ალბათ არ გახსოვს და შეიღებე... მაშინ, სოფელში რომ იყავით საქეიფოდ. საავადმყოფოში რომ მოგიყვანეს, უკვე ასეთი ფერისა გქონდაო. გავოცდი. თავს ძალას ვატანდი. დღედაღამ იმაზე ვფიქრობდი, როდის შეიძლებოდა მომესწრო თმის შეღებვა. თან თმის ძირებს ვაკვირდებოდი. ადრე თუ გვიან, ხომ უნდა გამოჩენილიყო ბუნებრივი ფერი. ამაოდ ველოდი. ავტოკატასტროფამ მთლიანად შემიცვალა თმის ფერი. ხელებზეც კი მოწითალო ღინღლები მქონდა. დღემდე ასეა, წითელი თმა ამომდის. მაგრამ ეს ყველაფერი როდია...

როცა ფეხზე გავიარე და შინ გამომწერეს, დიდხანს მაძლევდა სიცხეებს, ჯერ მარცხენა მხრის ტკივილი დამეწყებოდა, მერე ტემპერატურა 38$^{0}$-მდე მიწევდა. ექიმებმა გამომიკვლიეს, მაგრამ ვერ ახსნეს, რა მჭირდა.

ერთ საღამოს სულის მოსათქმელად აივანზე გავედი. უკვე ბნელოდა და შევამჩნიე, ჩემი მარცხენა მხარი მკრთალ სინათლეს გამოსცემდა. პერანგი გავიხსენი და დავინახე, რომ კანი სუსტად იყო განათებული. შეშინებულმა დავხუჭე თვალი. ეგება მოლანდებები დამეწყო-მეთქი! მერე ისევ დავხედე მხარს. არაფერი შეცვლილიყო.

სულაც არ მინდა გამორჩეული ვიყო, მეგობრებთან ერთად სადმე მივდიოდე და მხრით ვანათებდე...

დახმარებისთვის ხან ერთ ექიმს მივმართე, ხან მეორეს. ყველა ღიმილით იჩეჩს მხრებს — ამის მკურნალობა არ შემიძლია, იმედი ვიქონიოთ, თვითონ გაივლისო.

კარგა ხანია ტყავის ქურთუკით დავდივარ. მხოლოდ ზაფხულის ხვატში ვიხდი და მაშინაც, სადაც არ უნდა ვიყო და რა საქმეც არ უნდა მქონდეს, შებინდებამდე შინ გავრბივარ. ტყავის ქურთუკში ვერ ატანს ჩემი „ელექტრომხრის“ ნათება.

მეგობრები მეუბნებიან, — თმა უჩვეულო გაქვს, ოდნავ ანათებსო... ვიღიმები. ვითომ ქათინაურს ვუსმენ, სინამდვილეში გული შიშით მეწურება — ვაითუ მთელი სხეულითა და თმით ავენთო...

***ლანა კ.***

# საკაიფო კაქტუსი



რუსეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველ მცენარეთა მოშენების აკრძალვის თაობაზე. სასტიკად იკრძალება კოდეინის ბუჩქის, კანაფის, ყაყაჩოს, ფსილოციბინის შემცველი სოკოს და... კაქტუსის გამოზრდა.

მეცნიერები გააოცა ამ უცნაურმა ბრძანებამ, მათ ყველაზე მეტად ის უკვირთ, რომ ბესლანის ტრაგედიის დღეებში მთავრობის ხელმძღვანელის — მიხაილ ფრადკოვისა და მისი კოლეგებისთვის მცენარეების საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მართალია, კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა უმცირესი რაოდენობით შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებას, მაგრამ მისი ფოთლების გამაბრუებელი ზემოქმედება იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი სასაცილოა.

*ექსპრეს-გაზეტა №37*

# ტერორისტი ითხოვს შვებულებას...

ინდოელმა პატიმარმა ფირაიზხან ზაფარხანმა ციხის ადმინისტრაციას თხოვნით მიმართა, რომ მისთვის 30-დღიანი შვებულება მიეცათ. ეს უცნაური თხოვნა კი იმით ახსნა, რომ მას და მის მეუღლეს განშორების გამო ღრმა დეპრესია დაეუფლათ. „ისლამი გვიკრძალავს უკანონო სექსუალურ ურთიერთობებს, ამიტომ გთხოვთ, ერთი თვით ცოლთან გამიშვათ“, — ემუდარებოდა უფროსობას ზაფარხანი. სხვათა შორის, ოჯახის მოყვარული და ცოლის ერთგული პატიმარი სასჯელს იხდის ტერორიზმის მუხლით. ზაფარხანი ერთ-ერთი მათგანია, ვინც მოაწყო სისხლიანი შეტაკება გუჯარათის შტატში ინდუისტებსა და მუსლიმანებს შორის, რომლის დროსაც 2 ათასი კაცი დაიღუპა.

ასეთ დანაშაულს ინდური კანონმდებლობა არავის აპატიებს. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ, უარი უთხრან პატიმარს თხოვნაზე თუ პირობით გაუშვან ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

*ეხო პლანეტი №36*

# ენიანი პასპორტი



გერმანიის ერთი პატარა ქალაქის მცხოვრებმა საზღვარგარეთის პასპორტის გასაფორმებლად უჩვეულო ფოტოსურათი მიიტანა — ფოტოზე მას ენა ჰქონდა გამოყოფილი. რა თქმა უნდა, საპასპორტო მაგიდის თანამშრომლებმა პასპორტის გაცემაზე უარი განაცხადეს, მაგრამ არატრადიციული ფოტოს მოყვარული გაჯიუტდა და მოითხოვა ოფიციალური დოკუმენტი, სადაც რეგლამენტით გათვალისწინებულია ფოტოზე ენის მდგომარეობა. კამათი რამდენიმე დღე გაგრძელდა და სახელმწიფო მოხელეები იძულებულნი გახდნენ, მოქალაქისთვის ენაგამოყოფილფოტოიანი პასპორტი მიეცათ.

ახლა ჯერი მესაზღვრეებზეა, არავინ იცის, რა რეაქცია ექნებათ მათ პასპორტზე.

*ბილდი*

# სკუნსი — ანტიტერორი



არაბული პრესის მონაცემებით, ისრაელის უშიშროებას განზრახული აქვს დემონსტრანტების დაშლა საგანგებო ხელყუმბარით, რომელიც აფეთქების შედეგად გამოსცემს საზიზღარ სუნს. ხელყუმბარის დამზადება უკვე დაიწყო ადგილობრივმა ქიმიურმა საწარმომ.

ტანსაცმელი იჟღინთება აუტანელი სუნით და მას ინარჩუნებს ხუთი წელი. ქიმიკოსებმა ამ ხელყუმბარის დასამზადებლად გამოიყენეს ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს პატარა ამერიკული ცხოველის, სკუნსის ჯირკვლები.

*დენგი №35*

# მოგზაური კატა

დიდ ბრიტანეთში ნაპოვნმა მოხეტიალე კატამ ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების თანამშრომლებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. მას კანქვეშ აღმოაჩნდა ჩაკერებული ჩიპი-პასპორტი, ზუსტად ისე, როგორც აქვთ ხოლმე ცივილიზებული ქვეყნების კატებს. სპეციალისტების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩიპის სკანირების დროს აღმოაჩინეს, რომ კატა აშშ-ის ბინადარი იყო. ახლა ცხოველთა დაცვის საზოგადოების თანამშრომლები ცდილობენ გაარკვიონ, როგორ მოხვდა ფისო ინგლისში. მისი მონაცემები გაიგზავნა ამერიკაში, თუმცა ჯერჯერობით პატრონის პოვნა არ მოხერხდა. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ვინმე თავის კატას აუცილებლად იცნობს.

*XXL 310*

# პელე უპენსიოდ რჩება



ედსონ არანტეს დო ნასიმენტომ, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც პელე, პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. როგორც ბრაზილიური პრესა იტყობინება, XX საუკუნის პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელმა თხოვნით მიმართა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას, წარუდგინონ კონტრაქტის ასლი, რომელიც მან გააფორმა „სანტოსთან“ — ბრაზილიის ერთადერთ კლუბთან, რომელშიც „ფეხბურთის მეფე“ 18 წელი თამაშობდა. რეგისტრაციის განყოფილების უფროსის, ლუი გუსტავოს თქმით, პელეს ასლი იმისათვის სჭირდება, რომ დაიწყოს დოკუმენტების შეკრება პენსიის მისაღებად. თუმცა ამისთვის პელეს 35 წლის მუშაობის სტაჟი სჭირდება. ასე რომ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა უნდა დაამტკიცოს, კიდევ სად მუშაობდა ბრაზილიაში 17 წლის მანძილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მიიღებს კუთვნილ პენსიას.

არავინ იცის, რატომ წამოიწყო ეს საქმე 63 წლის ყოფილმა ფეხბურთელმა და მარჯვე ბიზნესმენმა.

*სანი*

# „ტიტანიკის“ ქრონიკა

ბრიტანული პრესის ცნობით, ნაპოვნია კინოფირი, რომელიც 90 წელი სამალავში იდო. ფირზე ასახულია სუპერხომალდ „ტიტანიკის“ 2208 მგზავრიდან გადარჩენილი 705 კაცი, რომელიც ნიუ-იორკში გემ „კარპატიით“ ჩავიდა. ეს დოკუმენტური კადრები თავის დროზე თურმე უჩვენეს ლონდონის ერთ-ერთ კინოთეატრში, შემდეგ კი იგი კინომექანიკოსს შეუძენია და მისმა მემკვიდრეებმა მხოლოდ ახლა გამოაჩინეს.

თითქმის 100 წლის კინოდოკუმენტი „ტიტანიკიდან“ ამოღებულ სხვა ნივთებთან ერთად დიდი ბრიტანეთის აუქციონზე გაიყიდება.

*მირორი*

# ბრიუს უილისი დააჯარიმეს



მსახიობი ბრიუს უილისი 12 ათასი დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ მან აიდაჰოს შტატში, თავის კუთვნილ ნაკვეთზე, არასანქცირებული სამელიორაციო სამუშაოები ჩაატარა! შტატის ეკოლოგიურმა ინსპექციამ უილისი დაადანაშაულა, რომ მან წყალსაცავის შუაგულში დააშრო ნახევარი აკრი ტერიტორია და შემდეგ შიგ მიწა ჩაყარა, რათა ის ადგილი ადვილად მისადგომი ყოფილიყო. უილისმა 31 ოქტომბრამდე ნაკვეთს ძვებელური იერი უნდა დაუბრუნოს, თანაც 10 წლის განმავლობაში ინსპექტორები თვალს არ მოაცილებენ მსახიობს, რათა მან ლანდშაფტი აღარ დააზიანოს. 1998 წელს უილისმა უკვე სცადა თავის ნაკვეთში მდინარე ბიგ-ვუდის დატბორვა, მაგრამ ეკოლოგიურმა პოლიციამ სულზე მიუსწრო, თუმცა უილისი მაშინ ჯარიმას გადაურჩა.

*ნიუზუიქი*

# აისბერგი დნება და ფერს იცვლის



გრენლანდია შეიძლება თავისი მთავარი ღირსშესანიშნაობის — აისბერგის — გარეშე დარჩეს. ყინული კატასტროფული ტემპით დნება. ამის გამო ძალიან ზარალდებიან ქალაქ ილულისატის მცხოვრებნი. პირველ რიგში, ჩაკვდება მომგებიანი ტურისტული ბიზნესი. მეორეც — თუ დადნება ყველა აისბერგი, იქაურობა ერთ დიდ ტბად გადაიქცევა. მესამეც — დასახელება „ილულისი“ ითარგმნება, როგორც „აისბერგი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, გლობალური დათბობა დასახლებულ პუნქტს სახელწოდების გარეშე დატოვებს.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ცნობილი აისბერგი 5 კმ-ით დაპატარავდა. ძალიან მალე ყინულის თითოეულ ნატეხს განსაკუთრებული ფასი ექნება.

*ტაიმი*

# ხელოვნების ნიმუში ნაგავში მოისროლეს

გერმანელი მხატვრის გუსტავ მეცჰერის ნამუშევარი, „ავტოდესტრუქციული ხელოვნების პირველი საზოგადო დემონსტრირება“, წარმოადგენდა მუყაოსა და ქაღალდის კომპოზიციას, რომელიც გამჭვირვალე პოლიეთილენის პაკეტში იყო გახვეული. მხატვრის ეს ნაწარმოები გამოფენილი იყო ბრიტანეთის ერთ-ერთ ცნობილ გალერეაში და ავტორის ჩანაფიქრის თანახმად, ნამუშევარი პირდაპირ იატაკზე გაშალეს:

ღამით, დამლაგებელ ქალს მხატვრის ეს ნამუშევარი ნაგვით სავსე ტომარა ეგონა და ნაგვის დასაქუცმაცებელ მანქანაში გადაუძახა.

78 წლის მხატვარი ამ ვანდალიზმმა კინაღამ საიქიოს გაისტუმრა, მაგრამ მალე მოეგო გონს და სასწრაფოდ შექმნა ახალი ნამუშევარი.

ადმინისტრაციამ მხატვარს მორალური ზარალისთვის დიდი კომპენსაცია გადაუხადა.

*ისკუსტვო ი ჟიზნ №9*

# ჟურნალ „კარუსელის“ საჩუქრო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში როზერტო ბაჯოს სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | კ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | ს | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ა | ა | ს | ლ | ი | კ | ა | | ი | ე | ი | უ | ი | | რ | ი | ა | რ | ო | ე | ი | ნ | ი | | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** „ოსთა კარიბჭე“ — ასე ითარგმნება ამ ხეობის სახელწოდება სპარსულიდან; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ი.** სისხლის აღრევა; **ს.** მეფის ან კერძო პირის მიერ ბოძებული საბუთი; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** დესპანი; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **კ.** კათოლიკე მღვდელი; **ა.** „შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი“ — ჩასვით გამოტოვებული სახელი; **ლ.** უნებლიე შეცდომა; **ი.** ის, რაც გამოთქმის თანახმად ყველაზე ბოლოს კვდება; **ტ.** გარეული ღორი; **რ.** რა ერქვა კაპიტან გრანტის ვაჟიშვილს; **ა.** სიკვდილის გამგებელი, ტურისსახიანი ეგვიპტური ღვთაება; **ს.** ბერძნული ცეკვა; **თ.** ფელამუში; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ნ.** ქარის მიერ ერთ ადგილზე მიყრილი თოვლი; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **რ.** სამაგიეროს გადახდა; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა.** ცელქი, მოუსვენარი; **დ.** ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***
**ს.** სეხნია; **ა.** აკელა; **ო.** ოსლო; **ც.** ცთომილი; **ა.** აკვანი; **რ.** რანგუნი; **ი.** იკებანა; **ა.** ალბიონი; **პ.** პრაღა; **ა.** არსენა; **ლ.** ლოჯია; **ი.** ილიონი; **ტ.** ტალინი; **რ.** რადიო; **ი.** იპონი; **ს.** სკალპი; **ფ.** ფარია; **ე.** ექსცესი; **რ.** რაჭა; **თ.** თეირანი; **ა.** აორტა; **გ.** გუდუნა; **ა.** ამერიკა; **მ.** მებარჯე; **ა.** ანანასი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ხელოვნებას ჯილდო არ სჭირდება.**

# „ვშიშობ, პარლამენტში განხილვებსა და დისკუსიებს აზრი აღარ ექნება“

## ისეთი სოფლებიცაა, სადაც ტელევიზორი თვალითაც არ უნახავთ



ნოლაიდელის პირმშოს — ახალ საგადასახადო კოდექსს ოპოზიცია რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა, სავსებით მოსალოდნელი იყო, მაგრამ მისი ზოგიერთი მუხლი პრეზიდენტსაც არ მოუვიდა თვალში, რადგან სოციალური აფეთქების რეალურ საშიშროებას შეიცავდა. ამიტომ ფინანსთა მინისტრს რაღაც-რაღაცების გადაკეთება მოსთხოვა. კოდექსმა ლაპარაკისა და დავის მიზეზი მისცა მათაც, ვისი მოვალეობაც სწორედ ხელისუფლების შეხურებაა და თუ ამას წინათ მიხეილ მაჭავარიანი ჩიოდა — ოპოზიციას ხმა ვერ ამოვაღებინეო, ახლა მას თამამად შეუძლია თქვას — ოპოზიციას ველარ ვაჩუმებო. ლაპარაკს ვინღა ჩივის, „მშვიდმა“ ოპოზიციამ ღია წერილები აფრინა ხელისუფლების სახელზე. დიახ, ორიოდ კვირის წინ „ახალმა მემარჯვენემ“, **დავით საგანელიძემ** პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს საგანგაშო უწყება გაუგზავნა — რაჭას მიხედეთ, ონის რაიონი იღუპებაო... ბუნებრივია, დავინტერესდით, როგორი გამოხმაურება მოჰყვა ონის მაჟორიტარის სიგნალს და არც ყბადაღებული საგადასახადო კოდექსი დაგვვიწყებია.

— მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმისტი ვარ, საგადასახადო კოდექსის წაკითხვისა და ფინანსთა მინისტრის განცხადების შემდეგ — რაც გინდათ, ის თქვით, მაინც არაფერს შევცვლიო, გული გამიტყდა. მთავრობა თავს ძალად გვახვევს პარლამენტში წარმოდგენილ პროექტებს და ჩვენს კრიტიკულ შენიშვნებს აინუნშიაც არ აგდებს. ასე იყო განათლების შესახებ კანონპროექტის შემთხვევაშიც, როდესაც პრეზიდენტმა ბრძანა — განათლების რეფორმას წინ ვერაფერი დაუდგება, აზრი არ აქვს, რას ფიქრობენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის ეპოქის პირმშოები არიანო. ამიტომ ვშიშობ, რომ პარლამენტში განხილვებსა და დისკუსიებს აზრი აღარ ექნება, — ორივე პროექტი იმ სახით გავა, როგორითაც ხელისუფლებამ წარმოადგინა. ეს კი, ვფიქრობ, სიკეთეს არ მოგვიტანს.

**— განსაკუთრებით დიდი უკმაყოფილება გამოიწვია უძრავ ქონებაზე, კერძოდ, ავტომობილებსა და საცხოვრებელ ფართზე დაწესებულმა გადასახადმა.**

— შემოტანილ ავტომობილებზე არსებული დაბეგვრა დიფერენცირებული აქციზური გადასახადით შეიცვალა. ვიღაცამ (ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვინ) უნდა შეაფასოს ავტომობილი. მოგეხსენებათ, მანქანის საქარხნო ღირებულება საკმაოდ დიდია. რაკი ჩვენი მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს საშუალება ახალი იყიდოს, ცდილობს, რამდენიმე წლის ნახმარი ავტომანქანა შეიძინოს, რადგან ამ შემთხვევაში მისი ფასი საქარხნო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებია. მაგრამ ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, 5 წლამდე „ასაკის“ ავტომანქანა საქარხნო ღირებულების მიხედვით იბეგრება, რამაც შესაძლოა მანქანაში გადახდილ თანხას გადააჭარბოს. გარდა ამისა, თუ თქვენ უკვე გყავთ 5 წლამდე ავტომობილი, იხდით მისი საქარხნო ღირებულების 3-6%-მდე (ესეც კორუფციის წყაროა). „მერსედესის“ საშუალო მოდელების საქარხნო ღირებულება 30-50 ათას დოლარამდეა. ჩვენს ბაზარზე ასეთ მანქანას 5-8 ათას დოლარად ნახავთ, იმიტომ, რომ ან ნახმარია, ან ნაავარიები. ასეთი მანქანის ქონების გადასახადმა შეიძლება წელიწადში 3-დან 5 ათას დოლარამდე შეადგინოს. აი, ამ პუნქტს მოსდევს ისეთი კაზუსი, რომ სახტად დარჩებით, — თუ მანქანა 5 წლის და 1 დღის არის, მისი მფლობელი წელიწადში მხოლოდ 5 ლარს იხდის. არ ვიცი, ამის დამწერი რა „პახმელიაზე“ იყო, ეს რომ მოუვიდა თავში. კორუფცია მაშინ ნახეთ, საბუთებში მანქანების „დაბერებას“ რომ დაიწყებენ მფლობელები. არის მეორე ასპექტიც — ყველა ქვეყანა ცდილობს, ქუჩებში ახალმა მანქანებმა იარონ, ამ კოდექსის წყალობით კი ჩვენი ხელისუფლება ჯართის შემოტანას გვაიძულებს. ეს მაშინ, როდესაც გაუქმებულია ავტომობილების ტექდათვალიერება. თუ მოსახლეობაზე ზრუნვა და შს სამინისტროში კორუფციის აღმოფხვრა უნდოდა ხელისუფლებას, თავად უნდა გაეღო ბიუჯეტიდან ტექდათვალიერების ხარჯები.

ხელისუფლება ხალხს ჰპირდებოდა წურბლებისა და წამგლეჯებისგან უნდა გაგათავისუფლოთო და თავად სურს ხალხის გატყავება. თუ ვიღაცამ 14 წლის წინ 100 კვმ-ზე დიდი სახლი ააშენა, დღეს (ზონების გათვალისწინებით) შესაძლოა 1.000 ან 2.000 ლარი ჰქონდეს წელიწადში გადასახდელი. რაიონებში და სოფლად, მოგეხსენებათ, დიდ სახლებს აშენებდნენ, დღეს კი ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დარჩენილ გლეხობას აიძულებენ, წელიწადში ასობით ლარი იხადონ. ან ქალაქად ვის შეუძლია ამხელა თანხის გადახდა? იმათ, ვისაც უცერემონიოდ დააწერინეს განცხადებები, სამსახურიდან გაუშვეს და შემოსავლის გარეშე დატოვეს? საგადასახადო კოდექსში ასეთი მუხლების შეტანა ქვეყანას დაანგრევს.

**— ამას წინათ, რაჭაში არსებული მდგომარეობის გამო თქვენ ხელისუფლებას მიმართეთ. რა პრობლემებია ამ რეგიონში?**

— ეს წერილი იქაურ მოსახლეობასთან ერთად შევადგინე. იქ იმდენად მძიმე მდგომარეობაა, რომ მოსახლეობა პროტესტის ნიშნად გზების გადაკეტვაზეც ლაპარაკობს. არავის მოსდის თავში, რომ ამ კუთხეს გადარჩენა სჭირდება.

10-20 წლის წინ ონის რაიონში 40 ათასამდე მოსახლე მაინც ცხოვრობდა, დღეს ეს რიცხვი 8 ათასამდე შემცირდა. პირველ კლასში მხოლოდ 67 ბავშვი წავიდა. სკოლამდე რომ მივიდნენ, ბავშვებს ზოგჯერ 25კმ-ის გავლა უხდებათ (ანუ დღეში 50კმ). წელს ონის რაიონში მხოლოდ 8 ბავშვი დაიბადა, როდესაც 200-მდე ადამიანია გარდაცვლილი. ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ჩასულა რაჭაში. ჩამოსვლას ვინ ჩივის, განცხადება მაინც გაეკეთებინათ. უცხოეთში წარამარა სიარულს, ურჩევნიათ, ონში ჩამოვიდნენ მანქანით და რა დღეშიც ჩაცვივდებიან, ნახავენ.

ექიმების მეტს ვის ვიცნობ, ვეხვეწები — წამოდით ონში სამუშაოდ-მეთქი, მაგრამ არავინ მოდის. რას წამოვლენ, როდესაც იქაურებსაც გამოქცევაზე უჭირავთ თვალი. აქამდე რაჭის მოსახლეობას მთიანი რეგიონების შესახებ კანონი იცავდა, ხელფასსა და პენსიაზე დანამატს იღებდნენ და ახლა ეს შეღავათებიც გაუქმდა. წარმოგიდგენიათ, ერთნაირი პენსია და გადასახადი აქვთ თბილისში, რუსთაველის გამზირზე მცხოვრებ პენსიონერსაც და ონში, სოფელ შქმერში მცხოვრებსაც. ასევე ყოვლად მიუღებელია განათლების სამინისტროს მოთხოვნა — უმაღლეს სასწავლებელში უცხო ენაშიც უნდა გაიაროთ ტესტირებაო. ჩავიდნენ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელები თავიანთი შვილებიანად ონში, რამდენიმე წელი იქ იცხოვრონ და როგორ ისწავლიან ინგლისურს, გერმანულსა და ფრანგულს, ვნახავ. არ არიან იქ უცხო ენის მასწავლებლები, ბავშვებმა არ იციან, რა არის კომპიუტერი. ისეთი სოფლებიცაა, სადაც ტელევიზორიც არ უნახავთ. იმ სოფელში გაზრდილ ბავშვს რატომ ვუკრძალავთ უმაღლესში სწავლას ფრანგულის უცოდინარობის გამო? რამდენი სახელოვანი მეცნიერი და მწერალი გვყოლია ქალაქში, ქალამნებით რომ ჩამოსულან და ქალაქელებისთვის უჯობნიათ?

გზა მაინც იყოს, უგზოობის გამო ბევრი კატასტროფა მოხდა ონის რაიონში. ექსკავატორით გაჭრილ ბილიკს გზა არ ჰქვია. ახლა იქ გზების გამალებული მშენებლობა და ჯებირების გამაგრება უნდა მიდიოდეს, თორემ ზამთარსა და გაზაფხულზე საშინელი მდგომარეობა იქნება. ხალხი დაგველუპება. არ შეიძლება ასეთი გულგრილობა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას: ონის რაიონს მიხედონ, თორემ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე მალე უბედურების ზონად იქცევა.

***მარი ზანდუკელი***

# ქონების გადასახადი თვითმმართველობის ორგანოებს კორუფციის ბუდედ გადააქცევს?

„რა მეშველება?“ — მკითხა ჩემმა მეზობელმა, როდესაც ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ უძრავი ქონების დაბეგვრის შესახებ შეიტყო. თავისუფლების მოედანზე მდებარე 150 კვმეტრის ფართობის ბინა დეიდა თინამ მემკვიდრეობით თავადი წინაპრებისგან მიიღო. როგორც მითხრა, ამ სახლში ჯერ კიდევ მისი ბაბუის მამა ცხოვრობდა. ქალაქის მერიისა და სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ მეზობლად მცხოვრებ ქალბატონ თინას თავისი ბინა 100.000 ლარად აქვს შეფასებული, ახალი კოდექსით გათვალისწინებული გადასახადი — ამ თანხის 1% კი არც მეტი, არც ნაკლები, 1000 ლარია. საბაზრო ღირებულების დაუდგენლობის შემთხვევაში კი საბაზისო განაკვეთს თვითმმართველობა მიუყენებს კოეფიციენტით 0-10-მდე, რაც შესაძლოა, წელიწადში 1000 ლარზე გაცილებით მეტი აღმოჩნდეს.

მიუხედავად პრეზიდენტის განცხადებისა, რომ არ დაუშვებს სოციალურად დაუცველი ფენის ქონების გადასახადით დაბეგვრას, კოდექსში ჯერ კიდევ მრავალი პუნქტია გაუგებარი და დასაზუსტებელი. ნამდვილად გაუმართლა ზემოთ ნახსენები ქალბატონის მეუღლეს, მას კომუნისტურ პერიოდში „რიგით მიღებული“ „ჟიგული“ ჰყავს — კოდექსი მას მხოლოდ 5 ლარით დაბეგრავს. აი, ისინი კი, ვინც ქუჩებში თავს 5 წლამდე ხნოვანებისა და 30.000 ლარს ზემოთ ღირებულების ავტომანქანებით იწონებს, 3-6%-ით დაიბეგრებიან (იგულისხმება მწარმოებლის ფასის 3-6%). ვერაფრით მივხვდი, რა პრინციპით მიუსადაგებს თვითმმართველობა ავტომობილს საპროცენტო განაკვეთს. თუ ამ შემთხვევაშიც ზონირების პრინციპი იმუშავებს და ძვირად ღირებული მანქანის მფლობელი ჩხოროწყუში დაიბეგრება 3%-ით, თბილისელი კი 6%-ით?! აღმოჩნდა, რომ ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ, პარლამენტარები კი კოდექსზე მსჯელობენ, მძღოლები ალტერნატივებზე ზრუნავენ და საკუთარ მოსაზრებებსაც გვიზიარებენ:

„3-სა და 6%-ს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია. წარმოიდგინეთ, რომ თუ ჩემი ავტომობილის მწარმოებლის ფასი ზღვარს, 30.000 ლარს აღემატება და, შესაბამისად, 5 წელზე მეტი ხნისა არ არის, 3%-იანი განაკვეთით 900 ლარით დავიბეგრები, 6%-იანით კი 1.800 ლარით. დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა საგადასახადო და თვითმმართველობაც მოვისყიდო და 3%-იანი განაკვეთი დავაწერინო. ისიც მიღირს, რომ სოლიდური თანხა გადავიხადო და მანქანის ასაკი შევაცვლევინო. მაშინ 900 ან 1.800 ლარის ნაცვლად, მხოლოდ 5 ლარის გადახდა მომიწევს. ვერაფრით ამიხსნია, ვითომ კორუფციასთან მებრძოლი მთავრობა, რატომ ამზადებს კვლავ კორუფციისთვის სასურველ ნიადაგს!“ — გვითხრა ძვირად ღირებული ავტომობილის ერთმა მფლობელმა.

მინდა გითხრათ, რომ მოქმედი კოდექსის მსგავსად, ორაზროვნება ავტორებს არც ახალი კოდექსისთვის დაუკლიათ. მაგალითად, როდესაც შეღავათების პაკეტს გავეცანი, სადაც ლაპარაკია, რომ ქონების გადასახადით არ იბეგრება ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 100 კვმეტრამდე საერთო ფართობის უძრავი ქონება, ვერაფრით მივხვდი — არ იბეგრება ის, ვისაც 100 კვმეტრამდე ფართი აქვს თუ 100 კვმეტრი 200 კვმეტრის მფლობელსაც არ დაებეგრება, რაზეც ფინანსთა მინისტრის ორი მოადგილისგან ორი სხვადასხვა პასუხი მივიღე.

*ზურაბ ანთელიძე*, ფინანსთა მინისტრის მოადგილე:

— 100 კვმეტრი გათავისუფლებულია გადასახადისგან...

*კახა დამენია*, ფინანსთა მინისტრის მოადგილე:

— ეს ისეთი დეტალია, რომელიც დაზუსტებას მოითხოვს. თუ ნაზარდი ჯამით წავა, მაშინ 100 კვმეტრი არა და დანარჩენი ფართობი დაიბეგრება, ხოლო მეორე შემთხვევაში, შესაძლოა ისე მოხდეს, რომ როგორც კი ფართი 100 კვმეტრს გადასცდება, მთლიანად დაიბეგროს.

> ხალხს ვაიძულებთ სხვადასხვა ხრიკს მიმართოს, ბინა გადააფორმონ ორ ადამიანზე, გაასხვისონ და ა.შ. ადრე ბინის მიღებისას, ხარჯების თავიდან აცილების მიზნით განქორწინებას აფორმებდა ხოლმე ცოლ-ქმარი. მგონი, ახლაც სწორედ იქით მივექანებით.

**— საინტერესოა, როგორ მოხდება საბაზისო განაკვეთის დადგენა?**

**ზურაბ ანთელიძე:**

— კოეფიციენტს 0-10-მდე საკრებულო პირობითად დაადგენს. საკმაოდ ხშირად პროექტის მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ მაგალითები, სადაც გაანგარიშება მაღალი კოეფიციენტით — 10-ით ხდება. ასეთი მაღალი განაკვეთით დაიბეგრება ძვირად ღირებული ბინები, რომლებიც განსაკუთრებით პრესტიჟულ უბანში მდებარეობს, მაგალითად, საირმეზე. განსაზღვრულ რაიონებში კოეფიციენტი შესაძლოა 1-ზე ნაკლებიც იყოს. მაგალითად, თუ კოეფიციენტი იქნება 0,5 ერთ კვმეტრზე, 50 თეთრი გამოდის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ლაპარაკი იყო სოფლების მცხოვრებთა ქონების დაბეგვრაზე. მინდა ცალსახად აღვნიშნო: საგადასახადო კოდექსში, შეღავათების პუნქტში წერია, რომ უძრავი ქონების გადასახადისგან თავისუფლდება მკვიდრი მოსახლე და იქვე განმარტებულია, რომ თუ ვინმეს სოფლად აქვს მამაპაპისეული სახლი, არ დაიბეგრება. დაიბეგრება მხოლოდ აგარაკები.

**— ხშირია შემთხვევები, როდესაც სოფლად სახლის მშენებლობას იწყებს ბაბუა და მისი დასრულების საშუალება მხოლოდ შვილიშვილს ეძლევა. ამ შემთხვევაში დაიბეგრება თუ არა უძრავი ქონება?**

— თუ პირი 15 წლის განმავლობაში ცხოვრობს სოფლად ასეთ სახლში, ან მისი დედმამა, ბებია-ბაბუა ცხოვრობდნენ, იგი ჩაითვლება მკვიდრ მოსახლედ. იგივე წესი გავრცელდება, თუ სახლი არაურბანულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ეს შეღავათი დაწესდა საიმისოდ, რომ გლეხებს ნაკლებად დააწვეს გადასახადი. გარდა ამისა, ძალზე შეშფოთებული არიან გადასახადის გამო წყნეთსა და საგურამოში აგარაკების მფლობელნი(?!).

**— როდესაც ზონირებაზეა ლაპარაკი, უნდა დაიბეგროს თუ არა ერთნაირი კოეფიციენტით თბილისის პრესტიჟულ უბანში მდებარე ახალმშენებლობა და ძველი სახლი?**

*ზურაბ ანთელიძე:*

— კარგად ვიცით, რომ ორი 100 კვმეტრის ბინა შესაძლოა ერთი და იმავე ღირებულებისა სულაც არ იყოს. აქედან გამომდინარე, როდესაც ლაპარაკია იმაზე, თუ რატომ გადაეცა თვითმმართველობას კოეფიციენტის დადგენის უფლება, შემიძლია გითხრათ, რომ რაიონის გამგეობაზე უკეთ არავინ იცის, თუ სად, როგორი სახლი მდებარეობს.

**— გინდათ თქვათ, რომ თითოეული სახლი შეფასდება?**

— რა თქმა უნდა, არა, მოხდება ზონირება და ზონირების მიხედვით დადგინდება კოეფიციენტი.

*კახა დამენია:*

— კოდექსში ყველა პრობლემასა და დეტალს, რა თქმა უნდა, ვერ გავითვალისწინებთ, თუმცა თვითმმართველობას შეუძლია, ზონირება და, შესაბამისად, კოეფიციენტის დადგენა კონკრეტული ქუჩებისა და ნომრების მიხედვითაც მოახდინოს(!).

**— საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა ავტომობილების დაბეგვრას. საინტერესოა, როგორ აპირებთ მწარმოებლის ღირებულების დადგენას და რამდენად რეალურად გეჩვენებათ ამ ფორმით დაბეგვრა?**

— მწარმოებლის ღირებულებას ინტერნეტის მეშვეობით დავადგენთ. მიზანშეწონილობას რაც შეეხება, სამწუხაროდ, არავინ აქცევს ყურადღებას მეორე კრიტერიუმს, რომელიც გულისხმობს 30.000 ლარის ზემოთ ღირებულებას; ანუ შესაძლებელია გყავდეს 5 წლამდე ასაკის მანქანა, მაგრამ იგი 30.000 ლარზე ნაკლები ღირდეს. შესაბამისად, მწარმოებლის ღირებულებიდან პროცენტით არ დაიბეგრება. ხოლო მას, ვისაც ამხელა თანხის გადახდა არ უჭირს ავტომობილში, არ მგონია, ძველ მანქანაზე მხოლოდ იმიტომ გადაჯდეს, რომ ასეული დოლარი ბეგარა ექნება გადასახდელი.

ახალი კოდექსი ძალაში 2005 წლის 1-ელ იანვარს უნდა შევიდეს, მანამდე კი პარლამენტარები ახალ კანონმდებლობაზე იმსჯელებენ და ლაფსუსების გამოსწორებას შეეცდებიან.

*ნიკო ლეკიშვილი*, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე:

— ვფიქრობ, უნდა მოხდეს დიფერენცირება, რათა სოციალურად დაუცველი ფენები არ დაიჩაგრონ. ეს ეხება როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მცხოვრებლებს. ასე რომ, ქონების გადასახადის ის ვარიანტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა, სერიოზულ ცვლილებას მოითხოვს. დაუშვებელია, პენსიონერს, რომელსაც 16 ლარს უხდი პენსიას და მისდა საუბედუროდ, აქვს ეს 150-კვმეტრიანი ბინა, ქონების გადასახადი მოსთხოვო. გამოდის, რომ აიძულებ გაყიდოს სახლი და დაანაწევროს. ამ მუხლზე დებატები უკვე დაიწყო და ვფიქრობ, ეს პრობლემა მოგვარდება.

კოდექსის პროექტში არის გაცილებით დიდი ლაფსუსები, რაზეც ლაპარაკს ყველა ერიდება.

**— რას გულისხმობთ?**

— იმავე მშენებლობის დაბეგვრის საკითხებს, ასევე, ვაჭრობის დაბეგვრის საკითხებს, რაც აბსოლუტურად გაურკვეველია. ასევე უამრავი კითხვა მაქვს რაიონებში მიწების ზონირებასა და მისადაგებულ კოეფიციენტთან დაკავშირებით.

**— ქონების გადასახადის ამ ფორმით შემოღება ხომ არ გამოიწვევს უძრავი ქონების დანაწევრებას, დაქუცმაცებას?**

— ხალხს ვაიძულებთ სხვადასხვა ხრიკს მიმართოს, ბინა გადააფორმონ ორ ადამიანზე, გაასხვისონ და ა.შ. ადრე ბინის მიღებისას, ხარჯების თავიდან აცილების მიზნით განქორწინებას აფორმებდა ხოლმე ცოლ-ქმარი. მგონი, ახლაც სწორედ იქით მივექანებით. ქონების გადასახადი ქვეყანაში უნდა ამოქმედდეს, მაგრამ ეტაპობრივად და გონივრულად.

*ბესო ჯუღელი*, პარლამენტის წევრი:

— წარმოდგენილ ვარიანტს მხარს არ ვუჭერ, რადგან ის დააზარალებს აბსოლუტურად ყველას, როგორც მდიდარს, ასევე ღარიბს. კი, ბატონო, დავუჭერ მხარს მდიდრების დაზარალებას, მაგრამ ღარიბებს რას ვერჩით?

**— ავტომობილზე დაწესებული გადასახადი თუ არის მისაღები თქვენთვის?**

— ავტომობილი, როგორც წესი, ფუფუნების საგანია, ხოლო ფუფუნების საგანზე ყოველთვის არსებობს გადასახადი, მათ შორის სააქციზო. მაგალითად, სააქციზო გადასახადი უნდა იყოს ხიზილალაზეც, ძვირფას თევზზეც, ბეწვეულზეც და ა.შ. ამრიგად, ავტომობილებზე დაწესებულ გადასახადს, მინდა გითხრათ, რომ გარკვეულწილად ვეთანხმები.

P. S. აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადს საგადასახადო ორგანოები გადასახადის გადამხდელი პირისგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე ყოველი წლის 1-ელი იანვრის მდგომარეობით დაიანგარიშებენ...

პარლამენტარებს შენიშვნა და პრეტენზია ქონების გადასახადზე საკმაოდ ბევრი აქვთ. ვნახოთ, რას მოითათბირებს ამ საკითხთან დაკავშირებით გუდაურში რამდენიმე დღით განმარტოებული ეკონომიკური გუნდი.

***ემა ტუხაშვილი***

# „დინამოს“ აუცილებლად სჭირდება გაძლიერება

**30 სექტემბერი. თბილისი, ეროვნული სტადიონი. უეფას თასი. პირველი რაუნდის განმეორებითი მატჩი.**

**„დინამო“ თბილისი — „ვისლა“ კრაკოვი 2:1 (0:0)**

**„დინამო“:** მამალაძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, კანკავა, კანდელაკი, ალადაშვილი (ახალაია, 53), ნემსაძე, მელქაძე (რომერო, 67), კაკალაძე (გრიგალაშვილი, 81)

**„ვისლა“:** მაიდანი, ბაშჩინსკი, კლოსი, გლოვაცკი, სტოლიარჩიკი, გორავსკი (კუკელკა, 61), კანტორო, შიმკოვიაკი, ჟემჩუკი (კუჟბა, 69), ჟურავსკი, ფრანკოვსკი.

**გოლები:** ნემსაძე (60, პენ.), კაკალაძე (66, ნემსაძის პასით), ფრანკოვსკი (77).

**გაფრთხილება:** შაშიაშვილი (29), შიმკოვიაკი (60), კანკავა (78), კლოსი (89), კუჟბა (90).

**გაძევება:** ბაშჩინსკი (59).

**მსაჯი:** კენეტ კლარკი (შოტლანდია).





გასულ ხუთშაბათს თბილისის „დინამოს“ ბოლო წლების მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მატჩის გამართვა მოუწია, რომლის ფსონად უეფას ჯგუფური ტურნირი და ევროპის ელიტარულ გუნდებთან შეხვედრის პერსპექტივა იდო. ორი კვირის წინ, კრაკოვში, თითქმის მოგებული თამაშის დათმობის შემდეგ საცოდაობა იქნებოდა, რომ გეგუჩაძის მიერ ჩამოყალიბებული, მეტად თვითმყოფადი გუნდი გათამაშების მიღმა დარჩენილიყო. უცხოპლანეტელებად მონათლული პოლონური კლუბი, რომელმაც ცოტა ხნის წინ მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავთკრებულს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, ფავორიტად ითვლებოდა. მოვლენებს ოდნავ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ უკვე მატჩის შემდეგ პოლონელთა დელეგაცია გაოგნებული დარჩა. მათ ვერაფრით აეხსნათ, რომ საქართველოს ჩემპიონის დიდი უპირატესობით დამარცხების შემდეგ (საერთო ჯამში 11:2), წააგეს მესამე ადგილზე მყოფ გუნდთან, რომლის რიგებში ევროპული გამოცდილების მქონე ერთადერთი ფეხბურთელი ირიცხებოდა.

## „დინამოს“ ღირსეული კაპიტანი ჰყავს

„ვისლას“ თავკაცმა ჰენრიკ კასპერჩაკმა მთელი მატჩი სარბენ ბილიკებზე გაატარა. უპირატესობას, რომლის მოპოვებას ცენტრალურ რგოლში ასე დაჟინებით სთხოვდა თავის ბიჭებს გამოცდილი მწვრთნელი, პოლონური გუნდი ვერაფრით ეღირსა. შუა ხაზზე დინამოელები მინდვრის თითოეულ გოჯს თავს აკლავდნენ და თამაშის სადავეებს მატჩის უდიდეს მონაკვეთში მტკიცედ აკონტროლებდნენ. „ვისლას“ ჩქაროსნული თავდასხმა მკაცრი მეურვეობის ქვეშ მოექცა, კვირკველიაც კი უმეტეს დროს დაცვას უთმობდა, რადგან ზოიძის არყოფნაში გამოუცდელი მამალაძე იდგა კარში და თბილისელთა მცველები გაორმაგებული მობილიზებით იცავდნენ საკუთარი საჯარიმოს ციტადელებს. მატჩის წინ ცნობილი კომენტატორი თემურ ჯაფარიძე ხუმრობდა კიდეც: — ასეთი მნიშვნელობის შეხვედრაში გამოუცდელი მამალაძის კარში გამწესება მხოლოდ სიკვდილმისჯილთა საკანში მოთავსებული პატიმრის განცდებს თუ შეედრებაო. ახალგაზრდა მეკარესთან ერთად ყველამ გვარიანად ვინერვიულეთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფრანკოვსკი-ჟურავსკის დუეტის მიერ შეწუხებული მცველები ბურთს თავიანთ გოლკიპერს უგორებდნენ. ყოველი ასეთი პასი და მამალაძის მიერ ფეხით მოგერიებული ბურთი ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი ოცი ათასამდე გულშემატკივრის ერთსულოვანი ამოოხვრით მთავრდებოდა. საერთო ჯამში ქართველთა მეკარემ კარგად ჩაატარა მატჩი, განსაკუთრებით კი კარის ხაზზე გამოიჩინა თავი, როცა რამდენიმე სახიფათო დარტყმის აღება შეძლო.

ქართველები მედგრად კი იბრძოდნენ მოედნის ყველა წერტილში, მაგრამ ტაბლოზე მაინც ნულოვანი ფრე ენთო, ეს ანგარიში კი „ვისლას“ ხელს აძლევდა. „დინამოს“ ლიდერი სჭირდებოდა, რომელიც გეზს მისცემდა პარტნიორების ძალისხმევას და ეს ლიდერიც გამოჩნდა გუნდის კაპიტნის, გიორგი ნემსაძის სახით. ნემსაძე იყო თამაშის რიტმის წარმმართველიც, დირიჟორიც და ახალგაზრდა დინამოელების უშუალო დამრიგებელიც. კანკავასა და დაცვის ბიჭების თავგანწირვას კაპიტანი ბურთის აკადემიური ფლობით აგრძელებდა და შეტევის მიმართულებებს მარაოსავით შლიდა ხან ერთ, ხან მეორე ფლანგზე, სადაც კვირკველია და ალადაშვილი ბასრავდნენ მეტოქის ფრთებს. წინა ხაზის ცენტრალურ ზონაში მელქაძე აქტიურობდა, რომელმაც თითქმის ყველა ძალისმიერი ბრძოლა მოუგო პოლონელებს და თუკი ჩვენი შეტევები ე.წ. პირველი პასების შემდეგ ტრადიციულად არ იშლებოდა, სწორედ მისი დამსახურებაა. პოლონელებს კი განსაკუთრებით კანკავამ გაუშრო სისხლი. პატარა სულაქველიძედ წოდებულმა დინამოელმა თავი გაიმეტა და იომა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ყველგან ასწრებდა ბრძოლას და მატჩის ბოლოს გვარიანად გაღიზიანებული პოლონელები მის წინააღმდეგ ჭიდაობის ილეთებსაც იყენებდნენ, სხვანაირად კანკავას მოცილება მათ ძალებს აღემატებოდა.

უგოლო ტაიმის შემდეგ გეგუჩაძე რეფორმების გზას დაადგა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა გადაღლილი ალადაშვილი ახალაიამ შეცვალა. ლადო მარცხნივ გამწესდა და ისეთი ცეცხლი შეუნთო „ვისლას“ დაცვის მარჯვენა განაკიდურს, რომლის განელება პოლონელებს ძალიან ძვირად დაუჯდათ. გოლი გვჭირდებოდა, სწრაფი გოლი და მე-60 წუთზე საწადელიც ავისრულეთ, — მორიგი ფლანგური გარღვევა კარში დარტყმით დასრულდა და ბაშჩინსკიმ ხელითღა შეძლო ბურთის გამოტანა, შოტლანდიელმა არბიტრმა „ვისლას“ მცველი უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის მოედნიდან მიაბრძანა და პოლონელთა გუნდი პენალტით დასაჯა. დიდი სიმშვიდე და რკინის ნერვები სჭირდებოდა გადამწყვეტ მომენტში ამ 11-მეტრიანის შესრულებას და სწორედ აქ გამოჩნდა, რომ „დინამოს“ ღირსეული კაპიტანი ჰყავს. გიორგი ნემსაძემ, რომელიც წინათ იშვიათად ურტყამდა პენალტებს, შანსი არ დაუტოვა მეკარე მაიდანს და ძალზე ძვირფასი გოლიც გაიტანა თავის კარიერაში(!).

## „დედა, რა იყო ეს...“

პოლონელები რომ გამწარებულნი შემოგვიტევდნენ, ეს ცხადზე ცხადი იყო. აქ უკვე გეგუჩაძის სტრატეგია უნდა ამოქმედებულიყო. სტუმართა კაცნაკლულ გუნდს დაცვაში „ჩაჯდომით“ მხოლოდ უპირატესობას მივცემდით, ამიტომ „ვისლა“ მისსავე ნახევარზე მწვავე კონტრშეტევებით უნდა დაგვება. ვიდრე სტუმრები შოკიდან გამოვიდოდნენ, მანამდე უნდა მოგვემთავრებინა საქმე. გეგუჩაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „დინამოს“ შეტევაზე ხელი არ აუღია. დაწინაურებიდან ხუთ წუთში კი მეორე გოლიც შედგა: მელქაძემ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან კიდევ ერთხელ მოიგო დასწრებაზე ბრძოლა, ნემსაძემ კი „დახატული“ პასი „მიართვა“ საჯარიმოში კაკალაძეს, რომელმაც ზუსტი დარტყმით გააორმაგა თბილისელთა უპირატესობა. 2:0 — უკვე გამარჯვებასთან ახლოს იყო. მართალია, ყველას გვახსოვდა კრაკოვული მატჩი, როცა ასეთივე ანგარიშით დაწინაურების შემდეგ მასპინძლებმა 15-წუთიან მონაკვეთში კოშმარი მოგვიწყვეს, მაგრამ ნათელი იყო, რომ თბილისში ამის გამეორებას ისინი ველარ მოახერხებდნენ. თბილისელთა მწვრთნელმა რომერო და გრიგალაშვილი ჩართო თამაშში, აქცენტი ფლანგებზე გადაიტანა და ქანცგაწყვეტილ ქართულ ცენტრს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. პოლონელთა გავეშებულ შეტევებს დინამოელთა მწვავე „ჩხვლეტები“ მოჰყვა და რომეროს მეტი ოსტატობა რომ გამოეჩინა, მესამე გოლიც აღმოჩნდებოდა მაიდანის კარში. ათკაციანმა „ვისლამ“ 77-ე წუთზე ერთი ბურთი მაინც გაქვითა. აქედან მოყოლებული მატჩის ბოლომდე გულშემატკივარი აღარც დამჯდარა, „დინამოს“ ამ მომენტში ძალიან გაუჭირდა და ფეხბურთელებმა საკუთარ თავს აჯობეს. ეგ იყო, რომ წინ ბურთის დაჭერა გვიჭირდა, რომერო ლამის ყოველ ბურთს კარგავდა და ისევ ხელახლა გვიხდებოდა ტალღასავით მომდინარე პანთა შეტევების ნიაღვრის შეკავება. ვა-ბანკზე წასული კასპერჩაკის გუნდის საბრძოლო ცეცხლი ისევ კვირკველიამ ჩააქრო, რომელმაც ბურთი მოიგდო, ლამაზი დრიბლინგით „მიითიბ-მოთიბა“ რამდენიმე მეტოქე და სტუმრებმა ზედ საჯარიმოსთან დასცეს ქართველთა მოიერიშე. ჯარიმა ჩვენი გუნდის კაპიტანმა შეასრულა და „ვისლას“ კარს მხსნელად მარჯვენა ძელი მოევლინა. დაძმარებულმა კასპერჩაკმა ხელი ჩაიქნია, მისი რიხიანი ამბიციები გეგუჩაძის სამწვრთნელო ინტელექტმა შეიწირა, რომელმაც პოლონელთა გამოცდილებას ახალგაზრდული გუნდის თავგანწირვა და უმაგალითო შემართება დაუპირისპირა. ეს ყველაფერი შესანიშნავად იყო შერწყმული სათამაშო დისციპლინასთან(!). „დინამომ“ ის დრო დააბრუნა, აღმავლობის პერიოდში რომ ჰქონდა დევიზად — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. რა თქმა უნდა, 81 წლის „დინამომდე“ ამ გუნდს ბევრი აკლია, მაგრამ ხომ გახსოვთ, როგორ ნელა, მაგრამ გეგმაზომიერად მიიწევდა ევროპული სიმაღლეებისკენ ახალკაცის მიერ ახალშექმნილი თბილისის „დინამო“...

## რას ვაპირებთ სამომავლოდ

„დინამომ“ ერთი გმირობა უკვე ჩაიდინა. უეფას ჯგუფებში მოხვედრა უდიდესი მიღწევაა ამ ეტაპისთვის. მაგრამ მადა, მოგეხსენებათ, ჭამაში მოდის და წინ ახალი პერსპექტივებია. როგორ ჯგუფშიც არ უნდა მოხვდეს ქართული კლუბი, ერთ რამეში დარწმუნებულნი ვართ: თუკი ეს შემართება და „ცეცხლი“ შეინარჩუნა გუნდმა, „ვისლაზე“ უფრო ძლიერ კოლექტივებთანაც შეიძლება ღირსეული თამაში. „დინამოს“, მიუხედავად იმისა, რომ ყველა რგოლში კარგადაა დაკომპლექტებული, მაინც პატარა სათადარიგოთა სკამი აქვს და თუ გავძლიერდებოდით ახალი ფეხბურთელებით, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა. პირველ რიგში, ეს მეკარის პოზიციას ეხება. ზოიძე მინიმუმ ერთი თვე ვერ ჩადგება მწყობრში და მიუხედავად მამალაძის მიმართ ჩვენი სიმპათიებისა, გუნდს ერთი ძლიერი გოლკიპერი აუცილებლად ესაჭიროება. ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად გიორგი ლომაიას კანდიდატურა გვესახება, რომელიც რუსეთის დივიზიონის „ხიმკიში“ ირიცხება და არცთუ ინტენსიური სათამაშო პრაქტიკით გამოირჩევა. ჩვენთვის უცნობია მისი კონტრაქტის პირობები, მაგრამ „დინამოს“ დირექტორატმა იქნებ მაინც სცადოს მისი გადმოყვანა. პრაქტიკულად უთამაშებელია „ალანიაში“ ვიტალი დარასელია, რომლის ტრანსფერის გადასინჯვაც შეიძლება და კიდევ ერთი: ძნელია გუნდის შიდა სამზარეულოს გარეშე პირისაგან შეფასება, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე ლადო ბურდულის გაშვება, ჩვენი აზრით, მაინც არასწორი გადაწყვეტილება იყო. ერთი სიტყვით, „დინამოს“ აუცილებლად სჭირდება გაძლიერება და თუ ამ მოკლე დროში კლუბის ხელმძღვანელებმა ეფექტური სასელექციო პოლიტიკის განხორციელება შეძლეს, ეს უდავოდ წაადგება ჯგუფურ ტურნირში მოხვედრილ „დინამოს“. უეფას ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა 5 ოქტომბერს გაიმართება. გუნდები სიძლიერის მიხედვით ხუთ კალათაში არიან გადანაწილებულნი. თბილისის „დინამო“ ბოლო კალათაშია. კალენდრის მიხედვით, 21 ოქტომბერს უძლიერესთა კრებულის (A კალათა) რომელიმე გუნდს ვუმასპინძლებთ, რომელთა შორის შესაძლოა იყვნენ: „ლაციო“, „პარმა“, „ნიუკასლი“, „რეინჯერსი“, „ფეიენოორდი“, „აეკი“, „შტუტგარტი“ და „ბრიუგე“. 4 ნოემბერს გასვლითი მატჩი გვექნება B კალათის ერთ-ერთ გუნდთან. 25 ნოემბერს შინ მივიღებთ C კალათის წარმომადგენელს, 1 ან 2 დეკემბერს კი სტუმრად შევხვდებით D კალათის შედარებით სუსტ კლუბს. კალენდარი ჩვენთვის ურიგო არ გახლავთ, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხუთგუნდიანი ჯგუფიდან სამი შემდგომ ეტაპზე გადის.

„კვირის პალიტრა“ ულოცავს თბილისის „დინამოს“ და ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს ამ წარმატებას და უსურვებს ახალ-ახალ გამარჯვებებს!

კლუბის ხელმღვანელობას კი ვთხოვთ: შეინარჩუნეთ ეს გუნდი, ის ქართულ ფეხბურთს ძველ დიდებას დაუბრუნებს!

***ზვიად სეხნაშვილი***

# ალან ჟირესი: „მე მწვრთნელი ვარ და არა საქმის გამრჩევი“

13 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ მატჩს გამართავს. უკრაინასთან სტუმრად ჩატარებული შეხვედრა ცხადად გამოაჩენს, რამდენად კანონზომიერი იყო ჩვენი ლიდერობა ჯგუფში, ალენ ჟირესს კი მორიგი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. ევროპული ვოიაჟის ბოლოს, ფრანგი სპეციალისტი ფინეთში, ქართველ „ჩვიდმეტწლიანთა“ მიერ გამართულ უკანასკნელ მატჩსაც დაესწრო და „მეორე სამშობლოში“ დაბრუნებულმა, „დინამო“-„ვისლასაც“ მიადევნა თვალი. ეროვნული ნაკრები საუკრაინოდ 7 ოქტომბერს შეიკრიბება, მანამდე კი **ალან ჟირესმა** მორიგი პრესკონფერენცია გამართა და იმ ფეხბურთელთა ვინაობაც გაამხილა, სლავთა წინააღმდეგ სათამაშოდ რომ მიიწვია:

— უპირველესად, დინამოელებს მივულოცავ გამარჯვებას და შემდგომ წინსვლას ვუსურვებ. მჯერა, წარმატება აუცილებლად გაგრძელდება და „დინამო“ ქართულ ფეხბურთს დიდ სამსახურს გაუწევს.

უკრაინელებთან მატჩში თუ დადებითი შედეგის მიღწევა გვსურს, უდიდესი მობილიზებითა და სერიოზულობით უნდა მივუდგეთ მზადებას. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს მომავალ მეტოქესაც ოთხი ქულა აქვს და მასაც ჰყავს წარმომადგენლები ევროთასებზე...

კალაძის არყოფნა უდიდესი დანაკლისია ჩვენთვის, მაგრამ იმის დანამდვილებით თქმა, რომ მოედანზე ყოფნის შემთხვევაში, კახა აუცილებლად მოახერხებდა შევჩენკოს განეიტრალებას, არ შეიძლება. კალაძეს თავისი ადგილი აქვს მინდორზე, შევჩენკო კი ძალიან ბევრს მოძრაობს და მისი ნახვა მოედნის ყველა მონაკვეთზეა შესაძლებელი...

სამწუხაროდ, სათუოა ზურაბ ხიზანიშვილის თამაშიც. უეფას თასზე გამართული შეხვედრის მიწურულს, ზურამ კუნთი დაიზიანა. ორიოდე დღეში გამოკვლევის შედეგებიც გვეცოდინება და ისიც, შეძლებს თუ არა ხიზანიშვილი თამაშს...

რამდენი თავდამსხმელით ვითამაშებთ? ამას მატჩის წინ გადავწყვეტ. საერთოდ, უპირატესობას ორი ფორვარდით თამაშს ვანიჭებ...

გიორგი ნემსაძემ მართლაც კარგად ითამაშა „ვისლასთან“ მატჩში, მაგრამ ამ ეტაპზე, გუნდში ის მოთამაშეები დავტოვე, ვინც წინა ორ შეხვედრაში იყო მოწვეული.

უკრაინელთა გუნდი საფრანგეთთან მატჩში ვნახე და მაშინ საკმაოდ „მოძველებულ“ სტილში ითამაშეს. დანიასთან და ყაზახეთთან ჩატარებული შეხვედრების ვიდეოჩანაწერებსაც ვნახავ და ამის შემდეგ უფრო მეტის თქმა შემეძლება უკრაინის ახლანდელი ნაკრების შესახებ. 9 ოქტომბერს უკრაინა საბერძნეთს მასპინძლობს და ჩვენი წარმომადგენელი იმ მატჩზეც ჩაინიშნავს ყურადსაღებ დეტალებს. ბუნებრივია, რაც უფრო დაძაბული იქნება და მეტ ენერგიას წაართმევს შეხვედრა მეტოქეებს, ჩვენთვის უკეთესია, 0:0 კი იდეალური შედეგი იქნებოდა...

უკრაინამ ორივე მატჩში გაუშვა თითო გოლი. ჩანაწერების ნახვის შემდეგ დავრწმუნდები, მართლაც ისეთი სუსტია თუ არა მათი დაცვის შუა ხაზი, როგორც ამბობენ. რაც შეეხება მათ მეკარეს, გამოცდილი გოლკიპერია, თუმცა, მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა შორის ნამდვილად არ შედის...

ფავორიტი? ფავორიტი უკრაინაა, რადგან საკუთარ კედლებში თამაშობს, მაგრამ სიტუაცია ხშირად იცვლება ხოლმე იმისდა მიხედვით, ვინ როდის გაიტანს გოლს...

რაც შეეხება ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შორის არსებულ დაპირისპირებას, ეს ჩემი საქმე არაა. მე მწვრთნელი ვარ და არა საქმის გამრჩევი. მთავარია, ცვლილებებმა ჩემს მუშაობასა და ფეხბურთელებზე არ იმოქმედოს უარყოფითად, დანარჩენი მე არ მეხება...

თურქეთთან ნათამაშები ფრეს შემდეგ, „ეკიპში“ საკმაოდ დიდი სტატია დაიწერა ჩვენზე. მას შემდეგ ძალიან ბევრი ჟურნალისტი ინტერესდება საქართველოთი. საფრანგეთის ცენტრალური სატელევიზიო არხის ჟურნალისტები უკვე ჩამოვიდნენ და ათი დღის განმავლობაში დარჩებიან აქ. ჩამოვლენ „ფრანს ფუტბოლიდანაც“ და ჩვენთან ერთად წამოვლენ უკრაინაშიც.

ასე რომ, საქართველო თანდათანობით უფრო მეტად ექცევა უცხოელთა თვალთახედვის არეში. კითხვები ფრანგული კლუბებიდანაც ჩნდება ქართველ ფეხბურთელთა მისამართით. რაც შეეხება მიშელ პლატინის ვიზიტს საქართველოში, მოულოდნელობის მიუხედავად, იგი ნელ-ნელა ემზადება ჩვენთან სტუმრობისათვის და იქნებ დანიასთან მატჩზეც გვეწვიოს...

**საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა სია:**

**მეკარეები:** აკაკი დევაძე („თბილისი“), გიორგი ლომაია („ხიმკი“, რუსეთი), ზვიად სტურუა („ტორპედო“); **მცველები:** ზურაბ ხიზანიშვილი („რეინჯერსი“, შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი („დინამო“, რუსეთი), კახა მჟავანაძე („ანჟი“, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე („დინამო“), გივი კვარაცხელია („თბილისი“), დავით კვირკველია („დინამო“), გიორგი შაშიაშვილი („დინამო“); **ნახევარმცველები:** ლევან კობიაშვილი („შალკე“, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), გოჩა ჯამარაული („მეტალურგი“, უკრაინა), ლადო ბურდული („ლოკომოტივი“), ჯაბა კანკავა („დინამო“), მალხაზ ასათიანი („ლოკომოტივი“, რუსეთი), ალექსანდრე რეხვიაშვილი („ვენტსპილსი“, ლატვია); **თავდამსხმელები:** ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), გიორგი დემეტრაძე („მეტალურგი“, უკრაინა), ლაშა ჯაკობია („მეტალისტი“, უკრაინა), შოთა არველაძე („რეინჯერსი“, შოტლანდია).

***რატი შელეგია***

## №39 (417) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 504 მკითხველი გამოეხმაურა. 6 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 186-მა ქალმა და 312-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ შეეფერება თავის პოსტს ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, აქ ჩამოთვლილ ჩინოვნიკთა შორის, საკუთარი პოსტისთვის შესაფერისი ყველაზე მეტად ზურაბ ჟვანიაა. რესპონდენტთა 45%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით და უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იგი ფლობს ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალურ ქულას (0,4%). **6,69** საშუალო ქულით ზურაბ ჟვანია პირველ ადგილზეა.

სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება პრემიერ-მინისტრს გიორგი ბარამიძე. რესპონდენტთა 34% მიიჩნევს მას თავდაცვის მინისტრობისთვის ყველაზე შესაფერისად, მინიმალური — 1 ქულით მკითხველთა 0,6%-მა შეაფასა. საშუალო ქულაა 6,60.

რესპონდენტთა 7%-ს კი პოსტისთვის ყველაზე შესაფერისად ზურაბ ჭიაბერაშვილი მიაჩნია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მკითხველთა 5%-მა მას მინიმალური — 1 ქულა მიაკუთვნა. 4,70 საშუალო ქულით თბილისის მერი მესამე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, კახა ლომაია ყველაზე ნაკლებად შეეფერება თავის პოსტს.

ისე, ეს ყველაფერი, ამ ბოლო დროს ჩვენში ძალიან პოპულარული ტერმინი რომ ვიხმაროთ, პიარის შედეგია. სახელმწიფო მოხელე, ისევე როგორც პოლიტიკოსი, რამდენად პოპულარულ ნაბიჯებს გადადგამს, ეს ნაბიჯები რამდენად იქნება საზოგადოების მოლოდინის ადეკვატური, სწორედ ამაზეა დამოკიდებული მისი რეიტინგიც.

კახა ლომაიას ბოლო ადგილს კი ახსნა ადვილად შეიძლება მოეძებნოს. თავისი კარიერის დასაწყისში გაკეთებული არაპოპულარული განცხადებები განათლების რეფორმის პროექტმა დააგვირგვინა, პროექტმა, რომელიც სკანდალებისა და დიდი მოთქმა-მოთქმის მიზეზად იქცა. რესპონდენტთა 55%-მა დაუწერა ლომაიას მინიმალური — 1 ქულა, მაქსიმალური — 8 ქულით კი მკითხველთა 2%-მა შეაფასა.

საინტერესოა, ქალებისაგან განსხვავებით, მამაკაცები თვლიან, რომ გიორგი ბარამიძე უფრო შეეფერება თავის პოსტს, ვიდრე — ზურაბ ჟვანია.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი სოხუმელი, 71 წლის **ვალენტინა პოდტიკანია**. მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, კახა ლომაიას ერთის ნაცვლად ორი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო ნიკა გილაურს — პირიქით, ორის ნაცვლად — ერთი (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V–IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №40 (418) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და **«მკითხველის პრემიაში»**.

**№40 (418) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 6 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 7 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №40(418) — თანამდებობა

**თქვენი აზრით, საქართველოში პიროვნების მაღალი რანგის თანამდებობაზე დანიშვნისას ყველაზე მეტად რას ენიჭება უპირატესობა** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№40(418) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ასაკი | |
| 2 | პოლიტიკური ორიენტაცია | |
| 3 | გამოცდილება | |
| 4 | დასავლური განათლება | |
| 5 | პატიოსნება | |
| 6 | კავშირები, ნაცნობობა | |
| 7 | რეიტინგი (საზოგადოებრივი აზრი) | |
| 8 | კომპეტენტურობა | |

**მკითხველის რეიტინგი**

**დაასახელეთ სამი პარლამენტარი, რომელთაც ყველაზე მეტად ენდობით**

1. ________________
2. ________________
3. ________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## დამატებითი კითხვის შედეგები

### როგორია დღეს პრესის თავისუფლების ხარისხი ვარდების რევოლუციამდელთან შედარებით?




1. ბევრად უფრო მაღალი
2. მაღალი
3. თითქმის იგივე
4. დაბალი
5. ბევრად უფრო დაბალი
6. მიჭირს პასუხის გაცემა

*დამატებით კითხვას 442-მა რესპონდენტმა უპასუხა*

# ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— ჩვენი ეზო რომ არა, იქნებ თავი არც გამეტეხა...

„თეთრკანიანი კი ვარ, მაგრამ ჩემი გული აფრიკას ეკუთვნის...“ ამ მინიშნებამ მკითხველები არც თუ მცდარ გზაზე დააყენა... ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ორი პოლიტიკოსი — შალვა ნათელაშვილი და დავით გამყრელიძე დასახელდა (თუ რატომ, ამას ვერ აგიხსნით)...

ისეთი პიროვნებებიც დასახელდნენ, ვისაც უცხოეთთან რაღაც კავშირი აქვს — მერაბ ნინიძე, ია ფარულავა...

რესპოდენტთა 70% კი მინიშნებამ ზუსტ კვალზე დააყენა და ისინი „მამა აფრიკას“ შემსრულებელ, მომღერალ **დათო გომართელამდე** მიიყვანა.






*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*

## ფოტო განწყობილებისთვის



— „ქვიშის გოჯს“ მებახიან...

## თურმე...

ერთი ცნობილი ინგლისელი პროფესორი ტურისტებთან ერთად მოგზაურობდა ეგზოტიკურ მიდამოებში. ისინი მოულოდნელად კაციჭამიათა ტომმა შეიპყრო – ზუსტად სადილის დროს. კაციჭამიებმა მათი შესანსვლა გადაწყვიტეს. დააყენეს რიგში. ამ დროს ბელადი მიაშტერდა პროფესორს და დაიყვირა:

– ამას ხელს ნუ ახლებთ! ეს ოქსფორდის უნივერსიტეტში მასწავლიდა!

6/X

☾

**უკანასკნელი მეოთხედი**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. თამბაქო; 4. რივიერა; 6. კრეტა; 7. ათენი; 8. ოლიფა; 9. ატოლი; 10. ივრითი; 13. ფრახტი; 16. პლისე; 18. გრიმასა; 19. ტრენაჟი; 20. იანძი; 22. სტატია; 23. კილიტა; 25. კირხე; 27. ბროლი; 28. შკოდა; 29. ნაიბი; 30. იმერეთი; 31. ამბიცია.

**შვეულად:** 1. თერაპევტი; 2. ოკლაჰომა; 3. რეპეტიტორი; 4. რადიკალი; 5. აბორიგენი; 11. რკინა; 12. თვალი; 14. რიელი; 15. ხრამი; 16. პაი; 17. ეტი; 21. ნარკოლოგია; 22. სანსკრიტი; 24. არგენტინა; 25. კაბოშონი; 26. ეპიტაფია.








**თარაზულად:** 1. ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 4. მსხვილი და მოკლე სოსისი; 6. ცეცხლგამძლე კარადა; 7. რაიმე სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა; 8. მძორისმჭამელი ფრინველი; 9. კუზიანი კურდღელი; 10. ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო; 13. ფერადი გაუმჭვირვალე მინა პატარა კუბების ან ფირფიტების სახით, იყენებენ მოზაიკაში; 16. ... რივზი; 18. ვინმესთან შინაურ ვითარებაში მოსული ან მოწვეული დაპატიჟებული პირი; 19. 11 მ-იანი საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში; 20. ღობეზე გადასაბიჯებელი ადგილი; 22. ამერიკის ვრცელი ველები, სადაც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურები; 23. ამერიკელი კინორეჟისორი; 25. პატარა, ბრტყელი მრგვალი პური; 27. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა; 28. დიდი, უქოჩრო თუთიყუში; 29. მდინარე ევროპაში; 30. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 31. გზის საფარი.

**შვეულად:** 1. რეჟისორი ფილმისა „კრიმინალური საკითხავი“; 2. სულის ხუთვა; 3. მხატვრულ, სამეცნიერო, ფილოსოფიურ და სხვა ნაწარმოებთა ერთობლიობა; 4. ვენერიული დაავადება; 5. იუმორით გამსჭვალული მცირე მხატვრული ნაწარმოები; 11. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი საფრანგეთში; 12. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი; 14. ტროპიკული ხილი; 15. სვანური ხალხური სიმღერა; 16. კორეული ავტომობილი; 17. თვალის ფოსო; 21. სიბინძურის გატანის ღონისძიებათა სისტემა; 22. მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული; 24. ფრანგული არაყი; 25. არსება ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც აქვს ცხენის ტანი, ადამიანის გულმკერდი და თავი; 26. ზუსტი მიბაძვა.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*

## ჯოლის ახალი საყვარელი ჰყავს

ანჯელინა ჯოლი და ველ კილმერი ფილმ „ალექსანდრეში“ თამაშისას თითქმის უმიზეზოდ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. დამთავრდა გადაღება და დილის ნისლივით გაქრა მათი მტრობაც. მიხვდნენ, რომ თურმე ერთმანეთი ჰყვარებიათ. ამ ამბავს კარგა ხანს გულმოდგინედ უმალავდნენ ჟორიკანებს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამიტომ „სამალავიდან“ გამოვიდნენ და თავისუფლად დასეირნობენ, არც თავყრილობებს აკლდებიან. ახლახან ლონდონს ეწვივნენ და ყველა რომანტიკული ადგილი მოინახულეს. პრინცესა დაიანას საფლავი თეთრი ვარდებით შეამკეს და თან გულაჩუყებულებმა ცრემლიც დაღვარეს...



## კოსტნერი გაბედნიერდა!



ჰოლივუდის ვარსკვლავმა კევინ კოსტნერმა როგორც იქნა, შეირთო ცოლი, 20 წლით უმცროსი კრისტინა ბაუმჰარტნერი, რომელიც თითქმის ხუთი წელი ელოდა „მისის კოსტნერობას“.

ქორწილი გადაიხადეს მსახიობის რანჩოში, ასპენში (კოლორადოს შტატი). ჰყავდათ 300 სტუმარი, მათ შორის ბრუს უილისი, ოლივერ სტოუნი და სხვები.

თაფლობის თვეს ახალდაქორწინებულები შოტლანდიაში ატარებენ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ კევინს პირველი ცოლისგან 3 შვილი ჰყავს. მისი მეუღლე გახლდათ უმშვენიერესი სინდი სილვა, რომელსაც მობეზრდა ქმრის გაუთავებელი ღალატი და გაეყარა ვარსკვლავს.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 40 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№40 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 7 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54; **რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.